


# ევროპის უსაფრთხოება და თავდაცვა

---

მამია ბალახაძე



მამია ბალახაძე

ევროპის უსაფრთხოება და თავდაცვა

თბილისი

2023

### ანოტაცია

წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის და პოლიტიკის (CSDP) და ევროპის სახელმწიფოების უსაფრთხოების პოლიტიკის მიმოხილვას და ანალიზს. წიგნში განხილულია ევროკავშირისა და ევროპის წამყვანი სახელმწიფოების უსაფრთხოების პოლიტიკის დილემები, პოლიტიკისა და უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების პროცესი, წევრი სახელმწიფოების ეროვნული ინტერესები და ურთიერთობები მთავრობებსა და ევროკავშირის ინსტიტუტებს შორის.

წიგნში ასევე განზოგადებულია ევროკავშირის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის კვლევის პროცესში არსებული თეორიული ჩარჩო-მიდგომები, რომელთა მეშვეობითაც ყალიბდება უსაფრთხოების პოლიტიკა ევროპაში.

ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკასთან ერთად მნიშვნელოვანია ევროპის წამყვანი სახელმწიფოების (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია) ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ანალიზის გაცნობა და მათი ურთიერთობის დილემების და დისკურსების ჩამოყალიბება უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შესახებ როგორც ევროკავშირთან, ასევე ერთმანეთთან.

წიგნის მიზანია მკითხველს გააცნოს ევროკავშირისა და ევროპის წამყვანი სახელმწიფოების უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა. ნაშრომი დახმარებას გაუწევს სპეციალისტებს, საერთაშორისო ურთიერთობების, ევროკავშირის პოლიტიკის და უსაფრთხოების პოლიტიკის შესწავლით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

### რედაქტორი:

**ვაჟა შუბითიძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

### რეცენზენტები:

**ემილია ალავერდოვი** - საერთაშორისო ურთიერთობათა აკადემიური დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი.

**ედიშერ ჯაფარიძე** - პოლიტიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

**დაიბეჭდა:** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის კარტოგრაფია-გეოდეზიის დეპარტამენტში

# შინაარსი

ავტორისაგან.....	3
Author’s Note.....	6
შესავლის ნაცვლად.....	8
<b>თავი I. ევროპის და ევროკავშირის ისტორია.....</b>	<b>17</b>
ევროპის გეოგრაფიული და პოლიტიკური მდებარეობის განსაზღვრა.....	17
ევროპის ისტორია - გზა ომებიდან მშვიდობამდე.....	41
ევროკავშირის ჩამოყალიბების ისტორია.....	69
<b>თავი II. თეორიის როლი ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა     და თავდაცვის პოლიტიკის კვლევაში (CSDP) .....</b>	<b>87</b>
ევროპის უსაფრთხოების მკვლევარები და მათი თეორიული მიდგომები.....	90
ნეორეალიზმი.....	93
მთავრობათშორისი, ტრანსნაციონალიზმი და ტრანსსახელმწიფოებრივი ურთიერთობები.....	115
კონსტრუქტივისტული მიდგომა და „ბრიუსელიზაცია“.....	124
<b>თავი III. ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და     თავდაცვის პოლიტიკა (CSDP) .....</b>	<b>137</b>
ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ისტორიული განვითარება.....	137
ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ინსტიტუციური და პოლიტიკური სისტემა.....	162



პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში (CSDP) .....	195
---	-----

<b>თავი IV. ევროპის სახელმწიფოების (ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია) უსაფრთხოების დილემები, ეროვნული ინტერესები, თავდაცვის პოლიტიკის სტრატეგიადა მისი შემუშავება.....</b>	<b>216</b>
“ევროპის დიდი სტრატეგია“ (Europe Grand Strategy).....	219
საფრანგეთი (საფრანგეთის რესპუბლიკა).....	221
დიდი ბრიტანეთი (დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო).....	230
გერმანია (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა).....	240
<b>დასკვნის სახით: „დიდი სამეული“ - საფრანგეთი - ბრიტანეთი - გერმანია.....</b>	<b>262</b>
<b>აბრევიატურები.....</b>	<b>272</b>
<b>გამოყენებული ლიტერატურა.....</b>	<b>273</b>



## ავტორისაგან

ნაშრომში „ევროპის უსაფრთხოება და თავდაცვა“ გაანალიზებულია ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ინსტიტუციური ჩარჩო და სტრატეგიული ხედვა, ყურადღება გამახვილებულია ევროპის წამყვანი სახელმწიფოების უსაფრთხოების პოლიტიკის დილემებზე, პოლიტიკისა და უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების პროცესზე, განხილულია წევრი სახელმწიფოების ეროვნული ინტერესების ურთიერთმიმართება ევროკავშირის ინსტიტუტებთან და ეროვნულ მთავრობებთან.

ნაშრომის პირველი თავი „ევროპისა და ევროკავშირის ისტორია“ ეხება ევროპის გეოგრაფიული და პოლიტიკური მდებარეობის განსაზღვრას ანტიკური დროიდან თანამედროვე პერიოდამდე. განხილულია ევროპის მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები, რომელიც მიმართული იყო გაერთიანების პოლიტიკური პროცესის შემუშავებაზე, აღნიშნულ ისტორიულ პერიოდს მოიცავს „გზა ომებიდან მშვიდობამდე“. გარკვეული ისტორიული რაკურსის შემდეგ განზოგადებულია ევროკავშირის ჩამოყალიბების ისტორია როგორც პოლიტიკურად, ასევე ინსტიტუციური თვალსაზრისით.

ნაშრომის მეორე თავი ეხება თეორიის როლს ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის კვლევაში (CSDP). საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) უკეთ გააზრებისთვის და ანალიზისთვის მნიშვნელოვანია მისი თეორიული განზომილების შესწავლა და დისკურს-ანალიზი. CSDP შესახებ უსაფრთხოების თეორიული ვარაუდები ძალიან მრავალფეროვანია და მათი მთავარი მიზანია გარკვეული შეხედულებების წარმოქმნა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განვითარდეს პოლიტიკა, რომელსაც

ექნება თეორიული საფუძვლები, ხოლო ეს დაშვებები უფრო მკაფიოს გახდის არსებულ თეორიულ ჩარჩოებს სისტემური გამოყენებისთვის. აღნიშნულ თავში განხილული იქნება შემდეგი თეორიული მიდგომები: ნეორეალიზმი, მთავრობათაშორისი ურთიერთობები, ტრანსნაციონალიზმი, ტრანსსახელმწიფოებრივი ურთიერთობები, კონსტრუქტივისტული მიდგომა და „ბრიუსელიზაცია“.

ნაშრომის მესამე თავში ყურადღება გამახვილებული იქნება უშუალოდ ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაზე (CSDP). საგარეო პოლიტიკა წლების განმავლობაში რჩებოდა სახელმწიფოების სუვერენიტეტის მთავარ გარანტად, წვერი სახელმწიფოები ყველანაირად ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ უფლებამოსილება საგარეო პოლიტიკის საკითხებში, ასევე წევრ ქვეყნებს სურდათ, რომ საგარეო პოლიტიკური თანამშრომლობა მაქსიმალურად ყოფილიყო იზოლირებული ევროკავშირის პოლიტიკური ინსტიტუტებისგან. სწორედ ამიტომ, პირველ ეტაპზე საინტერესოა ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ისტორიული განვითარების მიმოხილვა, იმის განხილვა, თუ როგორ დაიწყო თანამშრომლობა უსაფრთხოების მიმართულებით ევროკავშირისა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის. გარკვეული ისტორიული ექსკურსის შემდეგ დეტალურად არის განხილული ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ინსტიტუციური სისტემა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები.

მეოთხე თავი მოიცავს „ევროპის სახელმწიფოების (ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია) უსაფრთხოების დილემებს, ეროვნულ ინტერესებს, თავდაცვის პოლიტიკის სტრატეგიის ანალიზს და მისი შემუშავების პროცედურებს“. ვინაიდან დიდი ბრიტანეთი ევროკავშირიდან ახალი გასულია (2020 წლის 1 თებერვალი), ხოლო წლების განმავლობაში ის აქტიურ როლს თამაშობდა ევროკავშირის უსაფრ-

თხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში, დიდი ბრიტანეთის განხილვისას, პირველ ნაწილში ყურადღება გამახვილებულია „ბრექსიტ“-ამდე (2020 წლამდე) არსებულ სიტუაციაზე, ხოლო მეორე ნაწილში – „ბრექსიტ“-ის შემდგომ პერიოდზე.

დიდია გერმანიის, საფრანგეთისა და იტალიის როლი ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში, აგრეთვე სამხედრო/სამოქალაქო ოპერაციებში, რომელიც მოიცავს ზემოთ ხსენებული სახელმწიფოების ღვაწლს რესურსების გამოყოფაში, პოლიტიკის შემუშავებასა და მისიების წარმართვაში.

## Author's Note

The paper "European Security and Defense" analyzes the institutional framework and strategic vision of the Common Security and Defense Policy (CSDP) of the European Union. Also, the paper focuses on the dilemmas of the security policy of the leading European states, the process of policy and security strategy development, and the relations between the national interests of the states and the EU institutions and national governments.

The first chapter of the paper "History of Europe and the European Union" deals with determining the geographical and political location of Europe from ancient times to the modern period. The important historical events of Europe, which were aimed at the development of the political process of unification, are also discussed in the first chapter; this historical period includes "the road from wars to peace". After the historical overview, the formation process of the European Union, both politically and institutionally, will be discussed.

The second chapter of the paper deals with the role of theory in EU Common Security and Defense Policy (CSDP) research. For a better understanding and analysis of the Common Security and Defense Policy (CSDP), it is important to study its theoretical dimension and discourse analysis. The security theoretical assumptions about CSDP are very diverse and their main purpose is to generate some insights on how to develop policies that have theoretical foundations; and these assumptions will make existing theoretical frameworks clearer for more systematic application. The following theoretical approaches will be discussed in this chapter: neorealism, intergovernmentalism, transnationalism and trans-state relations, constructivist approach and "Brusselsization".



The third chapter of the paper will focus directly on the "Common Security and Defense Policy (CSDP) of the European Union". Foreign policy has remained the main guarantor of states' sovereignty for years. The member states did everything to maintain their authority in terms of foreign policy. Also, it was in the interests of the member states that foreign political cooperation should be isolated as much as possible from the political institutions of the European Union. That is why, at the first stage, it is interesting to review the historical development of the common security and defense policy of the European Union; how security cooperation between the EU and its member states began. After some historical background, the institutional system and decision-making procedures of the EU's common security and defense policy will be discussed in detail.

The fourth chapter deals with "security dilemmas and national interests of European states (Britain, France and Germany), analysis of defense policy strategy and its development procedures ". Since the UK has just left the EU (February 1, 2020), Britain has played an active role in EU security and defense policy over the years. Therefore, we could not ignore the role and place of Great Britain, and when discussing Great Britain, in the first part, I will focus on the situation existing before "Brexit" (until 2020) and in the second part, we will specifically consider the post-Brexit period. Germany, France and Italy play a leading role in the EU's common security and defense policy and in military/civilian operations, which includes the allocation of resources, both in terms of policy development and the conduct of missions.

## შესავლის ნაცვლად

ომისშემდგომი პერიოდის განმავლობაში ევროპაში გამოჩნდა უსაფრთხოების საკითხების ახალი მიმართულებები, როგორცაა საბჭოთა კავშირის იმპერიალისტური პოლიტიკა ევროპის მიმართულებით. საბჭოთა კავშირიდან მომდინარე საფრთხემ ხელი შეუწყო ევროპული თავდაცვის ინტეგრაციას. ევროპული საზოგადოების შექმნისა და ჩამოყალიბების პროცესის დაწყებისთანავე იყო პოლიტიკური ერთობის დამყარების მცდელობა. საერთო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის შემუშავების საკითხი არაერთხელ ყოფილა დებატების მთავარი საბაზი. ყველაზე გაბედული და მნიშვნელოვანი მცდელობა იყო 1950 წელს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის მიერ შეთავაზებული გეგმა (პლევენის გეგმა). ამ გეგმის მიხედვით გაერთიანებული სარდლობის ქვეშ უნდა შექმნილიყო ინტეგრირებული ევროპული არმია. აღნიშნული გეგმა წევრი სახელმწიფოების მიერ მოლაპარაკებების და განხილვის საგანი გახდა, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ევროპის თავდაცვის გაერთიანება (EDC).

წევრი სახელმწიფოების მთავრობის წარმომადგენლები ეძებდნენ ოპტიმალურ გზას, რომლითაც მოხდებოდა უფრო მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობა უსაფრთხოების საკითხებში. ამ საკითხის ირგვლივ 1970 წელს მოწვეულ იქნა ლუქსემბურგის სამიტი, სადაც წარდგენილ იქნა „დავინიონის მოხსენება“, რომელიც საფუძვლად დაედო ევროპის პოლიტიკურ თანამშრომლობას (EPC). დავინიონის მოხსენება (D'Aavignon Report) წლების განმავლობაში წარმოადგენდა მთავარ დასაყრდენს პოლიტიკური თანამშრომლობის განვითარებისთვის.

1970 წელს ევროპულმა პოლიტიკურმა თანამშროლობამ (EPC) უკვე განავითარა ევროპული საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის კოორდინაცია, რომელიც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (CFSP) ჩამოყალიბებაში.

ცივი ომის დასრულების შემდეგ შესაბამისი პირობები შეიქმნა ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შესაქმნელად. ორგანიზაციის წინაშე წამოიჭრა თვისობრივად ახალი გამოწვევები, როგორცაა ეთნიკური კონფლიქტები, ტერორიზმი, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევები და ა.შ. ახალმა რეალობამ წვერი ქვეყნები მიიყვანა დასკვნამდე, რომ ორგანიზაციას სჭირდებოდა დამოუკიდებელი ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა ახალ გამოწვევებთან გამკლავებისთვისა და გლობალური უსაფრთხოების ახალ არქიტექტურაში საკუთარი წონისა და გავლენის გასაზრდელად. ნატოს ტრანსფორმაციამ და ევროპის რეგიონულ კონფლიქტებში ჩარევისაგან დისტანცირების სურვილმა დამატებითი ბიძგი მისცა ევროკავშირს. ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკისაკენ სვლა ნატოსაგან დამოუკიდებელი ქმედითი თავდაცვითი მექანიზმის შექმნას და საკუთარი გავლენის გაზრდის სურვილს ეფუძნება.

საფრანგეთმა და გერმანიამ ჯერ კიდევ 1992 წელს ევროგაერთიანების/ ევროკავშირის სტრუქტურების გვერდის ავლით ხელში აიღეს ერთობლივი სამხედრო ძალის შექმნის ინიციატივა და ევროკორპუსი შექმნეს, ხოლო 1996 წლის ამსტერდამის ხელშეკრულებამ ჩამოაყალიბდა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა (CFSP), რომლის მიზანიც იყო კავშირისთვის საერთაშორისო პოლიტიკაში თავისი როლის უკეთ შესრულების საშუალება მიეცა. საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიზანი ასევე გახდა

შესაძლებლობებსა და საშუალებებს შორის არსებული ორმოების ამოვსება და იმ წინააღმდეგობების დაძლევა, რომლებიც არსებობდა CFSP-ის ამბიციურ პროგრამასა და იმ საშუალებებს შორის, რაც კავშირის ხელთ იყო. 1996 წელს ნატოს მინისტრიალზე შეთანხმდნენ, რომ დასავლეთევროპული კავშირი პასუხისმგებლობას აიღებდა ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის იდენტობის შექმნაზე (European Security and Defence Identity (ESDI)), რაც ნატოს ევროპელ წევრებს დამოუკიდებლად მოქმედების საშუალებას მისცემდა მაშინ, როცა ნატო მოქმედებისაგან თავს შეიკავებდა; პოლიტიკურ ხელმძღვანელობას დასავლეთევროპული კავშირი განახორციელებდა.

ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის იდენტობის შექმნა ფალსტარტი აღმოჩნდა; იგი ნაკარნახები იყო იმ მოსაზრებით, რომ ევროკავშირს ევროპული პოლიტიკის შექმნის უფლება უნდა ჰქონოდა ნატოს ჩარევის გარეშე. 1999 წელს ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის იდენტობა ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკით (European Security and Defence Policy (ESDP)) ჩაანაცვლეს, რომლის თანახმადაც, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, საჭიროების შემთხვევაში, მოთხოვნიდან 60 დღის ვადაში 60000-კაციანი სწრაფი რეაგირების ძალები უნდა გამოეყვანათ და, ულ მცირე, ერთი წლის განმავლობაში უნდა შეენახათ. შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტები და სამხედრო კადრები. ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკას სტიმული მისცა აშშ-ის 11 სექტემბრის მოვლენებმა; ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ტერორიზმი ახალი ტიპის საფრთხე იყო, რომელიც არავისთვის არ ჩაივლიდა უმტკივნეულოდ.

2003 წელს ევროკავშირმა განათავსა თავისი პირველი „საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის CSDP“-ის მისიები და მიიღო ევროპის უსაფრთხოების სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს

საერთო საფრთხეებსა და მიზნებს. 2004 წლის მაისში ევროკავშირის თავდაცვის მინისტრები შეთანხმდნენ, შეექმნათ 15 „საომარი ჯგუფი“, თითოეული 1500 ჯარისკაცისგან შემდგარი, რომელთა გამოყვანასაც 15 დღეში შეძლებდნენ და 30-იდან 120 დღის განმავლობაში შეინახავდნენ. 2004 წელს შეიქმნა ევროპის თავდაცვის სააგენტო, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო მინისტრები იკრიბებიან და ევროპის უსაფრთხოებისა და, თავდაცვის პოლიტიკის ინტერესებიდან გამომდინარე, ადგენენ გეგმებს და ატარებენ კვლევებს.

2003 წელს ძალაში შევიდა ნიცას ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს ESDP-ის იურიდიულ საფუძველს კომპეტენციების, ორგანიზაციის, სტრუქტურებისა და აქტივების თვალსაზრისით. იმავე წელს ESDP ამოქმედდა მისი პირველი მისიებითა და ოპერაციებით და ევროკავშირმა მიიღო ევროპული უსაფრთხოების სტრატეგია, რომელშიც ასახული იყო საერთო საფრთხეები და ამოცანები. ევროპული უსაფრთხოების სტრატეგია პირველად შემუშავდა 2003 წელს ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში უმაღლესი წარმომადგენლის, ხავიერ სოლანას ხელმძღვანელობით და მიღებული იქნა ბრიუსელის ევროპული საბჭოს მიერ 2003 წლის 12 და 13 დეკემბერს. ESDP, ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ევროპამ ჩამოაყალიბა უსაფრთხოების ერთობლივი სტრატეგია. 2004 წლის მაისში, ევროკავშირის თავდაცვის მინისტრებმა დაამტკიცა "მიზანი 2010", რამაც გაახანგრძლივა ევროკავშირის უსაფრთხოების პროექტის შემუშავების ვადები და გამოაჩინა უსაფრთხოების განვითარების სამომავლო პერსპექტივა.

1999 წელსდაარსებულ ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკას (ESDP) 2009 წელს ლისაბონის ხელშეკრულების თანახმად ეწოდა - საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა (CSDP). ანუ ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა (ESDP)

გახდა - საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა (CSDP). მთავარი შედეგები მხოლოდ სახელის შეცვლა არ ყოფილა, ასევე დაიხვეწა, როგორც ინსტიტუციურად ასევე პოლიტიკურადაც, წიგნში დეტალურად განვიხილავ ლისაბონის ხელშეკრულების შედეგებს და საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბების ისტორიას, სადაც დეტალურად იქნება განხილული, როგორც ინსტიტუციური ჩარჩო, ასევე თეორიული და პოლიტიკური მიდგომები. ტერმინ CSDP - საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკაზე და მის ისტორიაზე საუბრისას, რათქმუნდა ყურადღებას ვამახვილებ მის წინამორბედი ESDP - ევროპის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკაზე.

**2009 წელს ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე ESDP-ს ეწოდა საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (CSDP), წევრ ქვეყნებს შორის შემოიღეს ორმხრივი თავდაცვის პუნქტი. ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების კონსოლიდირებული ვერსიის მუხლი 42.7:**

*„თუ წევრი სახელმწიფო მის ტერიტორიაზე შეიარაღებული აგრესიის მსხვერპლია, სხვა წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ მის მიმართ დახმარებისა და დახმარების ვალდებულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად. არ დააზარალებს ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის სპეციფიკურ ხასიათს. [...]“*

**საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (Common Security and Defence Policy) ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარი ელემენტია (CFSP). საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირი წარგზავნის სამშვიდობო (სამოქალაქო და სამხედრო) მისიებს**



როგორც ევროპაში, ასევე, მსოფლიო მასშტაბით, დანიშნულების ქვეყანაში კრიზისების მართვის და/ან საჯარო სექტორის რეფორმირების მიზნით. ევროკავშირის CSDP მისიების მიზანია დანიშნულების ქვეყნებში საჯარო სექტორის კონკრეტული სფეროს რეფორმა, მათ შორის საზღვრის მართვის, სამართალდამცავი სექტორის, საგანგებო სიტუაციების მართვისა და სხვა მიმართულებების. ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა საშუალებას აძლევს ევროკავშირს წამყვანი როლი შეასრულოს სამშვიდობო მისიებში, კონფლიქტის პრევენციასა და საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერებაში.

ევროკავშირის საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკასთან (CSDP) ერთად მნიშვნელოვანია ევროპის წამყვანი სახელმწიფოების, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთის უსაფრთხოების დილემები, ეროვნული ინტერესები და თავდაცვის პოლიტიკის შემუშავების პროცესის განხილვა. იქიდან გამომდინარე, რომ დიდი ბრიტანეთი ევროკავშირიდან ახალი გამოსულია (2020 წლის 1 თებერვალი) წლების განმავლობაში ბრიტანეთი აქტიურ როლს თამაშობდა ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკაში, აქედან გამომდინარე დიდი ბრიტანეთის როლს და ადგილს გვერდს ვერ ავუვლიდით და დიდი ბრიტანეთის განხილვისას ყურადღებას გავამახვილებ „ბრექსიტამდე“ (2020 წლამდე) არსებულ სიტუაციაზე, ხოლო შემდეგ უშუალოდ „ბრექსიტის“ შემდგომ პერიოდზე.

დღევანდელ „მსოფლიო წესრიგში“ ევროპის სახელმწიფოები თავს იკავებენ ინდივიდუალური სამხედრო ინტერვენციებისგან, მათი სამხედრო ოპერაციები და მისიები უშუალოდ მიზნულია ნატო-ს და ევროკავშირის საერთო თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკაზე და ისინი მოქმედებენ მრავალეროვნულ გარემოში. როგორც ჩანს

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში ცალმხრივი (ინდივიდუალური) ინტერვენციების და სამხედრო ოპერაციების დრო ჯერჯერობით წარსულ ჩაბარდა ევროპის სახელმწიფოებისთვის, რათქმაუნდა გამონაკლისი რუსეთის ფედერაცია, მაგრამ იგი ჩვენს განსახილველ საკითხში არ შედის, რადგან რუსეთი ექსპანსიურ პოლიტიკას მიმართავს სამეზობლო რეგიონში, ჩვენ კი ყურადღებას ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებზე და დიდი ბრიტანეთზე ვამახვილებთ და უშუალოდ ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურაზე, რუსეთის აგრესიული და ექსპანსიური პოლიტიკა ცალკე განსახილველი საკითხია, რუსეთის საგარეო პოლიტიკური მიზნები, ამოცანები და მიღწევის გზები არანაირად არ ჯდება თანამედროვე ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში.

მეორე არგუმენტი, თუ რატომ აღარ მიმართავენ ევროკავშირს წევრი სახელმწიფოები და დიდი ბრიტანეთი ინდივიდუალურ სამხედრო მისიებსა და ოპერაციებს გახლავთ შემდეგი, დღეს ომი სახელმწიფოებისთვის ითვლება ეგზისტენციალური საკითხთან, რადგან ევროპას საკმაოდ დიდი გამოცდილება დაუგროვდა ომების და მისგან მიყენებული უდიდესი ზარალით, ასევე ომების წარმოება იწვევს ძალიან დიდი რუსკებს და ეკონომიკურ ხარჯებს, აქედან გამომდინარე ცივი ომის შემდგომ ევროპის სახელმწიფოები ჩართულნი არიან ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის გაუმჯობესებაზე მოკავშირეებთან ერთად, რადგან თუ ეროვნულ მთავრობებს საქმე არასწორად მისდის და გარკვეულწილად გავლენას ახდენს ევროპის უსაფრთხოებაზე, ამ შემთხვევაში მოკავშირეები ცდილობენ აუხსნან გარკვეული რისკები და ეკონომიკური ხარჯები. იმის თქმაც შესაძლებელია, რომ გერმანია, საფრანგეთი და იტალია უსაფრთხოების ფსონს ასევე დებენ ევროკავშირის საერთო

უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკაზე (CSDP) და ნატოზე, მათი სამხედრო მისიები და ოპერაციები მიმართულია კრიზისების გადასაჭრელად და ევროკავშირის პოზიციის გასამლიერებლად, ანალოგიური სიტუაცია ნატოსთან მიმართებაში, სახელმწიფოები ცდილობენ საკუთარი პოზიციის გასამლიერებას ორგანიზაციაში და ამავდროულად ნატოს მხარდაჭერას. ასევე გერმანია, საფრანგეთი, იტალია და დიდი ბრიტანეთი ყველაფერთან ერთად ცდილობენ, საკუთარი ეროვნული ინტერესების და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაცვას და გატარებას, ისე, რომ იგი თანხვედრაში იყოს, როგორც წევრ სახელმწიფოების ინტერესებთან ასევე ევროკავშირის, თუ გარკვეული კითხვები არსებობს, მაშინ იწყება მოლაპარაკებების და დისკუსიების სერიები უსაფრთხოების საკითხებში.

გერმანია და საფრანგეთი ევროკავშირის საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკაში და სამხედრო/სამოქალაქო ოპერაციებში, რომელიც მოიცავს რესურსების გამოყოფას, ზემოთხსენებული სახელმწიფოები წამყვან როლს თამაშობენ, როგორც პოლიტიკის შემუშავებაში ასევე მისიების წარმართვაში. დიდი ბრიტანეთი 2020 წლამდე ასევე ერთ-ერთი მთავარი აქტორი იყო CSDP-ის შემუშავებაში და განხორციელებაში, 2020 წლის შემდეგ დიდი ბრიტანეთი რატემაუნდა რჩება ევროკავშირის მთავარ პარტნიორად უსაფრთხოების საკითხებში, იგი ასევე თანამშრომლობს აქტიურად ნატოსთან. ევროკავშირის ნებისმიერი სამხედრო/სამოქალაქო ოპერაცია ზემოთხსენებული სახელმწიფოების გარეშე ნაკლებად სავარაუდოა, რომ განხორციელდეს. აქედან გამომდინარე სახელმწიფოები (გერმანია, იტალია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი) ცდილობენ პირველ ეტაპზე ეროვნული ინტერესების თანხვედრაში მოყვანას, მიზნების და ამოცანების იდენტიფიკაციას, აღნიშნულ საკითხზე მიღწეული შეთანხმება წარმოადგენს ევროკავშირის სამხედრო/სა-

მოქალაქო მისიის სცენარის გასაღებს. გარდა ამისა, გერმანია მნიშვნელოვანი როლს თამაშობს პოლიტიკურ საკითხებში, როგორც მესამე სახელმწიფოსთან ურთიერთობაში ასევე ევროკავშირთანაც. მერკელის პერიოდიდან გერმანია აშკარად ცდილობს წამყვანი როლი ითამაშოს ევროკავშირში და ნატოში სამხედრო/სამოქალაქო კრიზისების მოგვარებაში პოლიტიკური თვალსაზრისით.

ევროკავშირის და ევროპის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის მთავარი და ყველაზე გავლენიანი სახელმწიფოები არიან გერმანია - საფრანგეთი - ბრიტანეთი, რომელიც ხელმძღვანელობენ ევროპის უსაფრთხოების სისტემას. უსაფრთხოების ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ბრიტანეთი და საფრანგეთი, მაგრამ გერმანიამ ორივესთან შეძლო თანამშრომლობა და პარტნიორობა. მან ასევე აჩვენა საერთო ლიდერობისთვის მზაობა, როგორც პოლიტიკურად ასევე ეკონომიკურად, რომელიც გარდამტეხი მომენტი აღმოჩნდა უსაფრთხოების ჩამოყალიბებაში. სამივე სახელმწიფომ ერთიანად წამოიწყო ერთობლივი უსაფრთხოების და თავდაცვის ინიციატივები, რომელიც თავიდანვე მნიშვნელოვანი იყო, ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის (CSDP) ჩამოყალიბებისთვის.

# თავი 1. ევროპის და ევროკავშირის ისტორია

## ევროპის გეოგრაფიული და პოლიტიკური მდებარეობის განსაზღვრა

მეცნიერებისთვის და ისტორიკოსებისთვის მუდამ დავის საგანს წარმოადგენდა ევროპის ცნების და განმარტების ჩამოყალიბების პროცესი. ტერმინი ევროპა დროის ცვალებადობასთან ერთად სხვადასხვა მნიშვნელობით განიმარტებოდა, ზოგისთვის ევროპა მხოლოდ პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანება და არა გეოგრაფიული მდებარეობის განმარტება. ამიტომ საინტერესო იქნება ევროპის, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური სივრცის შინაარსის ასევე გეოგრაფიული მნიშვნელობის გაგება.<sup>1</sup>

თავდაპირველად სიტყვა ევროპა ანტიკურ საბერძნეთში დამკვიდრდა, რომელსაც ასევე ძველი ფინიკიელები იყენებდნენ და სიტყვა ევროპა ანტიკურ სამყაროში დამკვიდრდა, როგორც „მიწა, სადაც მზე ჩადის“, ამის საპირისპიროდ აზია აღქმული იყო, „მიწა სადაც მზე ამოდის“ აქედან გამომდინარე ძველი ბერძნები სიტყვა ევროპას იყენებდნენ და აღნიშნავდა „დასავლეთს“, რომლითაც საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენდნენ აზიისა და აფრიკისგან. თანამედროვე ევროპის პოლიტიკური მნიშვნელობა უშუალოდ განსხვავდება საუკუნეების წინანდელი გეოგრაფიული განმარტებისგან. ევროპის პოლიტიკური მნიშვნელობის ჩამოყალიბება აქტიურად იწყება განმანათლებლობის ეპოქიდან და საფრანგეთის


---

<sup>1</sup>ირაკლი მეგრელიშვილი, *ევროპული გაერთიანებების ისტორია ანტიკური სამყაროდან ევროკავშირამდე* (თბილისი: მწიგნობარი, 2017), 10-23 გვ.

ბურჟუაზიული რევოლუციიდან, რომელიც სათავეს მე-18 საუკუნეებიდან იღებს.<sup>2</sup> განმანათლებლობის ეპოქამდე და ბურჟუაზიული რევოლუციამდესაუკუნეების განმავლობაში ევროპის ცნება და იდენტობა აღნიშნავდა ქრისტიანულ სამყაროს, რომელიც მუდამ ცდილობდა დაეცვა და განეცალკეებინა საკუთარი კულტურული და პოლიტიკური იდენტობა ისლამური სამყაროსგან, ხოლო როდესაც გარკვეული რევოლუციები განვითარდა ევროპაშიდა განმანათლებლობის იდეებმა გარკვეული პოლიტიკური და კულტურული შეხედულებები შეცვალა, ევროპამ ნელ-ნელა გეოგრაფიული მნიშვნელობიდან პოლიტიკური დატვირთვაც შეიძინა. პოლიტიკურმა ტრანსფორმაციამ და შეხედულებების გააზრებამ ასევე გამოიწვია რიგი ცვლილებები, რომელიც მოდერნიზაციის და ადამიანზე ორიენტირებული ღირებულებების სიმბოლოდ იქცა, ასევე ჩამოყალიბდა „ერისახელმწიფოები“, რომელიც განსაკუთრებულ პოლიტიკურ სისტემის ჩამოყალიბებას მოასწავებდა. შესაბამისად მე-18 საუკუნეში დაირღვა წინა საუკუნეების გეოგრაფიული და პოლიტიკური საზღვრები და ევროპული იდეები დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ გავრცელდა.<sup>3</sup>



**ჰეროდოტეს მსოფლიოს რუკა. ძვ.წ.450წ.**



**ევროპა 650 წლისათვის**

<sup>2</sup>Nathan Barber, *EuropeanHistory*(Usa, 2015), 45.

<sup>3</sup>იქვე, 18.





ევროპის 1916 წლის პოლიტიკური რუკა

ნებას „ევრაზიას“. თუ ევროპას, როგორც კონტინენტს მასე განვიხილავთ, მისი ფართობი დაახლოებით 10 მლნ კმ<sup>2</sup>-ია, მათ შორის კუნძულები შეადგენენ 730 ათას კმ<sup>2</sup>-ს. ევროპას გარს აკრავს ატლანტის და ჩრდილოეთი ყინულოვანი ოკეანეები და მათი ზღვები.<sup>4</sup>

ევროპის სანაპირო ხაზი ერთობ დანაწევრებულია, ნახევარკუნძულების (კოლის, სკანდინავიის, პირენეის, აპენინის, ბალკანეთის) წილად მოდის ევროპის ფართობის ¼. ევროპაში წარმოადგენელია 50 სახელმწიფო, რომელთა დიდი ნაწილი განვითარებული ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება და ეკონომიკურად წარმატებულ სახელმწიფოებად ითვლებიან. დებატების და განხილვის საგანს წარმოადგენს თუ სად გადის ევროპისა და აზიის შორის საზღვარი. მეცნიერები და მკვლევარები თანხმდებიან რამდენიმე ვარიანტზე, გეოგრაფებს შორის არსებობს (არსებითად პოლიტიკური შეხედულებებიდან გამომდინარე) 5 სხვადასხვა ვარიანტი, რომლებიც შეეხებიან ევროპასა

<sup>4</sup>William A. Pelz, *A People's History of Modern Europe*(London, 2016), 23.

და აზიას შორის პირობითი საზღვრის დადგენის საკითხს. ამ ვარიანტების მიხედვით, საზღვარი გადის:<sup>5</sup>

- (1) კუმა-მანიჩის ხაზზე. ეს არის ფიზიკურ-გეოგრაფიულ ერთეულებს შორის არსებული გეოლოგიური საზღვარი. ამ ვარიანტით მთელი კავკასია მოთავსებულია აზიაში.
- (2) (ა) კავკასიონის მთავარ ქედზე. ეს ქვევარიანტი ეფუძნება ტერიტორიის ყველაზე არსებით ოროგრაფიულ ანუ გეოლოგიურ გაყოფას დიდი კავკასიონის წყალგამყოფის გასწვრივ. ამ შემთხვევაში ჩრდილოეთი კავკასია მდებარეობს ევროპაში, ხოლო სამხრეთი კავკასია - აზიაში. ამ შემთხვევაში საქართველოს ზოგი ნაწილი - მაგალითად ყაზბეგის რაიონი და თუშეთი ევროპაში იგულისხმებიან.  
(ბ) ეს ქვევარიანტი ეფუძნება კლიმატურ პირობებს შორის განსხვავებას. ამ შემთხვევაში ჩრდილოეთი კავკასია მდებარეობს ევროპაში, ხოლო სამხრეთი კავკასია - აზიაში. ამ შემთხვევაშიც კლიმატური საზღვარი დიდი კავკასიონის წყალგამყოფს ემთხვევა და საქართველოს ზოგი ნაწილი - მაგალითად ყაზბეგის რაიონი და თუშეთი ევროპაში იგულისხმებიან.
- (3) მდინარეებზე რიონი, ყვირილა, მტკვარი. ეს ვარიანტი, რომელიც საქართველოს ორ ტოლ ნაწილად ჰყოფს, ეკუთვნის ძველ ბერძენ ისტორიკოსს ჰეროდოტეს. ამ შემთხვევაში თბილისის მარცხენა სანაპირო (გლდან-ნაძალადევი, დიდუბე-ჩუღურეთი, ისანი-სამგორი) ევროპაში მდებარეობს, მარჯვენა (ვაკე-საბურთალო, ძველი თბილისი, დიდგორი) კი აზიაში.
- (4) კავკასიონის მცირე მთიანეთზე. ამ ვარიანტში გამყოფი ხაზის ჩრდილოეთით მოქცეულია საქართველო და ჩრდილოეთი კავკასია ანუ ტიპური ევროპული პეიზაჟების ტერიტორია.

---

<sup>5</sup>Tim Unwin, *A European Geography* (London, 1998), 45.

(5) ყოფილი სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ. ეს არის წმინდა პოლიტიკური ვარიანტი, რომლის თანახმადაც მთელი კავკასია მოქცეულია ევროპაში.

მაგრამ მაინც შეიძლება იმის თქმა, რომ გეოგრაფია იმდენად არ განსაზღვრავს ევროპას, რამდენადაც კულტურა და ისტორია (იგივე ითქმის აფრიკაზეც, სადაც არაბული და არაარაბული წარმოშობის ხალხები სახლობენ).



ევროპის ძირითადი ნაწილი დაბლობია, მათაა სისტემები, რომელიც სამხრეთით და აღმოსავლეთით მიუყვება, ევროპის მიწის მხოლოდ 17%-ია. ესენია: პირინეის, ალპების, აპენინის, ბალკანეთის, კარპატების, კავკასიის, ურალისა და სკანდინავიის მათაა სისტემები. დიდი მდინარეებია ვოლგა, დუნაი, დნეპრი, დონი, პეჩორა, ჩრდ. დვინა,

რეინი, ვისლა, ელბა, ოდრა, რონა, ლუარა და ტახო. ხოლო დიდი ტბები: ლადოგის, ომეგის, ჩუდის, ვენერნის, ბალატონისა და ჟენევის ტბები. მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით, ევროპაში უფრო მაღალი მაჩვენებელია, ვიდრე მასზე გაცილებით დიდ აფრიკასა და ამერიკაში. ეს მისი ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებით აიხსნება. თუმცა XVI-XX საუკუნეებში ევროპაში არ იყო სიმჭიდროვის მაღალი მაჩვენებელი, რადგან მისი მოსახლეობა დედამიწის სხვადასხვა კონტინენტების კოლონიზაციის პროცესში იყო ჩართული. 8 ამგვარად, ევროპელმა მოსახლეობამ სხვა კონტინენტების ისტორიულ, პოლიტიკურ და დემოგრაფიულ მდგომარეობაზეც საკმაოდ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია.<sup>6</sup>



<sup>6</sup>Norman Davies, *Europe: A History* (London, 1998), 67-89.

თანამედროვე ევროპის უმრავლესობა ერთ ტრანსნაციონალურ და რეგიონულ ორგანიზაციაშია გაწევრიანებული. ესაა ევროკავშირი, რომელსაც სახელმწიფოს სტრუქტურული ნიშნებიც აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სახელმწიფო არაა მისი წევრი, ევროკავშირის ძირითად ღირებულებებს მაინც სრულიად იზიარებს. ესაა ნორვეგია და შვეიცარია.<sup>7</sup> ზოგიერთი სახელმწიფო გაწევრიანების მოლოდინშია, მაგალითად უკრაინა, მოლდოვა და საქართველო. ხოლო ზოგიერთი სახელმწიფო საერთოდ შორს დგას, როგორც ევროკავშირის ღირებულებებისგან, ასევე მისი ეკონომიკური პოლიტიკისგან. მაგალითად, ბელორუსია, რუსეთი და ამ უკანასკნელის ზემოქმედებით სომხეთი და აზერბაიჯანი. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირში ინტეგრაცია დღესდღეობით მშვიდობიან პროცესს წარმოადგენს და თავად ეს ორგანიზაცია არის გარანტი მშვიდობის, ადამიანის უფლებების დამცველი და ეკონომიკური აღმავლობის, მაინც ევროპული მიწების ინტეგრაცია ყოველთვის არ ყოფილა მშვიდობიანი. საუკუნეების განმავლობაში ევროპული ინტეგრაცია სისხლიანი ომებისა და იდეოლოგიური ბრძოლების სინონიმი იყო. ქვემოთ სწორედ ამ გაერთიანებებზე და მათ მცდელობებზე გვექნება საუბარი.<sup>8</sup>

აქედან გამომდინარე შეგვიძლია განვმარტოთ, რომ ევროპა წარმოადგენს როგორც პოლიტიკურ ასევე გეოგრაფიულ მნიშვნელობის ცნებას. თუ ევროპას, როგორც პოლიტიკურ საზღვრების მიხედვით განვიხილავთ, ევროპას უფრო პოლიტიკურ ინტერპრეტაციას და მნიშვნელობას ვანიჭებთ, რომლის მიხედვითაც წარმოდგენილია, როგორც ერთი იდეების და შეხედულებების ცივილიზაცია, რომელიც

---

<sup>7</sup> იქვე, 98-100.

<sup>8</sup> ირაკლი მეგრელიშვილი, *ევროპული გაერთიანებების ისტორია ანტიკური სამყაროდან ევროკავშირამდე* (თბილისი: მწიგნობარი, 2017), 45-60 გვ.



განიცდის პროგრესს და იცავს ეროვნულ ღირებულებებს, ასეთ შემთხვევაში ევროპა წარმოადგენს ბერძნულ-რომალური და ქრისტიანული კულტურის შთამომავალს და განმანათლებლობის ისეთ იდეალებზე, როგორცაა თავისუფლება, თანასწორობა, სამართლიანობა, ძალაუფლების დანაწილება და თავისუფალი სავაჭრო გარემო. თუ ევროპას, როგორც გეოგრაფიულ მნიშვნელობას ისე განვიხილავთ, ამ შემთხვევაში იგი უნდა განვსაზღვროთ, როგორც კონტინენტი ან ნახევარკონტინენტი (ევრაზია), სადაც გაერთიანებულია განსხვავებული კულტურული, ეთნიკური და ენობრივი სახელმწიფოები, მაგრამ რაც მთავარია ამ 50 სახელმწიფოს საერთო ღირებულებები და პოზიციები გააჩნიათ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, რაც ქმნის ძლიერ ერთიან ევროპულ კონტინენტს.<sup>9</sup>

კულტურულ და ეთნიკურობასთან ერთად ევროპული სახელმწიფოები ასევე წარმოადგენენ სხვადასხვა ლინგვისტურ გაერთიანებებს. არსებობენ სახელმწიფოები, რომლებიც ერთ ენაზე (მაგ: გერმანია, ლუქსემბურგი) ან ერთი წარმოშობის ენაზე საუბრობენ (მაგ: რუსეთი, უკრაინა) და არიან ისეთები, რომლებიც საკუთარი ქვეყნის ტერიტორიის გარდა არანაირი ნათესაური კავშირი არ აქვს სხვა სახელმწიფოების ენებთან (მაგ: საქართველო).<sup>10</sup>


ევროპაში არსებული ერების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ინდო-ევროპულ ლინგვისტურ ჯგუფს განეკუთვნება. მხოლოდ იბერიულ-კავკასიური, ბასკური და ფინო-უგრული ენები წარმოადგენს არა ინდო-ევროპულ ენათა ოჯახს. იბერიულ, იგივე ქართულ ენათა ჯგუფს განეკუთვნება ქართული, ზანური (მეგრული და ლაზური) და სვანური, ხოლო ჩრდილო-კავკასიურს ჩერქეზული, აფხაზური, ადიღეული, ყაბარდული, ავარული, ინგუშური, ჩეჩნური

<sup>9</sup> History of Europe, - <https://www.britannica.com/topic/history-of-Europe> (10.27.2022)

<sup>10</sup>Europe - <https://www.worldhistory.org/europe/> (10.5.2022)



და დაღესტნური ენები. ბასკური ენა ერთადერთია ევროპაში, რომელიც არც ერთ ცოცხალ ენას არ ენათესავება და იგი იზოლირებულ ენათა ჯგუფს განეკუთვნება. დანარჩენი ევროპული ქვეყნების ენები შემდეგ ინდო-ევროპულ ენათა ოჯახს განეკუთვნებიან: სლავური, გერმანული, რომანული, ბალტიური, კელტური. ხოლო ბერძნული, ალბანური და სომხური ენები მხოლოდ ამ სახელმწიფოებში წარმოადგენენ ოფიციალურ ენებს.<sup>11</sup>



ევროპის ტერიტორიაზე ასევე არსებობს ყველაზე განსხვავებული ირანული და თურქული ენებიც. სლავური ენები ევროპაში ძალიან დიდი შემადგელობით არის წარმოდგენილი, რომელსაც განეკუთ-

<sup>11</sup>John Hirst, *The Shortest History of Europe*(London, 2012), 56-67.

ნებიან შემდეგი სახელმწიფოები: რუსეთი, უკრაინა, პოლონეთი, ბელორუსია, ხორვატია, სლოვენია, სლოვაკეთი, მაკედონია, სერბეთი, ბოსნია და ჩერნოგორია. გერმანულ ენათა ოჯახს განეკუთვნება: გერმანია, ავსტრია, ლუქსემბურგი, შვეიცარიის და ბელგიის ნაწილი. გერმანული ენების წარმოშობისაა ინგლისური და სკანდინავიური ქვეყნების ენები, მაგ: ნორვეგია, შვედეთი, დანია და ისლანდია.<sup>12</sup>

რომანული ენების ოჯახს განეკუთვნება: საფრანგეთი (თუმცა იგი გერმანული ენის ნაზავია), შვეიცარიის და ბელგიის ნაწილი,<sup>13</sup> იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, რუმინეთი და მოლდოვა. ფინო-უგრული ენა ურალის დაბლობებიდან წამოსული თურქულ ენებთან მონათესავე ხალხისგან ჩამოყალიბდა და იგი ინდო-ევროპულ ენათა ოჯახს არ განეკუთვნება. ასეთი ქვეყნებია: ფინეთი, ესტონეთი და უნგრეთი. ასევე სლავურ ენასთან შერწყმულია ბულგარული ენა. ბალტიურ ენათა ოჯახს განეკუთვნება ლიტვა და ლატვია. ამ ენებს საუკუნეების წინ საერთო ჰქონდა ძველ სლავურთან, თუმცა დღეს განსხვავებულ ენათა ოჯახს წარმოადგენს. კელტური ენათა ოჯახი მხოლოდ დიდ ბრიტანეთშია შემორჩენილი. მათ განეკუთვნება: შოტლანდია, უელსი და ირლანდია. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ირანისა და თურქეთის უდიდესი ნაწილი აზიის ტერიტორიაზეა, ამ ორი ხალხის წინაპრები, სწორედ ევროპის და შუა აზიის ტერიტორიიდან მოდიან. ამიტომ ინდო-ირანულ ენათა ოჯახს წარმოადგენს ოსური და თათრული, ხოლო თურქულს თავად თურქული, აზერბაიჯანული და ყაზახური. ასევე მათი ოჯახის მცირე ენათა ჯგუფს წარმოადგენს ჩრდილო კავკასიაში ნოღაური, ბალყანური,

---

<sup>12</sup>Europe: Human Geography - <https://education.nationalgeographic.org/resource/europe-human-geography> (10.6.2022)

<sup>13</sup>Europe Continent - <https://www.britannica.com/place/Europe> (10.6.2022)

ყაბარდოული, ხოლო გაგაუზიური მოლდოვაში და ყირიმული უკრაინაში.<sup>14</sup>

ზემოთ ხსენებული კულტურული, ეთნიკური და ენობრივი განსხვავებების მიუხედავად თანამედროვე ეპოქაში გაცილებით მეტი აქვთ საერთო, როგორც კულტურულად ასევე პოლიტიკურადაც, რაც ევროპის ერთიანობას უფრო მჭიდრო კავშირად ამყარებს. ევროპის გაერთიანება ღირებულებებით და პოლიტიკურად არ წარმოადგენს ბუნდოვანია ხალხების ბუნებრივ გაერთიანებას, რასაც ადგილი ჰქონდა საუკუნეების განმავლობაში, არამედ თანამედროვე პერიოდში ევროპის სახელმწიფოებმა და მოსახლეობამ მოახერხეს საერთო ღირებულებების პოლიტიკურ ასპექტში გადატანა და რამაც ცხოვრების მიმართ ერთნაირი დამოკიდებულება გამოიწვია. საერთო ღირებულებების ჩამოყალიბების შემდეგ მნიშვნელოვანია ევროპული იდეების გავრცელება, როგორც ევროპის კონტინენტზე ასევე მთლიანად სამეზობლო რეგიონში.<sup>15</sup> ევროპელების აზრით, რაც უფრო მეტად დაემსავსებიან ევროპული სახელმწიფოები და სამეზობლო რეგიონები ერთმანეთს, მით მეტადაა შესაძლებელი პოლიტიკური და ეკონომიკური სარგებლის მიღება.

თანამედროვე სოციალური და კულტურული ფაქტორების გავრცელებას “ევროპეიზაციად” მოიხსენიებენ ანუ ეს არის “ევროპა” პროცესში, მოქმედებაში და გავრცელებაში. პოლიტიკოსები და მეცნიერები ევროპეიზაციას აღწერენ, როგორც სტრუქტურული, ინსტიტუციური და ღირებულებებითი ცვლილებების დინამიკურ პროცესს. ასევე ევროპეიზაციას განიხილავენ, როგორც ევროპის „რბილი ძალის“ ერთ-ერთ მექანიზმს, რითი ხორციელდება

---

<sup>14</sup>იქვე, 77.

<sup>15</sup>European Ethnic Groups - <https://study.com/learn/lesson/european-ethnic-groups-nationalities-makeup.html> (2.10.2022)

ევროპული გავლენის და სოციალური ნორმების ექსპორტი მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებში, უფრო კონკრეტულად ევროპეიზაციის ინსტიტუციური განზომილებით, აზროვნების ახალი ფორმები და ახალი წესები ვითარდება. ევროპეიზაცია ხშირად მოიცავს, ახალი იდენტობის ფორმირებას, კულტურულ ცვლილებებს, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ რეფორმებს, ევროპეიზაცია თითქმის ყველა სფეროს ეხება და მისი მთავარი მიზანია საერთო შეხედულებებისა და ნორმების შესახებ ფორმალური და არაფორმალური წესების, პროცედურებისა და მეთოდების დანერგვის გავრცელება, რითიც ერთიანი ევროპა უფრო ძლიერი იქნება. აქედან გამომდინარე ევროკავშირის მამოძრავებელი ძალა და დევიზიც შემდეგ ნაირად ჩამოყალიბდა, „ერთიანობა მრავალფეროვნებაში“ ("Unitedindiversity").<sup>16</sup>

პოლიტიკოსები ევროპეიზაციას ისევე აღწერენ, როგორც ტრანსნაციონალურ პროცესს, რომელიც არ წარმოადგენს ერთი კონკრეტული სახელმწიფოს მიმართულებას და კუთვნილებას ან მასთან ასოცირებული მოვლენა. ევროპის წევრი სახელმწიფოები ქმნიან კოსმოპოლიტურ ერთობას და უფრო მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს. ევროპეიზაციის პროცესი თანამედროვე პოლიტიკურ სისტემაში მკვეთრად არის დამოკიდებული ევროკავშირზე, რადგან დამოკიდებულია უშუალოდ ევროკავშირის პოლიტიკურ სტრუქტურებზე და მმართველობაზე.<sup>17</sup>

ევროკავშირის გავლენის მიუხედავად, ეროვნული სახელმწიფოები ასევე დიდ როლს თამაშობენ ევროპეიზაციის პროცესში, ხშირად მათგან წამოსული იდეები ან პროცესები სრულიად ევროპის

---

<sup>16</sup>The process of Europeanization - <https://www.cairn.info/revue-politique-europeenne-2000-1-page-25.htm> (10.5.2022)

<sup>17</sup>Soren Dosenrode, *Europeanization*(Berlin, 2020), 65.

მასშტაბითაც კი ვრცელდება. არსებობს ევროპეიზაციის სამი მექანიზმი. პირველი: ესაა, როდესაც ევროკავშირი ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს ერთმანეთთან ადგილობრივი ინსტიტუტების თანხვედრას და აღრმავებს ქვეყნებს შორის ინტეგრაციას. მეორე: როდესაც ხდება ადგილობრივი რესურსების ხელმისაწვდომობა და გადანაწილება ევროპის მასშტაბის მიხედვით. აქ მონოპოლიები და პროტექციული 15 უპირატესობა წარსულს ბარდება და ერთიანი ბაზრის ნაწილები ხდებიან. და მესამე: როდესაც ევროპული პოლიტიკა ახდენს გავლენას ადგილობრივი ქვეყნების შიდა ფაქტორების შეხედულებებსა და წარმოდგენებზე. ევროპეიზაციის გავრცელება დაიწყო დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, თუმცა დღეს იგი თავად პოსტ-საბჭოთა ქვეყნებიდანაც შეიძლება გავრცელდეს დასავლეთის მიმართულებით. ეს დამოკიდებულია იმ ინოვაციებზე და პროგრესზე, რომელიც ნებისმიერ ადგილას შეიძლება აღმოცენდეს და განვითარდეს.<sup>18</sup>

თანამედროვე ევროპის ისტორიის დასაწყისად 1789 წლის საფრანგეთის რევოლუცია და მისი შემდგომი ბრძოლები ითვლება. საფრანგეთის ძლევამოსილმა არმიამ თავისუფლებისა და თანასწორობის იდეები გაავრცელა. ძველი ფეოდალური წყობის ნაშთები მოისპო და ევროპაში დემოკრატია დამყარდა. 1815 წელს საფრანგეთის იმპერატორის, ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალების ცდები მარცხით დამთავრდა. ევროპის მოსახლეობა მატულობდა, იზრდებოდა დიდი და პატარა ქალაქები, XIX საუკუნის შუახანებისთვის რკინიგზებმა, მალაროებმა და ორთქლით მომუშავე საწარმოებმა თანდათან შეცვალა კონტინენტის სახე. ევროპაში დამზადებულმა საქონელმა მსოფლიოს ბაზრები აავსო. ევროპის ქვეყნები არასოდეს ყოფილა ასეთი მდიდარი და

---

<sup>18</sup>იქვე, 68.

გავლენიანი. ტექნიკური მიღწევებისა და სიმდიდრის წყალობით ევროპელები ოკეანის გაღმა მდებარე მიწებს იპყრობდნენ. ყველაზე დიდი და წარმატებული ბრიტანეთის იმპერია იყო.<sup>19</sup>

1900 წლისთვის ევროპას ეკონომიკური განვითარებით ამერიკამ გაასწრო. ეს პროცესი დიდმა დეპრესიამ, ფაშისტურმა დიქტატურებმა და ორმა მსოფლიო ომმა დაასრულა. ევროპა გაკოტრდა და დაიშალა. 1917 წელს ევროპაში კომუნისტური რეჟიმი დამყარდა და იგი, როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ლიდერი, კონტინენტის აღმოსავლეთი ნაწილის გაკონტროლებას შეუდგა. დასავლეთ ევროპის დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა სამხედრო და ეკონომიკური დახმარებისთვის აშშ-ის მიმართეს. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა ომის შემდეგ აღმშენებლობა შეძლეს. მათ გაითვალისწინეს ძველი შეცდომები, გვერდზე გადადეს წარსულის უთანხმოებანი და ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობა აირჩიეს.<sup>20</sup>

1989–1990 წლებში აღმოსავლეთ ევროპაში სოციალისტურმა სისტემამ კრახი განიცადა. რუსეთსა და სხვა ქვეყნებში, რომლებიც 40–ანი წლებიდან მას ემორჩილებოდნენ — პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, აღმოსავლეთ გერმანიაში, უნგრეთში, ბულგარეთსა და რუმინეთში — დემოკრატია დამყარდა. კომუნისტური რეჟიმის დამხობას სხვა შედეგებიც მოჰყვა.<sup>21</sup> გაერთიანებულმა გერმანიამ კონტინენტზე გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა. საბჭოთა კავშირი, ჩეხოსლოვაკია და იუგოსლავია დამოუკიდებელ სახელმწიფოებად დაიშალა. ზოგან, მაგალითად, იუგოსლავიაში, ამ პროცესს სისხლიანი სამოქალაქო ომი

---

<sup>19</sup>John Merriman, *A History of Modern Europe: From the Renaissance to the Present*(London, 2015) 44-50.

<sup>20</sup>იქვე, 55.

<sup>21</sup> Collapse of the Soviet Union - <https://www.britannica.com/event/the-collapse-of-the-Soviet-Union> (10.24.2022)












ახლდა. რამდენიმე ახალ, პატარა ქვეყანას გაუჭირდა დასავლეთის მდიდარი, წარმატებული ქვეყნებისთვის კონკურენციის გაწევა. ქვემოთ ცხრილის სახით იხილეთ თანამედროვე ევროპის ყველა სახელმწიფოს დასახელება, დროშა, დედაქალაქები და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია.<sup>22</sup>














დროშა	სახელმწიფო	დედაქალაქი	მოსახლეობის რაოდენობა	ოფიციალური ენა (ენები)
	ავსტრია	ვენა	8 169 929	გერმანული
	აზერბაიჯანი	ბაქო	9 165 000	აზერბაიჯანული
	ალბანეთი	ტირანა	2 831 741	ალბანური
	ანდორა	ანდორა-ლა-ველა	68 403	კატალანური
	ბელარუსი	მინსკი	9 459 000	ბელარუსული
	ბელგია	ბრიუსელი	11 007 000	ნიდერლანდური ფრანგული გერმანული
	ბულგარეთი	სოფია	7 621 337	ბულგარული
	ბოსნია და ჰერცეგოვინა	სარაევო	3 843 126	ბოსნიური სერბული ხორვატული








<sup>22</sup>Countries in Europe - <https://www.worldometers.info/geography/how-many-countries-in-europe/> (10.22.2022)

დროშა	სახელმწიფო	დედაქალაქი	მოსახლეობის რაოდენობა	ოფიციალური ენა (ენები)
	გერმანია	ბერლინი	83 251 851	გერმანული
	გაერთიანებული სამეფო	ლონდონი	61 100 835	ინგლისური
	დანია	კოპენჰაგენი	5 564 219	დანიური
	ესპანეთი	მადრიდი	47 059 533	ესპანური
	ესტონეთი	ტალინი	1 340 194	ესტონური
	ვატიკანი	ვატიკანი	900	იტალიური
	თურქეთი	ანკარა	75 627 384	თურქული
	ირლანდიის რესპუბლიკა	დუბლინი	4 234 925	ირლანდიური ინგლისური
	ისლანდია	რეიკიავიკი	307 261	ისლანდიური
	იტალია	რომი	59 530 464	იტალიური
	კვიპროსი	ნიქოზია	788 457	ბერძნული თურქული



დროშა	სახელმწიფო	დედაქალაქი	მოსახლეობის რაოდენობა	ოფიციალური ენა (ენები)
	ლატვია	რიგა	2 067 900	ლატვიური
	ლიეტუვა	ვილნიუსი	2 988 400	ლიეტუვეური
	ლიხტენშტაინი	ვადუცი	32 842	გერმანული
	ლუქსემბურგი	ლუქსემბურგი	448 569	ფრანგული გერმანული ლუქსემბურგული
	მალტა	ვალეტა	397 499	მალტური
	მოლდოვა	კიშინიოვი	4 434 547	მოლდავეური
	მონაკო	მონაკო	31 987	ფრანგული
	მონტენეგრო	პოდგორიცა	616 258	მონტენეგროული
	ნიდერლანდები	ამსტერდამი	16 318 200	ნიდერლანდური
	ნორვეგია	ოსლო	5 018 836	ნორვეგიული (ბუკმოლი და ნიუნორსკი)
	პოლონეთი	ვარშავა	38 625 478	პოლონური

დროშა	სახელმწიფო	დედაქალაქი	მოსახლეობის რაოდენობა	ოფიციალური ენა (ენები)
	პორტუგალია	ლისაბონი	10 409 995	პორტუგალიური
	რუმინეთი	ბუქარესტი	21 698 180	რუმინული
	რუსეთი	მოსკოვი	142 200 000	რუსული
	საბერძნეთი	ათენი	11 123 034	ბერძნული
	სან-მარინო	სან-მარინო	27 730	იტალიური
	საფრანგეთი	პარიზი	63 182 000	ფრანგული
	საქართველო	თბილისი	3 713 804	ქართული
	სერბეთი	ბელგრადი	7 120 660	სერბული
	სლოვაკეთი	ბრატისლავა	5 422 366	სლოვაკური
	სლოვენია	ლუბლიანა	2 050 189	სლოვენური
	სომხეთი	ერევანი	3 229 900	სომხური
	უკრაინა	კიევი	48 396 470	უკრაინული
	უნგრეთი	ბუდაპეშტი	10 075 034	უნგრული

დროშა	სახელმწიფო	დედაქალაქი	მოსახლეობის რაოდენობა	ოფიციალური ენა (ენები)
	ფინეთი	ჰელსინკი	5 175 537	ფინური შვედური
	ყაზახეთი	ნურ-სულთანი	15 217 711	ყაზახური რუსული
	შვედეთი	სტოკჰოლმი	9 090 113	შვედური
	შვეიცარია	ბერნი	7 507 000	176,8 ფრანგული გერმანული იტალიური რეტორო- მანული
	ჩეხეთის რესპუბლიკა	პრაღა	10 256 760	130,1 ჩეხური
	ჩრდილოეთი მაკედონია	სკოპიე	2 054 800	81,1 მაკედონური
	ხორვატია	ზაგრები	4 437 460	77,7 ხორვატული

ევროპის გეოგრაფიისა და პოლიტიკური რუკის მიმოხილვის შემდგომ, მაინც ნათელია, რომ ევროპის შემთხვევაში გეოგრაფია არასარწმუნო ინდიკატორია, მაგრამ კიდევ უფრო პრობლემურია იდენტობის ინდიკატორი, ანუ ის, თუ როგორ ხედავენ ევროპელები

საკუთარ თავს სხვებთან დამოკიდებულებაში. ეს საკითხი მუდამ დებატებისა და ცხარე განხილვის საგანია ევროპაში. პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ იდენტობის საკითხი (აღიქვამ თუ არა თავს ევროპელად) იმ ადგილს ან თემს უკავშირდება, სადაც ადამიანები ყველაზე მეტ დროს ატარებენ და მათთან ამყარებენ სიახლოვეს და გრძნობენ ნათესაობას. ევროპელების შემთხვევაში იდენტობას განსაზღვრავს:<sup>23</sup>

- სოფელი, დაბა ან ქალაქი, რომელშიც ცხოვრობენ;
- ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეული, რომლის იურისდიქციაშიც იმყოფებიან; ეს შეიძლება იყოს ოლქის, მხარის, რეგიონის ადმინისტრაცია;
- იმ სახელმწიფოს კონკრეტული ნაწილი, რომელშიც ცხოვრობენ. მაგ., ინგლისელები და იტალიელები განასხვავებენ ჩრდილოელებსა და სამხრეთელებს და მათ სრულიად განსხვავებულ თვისებებს მიაწერენ (ზოგს \_ მართალს და ზოგს \_ ტყუილს);
- ეროვნული იდენტობა კვლავ არსებობს; მაგ., ბევრი შოტლანდიელი თავს შოტლანდიელად მიიჩნევს და არა ბრიტანელად, ბასკები-სათვის ეროვნული თვითშეგნება და იდენტობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ესპანეთთან ან საფრანგეთთან დაკავშირება;
- სახელმწიფო, რომლის მოქალაქეებიც არიან ან კანონიერად ცხოვრობენ მის ტერიტორიაზე;
- ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ამ სიას ევროკავშირის ან ევროპასთან დაკავშირებული იდენტობაც დაემატა. არიან ისეთებიც, რომლებიც თავს მსოფლიოს მოქალაქეებად მიიჩნევენ.<sup>24</sup>

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ნათელია, რომ კულტურული და პოლიტიკური კავშირები ძირითადად ერებს უკავშირდება, რის გამოც

---

<sup>23</sup>John Pinder, *European Union: A Very Short Introduction*(Oxford University Press, 2015), 78-89.

<sup>24</sup>იქვე, 90-92.

რთული დასადგენია, რას ნიშნავს ევროპელობა. ფილოსოფოსები და მკვლევარები, რომლებიც ერების წარმოშობას და იდენტობის საკითხს იკვლევენ, უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ „ერი არის ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც აკავშირებს საერთო ენა, ისტორია და კულტურა, სიმბოლოები და მითები“. ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი (და ყველაზე პრობლემური) პოლიტიკური და საზოგადოებრივი გარემოება, განსაკუთრებით მე-18 საუკუნის მიწურულიდან, იყო ერების მისწრაფება შეექმნათ საკუთარი სახელმწიფოები. მართალია, იმ დროიდან ერები და სახელმწიფოების საზღვრები მეტად ემთხვეოდა ერთმანეთს, მაგრამ არც ერთი ევროპული სახელმწიფო ეროვნული თვალსაზრისით ბოლომდე ჰომოგენური მაინც არ არის. ევროპელები დიდი ხნის მანძილზე სხვადასხვა კულტურით, ერთთა და ენით გაყოფილ სახელმწიფოებში ცხოვრობენ. მათ უმეტესობაში მიღწეულია გარკვეული ბალანსი, რომელიც მეტ-ნაკლებად ამართლებს, თუმცა, ისეთი სახელმწიფოებიც მოიძებნება, რომლებშიც ეროვნული დამაბულობა კვლავაც შენარჩუნებულია: მაგ., ბელგიაში ცხოვრობენ ჰოლანდიურ ენაზე მოლაპარაკე ფლამანდიელები და ფრანგულ ენაზე მოლაპარაკე ვალონიელები, ქვეყნის აღმოსავლეთში მცხოვრებთა მცირე ნაწილი კი გერმანულად ლაპარაკობს.<sup>25</sup>

ევროპაში უამრავი ეროვნული ჯგუფია. ერთა რაოდენობა იმის მიხედვით იცვლება, თუ როგორ განვმარტავთ მას: მინაჰანი თვლის, რომ არსებობს 143 ან 106 ერი, თუ არ ჩავთვლით რუსეთის ევროპულ ნაწილს; პანი და პფაილი კი თვლიან, რომ ევროკავშირის 27 წევრ სახელმწიფოში 160 ერი სახლობს. ერები რაოდენობრივადაც

---

<sup>25</sup>Antony M. Messina, *CONTEMPORARY EUROPEAN POLITICS AND SOCIETY*, (Oxford, 2010), 44.

განსხვავდებიან და ათობით მილიონსა და რამდენიმე ათასს შორის მერყეობენ.<sup>26</sup>

ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფოს მოსახლეობის დაახლოებით ორ მესამედს შეადგენენ გერმანელები, ესპანელები, იტალიელები, პოლონელები და ფრანგები. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ თითქმის არც ერთი ევროპული სახელმწიფო კულტურულად ჰომოგენური არ არის; თუმცა, ყოველ მათგანში არის ერთი რომელიმე კულტურულად დომინანტი ეროვნული ჯგუფი; ყველა სახელმწიფოში ასევე ცხოვრობს, სულ მცირე, სამი მკვიდრი ეროვნული უმცირესობა, უმეტეს შემთხვევაში კი – გაცილებით მეტი. ასეთი მრავალფეროვნება ევროპის ტერიტორიული ხაზების მუდმივი გადანაცვლების შედეგია, 1945 წლის შემდეგ გაზრდილი ემიგრაცია კი ამ მრავალფეროვნებას კიდევ უფრო ზრდის. ამის შედეგად ევროპაში ეროვნულ უმცირესობათა, სულ მცირე, ექვსი ჯგუფი წარმოიქმნა:<sup>27</sup>

1. ეროვნული უმცირესობები, რომლებიც მეზობელ სახელმწიფოებში ეროვნულ უმრავლესობას წარმოადგენენ; მაგ., რუმინეთში მცხოვრები გერმანელები, კოსოვოში მცხოვრები ალბანელები, კვიპროსზე მცხოვრები ბერძნები, უკრაინაში მცხოვრები პოლონელები. 2010 წელს მსჯელობამ იმის შესახებ, უნდა გადაეცათ თუ არა სლოვაკეთში, უკრაინაში, რუმინეთსა და სერბეთში მცხოვრები 2.5 მილიონამდე მადარისთვის უნგრეთის მოქალაქეობა, უნგრეთში ნაციონალიზმის გაღვივებას და სლოვაკეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიების წამოყენებას შეუწყო ხელი;

---

<sup>26</sup>იქვე, 50.

<sup>27</sup>Damian Chalmers, *The Oxford Handbook Of European Union*(Oxford University Press, 2015), 67-70.

2. ტრანსნაციონალური უმცირესობები, რომლებიც ორ ან მეტ სახელმწიფოში ცხოვრობენ, მაგრამ უმრავლესობას არც ერთში არ წარმოადგენენ, მათ შორის არიან ბასკები და კატალონიელები ესპანეთსა და საფრანგეთში, ფრიზები \_ გერმანიასა და ნიდერლანდებში;
3. ერთ სახელმწიფოში მცხოვრები ადგილობრივი უმცირესობები, მათ შორის კორსიკელები და ბრეტონები საფრანგეთში და გალიციელები \_ ესპანეთში;
4. ევროკავშირში ლეგალურად მცხოვრები უცხოელები, მათ შორის, ევროკავშირის რომელიმე ერთი წევრი სახელმწიფოს სხვა წევრ სახელმწიფოში მცხოვრებლებიც. ევროსტატის მონაცემების მიხედვით, 2011 წელს ევროკავშირის 27 წევრ სახელმწიფოში 33 მილიონი უცხოელი მოქალაქე ცხოვრობდა ლეგალურად, რაც მთელი მოსახლეობის 7% შეადგენდა. ყველაზე დიდი ჯგუფები ცხოვრობდნენ გერმანიასა და ესპანეთში;
5. ევროპის ფარგლებს გარედან შემოსული ახალი რასობრივი და რელიგიური უმცირესობები. მართალია, მედია მათ ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს, მაგრამ რეალურად ეს უმცირესობები საერთო მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენენ: ევროკავშირის მხოლოდ 15 მილიონი ლეგალური რეზიდენტი (მოსახლეობის 5%) მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, გაცილებით უფრო ნაკლები, ვიდრე აშშ-სა (23%) და კანადაში (16%).

ევროპაში ეროვნული განსხვავებების ყველაზე მკაფიო ინდიკატორია ენა, რომლის შესანარჩუნებლად ეროვნული უმცირესობები ხშირად იბრძვიან; სწორედ ენა წარმოადგენს მთავარ დასაყრდენს ერის ჩამოყალიბებაში (მაგ., გერმანიის სახელმწიფო საზღვრები შემოიფარგლებოდა სწორედ იმ ტერიტორიებზე, სადაც გერმანულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობდა). აქედან გამომდინარე, ევროპული იდენ-

ტობის შესაქმნელად ენა ყველაზე ეფექტური ბარიერია. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ენების შესწავლას, ევროპელთა უმრავლესობა მხოლოდ მშობლიურ ენაზე ლაპარაკობს, რითაც კულტურათა კომუნიკაციას აბრკოლებენ და ევროპელთა შორის საერთო ენის გამონახვას ეწინააღმდეგებიან. მხოლოდ ევროკავშირის მკვიდრი მოსახლეობა 40 სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობს, რომელთაგან 24 – ოფიციალურ ენადაა აღიარებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირის ყველა საბუთი ამ ენებზე უნდა ითარგმნოს, ევროკავშირის შეხვედრებზე უნდა ხორციელდებოდეს სინქრონული თარგმანი (მოთხოვნის შემთხვევაში), რადგან ევროკავშირის მოქალაქეებს აქვთ უფლება – თავისი სათქმელი ევროკავშირის ინსტიტუციებს საკუთარ ენებზე უთხრან.<sup>28</sup>

ევროპაში, ენების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, შესაძინებია ის ფაქტიც, რომ ინგლისური სწრაფად ხდება ევროპის საერთო ენა, ნაწილობრივ, იმის წყალობით, რომ იგი ვაჭრობის, ტექნოლოგიისა და დიპლომატიის საერთაშორისო ენაა, ნაწილობრივ კი დასავლური (ძირითადად, ამერიკული) კულტურის წყალობით. ევროკავშირის ინსტიტუციების საქმიანობა ინგლისურ ენაზე ხორციელდება (უფრო ნაკლებად – ფრანგულად), ევროპული კორპორაციების ხელმძღვანელი თანამდებობის პირებს ინგლისური ენის ცოდნა მოეთხოვებათ, ამ ენას სულ უფრო ხშირად იყენებენ უმაღლესი განათლების დაწესებულებებში; ასევე ხდება ევროპული ტურიზმის ლინგვა ფრანკა. მისი გავრცელება განსაკუთრებით აღელვებთ ფრანგებსა და სხვა ევროპელებს, მაგრამ ინგლისურის გავრცელება ევროპელებს ერთმანეთთან ლაპარაკის საშუალებას აძლევთ, რაც მეტად გააერთიანებს ევროპას.<sup>29</sup>

---

<sup>28</sup>Multilingualism: The language of the European Union -

[https://www.europarl.europa.eu/thinktank/en/document/EPRS\\_BRI\(2019\)642207](https://www.europarl.europa.eu/thinktank/en/document/EPRS_BRI(2019)642207) (10.27.2022)

<sup>29</sup>Language policy - <https://www.europarl.europa.eu/factsheets/en/sheet/142/language-policy> (10.20.2022)



## ევროპის ისტორია - გზა ომებიდან მშვიდობამდე

ევროპის გეოგრაფიისა და პოლიტიკის განხილვის შემდეგ მნიშვნელოვანია უშუალოდ ევროკავშირის გაერთიანების ისტორიაზე და მის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ინტეგრაციაზე გადავიდეთ და მიმოვიხილოთ, თუ როგორ ჩამოყალიბდა ევროკავშირი და რა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები განიცადა ევროკავშირის ჩამოყალიბებამდე. ევროკავშირი 27 დემოკრატიული სახელმწიფოს უნიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობის, კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფას მისი 500 მილიონზე მეტი მოქალაქისთვის უფრო სამართლიან და უსაფრთხო სამყაროში. დღევანდელი ევროკავშირი სათავეს საუკუნეების წინ იღებს. ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ომი და კონფლიქტი ევროპის მოწყობის ნაწილი იყო, რის გამოც მოაზროვნეები ადგენდნენ განსხვავებულ გეგმებს, რომელთა განხორციელების გზით ამ რეგიონში მშვიდობის დამყარება გახდებოდა შესაძლებელი, თუმცა, მათ მიერ შეთავაზებულ გეგმებს, ძირითადად, არ ითვალისწინებდნენ ხოლმე.<sup>30</sup>

ისტორიული რაკურსიდან რომ დავიწყოთ, მე-19 საუკუნეში, როდესაც ევროპას ნაციონალიზმის ტალღამ გადაუარა, იმპლავრა დიდ სახელმწიფოებს შორის არსებულმა დაპირისპირებებმა, რამაც ორ მსოფლიო ომს დაუდო საფუძველი. ევროპის სახელმწიფოებს ასევე პრეტენზია ჰქონდათ მათ სტატუსზე: ძლიერი ევროპული სახელმწიფო წარმოდგენილი იყო როგორც იმპერია, რომელთა მიზანიც იყო ტერიტორიების დაპყრობა მთელ მსოფლიოში. 1789

---

<sup>30</sup>John Merriman, *A History of Modern Europe: From the Renaissance to the Present*(London, 2015) 55-60.

წლიდან 1914 წლამდე პერიოდს ისტორიკოსები ევროპას მოიხსენიებენ, როგორც „რევოლუციიდან იმპერიალიზამდე“.<sup>31</sup>

ევროკავშირის შექმნა ის ბოლოდროინდელი (და ამასთან, ალბათ, ყველაზე რევოლუციური) მოვლენაა, რომელიც პასუხს სცემს ერთ-ერთ უძველეს კითხვას: როგორ უნდა მოეწყოს მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ, პოლიტიკურად კონკურენტულ და კულტურულად რთულ რეგიონში პოლიტიკა და ეკონომიკა. ის ფაქტი, რომ 1945 წლის შემდეგ ევროპელები შედარებით მშვიდობიანად ცხოვრობენ, ნამდვილად ნიშანდობლივია, რადგან ამ რეგიონს აგრესიისა და ძალადობის საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეს ისტორია ანტიკური ხანის ომებიდან იწყება, შემდეგ შუა საუკუნეების ომებით გრძელდება, შემდეგ – ჯვაროსანთა ლაშქრობებით, შემდეგ კი – ფართომასშტაბიანი კონფლიქტებით, მაგ., ასწლიანი ომი (1337-1453) ან ოთხმოცწლიანი ომი (1568-1648), ასევე გარე დამპყრობლების წინააღმდეგ გამართული ომები, მაგ., ომები არაბებისა და ოსმალეთის წინააღმდეგ, სამოქალაქო ომები, ომები დამოუკიდებლობისათვის და ბოლოს – მეოცე საუკუნის ორი მსოფლიო ომი.<sup>32</sup>

ევროპაში კონფლიქტები სხვადასხვა დროს განსხვავებული მიზეზებით ხდებოდა, ხან ომები მიმდინარეობდა მიწებისა და ტერიტორიების დასაპყრობად, ხანაც დინასტიები და მონარქები ებრძოდნენ ერთმანეთს, შუა საუკუნეებში კი ომები, ძირითადად, იმართებოდა სარწმუნოების გამო, თავდაპირველად კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიები ებრძოდნენ ერთმანეთს, მოგვიანებით კათოლიკეები და პროტესტანტები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს გავლენისათვის ბრძოლაში, შემდეგ მეფეებმა გახადეს საეჭვო პაპის ინსტიტუტი. თითქმის მთელი მე-16-17 საუკუნეების

---

<sup>31</sup>იქვე, 60-65.

<sup>32</sup>T. C. W. Blanning, *The Oxford History of Modern Europe*(Oxford, 2000), 123-130.


განმავლობაში ევროპის დიდი ნაწილი რელიგიური ომების მუდმივ ქარცეცხლში იყო გახვეული.

ომებისთვის გარდამტეხი მომენტი გახდა 1648 წელს დადებული ვესტფალიის ზავი, რომელმაც წერტილი დაუსვა ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარე ომს და საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფოების თანამედროვე სისტემას. ვესტფალიის ზავმა ევროპაში ახალი პოლიტიკური საზღვრები გამოკვეთა. ამავე დროს, ახალი მთავრობები და მონარქები იწყებდნენ ბრძოლას მათ გარშემო ახალი პოლიტიკური სისტემის ჩამოსაყალიბებლად. საკუთარი ინტერესების დასაცავად მათ ახალი რეგულარული არმიების ჩამოყალიბება დაიწყეს, რამაც საფუძველი დაუდო ახალი კონფლიქტებისა და დამაბულობის ჩამოყალიბებას ევროპაში. ყველა ხვდებოდა, რომ ნელ-ნელა ახალი კონფლიქტების წარმოშობის საშიშროება გაჩნდა.<sup>33</sup>



მიუნსტერის ხელშეკრულების რატიფიკაციის ფიცი, ჟერარდ ტერბორხის ნამუშევარი. 1648 წელი, ვესტფალიის მშვიდობის ჩამოყალიბება

<sup>33</sup>Peace of Westphalia European history - <https://www.britannica.com/event/Peace-of-Westphalia> (10.15.2022)



ევროპა ვესტფალიის ზავის შემდგომ, 1648 წელი.



ვესტფალიის ზავის მოლაპარაკებების დასაწყისი, ჰოლანდიელი დიპლომატები

სახელმწიფოებისა და ერების შეუსაბამობამ ახალი საშიში შტრიხი წარმოშვა: ერთი მთავრობის ხელმძღვანელობის ქვეშ გაერთიანდნენ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე, განსხვავებული კულტურისა და სარწმუნოების მქონე ხალხები. ძალიან ხშირად ამ ხალხებს სძულდათ თავიანთი მთავრობები. განმანათლებლობამ ეჭვქვეშ დააყენა მონარქთა განცხადება იმის შესახებ, რომ მათ ძალაუფლება ღვთის ნებით ჰქონდათ ბოძებული. განმანათლებლების მტკიცებით, ხალხის ნება უზენაესი იყო. გაძლიერდა ბრძოლა ეროვნული თვითგამორკვევისთვის. ამ ყველაფერს კიდევ ერთი ფეთქებადსაშიში ელემენტი დაერთო მაშინ, როდესაც ევროპის სახელმწიფოებმა უცხოეთში დაიწყეს იმპერიების შექმნა. ევროპაში არსებულ დაძაბულობასა და ძალაუფლებისათვის მიმდინარე მეტოქეობას ახალი ელემენტი შეემატა.<sup>34</sup>

შექმნილი მდგომარეობით სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა იდეალისტებმა იმ გზებისა და საშუალებების ძებნა დაიწყეს, რომლითაც ევროპელები რეგიონულ ასოციაციებში გაერთიანდებოდნენ. არსებობდა განსხვავებული მოსაზრებები – პრინცთა ასამბლეის ჩამოყალიბებით დაწყებული და დავების გადაწყვეტი სასამართლოებით დამთავრებული; ზოგი ევროპული პარლამენტის შექმნის მომხრედ გამოდიოდა, ზოგიც – ევროპული ფედერაციისა.<sup>35</sup>

ნაციონალიზმის წარმოჩინების პირველი შედეგები გახლდათ ნაპოლეონის ომები, რომელიც ნაწილობრივ გამოწვეული იყო იმით, რომ ნაციონალისტები ეწინააღმდეგებოდნენ ერთიანი ევროპული იმპერიის შექმნის ნაპოლეონისეულ გეგმას და, მიუხედავად იმისა, რომ 1815 წლის ვენის კონგრესსა და 1914 წელს დაწყებულ პირველ

---

<sup>34</sup>William H. Burnside, *Essentials of European History, 1648-1789: Bourbon, Baroque and the Enlightenment*(London, 1990), 130-135.

<sup>35</sup>იქვე, 140.

მსოფლიო ომს შორის ევროპაში მეტ-ნაკლებად მშვიდობა სუფევდა, ნაციონალიზმი აქ ახალ საფრთხეებს წარმოშობდა. მთავრობები საკუთარ ძალაუფლებას იცავდნენ მაშინ, როცა უმცირესობები საკუთარი დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ; ბევრი მათგანი ეროვნული სახელმწიფოს შექმნას ცდილობდა პრინციპით: ერთი სახელმწიფო – ერთი ერი. ბელგია, ბულგარეთი, საბერძნეთი, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, პოლონეთი და რუმინეთი უცხოელთა მმართველობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და დამოუკიდებლობას ითხოვდნენ; ასევე, დიდი ძალისხმევა იხარჯებოდა გერმანიისა და იტალიის გაერთიანებისათვის.<sup>36</sup>



ნაპოლეონის ომები, აუსტერლიცის ბრძოლა  
(Battle of Austerlitz) 2 დეკემბერი, 1805


<sup>36</sup>Stuart Woolf, *Nationalism in Europe: From 1815 to the Present*(Oxford, 2010), 111-120.





აღმოჩნდა, რომ ნაციონალიზმი და იმპერიალიზმი ერთმანეთთან შეუსაბამო იყო და ევროპაში მხოლოდ ერთი პატარა ნაპერწკალი იყო საჭირო დიდი ომის დასაწყებად. სწორედ ეს ნაპერწკალი გახლდათ 1914 წელს სერბი ნაციონალისტის მიერ ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრის მკვლელობა, რომელიც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ევროპაში დიდი ომი დაწყებულიყო. ასეც მოხდა: 1914 წლის 28 ივლისს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი (ცნობილი, როგორც ომი ყველა ომის დასასრულებლად), ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტი კაცობრიობის ისტორიაში (მეორე მსოფლიო ომამდე), რომელსაც დაახლოებით 8.5 მილიონი მებრძოლისა და 13 მილიონი მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე შეეწირა. მოკავშირეთა ძალებმა ბრიტანეთის, საფრანგეთის, რუსეთისა და, მოგვიანებით, იტალიისა და აშშ-ის მეთაურობით დაამარცხეს ცენტრალური ძალები გერმანიის იმპერიის, ავსტრია-უნგრეთისა და ოსმალეთის იმპერიის აქსისში. პირველი მსოფლიო ომი 1918 წლის 11

ნომბერს დასრულდა, რასაც მოჰყვა ოთხი იმპერიის – ავსტრია-უნგრეთის, გერმანიის, ოსმალეთისა და რუსეთის დაშლა. ქვემოთ ხილეთ საინტერესო სურათები პირველ მსოფლიო ომთან დაკავშირებით.<sup>37</sup>



<sup>37</sup>World War I - <https://www.history.com/topics/world-war-i/world-war-i-history> (10.4.2022)





უინძორის სასახლე, დიდი ბრიტანეთი, 1910 წლის 20 მაისი. ევროპის 9 მონარქის საერთო სურათი გაერთიანებული სამეფოს მეფე ედუარდ VII-ის დაკრძალვაზე

დგანან, მარცხნიდან მარჯვნივ: ჰააკონ VII ნორვეგიელი, ფერდინანდ ბულგარელი, მანუელ II პორტუგალიელი, ვილჰელმ II გერმანელი, გიორგ I ბერძენი და ალბერტ I ბელგიელი

სხედან, მარცხნიდან მარჯვნივ: ალფონსო XIII ესპანელი, ჯორჯ V გაერთიანებული სამეფო და ფრედერიკ VIII დანიელი



გერმანიის იმპერატორი, კაიზერ ვილჰელმ II სილეზიაში, 1913 წელი



შვედეთის ელიტარული გვარდია „სივოცხლის მცველები“, 1913 წელი, სტოკჰოლმი



პირველი მსოფლიო ომი, საფრანგეთი, სექტემბერი, 1916 წელი. ბრიტანული არმიის კაპელანი ლოცვლობს გერმანიის არმიის ჯარისკაცის გადასარჩენად, ეგვიპტის მახლობლად.





პირველი მსოფლიო ომის მსვლელობა: 21-ე ბატალიონის ავსტრალიელი ჯარისკაცები, ბრიტანელ ჯარისკაცებთან და გერმანელებთან ერთად, სომასთან, 1916 წლის აგვისტო



გერმანელი სამხედროები, 1917 წელი

პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ყველა პოლიტიკოსი ფიქრობდა – შეექმნათ ევროპაში გარკვეული მშვიდობის დამყარების ფორმულა. 1922 წელს ავსტრიელმა დიპლომატმა, გრაფმა რიჩარდ კაუდენჰოფ-კალერგიმ გამოაქვეყნა სტატია, სადაც იგი აღნიშნავდა, რომ „ევროპა საერთაშორისო კონფლიქტების დენტით სავსე კასრია“, რომელსაც, წლებია, ევროპელთა ურთიერთსიძულვილი წამლავს. მისი აზრით, ამ პრობლემის გადაჭრა მხოლოდ ევროპის მოსახლეობას შეეძლო ერთმანეთში კომუნიკაციით და გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებით. ნებისმიერ ევროპულ მშვიდობის ინიციატივას აფერხებდა გერმანია-საფრანგეთს შორის არსებული ათასწლიანი შუღლი. რიჩარდ კალერგის იდეებს და მოსაზრებებს ყური მიუგდო თანამედროვე და მომდევნო პერიოდის რამდენიმე პოლიტიკოსმა და სახელმწიფოთა ლიდერებმა, მათ შორის იყო საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ედუარდ ჰეროტი (თანამდებობაზე იმყოფებოდა 1924-1925 წწ.), რომელმაც „ევროპის შეერთებული შტატების“ შექმნის იდეა წამოაყენა.<sup>38</sup>

ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფა ასევე დაევალა ერთა ლიგას. ერთა ლიგაში მომუშავე პოლიტიკოსებმა 1930 წელს წამოაყენეს ევროპის ფედერაციის თანამშრომლობის იდეა, რომელიც ასევე იზიარებდა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის, ედუარდ ჰეროტის შეხედულებებს. ფედერაციას ერთა ლიგის ფარგლებში უნდა ემუშავა და მისი მთავარი მიზანი იყო საერთო ბაზრისა და ევროპის კავშირის შექმნა, მაგრამ, ცოტა ბუნდოვანი იყო, თუ რა როლი ექნებოდა ამ ფედერაციაში ევროპულ სახელმწიფოებს, რის გამოც აღნიშნული ინიციატივა არ განხორციელდა.<sup>39</sup>

---

<sup>38</sup>Stephen D. Carls, *Europe from War to War, 1914-1945*(Routledge, 2017), 123-140.

<sup>39</sup>იქვე, 141.


პირველმა მსოფლიო ომმა გარკვეული საკითხები კვლავ მოუგვარებელი და ბუნდოვანი დატოვა. ევროპის სახელმწიფოები ერთმანეთის მიმართ რევანშისტულად იყვნენ განწყობილნი. იტალიაში 1922 წლიდან 1925 წლამდე ბენიტო მუსოლინის ხელმძღვანელობით ფაშისტური მოძრაობა იკრებდა ძალას ნაციონალისტური, ტოტალიტარული და კლასების კოლაბორაციული იდეებით, ხოლო გერმანიაში ადოლფ ჰიტლერი ცდილობდა ძალაუფლების მოპოვებას. 1923 წელს, გადატრიალებისა და მთავრობის დამხობის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, 1933 წელს ჰიტლერი მაინც გახდა გერმანიის კანცლერი: იგი კანცლერად გერმანიის პრეზიდენტმა პაულ ფონ ჰინდენბურგმა და რაიხსტაგმა დანიშნეს. მან საკუთარი რადიკალური, რასობრივად მოტივირებული რევიზიონიზმის იდეისა და ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების მიზნით გააუქმა რესპუბლიკისა და დემოკრატიის ინსტიტუტები და დაიწყო ქვეყნის რემილიტარიზაციის კამპანია. რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, 1922 წელს შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (სსრკ), 1922 წლიდან რუსეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი გახდა იოსებ სტალინი, რომელმაც 1924 წლის 21 იანვარს, ლენინის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო მისი და ლენინის თანამოღვაწის, ლევ ტროცკის შორის ხელისუფლების ხელში ჩაგდებისა და მისი შენარჩუნებისთვის დაუნდობელი ბრძოლა. 1935 წლისთვის სტალინმა ძალაუფლება საბოლოოდ განიმტკიცა და სსრ კავშირის ერთპიროვნული მმართველი გახდა.<sup>40</sup>

თუ პირველი მსოფლიო ომის დაწყების პასუხისმგებლობა მთლიანდ ევროპის სახელმწიფოებზე ნაწილდებოდა, მეორე მსოფლიო ომის დაწყება ჰიტლერის აგრესიული და ექსპანსიური პოლიტიკით იყო განპირობებული. მეორე მსოფლიო ომი ევროპაში გერმანიამ

---

<sup>40</sup>იქვე, 145.

1939 წლის 1 სექტემბერს 4 საათსა და 45 წუთზე, ვერმახტის პოლონეთზე თავდასხმით დაიწყო. მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში გერმანია, იტალია და იაპონია აწარმოებდნენ დამპყრობლურ ომებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წინააღმდეგ. მათი მთავარი მოწინააღმდეგეები იყვნენ საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები. მეორე მსოფლიო ომმა 60-მდე მილიონი ადამიანი იმსხვერპლა, ევროპის ინფრასტრუქტურა და მნიშვნელოვანი ქალაქები \_ მიწასთან გასწორებული, ხოლო ეროვნული სახელმწიფოების ეკონომიკა და სოციალური მდგომარეობა განადგურებული იყო.







გერმანიის ლუფტვაფეს სასიგნალო კორპუსის ჯარისკაცების ჯგუფი  
ჰოლანდიის ქალაქ ბრედაში, 1940 წლის მაისი

ორმა მსოფლიო ომმა სერიოზული ზიანი და დარტყმა მიაყენა ევროპას, რის გამოც მათ მოუწიათ განსხვავებული თვალთ დაენახათ საკუთარი შესაძლებლობები, მომავალი და უსაფრთხოება. 1945 წლის შემდეგ ევროპაში მშვიდობა დადგა, მაგრამ მისი ეკონომიკის უდიდესი ნაწილი განადგურებული იყო, პოლიტიკური ინსტიტუტები და სისტემა – სრულიად დესტაბილიზებული, ჩამოიშალა სოციალური სისტემა, რის გამოც მოსახლეობას სამუშაო ადგილები და ელემენტარული ცხოვრების საშუალება არ გააჩნდა.<sup>41</sup>

მსოფლიოში ასევე გამოიკვეთა ორი დიდი ძალა ამერიკის შეერთებულ შტატებისა და საბჭოთა კავშირის სახით და მათ შორის

<sup>41</sup>World War II 1939–1945 - <https://www.britannica.com/event/World-War-II> (9.10.2022)

„ცივი ომი“ გაჩაღდა. ევროპელები ძალადობისა და აგრესიისაგან დაღლილები იყვნენ, ისინი ეძებდნენ გზებს და სამომავლო ურთიერთობების საშუალებებს, რითიც აღკვეთდნენ კონფლიქტებს ევროპის კონტინენტზე. პირველ ეტაპზე ევროპის სახელმწიფოები მხარს უჭერდნენ ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომის შემდგომ გაქვრებულ მოსახრებებს, რეგიონული თანამშრომლობის იდეას, თუმცა არსებობდა გარკვეული უთანხმოება მთავრობებსა და ელიტებს შორის იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო ეს რეგიონული თანამშრომლობა პრაქტიკაში.<sup>42</sup>

ომის შემდგომ ევროპას მხოლოდ დანგრეული ინფრასტრუქტურა არ ჰქონდა აღსადგენი, მას ასევე ასაშენებელი ჰქონდა მთელი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემა. ევროპელებს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზარალი ჰქონდათ განცდილი და ახლა აღელვებულები შესცქეროდნენ მათ წინაშე არსებულ გამოწვევებს, რომელთაგან ბევრი აშკარა და ხილული იყო:<sup>43</sup>

საფრანგეთი: ომის დროს საფრანგეთში ერთმანეთს გაემიჯნენ კოლაბორაციონისტები და რეზისტენტები, რომლებსაცც ახლა თანაბრად აწუხებდათ საკითხები: როგორ მოეხდინათ ფრანგული ეკონომიკის მოდერნიზება და კეთილდღეობის სისტემის გაფართოება. საერთაშორისო პოლიტიკაში საფრანგეთის პოზიცია გარკვეულწილად დასუსტებული და გაურკვეველი იყო. საფრანგეთი მსოფლიოში უდიდესი სახელმწიფო იყო (საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე), მაგრამ ომის შემდგომ პერიოდში საფრანგეთის ეკონომიკა და სამხედრო ძლიერება 1954 წლის ინდოჩინეთისა და 1956 წლის სუეცის მოვლენების შემდეგ ეჭვქვეშ აღმოჩნდა. ყოველივე ამან განაპირობა, რომ 1958 წელს გენერალი შარლ დე გოლი თანამდებობას დაუბრუნდა, „მეხუთე რესპუბლიკას“ ჩაუდგა სათავეში და ერთგვარი ქარიზმატული ლიდერიც გახდა, რის გამოც ფრანგები გარკვეულ იმედებს ამყარებდნენ მასზე. დე გოლმა

---

<sup>42</sup>Tony Judt, *Postwar: A History of Europe Since 1945*(Oxford, 2006), 34-40.

<sup>43</sup>იქვე, 45.



თავიდან დაიწყო საფრანგეთისათვის ადგილის დამკვიდრება ევროპასა და მთელ მსოფლიოში.<sup>44</sup>



1958 წლის 1 ივნისი, გენერალი შარლ დე გოლი თანამდებობაზე ბრუნდება, საფრანგეთი, პარიზი

საფრანგეთისგან განსხვავებით, დიდმა ბრიტანეთმა წარმატებით გაართვა თავი მეორე მსოფლიო ომის შედეგებიდან გამოწვეულ ზარალს. ომის შემდეგ დიდი ბრიტანეთი პოლიტიკურად სტაბილური იყო, მისი ეკონომიკა სწრაფად გამოდიოდა ომის შედეგებიდან; მდგომარეობას ამყარებდა ნაციონალიზაცია და კეთილდღეობის სისტემაში გატარებული რეფორმები. ქვეყნის შიგნით ბრიტანეთი ეკონომიკურად და სოციალურად სწრაფად აღდგა, მაგრამ მისი საერთაშორისო როლი მაინც შესუსტდა. ბრიტანეთი ომამდე ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო იყო, იგი კვლავ აკონტროლებდა მსოფლიოში სხვადასხვა სახელმწიფოებს, მაგრამ 1947 წლის აგვისტოში დაიწყო მისი სტატუსის დასასრულის დასაწყისი, როდესაც ინდოეთმა და პაკისტანმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.<sup>45</sup>

---

<sup>44</sup>France After World War II - <https://study.com/learn/lesson/france-after-ww2-recovery-politics-decolonization.html> (10.15.2022)

<sup>45</sup>The End Of The British Empire After The Second World War - <https://www.iwm.org.uk/history/the-end-of-the-british-empire-after-the-second-world-war> (10.27.2022)

ბრიტანელები ამის მიუხედავად მაინც ებლაუჭებოდნენ ეროვნული სიამაყის იდეას და საკუთარ ინტერესებს ევროპის ფარგლებს გარეთ. სწორედ მსოფლიოში არსებული სტატუსით წარმოადგენდა ბრიტანეთი ძლევამოსილ სახელმწიფოს საუკუნეების განმავლობაში, ახლა კი ყველაფერი იცვლებოდა, ბრიტანეთს მოუწევდა კონტინენტურ ევროპასთან თანამშრომლობის გაღრმავება და ერთად პარტნიორული ურთიერთობებით წარმატების მიღწევის შესაძლებლობების ძიება, ბრიტანეთი ასევე მხარს უჭერდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან მჭიდრო თანამშრომლობას. მიუხედავად ამისა, ბრიტანეთის წარსულის სიდიადიდან გამომდინარე, დღესაც მრავალი ბრიტანელი თავს იკავებს ევროპელობისაგან.<sup>46</sup>



დასავლეთ გერმანია უმთავრეს აქცენტს აკეთებდა ეკონომიკის აღდგენაზე და მისთვის მთავარი საკუთარი რეპუტაციის აღდგენა

---

<sup>46</sup>Britain since 1945 Labour and the welfare state (1945–51) - <https://www.britannica.com/place/United-Kingdom/Britain-since-1945> (10.27.2022)

იყო ევროპაში და მსოფლიოში. გერმანია ოთხმაგი უცხოური ოკუპაციის ქვეშ იმყოფებოდა; 1948 წლისთვის გერმანია ორ ნაწილად გაიყო – აღმოსავლეთში სოციალისტური გერმანია შეიქმნა, დასავლეთში კი – კაპიტალისტური.<sup>47</sup>

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა (ანუ დასავლეთ გერმანია) 1949 წლის მაისში შეიქმნა, ქრისტიან-დემოკრატებმა კი არჩევნებში გამარჯვება აგვისტოში მოიპოვეს. პოპულარული კანცლერი – კონრად ადენაუერი (თანამდებობაზე იმყოფებოდა 1949-63 წლებში) ყველა ღონეს ხმარობდა გერმანიის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გამოსსაწორებლად. ადენაუერი ასევე ცდილობდა ევროპის გაერთიანებას და თანამშრომლობის დამყარებას სხვა ევროპულ სახელმწიფოებთან, ყველა ხვდებოდა, რომ ევროპის აღდგენა დამოკიდებული იყო ერთიანი ძალებით. ადენაუერისთვის მთავარი მიზანი გახლდათ გერმანელთა მიმართ საერთაშორისო პატივისცემის აღდგენა. ადენაუერი ასევე ევროპაში რეგიონალური ინტეგრაციის სამაგალითო ლიდერი გახლდათ, იგი ყველანაირად ცდილობდა ევროპის გაერთიანებას. თუ დღეს ევროპა ერთიანი, ამაში დიდი წვლილი სწორედ გერმანიის კანცლერს მიუძღვის.<sup>48</sup>

1948 წლის სექტემბერი, კონრად ადენაუერი გერმანიის ბუნდესტაგში კონსტიტუციის განხილვისას



<sup>47</sup>How Germany Was Divided After World War II - <https://www.history.com/news/germany-divided-world-war-ii> (10.24.2022)

<sup>48</sup>The End of WWII and the Division of Europe - <https://europe.unc.edu/the-end-of-wwii-and-the-division-of-europe/> (9.20.2022)

გერმანიისგან განსხვავებით, იტალიამ გაცილებით უკეთ გაართვა თავი ომის შემდგომი პერიოდის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ გამოწვევებს და სტაბილურობასაც მალევე მიაღწია. იტალიის პოლიტიკურ ცხოვრებაში ძირითადად ქრისტიან-დემოკრატიები ჭარბობდნენ და სწორედ მათ მოახერხეს 1946 წელს იტალიის მთავრობის დაკომპლექტებაც, მაგრამ მალევე იტალიის პოლიტიკურ სისტემაში გაჩნდა სისტემური კორუფცია და თავი იჩინა ბიუროკრატიების არაკომპეტენტურობამ. იტალიისთვის და მისი პრემიერ-მინისტრისთვის – დე გასპერისთვის (თანამდებობაზე იმყოფებოდა 1945-53 წლებში) ევროპული ინტეგრაცია მშვიდობის ხელშეწყობის საშუალება და ეკონომიკური სტაბილურობის გარანტია იყო, რასაც იტალია შიდა პოლიტიკური დამაბულობის გამო ვერ აღწევდა. ომის შემდგომ პერიოდში იტალიამ, როგორც წამყვანმა ევროპულმა სახელმწიფომ, მაინც ვერ მოახერხა საკუთარი პოტენციალის რეალიზება.<sup>49</sup>

სკანდინავიის სახელმწიფოებს მეორე მსოფლიო ომშიგანსხვავებული გამოცდილება დაუგროვდათ. შვედეთი ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა, ფინეთი ნეიტრალური გახდა საბჭოთა კავშირთან წარმოებულ ომის შემდეგ, დანია და ნორვეგია გერმანიამ დაიპყრო, ისლანდია კი, რომელსაც სულ ახალი მოპოვებული ჰქონდა დამოუკიდებლობა, ძალიან უფროთხოდა საერთაშორისო თანამშრომლობას (1949 წელს ნატოს დამფუძნებელ სახელმწიფოდ გახდომას ისლანდიელების ქუჩაში გამოსვლებიც კი მოჰყვა). მიუხედავად ამ ყველაფრისა, სკანდინავიის ხუთმა სახელმწიფომ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას მალევე მიაღწია, რადგან მათ ჰომოგენური მოსახლეობა ჰყავდა და შიდა პრობლემებიც არცთუ ბევრი ჰქონდათ: მთავარი იყო ეკონომიკის გადახალისება და თანამედროვე სისტემაზე მორგება. ევროპული სახელმწიფოებისგან განსხვავებით, სკანდინავიელებმა წარმატებით მოახერხეს სახელმწიფოს კანონმდებლობისა და პოლიტიკური სისტემის ჰარმონიზაცია, ასევე შეთანხმდნენ

---

<sup>49</sup>Italy since 1945 The first decades after World War II Birth of the Italian republic - <https://www.britannica.com/place/Italy/Italy-since-1945> (10.13.2022)

სამომავლო თანამშრომლობის ფორმაზე და საგარეო პოლიტიკაზე. სანამ ევროპაში ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია დაიწყებოდა, მანამდე სკანდინავიელებმა წარმატებით მოახერხეს დაეარსებინათ ერთობლივი საწარმოები და 1952 წელს შეიქმნა სკანდინავიის ქვეყნების საბჭო საპასპორტო კონტროლის გაუქმების, მუშახელის თავისუფალი მიმოსვლისა და მეტი ერთობლივი საწარმოს შექმნის მიზნით.<sup>50</sup>

ბენილუქსის სახელმწიფოები (ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი) გერმანიის ოკუპაციის ქვეშ მოექცნენ. მათ ყველაზე მეტად ეკონომიკური თანამშრომლობა აინტერესებდათ. 1948 წელს დაარსდა „ბენილუქსის საბაჟო კავშირი“, რომელიც ევროინტეგრაციის მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იყო.<sup>51</sup>



ბენილუქსის კონფერენცია ჰააგაში 1949 წელს (ფოტო: ჰოლანდიის ეროვნული არქივი)

<sup>50</sup>The history of the Nordic Region - <https://www.norden.org/en/information/history-nordic-region> (10.15.2022)

<sup>51</sup>The Benelux states in World War II - [https://www.beachesofnormandy.com/articles/The\\_Benelux\\_states\\_in\\_World\\_War\\_II?id=1f7b4fa162](https://www.beachesofnormandy.com/articles/The_Benelux_states_in_World_War_II?id=1f7b4fa162) (10.21.2022)



ზემოთ ხსენებული ქვეყნებისგან განსხვავებით, საბერძნეთში, პორტუგალიასა და ესპანეთში ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის გზა საკმაოდ რთული აღმოჩნდა. თუ სხვა სახელმწიფოებმა ომის შემდგომ პერიოდში მალევე მოახერხეს დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების შემოღება, საბერძნეთს, ესპანეთს და პორტუგალიას გაუჭირდათ დემოკრატიულ რელსებზე გადასვლა. 1967-1974 წლებში საბერძნეთში სამხედრო დიქტატურა წარმოიშვა, ქვეყანა მალევე დაადგა ეკონომიკურ აღმავლობის გზას, მაგრამ პოლიტიკურმა დესტაბილიზაციამ ყველაფერი ჩამოშალა. პორტუგალია 1928 წლის შემდეგ ანტონიო სალაზარის სამხედრო დიქტატურის რეჟიმში იმყოფებოდა, ესპანეთში კი 1939 წლიდან ფრანსისკო ფრანკოს დიქტატურა დამყარდა. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის სახელმწიფოები ცდილობდნენ ინტეგრაციისა და ეკონომიკური აღმშენებლობის პროცესში ესპანეთი, პორტუგალია და საბერძნეთიც ჩაერთოთ, ისინი მაინც შედარებით იზოლაციის გზას დაადგნენ; ავტორიტარულ ლიდერებს მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური სტაბილურობა აინტერესებდათ.<sup>52</sup>

ირლანდია ომის მიმდინარეობის მთელ პროცესში ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა, მაგრამ, რადგან ის ეკონომიკურად დიდ ბრიტანეთზე იყო მიხმული, ომის შემდგომ პერიოდში ევროპისადმი ირლანდიის დამოკიდებულება დიდი ბრიტანეთის ინტერესებით იყო ნაკარნახები. ევროგაერთიანებაში ირლანდია 1973 წელს შევიდა დიდ ბრიტანეთთან ერთად, რის შემდეგაც ნეიტრალიტეტისა და ეკონომიკური აღმავლობის გეზი აირჩია.

ავსტრია ომის პერიოდს სხვა სახელმწიფოებთან შედარებით უვნებლად გადაურჩა, მაგრამ, გერმანიის მსგავსად, ომის შემდეგ ისიც ორ ნაწილად გაიყო, მაგრამ ავსტრიამ მალევე მოახერხა პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის აღდგენა: ქვეყანა 1920 წლის კონსტიტუციას დაუბრუნდა და დემოკრატიული არჩევნებზე ჩაატა-

---

<sup>52</sup>1945–1959 The post-war period and the beginning of the European venture - <https://www.cvce.eu/en/recherche/unit-content/-/unit/a7b75b14-91dc-48dd-9df0-a0d51a9edfef/63dfd5f2-b99e-4d5e-a7ee-528a8e0a23b9> (10.27.2022)

რა. ავსტრია არ ერეოდა აქტიურად საერთაშორისო ურთიერთობებში და 1955 წელს ნეიტრალიტეტიც გამოაცხადა, მაგრამ ეკონომიკურმა ურთიერთობებმა იგი დასავლეთ ევროპის ორბიტაზე მოაქცია.<sup>53</sup>



საბჭოთა ჯარები ვენაში  
(1945 წელი)

მოგეხსენებათ, რომ ცივი ომის პერიოდში აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები “რიკის ფარდის“ ქვეშ აღმოჩნდნენ. ასევე აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყანა სსრ კავშირის შემადგენლობაშიც შედიოდა, ხოლო დანარჩენი ქვეყნები შეიძლება საბჭოთა კავშირის ნაწილს არ წარმოადგენდნენ, მაგრამ კრემლი ახერხებდა მათი მთავრობების კომუნისტურ ორბიტაზე მოქცევას და გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტებიც გააჩნდა. ამ ყველაფერმა გამოიწვია ის, რომ აღმოსავლეთ ევროპა ფართო რეგიონულ თანამშრომლობაში ვერ ჩაერთო. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარე, აღმოსავლეთ ევროპას წაერთვა დასავლეთთან თანამშრომლობის საშუალება. აღმოსავლეთ ევროპა ამ ნაჭუჭიდან მხოლოდ ცივი ომის დასრულების შემდეგ, 1989-1991 წლებში გამოვიდა და დასავლეთთან თანამშრომლობაც მას შემდეგ დაიწყო.<sup>54</sup>

<sup>53</sup>The years of the Allied Forces in Vienna (1945 to 1955) - History of Vienna - <https://www.wien.gv.at/english/history/overview/reconstruction.html> (10.20.2022)

<sup>54</sup>How Communism Took Over Eastern Europe After World War II - <https://www.theatlantic.com/international/archive/2012/10/how-communism-took-over-eastern-europe-after-world-war-ii/263938/> (10.20.2022)

აღმოსავლეთის საბჭოთა ბლოკი, 1949-1989 წლები. სსრკ-ს გავლენის სფერო. (სახელმწიფოები და მისი საზღვრები მოცემულია დღევანდელი პერიოდიდან)



საბჭოთა ტანკები ბუდაპეშტის ქუჩებში უნგრეთის აჯანყების დროს, კომუნისტური სატელიტური მთავრობის წინააღმდეგ 1956 წლის ოქტომბერში



მეორე მსოფლიო ომის შედეგად სახელმწიფოებთან ერთად საერთაშორისო სისტემაც გადაეწყო. ომამდელ პერიოდში (1939 წლამდე) მსოფლიოში წამყვანი სახელმწიფოები, ძირითადად, ევროპული ქვეყნები იყო, რადგან მათ გააჩნდათ განვითარებული და კარგად აღჭურვილი შეიარაღებული ძალები, ძლიერი და განვითარებული ეკონომიკა; საერთაშორისო ვაჭრობასა და ფინანსური კაპიტალის დაბანდებაში ძლიერი პოზიციები ეკავათ მსოფლიოს ყველა წერტილში. სწორედ აღნიშნული შედეგები განაპირობებდა მათ ძლიერ პოზიციებს საერთაშორისო ურთიერთობებში. ომის დასრულების შემდეგ საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი კვლავ მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნების როლს თამაშობდნენ, თუმცა, ცხადი გახდა, რომ შეიქმნა ახალი საერთაშორისო წესრიგი, რომელშიც დომინანტურ როლს ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი თამაშობდნენ, მსოფლიო ახლა „ორპოლუსიანი“ გახდა, ევროპულ სახელმწიფოებს კი უნდა აერჩიეთ – ვის მხარეს იქნებოდნენ. ევროპის როლის დაკნინება მალე კიდევ ერთმა ფაქტორმა განაპირობა: ზესახელმწიფოებს შორის მიმდინარე იდეოლოგიური ცივი ომის დროს რეგიონი ორ ნაწილად გაიყო, ხოლო ევროპის ქვეყნები დამხმარე როლში მოგვევლინენ.<sup>55</sup>

საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა ომის შემდგომ პერიოდში 1944 წლის ისტორიულ შეხვედრაზე გაიწერა, როდესაც ატლანტის ოკეანის ორივე მხრიდან ეკონომისტები და მთავრობის ხელმძღვანელები ნიუ-ჰემპშირში, ბრეტონ ვუდსის ტყიან ფერდობზე მდებარე „მაუნთ ვაშინგტონ ჰოტელში“ შეიკრიბნენ. სწორედ აქ შეიმუშავეს ის პრინციპები, რომლებიც ომისშემდგომი პერიოდისთვის მთავარი მიმართულება უნდა ყოფილიყო. აღნიშნულ სისტემას სწორედ „ბრეტონ ვუდსის“ სახელი ეწოდა და ისტორიაში შევიდა, როგორც „ბრეტონ ვუდსის სისტემა“, რაც გულისხმობდა სხვადასხვა ვალუტის კონვერტაციას, თავისუფალ ვაჭრობას, უარს დისკრიმინაციაზე და სავალუტო გაცვლითი კურსის სტაბილურობას. ამას საფუძვლად დაედო აშშ დოლარის ახალი სიძლიერე და ორი ახალი

---

<sup>55</sup>John W. Young, *International Relations Since 1945*(Oxford University Press, 2013), 45-60.

ორგანიზაციის დაარსება: საერთაშორისო სავალუტო ფონდი მიზნად ისახავდა საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობას და გაცვლითი კურსის სტაბილურობის მიღწევას, ხოლო მსოფლიო ბანკი ფულს ასესხებდა ომით დაზარალებულ ევროპულ ქვეყნებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნას აშშ-ის კონგრესმა მხარი არ დაუჭირა, რის გამოც შეიქმნა „ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმება“, რომელიც საშუალებას მისცემდა ქვეყნებს, რომ მოლაპარაკებები ეწარმოებინათ სავაჭრო ბარიერების თანდათანობით გაუქმების შესახებ. აშშ-ის მიერ გაწერილ ეკონომიკურ სისტემაში აქტიურად ჩაერთვნენ ევროპის სახელმწიფოებიც.<sup>56</sup>


გარკვეული ეკონომიკური ინიციატივების მიუხედავად, მალე ნათელი გახდა – ომის მიერ დაზარალებული ეროვნული ეკონომიკების შედეგები ბოლომდე არ იქნება გათვალისწინებული. ომის შემდეგ ევროპაში ძალიან ხანმოკლე ეკონომიკური აღმავლობის ხანა დადგა, თუმცა, ეს შედეგები განპირობებული იყო ფინანსური კაპიტალის გაერთიანებით და სამომავლო პერსპექტივაში არამდგრადი აღმოჩნდა. ევროპის რამდენიმე სახელმწიფოში საკვები ულუფებად გაიცემოდა და სხვა ელემენტარული საშუალებები ისევ დეფიციტური იყო, მთავრობები უმნიშვნელოვანესი იმპორტის შესაძენად დოლარის რეზერვებს იყენებდნენ. ყველასთვის ნათელი გახდა, რომ საჭირო იყო დიდი კაპიტალური ინვესტიციების ჩადება ევროპაში, ისეთ დარგებში, რომლებიც ამჟამავებდა ეროვნულ ეკონომიკებს, აღნიშნული კაპიტალის დაბანდებისთვის მხოლოდ აშშ იყო მზად. რაც უნდა გასაკვირი იყოს, ომის დროს ამერიკის ეკონომიკამ აღმავლობა განიცადა და, მიუხედავად იმისა, რომ 1945-1947 წლებში მან 10 მილიარდ დოლარზე მეტი კრედიტი გასცა ევროპაზე, უფრო კონსტრუქციული მიდგომის საჭიროება სულ უფრო აშკარა ხდებოდა. 1947 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტში წარმოთქმულ სიტყვაში აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯორჯ მარშალმა განაცხადა, რომ ამერიკა მზად იყო, ყველა ზომა მიეღო, რათა ხელი

---

<sup>56</sup>Bretton Woods Agreement and the Institutions It Created Explained - <https://www.investopedia.com/terms/b/brettonwoodsagreement.asp> (10.25.2022)

შეეწყო ევროპის ეკონომიკური აღდგენისთვის. მარშალს აშკარად პოლიტიკური მოტივები ამოძრავებდა (ძლიერი ევროპა წინ აღუდგებოდა საბჭოთა კავშირის ექსპანსიას და შექმნიდა ახალ ბაზარს აშშ-ის ექსპორტისთვის).<sup>57</sup>

მარშალმა საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური არგუმენტები ჰუმანიტარული საბურველით შენიღბა. მან განაცხადა, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკა პასუხისმგებელი იყო ევროპის წინაშე დამდგარი „შიმშილის, სიღარიბის, სასოწარკვეთილებისა და ქაოსის გამო და რომ მისი მიზანი უნდა იყოს მსოფლიოში მუშა ეკონომიკის აღდგენა, რითაც ხელი შეეწყობა ისეთი პოლიტიკური და სოციალური პირობების შექმნას, რომელშიც შესაძლებელი იქნება თავისუფალი ინსტიტუტების არსებობა“. რამდენიმე კვირაში საჭიროებების განსაზღვრის მიზნით 16 დასავლური სახელმწიფოს წარმომადგენლები პარიზში შეიკრიბნენ. შეხვედრას ესწრებოდა საბჭოთა კავშირიც, მაგრამ შემდეგ მან დატოვა მოლაპარაკებები, რადგან ჩათვალა, რომ აშშ-ის მიზნები მის მიზნებთან შეუსაბამო იყო.<sup>58</sup>



„მარშალის გეგმის“  
პირველი გვერდი

<sup>57</sup>The Marshall Plan and Postwar Economic Recovery - <https://www.nationalww2museum.org/war/articles/marshall-plan-and-postwar-economic-recovery> (10.22.2022)

<sup>58</sup>Marshall Plan, 1948 - <https://history.state.gov/milestones/1945-1952/marshall-plan> (10.22.2022)

აშშ-ის პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა დაამტკიცა მარშალის რეკონსტრუქციის პროგრამა, რომელსაც დღეს მარშალის გეგმის (1948-1951 წლებში) სახელითაც იცნობენ, დახმარების სახით ევროპამ 12.5 მილიარდი აშშ დოლარი მიიღო (დღევანდელი მონაცემებით იგი დაახლოებით 125 მილიარდი დოლარის ექვივალენტია), ხოლო 1953 წელს მარშალს ნობელის პრემია გადაეცა მშვიდობის დარგში.



1948 წლის 3 აპრილს აშშ-ს პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა ხელი მოაწერა კანონს „ეკონომიკური თანამშრომლობის აქტი“, რომელიც ცნობილია, როგორც „მარშალის გეგმა“

„მარშალის გეგმამ“, ეკონომიკურ მნიშვნელობასთან ერთად, პოლიტიკური დატვირთვაც მიიღო, რადგან მან ჩაუყარა საფუძველი ევროპულ ინტეგრაციას. აშშ დაჟინებით მოითხოვდა ახალი საერთაშორისო ორგანოს – „ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის“ შექმნას, რომელიც უზრუნველყოფდა ფინანსური და სხვა ტიპის დახმარების განაწილებას. ამ ორგანიზაციის წევრთა პირველი შეხვედრა 1948 წლის აპრილში ჩატარდა, სადაც განხილულ იქნა საკითხები ტარიფებისა და სხვა სავაჭრო ბარიერების შემცირების და ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის თავისუფალი სავაჭრო ზონის ან საბაჟო კავშირის შექმნის შესახებ. ნებისმიერ შემთხვევაში, აშშ-მა

საწყის ეტაპზე ხელი შეუწყო ევროპის სახელმწიფოების დაახლოვებას, რამაც გამოიწვია დასავლეთ ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის პირველი მუდმივი ორგანიზაციის ჩამოყალიბება, რომელიც ხელს უწყობდა სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობას; ამასთან, ეს ორგანიზაცია ცხადყოფდა, რამდენად დამოკიდებული იყვნენ ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნები ერთმანეთზე. საბოლოოდ, შეიძლება იმის თქმაც, რომ ევროპაში ნანატრი მშვიდობა დადგა, რაშიც დიდი წვლილი როგორც ევროპული სახელმწიფოების მონდომების, ასევე აშშ-ის ძალისხმევის შედეგაცაა. ამით ევროპის ქვეყნებს გარკვეული საფუძველი უკვე გაუჩნდათ სამომავლო თანამშრომლობის განვითარებისთვის.<sup>59</sup>

## ევროკავშირის ჩამოყალიბების ისტორია

ევროპულმა სახელმწიფოებმა ერთად მოახერხეს რამდენიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზაციის თუ ფორუმის დაარსება, მაგრამ ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის მიმართ უნდობლობა მაინც არსებობდა, რადგან გარკვეულწილად დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები ევროპაში ორი მსოფლიო ომის დამწყების პასუხისმგებლობას სწორედ გერმანიას აკისრებდნენ. ბუნებრივია, გერმანია კვლავაც აღძრავდა შიშს ევროპელთა გონებაში.<sup>60</sup>

ევროპის ამგვარი დამოკიდებულება გერმანიის მიმართ კარგ მდგომარეობაში აყენებდა საფრანგეთს, რომელიც ისტორიული „მტრის“, გერმანიის დასუსტების ხარჯზე კონტინენტზე თავისი გავლენის

---

<sup>59</sup>The Marshall Plan and the establishment of the OEEC - <https://www.cvce.eu/en/education/unit-content/-/unit/02bb76df-d066-4c08-a58a-d4686a3e68ff/84c940fe-a82b-4fe8-ad53-63144bfe30b1> (9.22.2022).

<sup>60</sup> Martin Dedman, *The Origins and Development of the European Union 1945-2008: A History of European Integration* (Routledge, 2009), 45-60.

გაძლიერებას გეგმავდა. საფრანგეთი ირწმუნებოდა, რომ ევროპას გერმანიისათვის ხელახალი ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო განვითარების საშუალება აღარ უნდა მიეცა, გერმანია უნდა დაშლილიყო პატარა სახელმწიფოებად, ჩამორთმეოდა ჯარის ყოლის უფლება და შეზღუდვოდა კონტროლი ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ტერიტორიებზე (რურის ქვანახშირის საბადოები).<sup>61</sup>




---

<sup>61</sup> David P. Conradt, *Politics in Europe: An Introduction to the Politics of the United Kingdom, France, Germany, Italy, Sweden, Russia, and the European Union* (London, 2003). 34-40.





რურის ველი, რომელიც მოიცავს სამრეწველო ქალაქებს ბოხუმს, დორტმუნდს, დუისბურგს, ესენს და სხვებს, ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული მხარეა. მდინარეები რური, რეინი და ლიპე ქმნიან ხეობის ბუნებრივ საზღვრებს. რურის ველი ეკუთვნის რეინ-რურის მეტრო ზონას, რომელიც მდებარეობს ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის რეგიონში. რურის რეგიონი გერმანიისთვის და ევროპისთვის მთავარ ინდუსტრიულ ცენტრს წარმოადგენს.



რურის რეგიონის მდებარეობა და მნიშვნელობა ევროპოსთვის

საფრანგეთის ამგვარ მისწრაფებებს და მის მიზნებს რამდენიმე ფაქტორი უშლიდა ხელს: დასუსტებული გერმანია შეერთებული შტატების ინტერესებში არ შედიოდა, აშშ-ის მთავარი ინტერესი იყო ევროპაში „ძალთა ბალანსის“ შექმნა; გარდა ამისა ამერიკას, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „ბრძოლაში“ გაერთიანებული, ძლიერი ევროპა სჭირდებოდა გერმანიის ლიდერობით. საფრანგეთს მხოლოდ გერმანიის დასუსტება არ სურდა, მას ასევე იმის პრეტენზიაც გააჩნდა, რომ ხელთ ეგდო გერმანელებით დასახლებული რესურსებით მდიდარი „რურის“ რეგიონი. თუ საფრანგეთი საკუთარ მიზნებს სისრულეში მოიყვანდა, ამ ორ ქვეყანას შორის სამომავლოდ დაპირისპირების საფუძველი გაჩნდებოდა. მაგრამ საფრანგეთის მისწრაფებებს საბოლოოდ წერტილი დაესვა მას შემდეგ, რაც 1949 წელს დასავლეთ გერმანია „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის“ სახით ჩამოყალიბდა.<sup>62</sup>

ამდენად, ევროპაში გამოიკვეთა შემდეგი სახის პრობლემები: ა) ევროპას ეკონომიკური განვითარების ისეთი მექანიზმი ესაჭიროება, რომელიც ყველასთვის იქნება მისაღები და საფუძველს ჩაუყრის ევროპის თვითკმარ ეკონომიკას; ბ) აუცილებელია ომის დროს დაპირისპირებულ ქვეყნებს შორის (განსაკუთრებით საფრანგეთსა და გერმანიას) ნდობის აღდგენა და თანამშრომლობის დაწყება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ახალი დაპირისპირებები და ომები ანუ დამყარდეს ნანატრი მშვიდობა; გ) ევროპა გაუმკლავდეს ახალ საფრთხეს აღმოსავლეთიდან - საბჭოთა კავშირს.<sup>63</sup>

ზემოთ ხსენებული პრობლემების მოგვარებისთვის საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერ შუმანმა 1950 წელს ევროპულ სახელმწიფოებს შესთავაზა შექმნილიყო ფოლადისა და ქვანახშირის გაერთიანება. აღნიშნული იდეა ეკუთვნოდა საფრანგეთის ეკონომიკური დაგეგმარების კომისიის ხელმძღვანელს ჟან მონეს. მონეს სურდა შექმნილიყო ერთიანი ევროპული ბაზარი, რომელიც მთელ

---

<sup>62</sup>David P. Conradt, *Politics in Europe: An Introduction to the Politics of the United Kingdom, France, Germany, Italy, Sweden, Russia, and the European Union* (London, 2003). 65-70.

<sup>63</sup>Martin Dedman, *The Origins and Development of the European Union 1945-2008: A History of European Integration* (Routledge, 2009), 70.72.



კონტინენტს მოიცავდა, რაც, ერთის მხრივ, ხელს შეუწყობდა ევროპის ეკონომიკურ აღმავლობას, ხოლო მეორე მხრივ – სამუდამოდ გამო-რიცხავდა ეკონომიკურად ერთმანეთზე დამოკიდებულ სახელმწიფოებს შორის ომს.<sup>64</sup>

თუმცა, მონეს ღრმა რწმენით, ეს ერთიანი ბაზარი უნდა შექმნილიყო არა ერთიანად, რისი წარუმატებელი მცდელობებიც უკვე იყო, არამედ ეტაპობრივად. იგი მიიჩნევდა, რომ საჭირო იყო ინტეგრაცია დაწყებულიყო ეკონომიკის ერთ სფეროში, რაც ავტომატურად გამოიწვევდა თანდათანობით სხვა სფეროებში თანამშრომლობის დაწყებას. ეკონომიკის ასეთ სფეროდ სწორედ ქვანახშირის მოპოვება და ფოლადის წარმოება მიიჩნეის. შედეგად, 1951 წელს შეიქმნა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება (European Coal and Steel Community), რომელშიც შევიდა ექვსი სახელმწიფო - ბელგია, დასავლეთ გერმანია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, იტალია და ნიდერლანდები. გადაწყდა, რომ შექმნილიყო დამოუკიდებელი სუპრაეროვნული (ზეეროვნული) ორგანო, ე.წ. „უმაღლესი ხელისუფლება“ (High Authority), რომელიც განაგებდა ამ ქვეყნებში ნახშირისა და ფოლადის წარმოებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. უმაღლესი ხელისუფლების პირველ პრეზიდენტად დაინიშნა ჟან მონე. 1953 წელს შეიქმნა რკინის, ნახშირის, მადნეულისა და ჯართის საერთო ბაზარი; იმავე წელს, ცოტა მოგვიანებით, შეიქმნა ფოლადის საერთო ბაზარიც. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი გახლდათ ის, რომ გერმანიის რესურსებით მდიდარ „რურის“ რეგიონს, გერმანიის მთავრობასთან ერთად, ახლა უკვე აკონტროლებდა საერთო „უმაღლესი ხელისუფლება“. პოლიტიკოსები და მკვლევარები თვლიდნენ, რომ თუ „რურის“ რეგიონის კონტროლი მოხდებოდა საერთო ძალისხმევით, გერმანია ვეღარ გააძლიერებდა სამხედრო ინდუსტრიას და, საბოლოოდ, ევროპაში ომების ეპოქაც დასრულდებოდა.<sup>65</sup>

---

<sup>64</sup>John McCormick, *Understanding the European Union: A Concise Introduction* (Palgrave, 1999), 34-40.

<sup>65</sup>Michelle Cini, *European Union Politics* (Oxford University Press, USA, 2010), 23-30.



რობერ შუმანი  
და ჟან მონე  
„ევროკავშირის  
დამფუძნებელი  
მამები“

1957 წელს ბელგიამ, საფრანგეთმა, იტალიამ, ლუქსემბურგმა, ნიდერლანდებმა და დასავლეთ გერმანიამ ხელი მოაწერეს რომის ხელშეკრულებას, რომელმაც შექმნა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა (EEC) და დააარსა საბაჟო კავშირი. მათ ასევე ხელი მოაწერეს კიდევ ერთ პაქტს, რომელიც ქმნის ევროპის ატომური ენერჯის თანამეგობრობას (ევრატომი) ბირთვული ენერჯის განვითარებაში თანამშრომლობისთვის. ორივე ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1958 წელს.<sup>66</sup>

---

<sup>66</sup>David P. Conradt, *Politics in Europe: An Introduction to the Politics of the United Kingdom, France, Germany, Italy, Sweden, Russia, and the European Union* (London, 2003). 75-80.



რომის 1957 წლის ხელშეკრულება, რომლის მთავარი მიზანი ევროპის ერთიანი ბაზრის შექმნა იყო.. თავდაპირველად ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ბელგიამ, გერმანიამ, იტალიამ, ლუქსემბურგმა, ნიდერლანდებმა და საფრანგეთმა. ამავე დღეს რომში ხელი მოეწერა მეორე ხელშეკრულებას ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანების შესახებ

ექვფგ-ს უნდა ემართა წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული ორგანო „უმაღლესი ხელისუფლება“ („High Authority“), რომლის გადაწყვეტილებაც სავალდებულო იყო წევრი ქვეყნებისთვის. საკანონმდებლო ფუნქციები მიენიჭა „საბჭოს“. ასევე შეიქმნა „საპარლამენტო ასამბლეა“, რომელიც შედგებოდა წევრი ქვეყნების საპარლამენტო დელეგაციებისაგან და ზედამხედველობას უწევდა უმაღლეს ხელისუფლებას; აგრეთვე შეიქმნა „სასამართლო“.

მოკლედ განვიხილოთ ამ 6 ქვეყნის გაერთიანებაში შესვლის მოტივაცია და ბრიტანეთის უარის მიზეზები: გაერთიანების შექმნით განეიტრალებოდა საფრანგეთის გერმანიასთან დაპირისპირების საფრთხე. გარდა ამისა, იქმნებოდა ისეთი მექანიზმი, რომლის მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნებოდა საფრანგეთის მიერ ფოლადის წარმოებისათვის გერმანული საბადოებიდან ქვანახშირის შეუფერხებლად მიღება.<sup>67</sup>

გერმანია გაერთიანებაში შესვლით, ინარჩუნებდა მისთვის ყველაზე მნიშვნელოვან რურის რეგიონის ქვანახშირის საბადოებზე კონტროლს, მაგრამ გარკვეული უფლებამოსილებები ასევე ენიჭებოდა „უმაღლეს ხელისუფლებას“. გერმანიის გაერთიანებაში შესვლით გამოირიცხებოდა კონფრონტაცია საფრანგეთთან და, რაც მთავარია, გერმანია გამოისწორებდა საკუთარ გაფუჭებულ რეპუტაციას და შერყეულ საერთაშორისო იმიჯს; ახლა კი გერმანია ლიდერობდა ისეთ ორგანიზაციას, რომლის მიზანიც იყო ევროპის ინტეგრაცია. ევროპის გაერთიანების პროცესში გერმანია ნელ-ნელა მთავარი პარტნიორი გახდებოდა.<sup>68</sup>

იტალია, გერმანიის მსგავსად, როგორც ყოფილი ფაშისტური სახელმწიფო, გაერთიანებაში შესვლით ოფიციალურად იტყოდა უარს თავის წარსულზე და საერთაშორისო რეპუტაციის აღდგენას შეეცდებოდა. გარდა ამისა, იგი გეოგრაფიულად უშუალოდ ესაზღვრებოდა სოციალისტური ბანაკის ქვეყანას – იუგოსლავიას და მხოლოდ ადრიატიკის ზღვა გამოჰყოფდა ალბანეთისაგან, რაც ”ცივი ომის” პირობებში ”ფრონტის ხაზის” პირას ყოფნას ნიშნავდა. საყურადღებოა ისიც, რომ იტალიაში საკმაოდ ძლიერი იყო კომუნისტური მოძრაობა. ამდენად, ქვეყანაში დასავლური პოლიტიკური და

---

<sup>67</sup>Michelle Cini, *European Union Politics*(Oxford University Press, USA, 2010), 50-55.

<sup>68</sup>Andreas Staab, *The European Union Explained, Second Edition: Institutions, Actors, Global Impact*(Indiana University Press, 2011) 70-72.

ეკონომიკური სისტემის ჩამოსაყალიბებლად გაერთიანებაში შესვლა კარგი პერსპექტივა იყო.<sup>69</sup>

ბენილუქსის ქვეყნები ქვანახშირისა და ფოლადის წარმოების სფეროში დადებულ ხელშეკრულებაში ბენილუქსის ქვეყნების აქტიური მონაწილეობა მათი წარმოებებისთვის ეკონომიკური სარგებლის მომტანი იქნებოდა. გარდა ამისა, სამივე სახელმწიფო მიესალმებოდა ყველა სახის ნაბიჯს, რაც მეზობელ საფრანგეთსა და გერმანიას შორის ომის რისკს შეამცირებდა.<sup>70</sup>

რაც შეეხება ბრიტანეთს, კონტინენტური ევროპისგან განსხვავებით, კუნძულოვან სახელმწიფოში აქტიურ საომარ მოქმედებებს ადგილი არ ჰქონია, გერმანული ოკუპაცია მას არ შეხებია, არც ომში დამარცხებულა, შესაბამისად, ომმა იგი ყველაზე ნაკლებად დააზიანა. გარდა ამისა, ბრიტანეთი კვლავ ინარჩუნებდა იმპერიალისტური სახელმწიფოსა და მსოფლიო ჰეგემონის ამბიციებს. დასავლეთ ევროპულ სახელმწიფოებთან შედარებით, გამოირჩეოდა ეკონომიკური სიძლიერით, არც ქვანახშირის მარაგის სიმცირეს უჩიოდა. რაც ყველაზე მთავარია, ბრიტანეთს 50-იან წლებში კვლავ სამარცხვინოდ მიაჩნდა კონტინენტური ევროპის სახელმწიფოებისთვის ”თავის გაყადრება” და მათთან ერთად ისეთი ზეეროვნული ორგანიზაციაში გაწევრიანება, რომელიც ბრიტანეთის სუვერენიტეტს შეზღუდავდა. ამდენად, ბრიტანეთის მთავრობამ 6 ქვეყნის გაერთიანებაში შესვლაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ბრიტანეთი ყველაზე არაინტეგრაციულ წევრად რჩებოდა, სანამ ევროკავშირის შემადგენლობაში იყო. იგი არ იყო ჩართული ბევრ საერთო პოლიტიკაში (ერთიანი ვალუტა, შენგენის სივრცე). უფრო მეტიც: ბრიტანეთში საკმაოდ მძლავრი ანტიევროპული მოძრაობაა, რომელის მომხრეებიც ევროკავშირიდან გამოსვლას მოითხოვდნენ და შედეგსაც მიაღწიეს.

„ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებაში“ შემავალ ექვს ქვეყანას შორის ურთიერთობების სტაბილურობა და პროგრესირებადმა

---

<sup>69</sup>იქვე, 75.

<sup>70</sup>იქვე, 80.

ხასიათმა განაპირობა ის, რომ გადაწყდა შექმნილიყო „ევროპის ეკონომიკური გაერთიანება“, რომელსაც 1957 წელს რომის ხელშეკრულება დაედო საფუძველად. რომის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი ასპექტი იყო შეთანხმება საერთო ბაზრის შექმნის თაობაზე, რასაც მომავალში საბაჟო კავშირის ჩამოყალიბება უნდა მოჰყოლოდა. საერთო ბაზარი ითვალისწინებდა ევროგაერთიანების წევრ ქვეყნებს შორის ბარიერების გაუქმებას საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანების გადაადგილების კუთხით.<sup>71</sup>

რომის ხელშეკრულებამ საფუძველი ჩაუყარა, აგრეთვე, საერთო სოფლის მეურნეობისა და საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის ჩამოყალიბებას. რომში ცალკე ხელშეკრულებით დაარსდა ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანება, ე.წ. „ევრატომი“, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ევროპაში ატომური ენერჯის საერთო ბაზრის შექმნა, კერძოდ: ატომური ენერჯის ინდუსტრიის განვითარება, ენერჯის გადანაწილება გაერთიანების წევრ სახელმწიფოებზე და დარჩენილი რესურსის მიყიდვა არაწევრი ქვეყნებისთვის.<sup>72</sup>

1967 წელს ბრიუსელის ხელშეკრულებით მოხდა ზემოხსენებული სამი ორგანიზაციის – ევროპის ნახშირისა და ფოლადის გაერთიანების, ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა (შემდგომში ევროგაერთიანება) და „ევრატომის“ აღმასრულებელი ორგანოების – კომისიის (შემდგომში ევროპული კომისიის) და საბჭოს გაერთიანება ერთ ინსტიტუციურ სისტემაში, რომელსაც „ევროპული გაერთიანებები“ ეწოდა.<sup>73</sup>

1968 წელს ამოქმედდა ევროკავშირის საბაჟო კავშირი, რომელსაც რომის ხელშეკრულებით ჩაეყარა საფუძველი და რომლის თანახმადაც გაუქმდა სავაჭრო ტარიფები წევრ სახელმწიფოებს შორის, ასევე დაწესდა საერთო ტარიფები გაერთიანების არაწევრ ქვეყნებთან დაკავშირებით. 70-იან წლებში დაიწყო საგარეო პოლიტიკის სფეროში

---

<sup>71</sup>იქვე, 16.

<sup>72</sup>ევროკავშირის ისტორია - <https://old.infocenter.gov.ge/euinfo-history/> (10.23.2022)

<sup>73</sup>იქვე,

მთავრობათშორისი თანამშრომლობის განვითარება. 1970 წლიდან წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრები კვარტალში ერთხელ იკრიბებოდნენ საგარეო პოლიტიკური საკითხების განსახილველად, შეიქმნა მუდმივმოქმედი პოლიტიკური სამდივნო, მოგვიანებით მოხდა აღნიშნული თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაცია და ჩამოყალიბდა ევროპული პოლიტიკური თანამშრომლობა. 1974 წელს მოხდა წევრი სახელმწიფოების მეთაურთა უმაღლეს დონეზე შეხვედრების ფორმალიზება; თუ 1969 წლიდან ის წელიწადში ერთხელ იმართებოდა, 1974 წლიდან გადაწყდა ასეთი შეხვედრების, სულ მცირე, ორჯერ გამართვა. ევროპული საბჭოს ფარგლებში ხდება ინტეგრაციის მთავარი ორიენტირების განსაზღვრა. მისმა შექმნამ, ძირითადად, ინტეგრაციის მთავრობათშორისი ხასიათის ელემენტის გაძლიერება გამოიწვია.<sup>74</sup>

1986 წლის 28 თებერვალს ევროპული გაერთიანების წევრმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს ე.წ. ერთიან ევროპულ აქტს, რომლითაც ცვლილებები და დამატებები შევიდა ევროპული გაერთიანებების დამფუძნებელ ხელშეკრულებებში. ერთიანი ევროპული აქტი გახდა პირველი ყოვლისმომცველი სარევიზიო აქტი, რომლითაც მოხდა ევროპული პოლიტიკური თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზება, კერძოდ: ევროპული საბჭო გაერთიანების ერთ-ერთ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა; შეიქმნა პირველი ინსტანციის სასამართლო; საპარლამენტო ასამბლეას ოფიციალურად ეწოდა ევროპული პარლამენტი; შემოიღეს ახალი ნორმაშემოქმედებითი პროცედურა \_ თანაგადაწყვეტილების პროცედურა, რომლითაც გაძლიერდა პარლამენტის როლი; გაიზარდა კომისიის უფლებამოსილებებიც; ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების პროცედურა გავრცელდა ბევრ ისეთ სფეროზე, სადაც მანამდე გადაწყვეტილება მხოლოდ ერთხმად მიიღებოდა.<sup>75</sup>

დღის წესრიგში დადგა საერთო ბაზრის ჩამოყალიბების საბოლოო ფაზაში შეყვანა და დაიწყო შიდა ბაზრის შესაქმნელად აუცილებელი

---

<sup>74</sup>იქვე,

<sup>75</sup>Michelle Cini, *European Union Politics*(Oxford University Press, USA, 2010), 70-72.



რეფორმების გატარება, რაც გულისხმობდა არსებული ბარიერებისა (კვოტები, ტარიფები) და ეკონომიკური დაბრკოლებებისაგან თავისუფალ ეკონომიკურ სივრცეს, სადაც თავისუფლად უნდა მომხდარიყო ე.წ. „4 სახის თავისუფლების“<sup>76</sup> – საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანების გადაადგილება. შიდა ბაზრის შექმნა 1992 წლის 31 დეკემბრისთვის უნდა დასრულებულიყო.<sup>77</sup>



1986 წლის 28 თებერვალს ევროპული გაერთიანების წევრმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს ე.წ. „ერთიან ევროპულ აქტს“

ბერლინის კედლის დანგრევამ, რასაც გერმანიის გაერთიანება მოჰყვა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საბჭოთა კონტროლიდან გათავისუფლებამ, აგრეთვე 1991 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის დაშლამ და მნიშვნელოვანმა დემოკრატიულმა პროცესებმა ევროპის პოლიტიკური სტრუქტურის შეცვლა განაპირობა. 1992 წლის 7 თებერვალს ნიდერლანდების სამეფოს ქალაქ მასტრიხტში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ევროკავშირის შესახებ,<sup>78</sup> რომელიც ცნობილია როგორც მასტრიხტის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების გაფორმებით, ევროგაერთიანებები გარ-


<sup>76</sup>Single market - [https://european-union.europa.eu/priorities-and-actions/actions-topic/single-market\\_en](https://european-union.europa.eu/priorities-and-actions/actions-topic/single-market_en) (10.7.2022)

<sup>77</sup>Andreas Staab, *The European Union Explained, Second Edition: Institutions, Actors, Global Impact*(Indiana University Press, 2011) 85.

<sup>78</sup>Treaty on European Union (TEU) / Maastricht Treaty - <https://www.europarl.europa.eu/about-parliament/en/in-the-past/the-parliament-and-the-treaties/maastricht-treaty> (10.21.2022)



დაიქმნა ევროკავშირად და, ეკონომიკურთან ერთად, პოლიტიკური ასპექტიც შეიძინა. მასტრიხტის ხელშეკრულებით, შესწორდა და ერთ პოლიტიკურ დოკუმენტში გაერთიანდა ყველა მანამდე არსებული - პარიზის (1950 წ.) და რომის (1957 წ.) ხელშეკრულებები და ერთიანი ევროპული აქტი (1986 წ.). მასტრიხტის ხელშეკრულებამ დაადგინა, რომ ევროკავშირი უნდა ეფუძნებოდეს სამ ძირითად სვეტს: პირველ სვეტში გაერთიანდა ევროპის არსებული გაერთიანებები (ევროპის გაერთიანება, ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანება).



მასტრიხტის ხელშეკრულება, 1992 – (ევროკავშირის შექმნის შესახებ), ხელი მოაწერეს 7 თებერვალს მასტრიხტში (ნიდერლანდები) ევროპის გაერთიანების 12 სახელმწიფოს – ბელგიის, დანიის, ფფრ-ს, ესპანეთის, ირლანდიის, იტალიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, პორტუგალიის, საბერძნეთის, საფრანგეთის, გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენლებმა

რა: საბაჟო კავშირი, საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკა, ერთიანი ბაზარი, სავაჭრო პოლიტიკა. ამ სვეტს, ამსტერდამის ხელშეკრულებით, შემდგომში სხვა საკითხებიც დაემატა; მეორე სვეტი შემდგომ საკითხებს არეგულირებდა: თანამშრომლობა საერთო საგარეო პოლიტიკის შემუშავების საკითხებზე, სამშვიდობო მისიები, დახმარება არაწევრი ქვეყნებისათვის, ევროპის უსაფრთხოების, განიარაღებისა და თავდაცვის დაფინანსების საკითხი; მესამე სვეტში შემავალი საკითხები იყო: წევრი ქვეყნების პოლიციისა და სასამართლო სისტემების თანამშრომლობა სამოქალაქო სისხლის სამართლის საკითხებში, საპოლიციო თანამშრომლობა, რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ნარკომანიის, ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულის, ტრეფიკინგისა და ადამიანის უფლებების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლა.<sup>79</sup>

ხელშეკრულების თანახმად,<sup>80</sup> პირველ სვეტში საკითხები გადაწყდებოდა ზეეროვნულ (ანუ ევროპულ) დონეზე, ხმათა უმრავლესობით, სადაც გადამწყვეტი როლი დაეკისრა ევროკომისიას და ევროპარლამენტს – საბჭოსთან ერთად. დანარჩენ ორ სვეტში წამყვანი როლი მიენიჭა საბჭოს და გადაწყვეტილებები მიიღებოდა ეროვნულ დონეზე, წევრი ქვეყნის ხელმძღვანელებისა და მინისტრების მიერ. აქ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო იყო ყველა წევრი ქვეყნის თანხმობა. მეორე და მესამე სვეტის საკითხებში, ანუ საერთო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის, ასევე მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეებში, კომისია და პარლამენტი ვერ ჩაერეოდნენ.<sup>81</sup>

ამის მიზეზი გახდა ის, რომ სახელმწიფოებს არ სურდათ სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხები – ქვეყნების უსაფრთხოება, საგარეო პოლიტიკა, საშინაო საქმეები და იუსტიციის საქმეები მიენდოთ

---

<sup>79</sup>John McCormick, *Understanding the European Union: A Concise Introduction* (Palgrave, 1999), 50-55.

<sup>80</sup>The Maastricht Treaty of 7 February 1992 - <https://www.cvce.eu/en/education/unit-content/-/unit/d5906df5-4f83-4603-85f7-0cab24b9fe1/e038b310-f139-407f-9bfb-a1b2e901fb56> (10.21.2022)

<sup>81</sup>ევროკავშირის ისტორია - <https://old.infocenter.gov.ge/euinfo-history/> (10.21.2022)

კომისიისა და პარლამენტისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ორგანოების მოვალეობას წარმოადგენდა საერთო ევროპული ინტერესების მიხედვით მოქმედება და არა ეროვნული ინტერესების დაცვა, წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები ვერ შეძლებდნენ, თავიანთი ინტერესების შესაბამისად, მოეხდინათ ზეგავლენა გადაწყვეტილების მიღებაზე. მაასტრიხტის ხელშეკრულების შედეგად გაიზარდა ევროპარლამენტის ძალაუფლება, კერძოდ – თანაგადაწყვეტილების პროცედურის შემოღებით ევროპარლამენტს მიენიჭა თანაბარი უფლება – საბჭოსთან ერთად მიეღო მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესის გარკვეულ სფეროებში.<sup>82</sup>

კომისიის მთლიანი შემადგენლობის დამტკიცებისთვის აუცილებელი გახდა ევროპარლამენტის თანხმობა. ევროპარლამენტთან შეიქმნა ომბუდსმენის ინსტიტუტი, რომელსაც მიეცა ევროკავშირის სამართლის დარღვევის ფაქტების<sup>83</sup> შემოწმების უფლება. მაასტრიხტის ხელშეკრულების თანახმად, გადაწყდა ევროპის ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნა, რომლის განხორციელებაც უნდა მომხდარიყო ეკონომიკური პოლიტიკის მჭიდრო კოორდინაციისა და ერთიანი სავალუტო ერთეულის – ევროს შემოღების გზით.<sup>84</sup> ამ მიზნით შეიქმნა ევროპის ცენტრალური ბანკი. გადაწყდა ევროპის მოქალაქეობის შემოღებაც. მაასტრიხტის ხელშეკრულებაში ასევე საუბარი იყო ერთიანი სოციალური პოლიტიკის შექმნის შესახებ, თუმცა ეს თავი საბოლოოდ ამოიღეს, რადგან სოციალური პოლიტიკა, ისევე, როგორც საგარეო და დაბეგვრის პოლიტიკა, წევრმა სახელმწიფოებმა ქვეყნის საშინაო საქმეებად მიიჩნიეს. მაასტრიხტის ხელშეკრულება 1993 წელს შევიდა ძალაში.<sup>85</sup>

2007 წლის 13 დეკემბერს ხელი მოეწერა „ლისაბონის ხელშეკრულებას“ (ლისაბონი, პორტუგალია) და იგი ძალაში შევიდა 2009 წლის

---

<sup>82</sup>Niklas Bremberg, *The European Union in a Changing World Order*(Palgrave Macmillan, 2020), 67-70.

<sup>83</sup> European Commission - [https://ec.europa.eu/info/index\\_en](https://ec.europa.eu/info/index_en) (9.10.2022)

<sup>84</sup>European Union Politics - <https://journals.sagepub.com/home/EUP> (9.10.2022)

<sup>85</sup>Michelle Cini, *European Union Politics*(Oxford University Press, USA, 2010), 80.

1 დეკემბერს. ხელშეკრულება შინაარსობრივად საკონსტიტუციო ხელშეკრულების ტექსტს შეესაბამება, თუმცა მასში არ ჩაიდო ისეთი ცნებები, რომლებიც, როგორც წესი, სახელმწიფოსთან ასოცირდებოდა, მაგალითად: კონსტიტუცია, ევროპული კანონი და ა.შ. ლისაბონის ხელშეკრულების საფუძველზე ევროკავშირს სამართალსუბიექტობა მიენიჭა. გარდა ამისა, ხელშეკრულება ძირითადად ითვალისწინებდა ცვლილებებს ევროკავშირის ინსტიტუციურ სისტემასთან დაკავშირებით. ლისაბონის ხელშეკრულების მიზანი იყო ევროკავშირისთვის უფრო ძლიერი, ერთიანი მმართველობის შექმნა, ეფექტიანი საგარეო პოლიტიკისა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის გადაწყვეტილების მიღების შედარებით მარტივი სისტემის ჩამოყალიბება.<sup>86</sup>



ლისაბონის ხელშეკრულების გაფორმება, 2007 წლის 13 დეკემბერი

<sup>86</sup>The Treaty of Lisbon - <https://www.europarl.europa.eu/factsheets/en/sheet/5/the-treaty-of-lisbon> (10.6.2022)

ლისაბონის შეთანხმების მიხედვით, შეიქმნა ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტისა და ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის თანამდებობები. ლისაბონის ხელშეკრულება მიზნად ისახავდა გადაწყვეტილებების მიღების გაადვილებას ევროკავშირის დონეზე, რაც მისი წევრი ქვეყნების სიმრავლესთან ერთად, დროთა განმავლობაში სულ უფრო რთულდებოდა. ამ მიზნით ახალი ხელშეკრულება ვეტოს უფლების შემცირებას ითვალისწინებდა, სამაგიეროდ, ზრდიდა ევროპარლამენტისა და ეროვნული პარლამენტების უფლებებს. ცვლილებები შევიდა ხმის მიცემის პროცედურებში: 45-ზე მეტ სფეროში ერთსულოვნების პრინციპი შეიცვალა კვალიფიციური უმრავლესობის პრინციპით. ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს მიერ თანაგადაწყვეტილების პროცედურა გავრცელდა პირველი სვეტის 83 სფეროზე და გადაწყვეტილების მიღების ამ ფორმას ევროკავშირის ნორმატიული აქტების მიღებისას ჩვეულებრივი პროცედურა (Ordinary Procedure) ეწოდა. სხვა სიახლეებთან ერთად, ლისაბონის შეთანხმება ევროპელ მოქალაქეებს საკანონმდებლო ინიციატივის (European Citizens' Initiative) უფლებასაც ანიჭებდა.<sup>87</sup>

რაც შეეხება ჩვენი წიგნის მთავარ საკითხს – „ევროკავშირის საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკას“ (CSDP) – იგი, ლისაბონის ხელშეკრულებით, როგორც ინსტიტუციურად, ასევე პოლიტიკურად, უფრო დაიხვეწა. 2009 წელს ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე „ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკას (ESDP)“ ეწოდა „საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (CSDP)“, წევრ ქვეყნებს შორის შემოიღეს ორმხრივი თავდაცვის პუნქტი. ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების კონსოლიდირებული ვერსიის მუხლი 42.7:

*„თუ წევრი სახელმწიფო მის ტერიტორიაზე შეიარაღებული აგრესიის მსხვერპლია, სხვა წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ მის მიმართ*

<sup>87</sup>The Lisbon Treaty's provisions on CFSP/CSDP State of implementation -

[https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/IDAN/2015/570446/EXPO\\_IDA\(2015\)570446\\_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/IDAN/2015/570446/EXPO_IDA(2015)570446_EN.pdf) (10.21.2022)



*დახმარების ვალდებულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად. არ დააზარალებს ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის სპეციფიკურ ხასიათს. [...]"<sup>88</sup>*

საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (Common Security and Defence Policy) ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარი ელემენტია (CFSP). საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირი წარგზავნის სამშვიდობო (სამოქალაქო და სამხედრო) მისიებს როგორც ევროპაში, ასევე მსოფლიო მასშტაბით – დანიშნულების ქვეყანაში კრიზისების მართვის და/ან საჯარო სექტორის რეფორმირების მიზნით. ევროკავშირის CSDP-ის მისიების მიზანია დანიშნულების ქვეყნებში საჯარო სექტორის კონკრეტული სფეროს, მათ შორის საზღვრის მართვის, სამართალდამცავი სექტორის, საგანგებო სიტუაციების მართვისა და სხვა მიმართულებების რეფორმა. საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა ევროკავშირის სამშვიდობო მისიებში წამყვანი როლის შესრულების, კონფლიქტის პრევენციისა და საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერების საშუალებას აძლევს. შემდეგ თავებში დეტალურად არის განხილული საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) როგორც თეორიული მიდგომები, ასევე მისი ინსტიტუციური ჩარჩო. ასევე, ყურადღებაა გამახვილებული საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიღების პროცედურებსა და შედეგებზე.<sup>89</sup>

---

<sup>88</sup>The Common Security and Defence Policy - [https://www.eeas.europa.eu/eeas/common-security-and-defence-policy\\_en](https://www.eeas.europa.eu/eeas/common-security-and-defence-policy_en) (10.1.2022)

<sup>89</sup>CSDP: The Common Security and Defense Policy of the European Union - <https://www.coe-civ.eu/kh/handbook-on-csdp-the-common-security-and-defense-policy-of-the-european-union> (10.2.2022)

## თავი II. თეორიის როლი ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის კვლევაში (CSDP)

ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (ESDP) გარკვეული ინსტიტუციური და პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ გარდაიქმნა, როგორც საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (CSDP) ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლით. საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) უკეთ გააზრებისთვის და ანალიზისთვის მნიშვნელოვანია მისი თეორიული განზომილების შესწავლა და დისკურს-ანალიზი. CSDP-ის შესახებ უსაფრთხოების თეორიული ვარაუდები ძალიან მრავალფეროვანია და მათი მთავარი მიზანია წარმოქმნან გარკვეული შეხედულებები, თუ როგორ უნდა განვითარდეს პოლიტიკა, რომელსაც ექნება თეორიული საფუძვლები, ხოლო ეს დაშვებები უფრო მკაფიოს გახდის არსებულ თეორიულ ჩარჩოებს უფრო სისტემური გამოყენებისთვის.<sup>90</sup>

ევროპაში CSDP-ის შესახებ კვლევები სწრაფად განვითარდა პოლიტიკის ზრდასთან ერთად. იგი მოიცავს სამეცნიერო კვლევებს ევროპის უსაფრთხოებასა და პოლიტიკის შემუშავების პროცესებზე. ამ პროცესს, რა თქმა უნდა, ჭირდება გარკვეულ თეორიულ ჩარჩოებში მოქცევა უსაფრთხოების პოლიტიკის კონკრეტული ასპექტების ასახსნელად. თუ უსაფრთხოების პოლიტიკური საკითხები არ იქნება გარკვეულ თეორიულ ჭრილში ახსნილი, მაშინ მისი მნიშვნელობა პოლიტიკის შემუშავების პროცესში მეტად რთულ საკითხს წარმოადგენს, ამიტომ პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანია უსაფრთხოების პოლიტიკის თეორიული ჭრილის გაგება და

---

<sup>90</sup>The Common Security and Defence Policy - [https://www.eeas.europa.eu/eeas/common-security-and-defence-policy\\_en](https://www.eeas.europa.eu/eeas/common-security-and-defence-policy_en) (10.27.2022)



სამეცნიერო კვლევების მოკლე ანალიზის გაცნობა – თუ რა საკითხზე მიმდინარეობს კვლევის პროცესები. იგი წარმოადგენს ურთიერთობის ციკლს აკადემიურ და პოლიტიკურ თემებს შორის, რადგან აკადემიური მკვლევარები ქმნიან გარკვეულ უსაფრთხოების თეორიულ ჩარჩოს, ხოლო პოლიტიკოსები ახორციელებენ მას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ორივე მიმართულების უკეთ გაანალიზება და გაგება იმისა, თუ როგორ მიმდინარეობს სამეცნიერო კვლევებში უსაფრთხოების საკითხის თეორიული ჩარჩოს აგება და როგორ ახორციელებენ მას შემდეგ პოლიტიკოსები.<sup>91</sup>

უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება და წარმოება შეუძლებელია თეორიული ჩარჩოს გარეშე, რადგან „ცნებები ჭრიან ემპირიული მონაცემების ტყეს, მის გარეშე ვერ შევძლებდით ხეების ფესვების დანახვას“. საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის გაჩენას რამდენიმე თეორიული ახსნა გააჩნია, ყველა ჩარჩო გარკვეულად გვთავაზობს უსაფრთხოების საფუძვლებს.<sup>92</sup>

<sup>93</sup>სანამ უშუალოდ ნაშრომის მთავარ თეორიულ ნაწილზე გადავალთ, მანამდე მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ ევროპის უსაფრთხოების კვლევაში მკვლევარების მიერ გამოყენებული თეორიული ჩარჩოები და მათი შედეგები, რომელიც დაგვეხმარება უახლოესი კვლევის შედეგების გაცნობაში და საკითხის უკეთ გაანალიზებში.

კლასიკური განმარტებითი, სოციალური მეცნიერების თეორიები არის ცოდნის შედეგი, რომელიც სხვადასხვა სპეციფიკური შემთხვევების უფრო ზოგად და თანმიმდევრულ ახსნას იძლევა. თეორიის სტანდარტული განმარტება საერთაშორისო ურთიერთობებში და უსაფრთხოებაში შეიძლება დაკავშირებული იყოს კონცეპტუალური ჩარჩოების შემუშავებასთან – მსოფლიო პოლიტიკაში მოვლენებისა და ფენომენების გაგებასა და ახსნაში ხელის შესაწყობად.

---

<sup>91</sup> Daniel Fiott, *THE CSDP IN 2020: The EU's legacy and ambition in security and defence*(European Union Institute for Security Studies, 2020), 15-20.

<sup>92</sup>იქვე, 24.

<sup>93</sup>Xymena Kurowska, *Explaining the EU's Common Security and Defence Policy Theory in Action* (PALGRAVE MACMILLAN, 2012), 1-16.

საერთაშორისო ურთიერთობების სფერო მერყეობს თეორიის მრავალფეროვან მეთოდებს შორის.<sup>94</sup> კენეტ უოლცმა განსაზღვრა თეორია „როგორც შეზღუდული სფეროს ან საქმიანობის სფეროს გონებაში ჩამოყალიბებული სურათი“. მერისია ზალევსკი განასხვავებს: მათ, ვინც თეორიას უპრობლემო ინსტრუმენტთა ნაკრების სახით ხედავს; ვინც მას მიიჩნევს კრიტიკად და სოციალური რეალობის შეცვლის საშუალებად; ვისთვისაც თეორია ყოველდღიური პრაქტიკაა, რადგან ის, რასაც აკეთებს, არის თეორია და არა თეორიის გამოყენება. გარკვეულწილად, ეს უკანასკნელი პერსპექტივა ემთხვევა კოქსის ფუნდამენტურ განცხადებას იმის თაობაზე, რომ თეორია ყოველთვის არის ვილაციისთვის და გარკვეული მიზნისთვის.<sup>95</sup>

მიუხედავად იმისა, რომ პარადიგმული არგუმენტები გრძელდება, საერთაშორისო ურთიერთობების ყველა კომენტარი უნდა განხორციელდეს ამა თუ იმ თეორიის ენაზე. არცერთი ემპირიული ანალიზი არ არის თეორიული ვარაუდების გარეშე და არცერთი ახსნა არ არის „ჩვენთან მოსაუბრე მონაცემთა“ ნეიტრალური შერჩევა.

სოციალური კონსტრუქტივიზმის მიერ საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი მთავარი განსაზღვრა გამომდინარეობს მისი აღიარებიდან, რომ თეორია უბრალოდ, რეალობას კი არ ასახავს, არამედ შეუძლია ჩამოაყალიბოს ჩვენი გაგება სამყაროს შესახებ. თეორიის ნებისმიერი განმარტება უნდა გადაიზარდოს კვლევის კონკრეტულ სტრატეგიებში – სწორედ ევროპის უსაფრთხოების კვლევაში გამოყენებული კონკრეტული სტრატეგია საკითხის უკეთ გააზრებისთვის და აღქმისთვის. ხოლო კონცეფციაზე ორიენტირებულ დედუქციურ კვლევაში ცენტრალური ცნებების განსაზღვრა და ოპერაციონალიზაცია ეყრდნობა ლიტერატურაში არსებულ ინდიკატორებს და არა თავად ემპირიული მონაცემებიდან გამომდინარე ჩარჩოს. ბისკოპი და ნორჰაიმ-მარტინსენი იწყებენ გამოძიებას

---

<sup>94</sup>იქვე, 20.

<sup>95</sup>S. Telbami, Kenneth Waltz, Neorealism, and Foreign Policy - <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/714005344> (10.24.2022)

ევროკავშირის სტრატეგიის ბუნების შესახებ. ასე აკეთებს ოიკონომუსი, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს თავის კონცეფციებს ემპირიულ ანალიზს, მისი ანგარიში ასევე ასახავს თეორიის ფუნქციას, როგორც ფართო პერსპექტივას, რომელიც აწვდის ინფორმაციას კვლევისა და მონაცემთა გენერირების კონცეპტუალიზაციის ყველა ეტაპზე. აქ თეორიის აგება და მტკიცებულებების შეგროვება ერთმანეთშია გადაჯაჭვული ურთიერთშესწორების პროცესში, რომლის დასასრულს ცნებები, თეორიები და მტკიცებულებები სათანადოდ არის მორგებული.<sup>96</sup>

## ევროპის უსაფრთხოების მკვლევარები და მათი თეორიული მიდგომები

ნეორეალიზმი და ტრანსგარვენმენტალიზმი კარგად ხსნიან ევროკავშირისა და ევროპის უსაფრთხოების თეორიულ საფუძვლებს და მთავარ მიმართულებებს. ხსენებული თეორიები წარმოდგენელია საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზიდან გამომდინარე, რომელიც უშუალოდ უსაფრთხოების საკითხებზე ამახვილებს ძირითადად ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ ავტორები წარმოადგენენ განსხვავებულ თეორიებს, შესაძლოა, ისინი ყველაზე საინტერესოდ საუბრობენ ევროპის უსაფრთხოებაზე საერთაშორისო ურთიერთობების განზომილებაში.

ნეორეალიზმის ძირითადი პრინციპების შესაბამისად, ჰაიდ-პრაისი იღებს ძალაუფლების სავალდებულო ცნებას, რომელიც ფოკუსირებულია აქტორებს შორის ურთიერთობების დიაპაზონზე, რაც საშუალებას აძლევს პირდაპირ ჩამოაყალიბოს სხვისი გარემოებები ან ქმედებები. იგი ცდილობს ახსნას სისტემურ დონეზე, რაც მოითხოვს

---

<sup>96</sup>Jef Huysmans, *Defining Social Constructivism in Security Studies: The Normative Dilemma of Writing Security*- <https://journals.sagepub.com/doi/pdf/10.1177/03043754020270S104> (Alternatives 27 (2002), Special Issue, 41-62),

აბსტრაქციის უფრო მაღალ ხარისხს. მიუხედავად ამისა, გზაში ის განმარტავს თეორიის არაერთ მცდარ ინტერპრეტაციას, რომელიც მოჰყვამს ამ სფეროს, განსაკუთრებით მის საგარაუდო დეტერმინისტულ ხასიათს.<sup>97</sup>

ჰოფმანი ხაზს უსვამს საერთაშორისო თანამშრომლობის რეჟიმებს, რაც განაახლებს პერსპექტივას ამ სფეროში თეორიული დებატების შესახებ. თანამშრომლობის გაბატონებული წესების შესწავლისას ჰოფმანი ეწევა ძალაუფლების ინსტიტუციონალისტურ ანგარიშს, სადაც აქტორები სხვებზე არაპირდაპირი გზებით ახორციელებენ კონტროლს. მისი კონცეპტუალური ყურადღება გამახვილებულია ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებზე. ჰოფმანი ასევე ასაბუთებს ევროკავშირის ინტეგრაციის კონცეპტუალურ კრიტიკას, კერძოდ, უსაფრთხოების კვლევებზე. იგი კვლევის პროცესში შორდება წმინდა სისტემურ ცვლადებს, როდესაც აკრიტიკებს სახელმწიფოს, ეროვნულ მთავრობას, ბიუროკრატებსა და ადგილობრივ ოლქებს. ანალიტიკურად, ჰოფმანი მიუთითებს სხვადასხვა აქტორების იზოლირებულად შესწავლის ხარვეზებზე, რაც მკაფიო ტენდენციაა CSDP-ის კვლევაში და რომელიც საბოლოოდ ეწინააღმდეგება CSDP-ის თამაშის წესების გაგების მიზანს.<sup>98</sup>

ნორჰაიმ-მარტინსენი თავისებურ კავშირებს და ურთიერთობას აყალიბებს ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის შესწავლისას. მთავარ პრობლემად მიიჩნევს სტრატეგიის ვიწრო დეფინიციას, რომელიც ეხება სამხედრო ძალაუფლების გამოყენებას პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ამის ნაცვლად, იგი აკეთებს დასკვნას, რომ პოლიტიკური და უსაფრთხოების მიზნების მისაღწევად მიზანშეწონილია ნებისმიერი ინსტრუმენტის გამოყენება. მარტინსენი ეჭვქვეშ აყენებს თეორიის ვიწრო განმარტებას, მისთვის მნიშვნელოვანია

---

<sup>97</sup>Luis Simón, Neorealism, Security Cooperation, and Europe's Relative Gains Dilemma - <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/09636412.2017.1280297?journalCode=fsst20> (10.28.2022)

<sup>98</sup>Marquez Carrasco, Case study: Common Security and Defence Policy (CSDP) - <https://repository.gchumanrights.org/items/29e1a224-8373-475d-9265-88e119bf19df> (10.27.2022)

ინსტრუმენტული განზომილება მიზნებსა და საშუალებებს შორის სტრატეგიულ კავშირზე. ამრიგად, იგი მტკიცედ რჩება ძალაუფლების კონცეფციის შემუშავების შესახებ სავალდებულო შეხედულების ფარგლებში. მისთვის კონცეფციების შემუშავება, კერძოდ, სტრატეგიული აქტივობა, სტრატეგიული კულტურა და სტრატეგიული ნარატივი, როგორც ძირითადი ანალიტიკური ინსტრუმენტი, კონცეპტუალურად აყალიბებს მათ მიდგომას და უზრუნველყოფს მისი გამოყენების გეგმას ევროპის უსაფრთხოების კვლევაში და შემდგომ მის ჩამოყალიბებაში.<sup>99</sup>

კურობსკა და კრატოჩვილი ევროპის უსაფრთხოების შესწავლისას კვლევის თეორიულ ჩარჩოდ განიხილავენ კონსტრუქტივისტულ მიდგომას და მის ანალიზს. მათთვის კვლევაში და თეორიულ ნაწილში მნიშვნელოვანია ონტოლოგიურ პოზიციასა და მეთოდოლოგიურ არჩევანს შორის ლოგიკის ჩამოყალიბება უსაფრთხოების სტრატეგიის პოლიტიკის შესწავლაში. მათი თეორიული მიმართულება CSDP-ს განიხილავს, როგორც უსაფრთხოების პროექტს, რომელიც წარმოიქმნება კონკრეტული კონტექსტიდან და კონკრეტული ისტორიული გამოცდილებიდან და ასახავს იმას, თუ როგორ შეიძლება თავად უსაფრთხოების კონცეფციის შესწავლამ შექმნას უსაფრთხოების ახალი მიმართულებები. ისინი თეორიული ჩარჩოს გამოყენებით უსაფრთხოების კვლევაში ამტკიცებენ, რომ ევროკავშირის უსაფრთხოების კონსოლიდაცია გლობალურ დონეზე დაფუძნებულია ბრიუსელში ბიუროკრატიულ ემელონებში, რომლებიც მოქმედებენ უსაფრთხოების სხვადასხვა გაგებით და აკადემიური და პოლიტიკური საზოგადოების კვეთაზე, სადაც მრავალი უსაფრთხოების პოლიტიკის იდეაა ჩაფიქრებული.<sup>100</sup>

ბრეიერი განიხილავს და კონტექსტუალიზაციას უკეთებს CSDP-ის ინსტიტუტებს სოციალოგიური ინსტიტუციონალიზმის ანალიტიკუ-

---

<sup>99</sup>Xymena Kurowska, *Explaining the EU's Common Security and Defence Policy Theory in Action* (PALGRAVE MACMILLAN, 2012), 20-25.

<sup>100</sup>B., Menon, 'Security Cooperation beyond the Nation- state: The EU's Common Security and Defence Policy' (Journal of Common Market Studies), 1-21.

რი ჩარჩოს გამოყენებით. იგი ხსნის სივრცეს გადაწყვეტილების მიღების სტილისა და CSDP-ის ყოველდღიური მართვის ემპირიულად მდიდარი გამოკვლევების, რომლის პასუხსაც ვერ გვცემს ნეორეალიზმი და ნეოლიბერალური ინსტიტუციონალიზმი, თავის ანალიტიკურ ჩარჩოს აშენებს სოციალიზაციისა და ბრიუსელიზაციის ცნებების მეშვეობით და ხელახლა განსაზღვრავს CSDP-ის ყოველდღიურ პრაქტიკაში მიღებული გადაწყვეტილებების მნიშვნელობის საფუძველზე. ბრეიერი ფოკუსირებულია CSDP-ის ინსტიტუციონალურ მექანიზმზე და ძალაუფლების გადანაწილების კონცეფციის ანალიზზე.<sup>101</sup>

ოიკონომუსი გვთავაზობს CSDP-ის თეორიულ ანალიზს ისტორიული მატერიალიზმის კონცეპტუალურ შეხედულებებზე დაყრდნობით, რომელიც პოლიტიკას განიხილავს როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკურ და არა წმინდა სტრატეგიულ ფენომენს. ის განიხილავს და განმარტავს ფუნდამენტურ ცნებებს ამ მრავალფეროვანი აზროვნების არეში, რათა გამოიკვეთოს კონცეპტუალური ჩარჩო CSDP-ის შესწავლის უპირატესობაში.<sup>102</sup>

## ნეორეალიზმი

60-70 წლებში მეორედ წამოჭრილმა დებატებმა საერთაშორისო ურთიერთობებში პოზიტივისტებსა და ბიჰევიორისტებს შორის გარდამტეხი გავლენა იქონია რეალიზმზე როგორც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაზე. ამ პერიოდში სათავე დაედო ნეორეალიზმს, რომლის მიდგომა რეალიზმისადმი როგორც თეორიისადმი იყო უფრო მეთოდოლოგიური, უფრო მეცნიერული და არა ნორმატიული, როგორც ეს კლასიკურ რეალიზმს ახასიათებდა. ნეორეალიზმის მამამთავრად ითვლება ქენეთ უოლცი, რომლის

---

<sup>101</sup>Diez, T. and Wiener, *European Integration Theory, 2nd ed.*,(Oxford University Press, 2012), 15-20.

<sup>102</sup>იქვე, 23.

საყოველთაოდ აღიარებული ნაშრომი „საერთაშორისო პოლიტიკის თეორია“ (1979) განავითარებს სრულიად განსხვავებულ რეალიზმს. უოლცის მეთოდოლოგია განმსჭვალული იყო ამბიციებით, რომ საერთაშორისო ურთიერთობები ქცეულიყო სამეცნიერო დისციპლინად.<sup>103</sup>

მაშასადამე, უოლცის მთავარი მცდელობა ის იყო, რომ ჩამოეყალიბებინა კანონისმაგვარი მცნებები საერთაშორისო ურთიერთობებში და ამით ამ დისციპლინისათვის მეცნიერული ელფერი მიეცა. უოლცი ამბობს, რომ საერთაშორისო პოლიტიკის თეორია ისევე შეიძლება ჩამოყალიბდეს, როგორც სხვა ნებისმიერი თეორია. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა: საერთაშორისო პოლიტიკა აღვიქვათ, როგორც განცალკევებული სფერო ან არე, უნდა აღმოვაჩინოთ კანონზომიერებათა მაგვარი წესები მასში (law like statements) და, ასევე შევიმუშაოთ დაკვირვების შედეგად გამოვლენილი კანონზომიერების ახსნის გზები. ასეთ კანონზომიერებებად უოლცმა მიიჩნია სახელმწიფოთა საქციელი, რომელიც ყველაზე კარგად ე.წ. Realpolitik-ით არის ახსნილი. კერძოდ, სახელმწიფო ინტერესების უზენაესობა, კონკურენციის დარეგულირება (რაშიც ძალთა ბალანსი მოიაზრება), ძალის პრიმატი და ა.შ., ანუ, ესენია მეთოდები, რომლებიც არ იცვლება, მიუხედავად იმისა, რომ მათ განსხვავებული პიროვნებები და სახელმწიფოები იყენებენ. ამ მეთოდების განმეორებითობას უოლცი ხსნის საერთაშორისო სისტემის ხასიათით. ამით იგი ავალებს მტკიცე ზღვარს კლასიკურ/ნეო-კლასიკურ და ნეორეალიზმს შორის.<sup>104</sup>

კლასიკური რეალისტებისა და მორგენტაუსგან განსხვავებით, რომლებიც საუბრობენ სახელმწიფოს მართვის ეთიკაზე, ადამიანის ბუნებაზე, საგარეო პოლიტიკის წარმოებისას წამოჭრილ მორალურ დილემებზე, უოლცი არ ახსენებს არც ერთ მათგანს და მთლიანად ახდენს ფოკუსირებას საერთაშორისო პოლიტიკის სტრუქტურაზე და

---

<sup>103</sup>ნეორეალიზმი, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=10387> (10.20.2022)

<sup>104</sup>იქვე,



ამ სტრუქტურის ზეგავლენაზე საერთაშორისო ურთიერთობებზე. იგი საერთაშორისო პოლიტიკას, მასში არსებულ კანონზომიერებებსა და სახელმწიფოთა ქცევის წესებს ხსნის სტრუქტურის თავისებურებით. ვოლცის თეორიული ფოკუსი იყო საერთაშორისო პოლიტიკის განცალკევება სხვა სფეროებისგან. ამისათვის მან ჩამოაყალიბა საერთაშორისო პოლიტიკის (სპ) სტრუქტურის, სისტემისა და სისტემის ელემენტების მცნება.<sup>105</sup>

ნეორეალიზმი ან „სტრუქტურული რეალიზმი“, როგორც მას ზოგჯერ უწოდებენ, არის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და პრაქტიკაში დახვეწილი თეორია საერთაშორისო პოლიტიკასა და უსაფრთხოების საკითხებში. მართლაც, ბოლო ორი ათწლეულის დიდი ნაწილის განმავლობაში, როგორც მისი მოწინააღმდეგეები, ასევე მისი დამცველები აღიქვამდნენ, როგორც დომინანტურ პარადიგმას საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების კვლევებში. ამიტომ, რაღაც ანომალიაა, რომ მან ასე მცირე გავლენა მოახდინა ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შესწავლაზე. ნაწილობრივ, ეს იმიტომ ხდება, რომ ევროკავშირი განსაკუთრებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მრავალდონიანი გაერთიანებაა, ხოლო მისი საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა მართლაც განსაკუთრებული ფენომენია მრავალდონიან გაერთიანებაში. ამავდროულად, ნეორეალიზმი მეტწილად დიდ გავლენას ახდენს ევროპული უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, რადგან წევრი სახელმწიფოები უსაფრთხოების საკითხებს ეროვნული ინტერესის მიხედვით აყალიბებენ და სწორედ აქ იკვეთება ნეორეალიზმის მნიშვნელობა. ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკა გარკვეულწილად ყალიბდება ორდონიან განზომილებაში. პირველ ეტაპზე იგი იკვეთება ეროვნულ დონეზე, შემდგომ იგი ადის ევროკავშირის დონეზე, რომელიც უშუალოდ გვეკვლინება ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში „CSDP“-ში. ნეორეალიზმი ასევე იძლევა კრიტიკულ ანალიზს

---

<sup>105</sup>Xymena Kurowska, *Explaining the EU's Common Security and Defence Policy Theory in Action* (PALGRAVE MACMILLAN, 2012), 16-41.

უსაფრთხოების საკითხებში, რომელიც მნიშვნელოვანია დღევანდელი ევროპისთვის. რობერტ გილპინმა აღნიშნა, რომ „არავის უყვარს რეალიზმი და ნეორეალისტები, თუმცა სანამ ეროვნული სახელმწიფოები საერთაშორისო ურთიერთობებში მთავარ აქტორებს წარმოადგენენ, ნეორეალიზმს დიდი მნიშვნელობა გააჩნია უსაფრთხოების ჩამოყალიბებაში, რადგან ევროკავშირიც შედგება სუვერენული ეროვნული სახელმწიფოებისგან, რომელთაც საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტები გააჩნიათ“. შეიძლება დღეს ბრიუსელში ნეორეალიზმის გადმოსახედიდან ევროპელი ბიუროკრატები არ საუბრობენ, მაგრამ ისინი სწორედ იმ წევრი სახელმწიფოების ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს აქლერებენ ევროპულ დონეზე.<sup>106</sup>

ნეორეალიზმი ასევე მნიშვნელოვანია ევროკავშირისთვის, რადგან იგი ემსახურება როგორც კრიტიკული პერსპექტივის დანახვას ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ანალიზში და მის შეხედულებებში, ასევე თეორიულად შეისწავლის და განმარტავს CSDP-ის დინამიკას, პოტენციალსა და შეზღუდვებს. ნეორეალიზმი ხსნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ანალიზის ინსტრუმენტებს და ცდილობს სტრუქტურული დინამიკის ანალიზის გაერთიანებას ევროკავშირის შიდა დონის ცვლადებით. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად ჩავთვალო ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შესწავლისთვის პირველ ეტაპზე თეორიულ ჩარჩოდ მიმოვიხილოთ ნეორეალიზმი და შევეცდები ავხსნა, თუ რა გავლენა აქვს ნეორეალიზმს ევროკავშირის უსაფრთხოების კვლევასა და ჩამოყალიბებაში.<sup>107</sup>

ნეორეალიზმი წარმოიშვა და რჩება რეალისტური პოლიტიკური აზროვნების უფრო ფართო ტრადიციად – როგორც აზროვნების კულტურა. რეალიზმი არის პრაქტიკული ცოდნის ფორმა, რომელიც ეხება სახელმწიფოს მართვის პრინციპებს, ხოლო კლასიკური

---

<sup>106</sup>იქვე, 28.

<sup>107</sup>იქვე, 30.

რეალიზმი,<sup>108</sup> უპირველეს ყოვლისა, არის ფილოსოფიური განწყობა და პრაქტიკული ცოდნის ფორმა. პრაქტიკული ცოდნა ეხება იმას, თუ როგორ შეგვიძლია გავლენა მოვახდინოთ და შევცვალოთ სამყარო, რათა დავაკმაყოფილოთ ჩვენი მოთხოვნები და სურვილები. მეცნიერული ცოდნა, მეორე მხრივ, ცდილობს სამყაროს გაგებას „ჩვენი იმედებისა და სურვილების, პრეფერენციებისა და ამბიციების დამოუკიდებლობის თვალსაზრისით“. კენეტ უოლცის საერთაშორისო პოლიტიკის თეორიის (1979) გამოქვეყნებით რეალიზმი თეორიულად უფრო დაიხვეწა და შეიძინა ანალიტიკური ინსტრუმენტები საერთაშორისო პოლიტიკის ახსნისთვის და არ აუბრალო აღწერისთვის. უოლცის უდიდესი მიღწევა იყო საზრიანი და დედუქციური თეორიის შემუშავება, რომელმაც დაამკვიდრა ნეორეალიზმი, როგორც გამორჩეული კვლევის პარადიგმა, რომელსაც შეუძლია კუმულაციური ცოდნის გენერირება.<sup>109</sup>

ნეორეალიზმს აქვს ორი მთავარი განმსაზღვრელი მახასიათებელი, პირველ რიგში იგი ამარტივებს რეალობას, ხოლო მეორე, იგი არის „სისტემური“ იმით, რომ ეძებს და ხსნის საერთაშორისო ურთიერთობების ქცევის წესებს და შედეგებს, სადაც გამოყოფს საერთაშორისო სისტემას და არა ცალკეული აქტორების დონეს. ვოლცის აზრით, სახელმწიფოს ქცევა (და, შესაბამისად, კოლექტიური საერთაშორისო აქტორების ქცევა, როგორცაა ევროკავშირი) წარმოადგენს შიდაპოლიტიკური პრეფერენციების შედეგს, ამიტომ ნეორეალიზმი ფოკუსირებულია ერთ ძირითად ცვლადზე: ფარდობითი სიმძლავრის შესაძლებლობებს განაწილებაზე. ასევე იგი არ ისწრაფვის

ცალკეული სახელმწიფოების ან CSDP-ის უსაფრთხოების პოლიტიკის კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების პროცესების ახსნისკენ,

---

<sup>108</sup>Integration Under Anarchy: Neorealism and the European Union - <https://journals.sagepub.com/doi/10.1177/1354066106067349> (10.23.2022)

<sup>109</sup>Xymena Kurowska, *Explaining the EU's Common Security and Defence Policy Theory in Action* (PALGRAVE MACMILLAN, 2012), 16-41.

არამედ იგი ცდილობს ახსნას ქცევის მოდელები, რომლებიც დროთა განმავლობაში მეორდება.<sup>110</sup>

ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის თანამშრომლობის ნეორეალისტური ანალიზის ძირითადი მახასიათებლების დასახვამდე საჭიროა ნეორეალისტური თეორიის ძირითადი პრინციპების მოკლე ანალიზი. იგი აუცილებელია, რადგან ნეორეალიზმი აზროვნების მონოლითური ორგანო კი არ არის, არამედ მრავალფეროვანი და ძლიერი ინტელექტუალური ტრადიციას, რომელსაც გააჩნია მრავალი განსხვავებული მიდგომა. ნეორეალიზმი ცდილობს ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ახსნას და არა აღწერას, რომელიც ასევე მოიცავს აბსტრაქციას და გამარტივებას. საბოლოოდ, ნეორეალიზმი ცდილობს ახსნას ქცევის კანონზომიერებები და გამეორებები და არა კონკრეტული მოვლენები, ცალკეული შემთხვევები ან მოულოდნელი გადაწყვეტილებები. ნეორეალისტური ანალიზები დაფუძნებულია ძირითადი ვარაუდების ერთობლიობაზე, საიდანაც მიღებულია მთელი რიგიზოგადი წინადადებებისა. საკითხის უკეთ გაცნობისთვის ქვემოთ შემოგთავაზებთ ნეორეალისტური ანალიზის ძირითად ვარაუდებს:<sup>111</sup>

## 1. საერთაშორისო სისტემები ანარქიულია

სტრუქტურული რეალიზმი საერთაშორისო სისტემას ასახავს, როგორც ანარქიულს – დომენს სუვერენის გარეშე. ამ მიზეზით, ის ასევე არისთვითდახმარების სისტემური კავშირი: სახელმწიფოებმა უნდა მიხედონ საკუთარ უსაფრთხოებას და გადარჩნენ კონკურენტულ სფეროში. საერთაშორისო პოლიტიკის ანარქიული ბუნებიდან

---

<sup>110</sup>NEOREALISM AND THE EUROPEAN UNION BALANCE OF POWER IN THE POST-COLD WAR ERA -

[https://etd.ohiolink.edu/apexprod/rws\\_etd/send\\_file/send?accession=ohiou1015857663&disposition=inline](https://etd.ohiolink.edu/apexprod/rws_etd/send_file/send?accession=ohiou1015857663&disposition=inline) (10.27.2022)

<sup>111</sup>Political Realism in International Relations- <https://plato.stanford.edu/entries/realism-intl-relations/> (10.27.2022)

გამომდინარე, უსაფრთხოების კონკურენციის ზრდამ, შესაძლებელია, ომამდეც მიგვიყვანოს., ნეორეალიზმი ვარაუდობს, რომ კონფლიქტისა და ომის ძირითადი ფესვები მდგომარეობს არა ცალკეული სახელმწიფოების და რეჟიმების შიდა სისტემებში ან ადამიანის ბუნებაში, არამედ საერთაშორისო სისტემის სტრუქტურასა და დინამიკაში.<sup>112</sup>

## 2. სახელმწიფოები არიან მთავარი საერთაშორისო აქტორები

რეალისტები ხაზს უსვამენ ჯგუფების და არა ინდივიდების მნიშვნელობას კაცობრიობის ისტორიაში. საერთაშორისო პოლიტიკა არის კონკურენციის სფერო კონკურენტ პოლიტიკურ ჯგუფებს შორის, რომელთაგან ყველა ზემნიშვნელოვანი სახელმწიფოა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოები არ წარმოადგენენ ერთადერთ საერთაშორისო აქტორებს, მაგრამ სახელმწიფოები წარმოადგენენ ყველაზე მნიშვნელოვან და გავლენიან მოთამაშეებს საერთაშორისო ურთიერთობებში, განსაკუთრებით ძლიერია იმ ქვეყნების გაერთიანებები, რომლებიც ადგენენ წესებს. მათ შორისაა ევროკავშირიც. ევროკავშირი თავისთავად არ არის სუვერენული აქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში და უსაფრთხოების საკითხებში, მაგრამ ის მოქმედებს როგორც მისი წევრი ქვეყნების კოლექტიური ინტერესებიდან გამომდინარე.<sup>113</sup>

## 3. სახელმწიფოების ფუნქციური მსგავსება

სახელმწიფოები ცდილობენ შეინარჩუნონ ძალაუფლების შესაძლებლობების დაბალანსებული პორტფელი. ამის ერთ-ერთი შედეგი ის არის, რომ ყველა სახელმწიფოს გარკვეულწილად გააჩნია შეტევითი სამხედრო შესაძლებლობები, „რაც მათ აძლევს საშუალებას, ზიანი მიაყენონ და, შესაძლოა, გაანადგურონ ერთმანეთი“.<sup>114</sup>

---

<sup>112</sup>REALIST THOUGHT AND NEOREALIST THEORY - <https://www.jstor.org/stable/24357222> Vol. 44, No. 1, Theory, Values And Practice In International Relations: Essays In Honor Of William T.R. Fox (Spring/Summer 1990), pp. 21-37.

<sup>113</sup>იქვე, 26.

<sup>114</sup>John J. Mearsheimer: an offensive realist between geopolitics and power - <https://link.springer.com/content/pdf/10.1057/palgrave.jird.1800065.pdf> (10.21.2022)

#### 4. სახელმწიფოები არიან რაციონალური, უნიტარული აქტორები

ნეორეალიზმი ვარაუდობს, რომ სახელმწიფოები არიან უნიტარული აქტორები, რომლებსაც შეუძლიათ სტრატეგიულად იმოქმედონ მოქმედების ალტერნატიული კურსის ხარჯებისა და სარგებლის რაციონალური გაანგარიშების საფუძველზე. ყველა სახელმწიფოს ახასიათებს ინსტიტუციური მრავალხმიანობა და რაციონალურობა. თუმცა, საერთაშორისო პოლიტიკის კანონზომიერებებისა და გამოვლენების ახსნა გულისხმობს შიდა პოლიტიკური პროცესების აბსტრაქციას და გამარტივებას. სახელმწიფოებს, როგორც ვარაუდობენ, „შეუძლიათ არა მხოლოდ სისტემური დონის შეზღუდვების აღქმა, არამედ მათზე საპასუხოდ ზომების ფორმულირება და განხორციელება“.<sup>115</sup>

ნეორეალიზმს შეუძლია ნათელი მოჰფინოს ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის/თავდაცვის თანამშრომლობის დინამიკის შესწავლას. სტრუქტურული რეალიზმი ვერ ხსნის ევროკავშირის უსაფრთხოების ყველა ასპექტს, მაგრამ მას შეუძლია ახსნას ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის ნიუანსების და ცივი ომის წარმოშობა/შემდგომი განვითარების დინამიკა ევროპის კონტინენტზე. ძალაუფლების სტრუქტურული განაწილება საერთაშორისო სისტემაში, ნეორეალისტური თეორიის აზრით, იძლევა ჯილდოს ქცევის გარკვეული მოდელებისთვის და სჯის სხვებს. როგორც უოლცი ამტკიცებდა, „საერთაშორისო პოლიტიკური თეორია ეხება სახელმწიფოებზე სტრუქტურის ზეწოლას და არა იმას, თუ როგორ უპასუხებენ სახელმწიფოები ზეწოლას“. ის, თუ როგორ რეაგირებენ სახელმწიფოები სტრუქტურულ ზეწოლაზე, დამოკიდებულია შიდა პოლიტიკურ ფაქტორებზე, მათ შორის, გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციაზე, იდეოლოგიასა და სექციურ ინტერესებზე. უფრო მეტიც, ზოგიერთ კონტექსტში სტრუქტურული

---

<sup>115</sup>იქვე,

ზეწოლა განუსაზღვრელია, რაც სახელმწიფოებს დიდ შესაძლებლობებს უტოვებს საკუთარი მომავლის ფორმირებისთვის.<sup>116</sup>

თუმცა, ზოგადად, სახელმწიფოები აწყდებიან შეზღუდული შესაძლებლობების სპექტრს ანარქიულ თვითდახმარების სისტემაში, ძალიან ძლიერი სახელმწიფოებს (როგორცაა დღეს აშშ) აშკარად უფრო მეტი მანევრირების ადგილი აქვთ, ვიდრე სხვა სახელმწიფოებს. თუმცა, პარადოქსულია, მაგრამ სტრატეგიული ვარიანტები უფრო შეზღუდულია დიდი სახელმწიფოებისთვის, ვიდრე მცირე სახელმწიფოებისთვის. დიდი ძალის მქონე სახელმწიფოები სამი ძირითადი ვარიანტის წინაშე დგანან: დაბალანსება, „ბაკპასინგი და ბანდვაგონი“. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო პოლიტიკურ თეორიას არ შეუძლია ევროკავშირის წევრი ქვეყნების ზუსტი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის წინასწარ განსაზღვრა, ის ვარაუდობს, რომ მათი მიდგომა უსაფრთხოების პოლიტიკის CFSP/CSDP-ის მიმართ იქნება შემდეგი ვარიანტების ფარგლებში:<sup>117</sup>

- დაბალანსება: წევრი სახელმწიფოები ცდილობენ გამოიყენონ ევროკავშირი როგორც ერთ-ერთი დამაბალანსებელი „ჩინეთის“ და „რუსეთს“ საგარეო პოლიტიკისა ევროპის ქვეყნებია მიმართ. ნეორეალიზმისთვის დაბალანსების თეორიას ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება წევრ სახელმწიფოსა და ევროკავშირის უსაფრთხოების ურთიერთობაში.<sup>118</sup>
- „ბაკპასინგი“: ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შეუძლიათ გაუმკლავდნენ უსაფრთხოების საფრთხეებს ახლო აღმოსავლეთში ან აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში (ტაივანი, ჩრდილოეთ კორეა), რაც

---

<sup>116</sup>Neorealism:A Structural Approach to CSDP -

[https://www.researchgate.net/publication/305230622\\_NeorealismA\\_Structural\\_Approach\\_to\\_CSDP](https://www.researchgate.net/publication/305230622_NeorealismA_Structural_Approach_to_CSDP) (10.21.2022)

<sup>117</sup>Balancing or Bandwagoning? Europe's Many Relations with the United States -

<https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/13523260.2013.808075> (10.22.2022)

<sup>118</sup>იქვე,



აშშ-ს ევროპასთან სავაჭრო და ეკონომიკურ საკითხებზე ყურადღების გამახვილების საშუალებას მისცემს .<sup>119</sup>

- „ბანდვაგონი“: ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შეუძლიათ გაერთიანდნენ სისტემაში ყველაზე ძლიერ ძალასთან, რათა მოიპოვონ გავლენა ან სხვა სასურველი ღირებულებები. რენდალშველერი ამტკიცებს, რომ „დაჯილდოებისკენ სწრაფვა რეალურად არის სახელმწიფოების დომინანტური ტენდენცია“ - განსაკუთრებით რევიზიონისტული სახელმწიფოები ცდილობენ „გაზარდონ და არა მხოლოდ შეინარჩუნონ თავიანთი ძირითადი ფასეულობები და გააუმჯობესონ თავიანთი პოზიცია სისტემაში“.<sup>120</sup>

დღემდე არსებული მტკიცებულებებით მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები განსხვავებულ სტრატეგიას მიმართავენ საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დასაცავად. საფრანგეთი, ბელგია და იტალია ცდილობს „ბაკპასინგის“ სტრატეგიის შემუშავებას; გერმანია, ნიდერლანდები და პოლონეთი ხაზს უსვამენ „დაბალანსების“ მიდგომას; „ბაკპასინგი“ სავარაუდოდ რჩება ევროპის სახელმწიფოებისთვის უდიდეს გეოსტრატეგიულ საკითხად (ურთიერთობა ჩინეთთან და რუსეთთან). სამომავლოდ ევროკავშირის CSDP/CFSP პოლიტიკის მთავარი განმსაზღვრელი იქნება ის, რომ გერმანიამ, საფრანგეთმა და პოლონეთმა დაძლიონ თავიანთი „სამმხრივი ასიმეტრიები“ და განავითარონ ახალი კონსენსუსი ევროკავშირის უსაფრთხოების დიდ სტრატეგიაზე, ასევე, ამ ურთიერთობაში მნიშვნელოვანია დიდი ბრიტანეთის პოზიცია

---

<sup>119</sup>იქვე,

<sup>120</sup>Soft Balancing, Binding or Bandwagoning? Understanding Institutional Responses to Power Disparities - <https://www.cambridge.org/core/journals/canadian-journal-of-political-science-revue-canadienne-de-science-politique/article/soft-balancing-binding-or-bandwagoning-understanding-institutional-responses-to-power-disparities-in-the-americas/F659485E1DE762A671DE0D368E1F8FAE> (10.28.2022)

უსაფრთხოების საკითხებზე კონტინენტურ ევროპასთან დაკავშირებით.<sup>121</sup>

ამგვარად, ნეორეალისტურ ანალიზს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია გაარკვიოს სისტემური ზეწოლა, რომელიც „აყალიბებს და უბიძგებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების საერთაშორისო ქცევას“. ნეორეალიზმს შეუძლია სივრცე გაუხსნას ევროკავშირის როგორც საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის აქტორს. სისტემურ თეორიას შეუძლია შესთავაზოს ევროკავშირის საერთაშორისო ურთიერთობების განახლებული ხედვა, რომელიც რედუქციონისტულ თეორიებს გამოტოვებს. თუმცა, ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა ამკარად „მძიმე შემთხვევაა“ ნეორეალიზმისთვის, რომელიც ხაზს უსვამს ანარქიის პირობებში თანამშრომლობის პრობლემებს შედარებითი მიღწევების გათვალისწინებით და ვარაუდობს, რომ საერთაშორისო ინსტიტუტები მცირე გავლენას ახდენენ სახელმწიფოების, განსაკუთრებით, დიდი სახელმწიფოების ქცევაზე.<sup>122</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი არ გამოჩენილა უსაფრთხოების ავტონომიურ აქტორად და არ გააჩნია ისეთი ძირითადი გეოპოლიტიკური საკითხების გადაჭრის უნარი, როგორცაა რუსეთთან ურთიერთობა ან ჩინეთის როლის დასტაბილურება რეგიონში, იგი მაინც ჩამოყალიბდა, როგორც ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურის მნიშვნელოვანი ელემენტი და ნეორეალისტებმა აღნიშნული საკითხი უნდა გაითვალისწინონ თეორიულ ანალიზში.<sup>123</sup>

ზემოთ მოყვანილი ნეორეალისტური თეორიული ჩარჩო და სამოქმედო სტრატეგიები იძლევა კრიტიკულ და გამორჩეულ პერსპექტივას ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის წარმოშობისა და განვითარების შესახებ. ევროპული ინტეგრაცია დღეს ხშირად

---

<sup>121</sup>Revisiting Responses To Power Preponderance: Going Beyond The Balancing-Bandwagoning Dichotomy - <https://www.rsis.edu.sg/wp-content/uploads/rsis-pubs/WP54.pdf> (10.21.2022)

<sup>122</sup>Mearsheimer's World— Offensive Realism and the Struggle for Security - John J. Mearsheimer, The Tragedy of Great Power Politics. New York: W.W. Norton, 2001.

<sup>123</sup>Neorealism and Neoliberalism - <http://cup.columbia.edu/book/neorealism-and-neoliberalism/9780231084413> (10.21.2022)

არის ასახული, როგორც აშკარა „სამშვიდობო პროექტი“, რომელიც შექმნილია ომის მტრობის დასაძლევად და სტაბილური მშვიდობის საფუძვლის შესაქმნელად. რეალისტური პერსპექტივიდან აქტუალური კითხვაა – რატომ იყო წარმატებული ომის შემდგომი ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის საზოგადოება (ECSC)/ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა (EEC), ნეორეალიზმის თეორიული პერსპექტივიდან გამომდინარე. პასუხის პოვნა შეიძლება ძალაუფლების სტრუქტურაში.

რეალისტები ამტკიცებენ, რომ ევროპის სტაბილურ უსაფრთხოების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო, 1945 წლის შემდგომი ინტეგრაციის წარმატებული პროცესი, რომელიც დამყარებული იყო ბიპოლარულ სისტემაზე. ნეორეალიზმი ვარაუდობს, რომ თანამშრომლობა უფრო ადვილია ბიპოლარულ სისტემებში, ვიდრე მრავალპოლარულში. როდესაც ევროპაში ძალაუფლების სტრუქტურა მულტიპოლარული იყო, კონტინენტის დიდი სახელმწიფოები ხშირად ერთმანეთში იკვეთებოდნენ ძალაუფლებისა და სიმდიდრის მოხვეჭისთვის, თუმცა მეორე მსოფლიოს შემდეგ არსებული ძალთა ბალანსი მკვეთრად შეიცვალა.<sup>124</sup>

ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდგომ „ბიპოლარული“ სისტემა ჩამოყალიბდა, რამაც გამოიწვია ის, რომ ევროპის მთავარი სახელმწიფოები უსაფრთხოების „გარანტორები“ გახდნენ აშშ-სთან ერთად და ამით შემცირდა მათ შორის არსებული უსაფრთხოების გამოწვევები და კონკურენცია, ახლა ყველა ერთ მიზანს ემსახურებოდა, ისინი პასუხისმგებელნი იყვნენ ევროპის საერთო უსაფრთხოებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ომისშემდგომი თანამშრომლობა დასავლეთ ევროპაში მიმდინარეობდა აშშ-ს მიერ მოწოდებული უსაფრთხოების „ქოლგის ქვეშ“ და ინსტიტუციონალიზებული ნატოში. შეერთებულმა შტატებმა აქტიურად წაახალისა დასავლეთ ევროპის თანამშრომლობა, განსაკუთრებით მარშალის დახმარების გეგმით, რომელიც ეყრდნობოდა რეგიონულ ეკონომიკურ

---

<sup>124</sup>Balancing in Neorealism - <https://www.jstor.org/stable/43828295> (10.10.2022)

თანამშრომლობას, რადგან მათი უსაფრთხოება გარანტირებული იყო ნატოსა და აშშ-ს ბირთვული ქოლგის მიერ, დასავლეთ ევროპის დემოკრატიულმა ქვეყნებმა შეძლეს დაეთმობა მეტი რესურსი "კეთილდღეობისთვის", ვიდრე "ომისთვის".<sup>125</sup>

ბიოპოლარულმა გარემომ ბირთვულ შეკავებასთან ერთად ევროკავშირის წევრ ქვეყნების შიდა პოლიტიკურ მოვლენებზე გარკვეული შედეგები იქონია. რაც მთავარია ბიოპოლარულმა გარემომ და ევროპის გაერთიანებამ უზრუნველყო „რადიკალური ნაციონალიზმის“ დაბალანსება და „მოთოკვა“. რადიკალური ნაციონალიზმი, რომელიც განვითარდა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში, რამაც გამოიწვია უსაფრთხოების სფეროში ინტენსიური კონკურენცია. ნაციონალიზმის ტალღებმა გარკვეულწილად ევროპაში გამოიწვია რევოლუციური ცვლილებები, როგორც სამხედრო მიმართულებით ასევე საზოგადოებრივ კულტურებში, ქვეყნები უფრო მეტად აგრესიული ხდებოდნენ კონკურენციის პირობებში და შეიარაღებულ კონფლიქტებთან სულ ახლოს იყვნენ. ბიპოლარული ევროპის ჩამოყალიბების მაგალითი იყო გერმანიის „ბუნდესვერის“ ახალი ტიპის არმიის შემქნა, რომელიც შედგებოდა „ფორმიანი მოქალაქეებისგან“ და პასუხისმგებელი იყვნენ ბრძანებით განხორციელებულ ქმედებებზე. ამ ყველაფერში გასათვალისწინებელია ის, რომ ძალაუფლების ბიპოლარული გადანაწილებამ შექმნა დასაშვები პირობები ევროინტეგრაციის პროცესისთვის.<sup>126</sup>

ბიპოლარობა არ ნიშნავდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ინტერესთა კონფლიქტის დასრულებას, უბრალოდ ახლა ნებისმიერ კონფლიქტი მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარებულიყო და არ უნდა ქონდათ სახელმწიფოებს იმის მოლოდინი, რომ ვინმე „ძალას“ გამოიყენებდა კონფლიქტის მოგვარებისთვის. ნეის აზრით, ბიპოლარულმა საერთაშორისო სისტემამ და ევროპის გაერთიანებამ

---

<sup>125</sup>Towards a bipolar world (1945–1953) - <https://www.cvce.eu/en/education/unit-content/-/unit/55c09dcc-a9f2-45e9-b240-eaef64452cae/1dc7e103-8078-45e1-b8ac-2199a9be5783> (10.10.2022)

<sup>126</sup>The Stability of a Bipolar World - <https://www.jstor.org/stable/20026863> (10.21.2022)

ევროკავშირის სახით შექმნა ახალი „ექტორი“, რომელიც წარმოადგენდა თანამშრომლობის საშუალებას მეორე რანგის საკითხების შეზღუდულ დიაპაზონში. ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, 1970 წელს ევროპულ საზოგადოებებთან ერთად იყო საგარეო პოლიტიკის კოორდინაციის შეზღუდული ფორმის გაჩენა ევროპული პოლიტიკური თანამშრომლობის სახით, რომელიც მკაცრად მთავრობათაშორისი ურთიერთობებით იმართებოდა დიპლომატიების მიერ და დეკლარაციულ პოლიტიკას აწარმოებდა. რეალისტები ამას ხსნიან, როგორც ლოგიკურ პროცეს ძლიერი სახელმწიფოების მიერ ინტერესთა თანხვედრის ან განსხვავებული შეხედულებების კოორდინაციისთვის, რომლის მიზანიც იყო უსაფრთხოების საკითხებში საერთო შეხედულებების ჩამოყალიბება.<sup>127</sup>

1989-1991 წლების მოვლენები წყალგამყოფი აღმოჩნდა საერთაშორისო პოლიტიკაში, რამაც გამოიწვია გლობალური და რეგიონალური ძალაუფლების ურთიერთობების გადანაწილება და შეცვლა. ცივი ომის დასასრულის შედეგებმა გამოიწვია ბიპოლარული სისტემის დაშლა, მაგრამ ძლიერი სახელმწიფოებს გარკვეული პერიოდი დასჭირდათ რადგან, ახალ საერთაშორისო სისტემას სახელმწიფოები ნელა და თანდათანობით რეაგირებენ. ამრიგად 1990-იანი წლები წარმოადგენდა ერთგვარ გარდამტეხი აღმოჩნდა, როგორც ევროპის კონტინენტზე ასევე საერთაშორისო არენაზე, დიდი სახელმწიფოებმა ხელახლა გადაახალისეს მიზნები და ინტერესთა სფეროები, სწორედ გლობალურ სტრუქტურულ ცვლილებების ეპიცენტრს წარმოადგენდა ევროპა, რადგან კონტინენტზე „რკინის ფარდა“ ჩამოიშალა და ახალი პოლიტიკური „თამაშები“ დაიწყო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. საბჭოთა კავშირის დაშლას და ბიპოლარულ სისტემის შეცვლას ორი მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა ევროკავშირისთვის.<sup>128</sup>

---

<sup>127</sup> იქვე,

<sup>128</sup> History of the European Union 1990-99 - [https://european-union.europa.eu/principles-countries-history/history-eu/1990-99\\_en](https://european-union.europa.eu/principles-countries-history/history-eu/1990-99_en) (10.21.2022)

- 1) ბერლინის კედლის დაშლის და გერმანიის გაერთიანების შემდეგ ევროპის ქვეყნებს ჭირდებოდათ შეთანხმება გერმანიასთან, იმის შესახებ, რომ „გაერთიანებას არ უნდა შეცვალა გერმანიის მჭიდრო და მუდმივი თანამშრომლობა დასავლეთთან და ევროკავშირთან“, გერმანია კვლავ უნდა ყოფილიყო ერთგვარი ძალაუფლების დამაბალანსებელი ევროპაში, რადგან გერმანიის ამგვარი სტაბილურობა და ერთიანობა ევროპული ინტერესების მიმართ წარმოადგენდა მთავარ იმპულსს ევროკავშირის ინტეგრაციისთვის, რაც მასტრიხტის ხელშეკრულებით დაგვირგვინდა;
- 2) ბიოპოლარულმა წესრიგის დასრულებამ, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გამოიწვია პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, რამაც ეკონომიკური კრიზისის პერსპექტივის წინაშე აღმოჩნდნენ, განსაკუთრებული შემთხვევას წარმოადგენდა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ახალი დემოკრატიები, რომლებიც ცდილობდნენ ევროპის იდენტობაში დაბრუნებას ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივით.<sup>129</sup>

არსებულმა სიტუაციამ გამოიწვია ის, რომ ევროკავშირმა შეიძინა ახალი როლი, როგორც ეკონომიკური და უსაფრთხოების სტაბილურობის გარანტორი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. ევროკავშირის რამდენიმე წევრი სახელმწიფო აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში გერმანიას აღიქვავდა და გარკვეულწილად აკისრებდა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას „Mitteleuropa“-ს მიმართულებით, გერმანია წარმოადგენს ერთგვარ სტაბილურობის გარანტორს და კრიზისული სიტუაციების მმართველს ევროკავშირში. გერმანიის ასეთი პოზიცია ამავდროულად გამოწვეული იყო საკუთარი საგარეო პოლიტიკიდან, გერმანია გარკვეულწილად იღებდა პასუხისმგებლობას ევროკავშირის სამომავლო ინტეგრაციისთვის და აქცენტს აკეთებდა უსაფრთხოებაზე, რომელსაც აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპის პოსტკომუნისტური დემოკრატიები ეძებდნენ. აქედან გამომდინარე ევროკავშირის აყალიბებდა „ახლო

---

<sup>129</sup> იქვე,

საზღვარგარეთის“ პოლიტიკას მისი წევრი სახელმწიფოების გრძელვადიანი სტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად.<sup>130</sup>

ინსტრუმენტები, რომლებიც ევროკავშირმა გამოიყენა თავისი უსაფრთხოების გარემოს ჩამოსაყალიბებლად, დაფუძნებული იყო როგორც „რბილ ძალაზე“ (ანუ დიპლომატიურ დარწმუნებაზე, მოლაპარაკებებზე და კომპრომისზე) და „მყარ ძალაზე“. ეს უკანასკნელი მოიცავდა იძულებით ეკონომიკურ რეგულაციებს სახელმწიფოების მიმართ, უპირველეს ყოვლისა, „პირობითობის დებულებების“ სახით, რომელიც აკისრებდა კონკრეტულ სახელმწიფოს ევროკავშირის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ხედვას პოსტკომუნისტურ დემოკრატიებზე. ეს გვიჩვენებს, რომ „ახლო საზღვარგარეთთან“ ურთიერთობისას ევროკავშირი იყენებს კოლექტიური ჰეგემონიის ინსტრუმენტს, რომელიც აყალიბებს მის უსაფრთხოების გარემოს ძალაუფლების სხვადასხვა ფორმით. რეალისტების აზრით წევრი სახელმწიფოები ხშირად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ევროკავშირს იყენებენ, საერთო ნორმების და ღირებულებების დაწესებისთვის, რაც განაპირობებს აუცილებელ საყრდენს უსაფრთხოების არქიტექტურის შექმნისთვის.<sup>131</sup>

ევროკავშირის უსაფრთხოების კოლექტიური გარემო პირველად უმძიმესი გამოცდის წინაშე აღმოჩნდა ბალკანეთში. იუგოსლავიის ომები ევროპაში ერთგვარი „სიგნალი“ იყოს უსაფრთხოების არქიტექტურის ცვლილების და სამომავლო პერსპექტივების არსებობის, ევროკავშირი ბალკანეთის რეგიონთან მიმართებაში გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, რომელსაც მხოლოდ საკუთარი ძალით და შესაძლებლობებით ვერ გაუმკლავდა, რადგან ევროკავშირის „რბილმა ძალამ“ ვერ მოახდინა ვერანაირი გავლენა მეომარ მხარეებზე.

---

<sup>130</sup>1998–2009 The unification of Europe - <https://www.cvce.eu/en/education/unit-content/-/unit/02bb76df-d066-4c08-a58a-d4686a3e68ff/7da094ef-0718-4bba-b54a-4e218856f4cbv> (10.21.2022)

<sup>131</sup>European foreign and security policy - [https://european-union.europa.eu/priorities-and-actions/actions-topic/foreign-and-security-policy\\_en](https://european-union.europa.eu/priorities-and-actions/actions-topic/foreign-and-security-policy_en) (10.21.2022)



იუგოსლავიის კონფლიქტის შედეგები ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანი იყო ოთხი მიმართულებით.<sup>132</sup>

- 1) ევროკავშირის წევრ ქვეყნებში „კონფლიქტების მართვის“ არაეფექტურობა გამოამჟღავნა და საჭირო იყო გამოკვეთილი ის ქვეყნები, რომლებიც გარკვეულ პასუხისმგებლობას აიღებდნენ საკუთარ თავზე;
- 2) აშშ-ს თავიდან არ ერეოდა კონფლიქტის მსვლელობაში და ისე ჩანდა, თითქოს „საქმე ევროპელებს გადააბარა“, მაგრამ კონფლიქტის გავრცელებასთან ერთად აშშ იძულებული გახდა ჩარეულიყო ბალკანეთის საქმეებში. აშშ-მ ჩართულობა ევროპის კონტინენტზე არსებულ კრიზისულ სიტუაციაში ევროპული ქვეყნებისთვის ერთგვარი სიგნალი აღმოჩნდა უსაფრთხოების არქიტექტურის შექმნისთვის და კოორდინაციის გაზრდისთვის;
- 3) ბალკანეთის კონფლიქტმა ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ ევროკავშირისთვის საჭირო იყო ჰყოლოდა მის დაქვემდებარებაში მყოფი ევროპული გაერთიანებული სამხედრო ძალა (არმია), რომელიც მხარს დაუჭერს ევროპულ დიპლომატიას, თუ მას სურს ჩაერთოს ეფექტური კოალიციური კრიზისების მართვაში;
- 4) ევროკავშირის შიდა ინსტიტუტებმა კონფლიქტში ვერც მედიატორის და ვერც „მომგვარებლის როლი ვერ მოირგეს, რადგან სახელმწიფოები მაინც ერთმანეთში ინდივიდუალურად მუშაობდნენ საკონტაქტო ჯგუფების მეშვეობით (საკონცერტო დიპლომატიის კლასიკური მაგალითი).

დაბოლოს, ბალკანეთის კონფლიქტმა შექმნა უსაფრთხოების ახალი სისტემა, სადაც ევროპის სახელმწიფოებმა ნელ-ნელა საკუთარი სიძლიერებით გარკვეული როლები მოირგეს, ამის მთავარი მაგალითია გერმანია, რომელმაც აიღო პასუხისმგებლობა ევროპის „კრიზისების მართვისთვის“. კონფლიქტმა ასევე გარდამტეხი როლი

---

<sup>132</sup>The European Union Policy towards the Balkan States in the Post-Cold War Era - <https://dergipark.org.tr/tr/download/article-file/117957> (10.23.2022)

ითამაშა ევროკავშირისთვის საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბებაში და მის განვითარებაში, სწორედ ამან შეეწყო ხელი ევროპაში ESDP შექმნას. ნეორეალიზმის შეხედულებიდან გამომდინარე ევროპის უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარების ინიციატივისთვის მნიშვნელობა ენიჭება ორ საკითხს: აშშ-ს ძალაუფლების გლობალურ უპირატესობას (უნიპოლარულობა) და დაბალანსებულ მრავალპოლარულობას ევროპაში.<sup>133</sup>

სსრკ-ს დაშლის შემდეგ მსოფლიოში ძალთა ბალანსი შეიცვალა, რადგან ერთადერთი „ზესახელმწიფოდ“ ამერიკის შეერთებული შტატები დარჩა. თამადად შეიძლება იმის თქმა, რომ აშშ არის ერთადერთი დიდი ძალა, რომელსაც გააჩნია გლობალური პროცესებზე მართვის შესაძლებლობა, ეკონომიკური, სამხედრო, სამეცნიერო, ტექნოლოგიური შესაძლებლობების დიდი რესურსი. მაგრამ მარშეიმერი აშშ გლობალურ ძალას ხსნის შემდეგნაირად - „შეერთებული შტატები არ არის გლობალური ჰეგემონია: ის ახორციელებს ჰეგემონურ ძალაუფლებას დასავლეთ ნახევარსფეროში, მაგრამ ის არ დომინირებს მსოფლიოს ყველა რეგიონში. რეგიონული ჰეგემონების მთავარი საზრუნავი, როგორცაა აშშ, არის არა დაუნდობლად სწრაფვა გლობალური ჰეგემონიისთვის, არამედ სხვა რეგიონების დიდ ძალებს ხელი შეუშალონ თავიანთი წარმატების დუბლირებაში“.<sup>134</sup>

აშშ-ს საგარეო პოლიტიკა ევროპის უსაფრთხოების და ევროინტეგრაციის მიმართ რეალისტების აზრით, მიუხედავად იმისა, რომ აშშ მიესალმება ევროპაში უსაფრთხოების მხრივ ევროპის ქვეყნების თანმიმდევრულ და ეფექტურ მოკავშირეობას, არსებობს ვარაუდი, რომ სრულად ინტეგრირებული ევროპას გარკვეულ საკითხებში აღარ

---

<sup>133</sup>The Yugoslav conflict and European Community diplomacy - <https://www.cvce.eu/en/education/unit-content/-/unit/1f5d29d1-bc79-44af-ae41-6fdb3f41608e/9d5f248f-3b34-4e90-ad0e-8900503b2459> (10.11.2022)

<sup>134</sup>Collapse of USSR and Its Impact on International Relations - <https://www.studocu.com/row/document/comsats-university-islamabad/theories-of-international-relations/collapse-of-ussr-and-its-impact-on-international-relations/6017984> (10.11.2022)

დაჭირდება აშშ-ს შესაძლებლობები და დახმარება, რაც აშშ-სთვის საყურადღებო იქნება, რადგან როგორც ყველაზე ძლევამოსილი სახელმწიფო საერთაშორისო სისტემაში, აშშ სარგებლობს გლობალურ საქმეებში მანევრირების უფრო დიდი სივრცის ფუფუნებით. მას შეუძლია აირჩიოს სად და როდის ჩაერიოს და შეუძლია დაელოდოს მოვლენებს, სანამ მოქმედება მოუწევს. როგორ რეალისტები აღნიშნავენ, დიდი ძალაუფლება იძლევა მოქმედების უფრო ფართო დიაპაზონის საშუალებას, რაც საშუალებას აძლევს დიდი სახელმწიფოს ისარგებლოს უსაფრთხოების ფართო საზღვრებით ნაკლებად ძლიერებთან ურთიერთობისას. ვინაიდან სუსტი სახელმწიფოები მოქმედებენ უსაფრთხოების „ვიწრო ზღვარზე“ და არ შეუძლიათ გაუძლონ დეფექტურ და დამაბულ საერთაშორისო პოლიტიკას.<sup>135</sup>

ტრანსატლანტიკურმა ურთიერთობებმა და უნიპოლარობის შედეგებმა ცხადყო ის, რომ აშშ-ს შეეძლო ნაკლები ყურადღება დაეთმო ევროპულ მოკავშირეების საზრუნავზე, რადგან ამ ყველაფერს ალიანსი (ნატო) მიხედავდა, როგორც პოლიტიკურად ასევე სამხედრო კუთხითაც. ამის მაგალითია 1990 წლებში მომხდარი ბალკანეთის კონფლიქტი, როდესაც ევროპული სახელმწიფოები და ალიანსი ორიენტირებული იყო ბალკანეთში არსებულ სიტუაციაზე, ამ დროს აშშ-ს ყურადღება მიპყრობილია „ახლო აღმოსავლეთის“ და აღმოსავლეთ აზიისკენ.<sup>136</sup>

საინტერესოა ევროპული პერსპექტივიდან, როგორ ჩანს ევროპის უსაფრთხოების საკითხები უნიპოლარული სისტემაში. უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ს საგარეო პოლიტიკა უნიპოლარულ სისტემაში ევროპასთან მიმართებაში, მას ევროპელები აღიქვამენ „არასანდო“ და „კაპრიზულ“ პოლიტიკად. აშშ-ის კაპრიზულებასა და არასანდოობას შესახებ შეშფოთება აშკარად უფრო მწვავედ იგრძნობოდა ისეთ ადგილებში, როგორებიცაა საფრანგეთი, ბელგია და ლუქსემბურგი, მაგრამ ტრადიციული „ატლანტისტური“ ქვეყნებიც კი, როგორიცაა

---

<sup>135</sup>U.S. Foreign Policy and Europe, 1990-2000 - <https://www.jstor.org/stable/20080172> (10.11.2022)

<sup>136</sup>Nato: Cornerstone of U.S. Foreign Policy - <https://www.jstor.org/stable/45313729> (10.11.2022)

ბრიტანეთი, გერმანია და ნიდერლანდები, სულ უფრო მეტად საუბრობენ ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებზე უნიპოლარობის გრძელვადიანი შედეგების გამო. ამის შედეგი იყო ის, რომ 1992 წლიდან ევროპულმა ქვეყნებმა დაიწყეს ფიქრი საერთო გაერთიანებულ „არმიაზე“ და საერთო უსაფრთხოების მართვის სისტემაზე, რადგან თავიანთ „ეზოში“ კრიზისების მოგვარების შესაძლებლობა უნდა გააჩნდეს ევროპის სახელმწიფოებს, ერთიანი კონსესუსით. ნეორეალიზმიდან გამომდინარე სწორედ ეს წარმოადგენს ევროპის უსაფრთხოების მთავარ ამოცანას და მიზანს სამომავლოდ.<sup>137</sup>

უნიპოლარული სისტემიდან განსხვავებით „მრავალპოლარული ევროპა“ წარმოადგენდა ძალაუფლების განსხვავებულ სტრუქტურას ევროპის კონტინენტზე, რამაც შესაძლებელი გახდა თანამშრომლობა და კონსესუსის მიღწევა უსაფრთხოების საკითხებში. უნიპოლარულ სისტემაში ძალაუფლება ასიმეტრიულად იყო განაწილებული რამდენიმე ევროპულ სახელმწიფოებს შორის, რომელიც ცნობილია „დაბალანსებული მრავალპოლარული სისტემა“. ევროპაში ნაპოლეონის ომების შემდგომ 18 საუკუნიდან ხასიათდებოდა „დაბალანსებული მრავალპოლარული სისტემით“, რომლის მთავარი შემოქმედი „ბრიტანეთის იმპერია“ გახლდათ. ბრიტანეთი ცდილობდა ევროპაში არ გამოკვეთილიყო ჰეგემონური სახელმწიფო და საფრანგეთს - პრუსიას (შემდეგ გერმანიას) ერთმანეთი დაებალანსებინათ, თუ დაბალანსებული სისტემის კონცეფცია დაირღვეოდა და ერთი ევროპული სახელმწიფო მოიპოვებდა გარკვეულ უპირატესობას, მაშინ შესაძლოა ომი დაწყებულიყო ჰეგემონისთვის, ზუსტად ასე მივიდა ევროპა პირველ მსოფლიო ომში. ცივის ომის პერიოდში ევროპის კონტინენტზე დაბრუნდა დაბალანსებული მრავალპო-

---

<sup>137</sup>The European Union's Common Foreign and Security Policy -

<https://www.exteriores.gob.es/en/PoliticaExterior/Paginas/PoliticaExteriorSeguridadComunUE.aspx> (10.11.2022)

ლარული სისტემა ხუთი დიდი სახელმწიფოს თაოსნობით: აშშ, სსრკ, გერმანია, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი.<sup>138</sup>

მიუხედავად აშშ-ს გლობალური ძლიერებისა, ევროპის კონტინენტს არ ახასიათებს „უნიპოლარულობა“. 1990 - იანი წლებიდან რუსეთი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბევრად დასუსტებულია და ახლა ცენტრალური ევროპისგან გამოყოფილია აღმოსავლეთ ევროპის დამოუკიდებელი სახელმწიფოების სარტყლით. გერმანია ევროპის კონტინენტზე ევროკავშირისთვის წარმოადგენს „ბირთვს“, რომელიც ეკონომიკურად და პოლიტიკურად ყველაზე სტაბილურია, გერმანიის სიძლიერე წარმოადგენს მთავარ იმპერატივს ევროკავშირის სამომავლო ინტეგრაციისთვის, მაგრამ მისი სიძლიერე საფრანგეთთან და ბრიტანეთთან შედარებით არ არის ისეთი გამოხატული, როგორც 1910 და 1938 წელს, იმჟამინდელი გერმანიის სიძლიერე მართლაც გამოკვეთილი იყო ევროპის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით. დღევანდელ მრავალპოლარულ დაბალანსებულ სისტემაში ევროპაში რეგიონალური ჰეგემონიისთვის რეალისტური განაცხადის გაკეთება არავის არ შეუძლია. აქედან გამომდინარე მათი სტრატეგიული ქცევა ხასიათდება უფრო უსაფრთხოების პრიორიტეტებიდან, ვიდრე ძალაუფლების მაქსიმიზაციიდან.<sup>139</sup>

უსაფრთხოების ინტენსიური კონკურენციის პირობები ევროპაში ზრდის თანამშრომლობის პერსპექტივებს წევრ სახელმწიფოებს შორის. თუ ევროპის კონტინენტისთვის „გარე საფრთხე“ არ არსებობს, მაშინ საერთო „არმიის“ და „სამხედრო შენაერთების“ შექმნა დღის წესრიგში არ დგას. მაგრამ თანამედროვე პერიოდში ევროპის „გარე საფრთხეებზე“ ნატოს ალიანსი რეაგირებს, აქედან გამომდინარე ჯერ დღის წესრიგში არ დგას საერთო ევროპული სამხედრო ძალის შექმნის აუცილებლობა. აქედან გამომდინარე ევროპის ქვეყნები ნელ-

---

<sup>138</sup>UNIPOLAR, BIPOLAR OR MULTIPOLAR INTERNATIONAL SYSTEM? THE DEFENSE INDUSTRY FACTOR - <https://dergipark.org.tr/tr/download/article-file/203498> (10.11.2022)

<sup>139</sup>The International Systems: Unipolarity, Bipolarity and Multipolarity - <https://www.bycardia.org/post/the-international-systems-unipolarity-bipolarity-and-multipolarity> (10.22.2022)

ნელა ამცირებდნენ პროფესიონალურ შეიარაღებულ ძალებს და მთლიანად სისტემა გადადიოდა თავდაცვის საექსპედიციო პროექციისკენ, რომელიც ინტეგრირებული იქნებოდა ალიანსთან ერთად.<sup>140</sup>

საბოლოოდ, გამოვიდა ისე, რომ მრავალპოლარულ ევროპაში უსაფრთხოებას ნატოს ალიანსი უზრუნველყოფს აშშ-ის ლიდერობით, რომელიც მნიშვნელოვანია დაბალანსებული მრავალპოლარული ევროპის სისტემისთვის. ევროპული სახელმწიფოების ეროვნული არმიები ახლა ნაკლებად არიან ორიენტირებული ეროვნული „გადარჩენისთვის ბრძოლისთვის“. მაღალი ინტენსივობის სრული სპექტრის საბრძოლველად მომზადების ნაცვლად და ახლა რესტრუქტურისაციას უწევენ სამხედრო კრიზისების მართვას, სამშვიდობო ოპერაციების და ჰუმანიტარულ ინტერვენციები მიზნით.<sup>141</sup>

ამრიგად, ნეორეალიზმის აზრით, ევროპის საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის არსებობდა და წარმოება შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ერთიანი პასუხი „მრავალპოლარულ“ სისტემაზე. როგორც რეალიზმი ვარაუდობს, უსაფრთხოების პროცესი წარიმართება „დიდი სამეულის“ (საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი) მიერ და დარჩება მტკიცედ მთავრობათაშორისო. ხოლო ევროკავშირის საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა წარმოადგენს კოალიციური დიპლომატიას სამხედრო კრიზისების მართვის დროს. იგი ადგენს ინსტიტუციურ და პროცედურულ ჩარჩოს უსაფრთხოების შეზღუდული თანამშრომლობისთვის, რათა ერთობლივად ჩამოყალიბდეს ევროკავშირის საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა. ამრიგად ევროკავშირის საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა (CSDP) წარმოადგენს ევროკავშირის პასუხს ბალკანეთის კონფლიქტის მოგვარების წარუმატებლობებზე.<sup>142</sup>

---

<sup>140</sup>Xymena Kurowska, *Explaining the EU's Common Security and Defence Policy Theory in Action* (PALGRAVE MACMILLAN, 2012), 16-41.

<sup>141</sup>ოქვე,

<sup>142</sup>Neorealism: A Structural Approach to CSDP -

[https://link.springer.com/chapter/10.1057/9780230355729\\_2](https://link.springer.com/chapter/10.1057/9780230355729_2) (10.21.2022)



მიუხედავად იმისა, რომ სტრუქტურული და ნეორეალიზმი არ აყალიბებს გარკვეულ პროგნოზირებას საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში მისი სიღრმისეული თეორიული ანალიზი მაინც გვთავაზობს ძალაუფლების გლობალური და რეგიონული სტრუქტურული განაწილების ფართო დასკვნებს ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის თანამშრომლობის მომავლის შესახებ. უპირველეს ყოვლისა, სტრუქტურული რეალიზმი ვარაუდობს, რომ ევროპის დიდი სახელმწიფოები გააგრძელებენ საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვას და მის „ატანას“ ევროკავშირის შიდა ინსტიტუციონალურ დონეზე, შესაბამისად საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა (CSDP) მიზანმიმართულად დარჩება მტკიცედ მთავრობათაშორისი. მეორე, თუ ევროკავშირს სურს მის სამეზობლო რეგიონში გაზარდოს საკუთარი როლი უნდა მოახერხოს წევრი სახელმწიფოების ინტერესების შეჯამება და „საერთო მიზნის“ ჩამოყალიბება, რის შემდგომაც უსაფრთხოების პოლიტიკა უფრო ორგანიზებული და გამართული იქნება.<sup>143</sup>

## მთავრობათაშორისი, ტრანსნაციონალიზმი და ტრანსსახელმწიფოებრივი ურთიერთობები

მუდმივმოქმედი სახელმწიფოთაშორისი გაერთიანებები, რომლებიც იქმნება მთავრობებს შორის ამა თუ იმ სფეროში თანამშრომლობის, მათი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, ასეთი ორგანიზაციების შესაქმნელად აუცილებელია, რომ, სულ ცოტა, სამმა სახელმწიფომ შეიმუშაოს საერთაშორისო შეთანხმების დამფუძნებელი აქტი (წესდება, სტატუტი თუ სხვ.). მსო საერთაშორისო სამართლის სუბიექტები არიან. მათი აუცილებელი კომპონენტია მუდმივმოქმედი ორგანოს არსებობა. მსო–ს მიერ მიღებული გადაწყვეტილების

---

<sup>143</sup>CSDP: the strategic perspective - <https://www.egmontinstitute.be/csdp-the-strategic-perspective/> (10.21.2022)



იურიდიული ძალა განსაზღვრულია ორგანიზაციის დამფუძნებელი აქტით, რომელიც, თავის მხრივ, თანამედროვე საერთაშორისო სამართალს ემყარება (იხ.საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები). მსო სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით დაყოფილია სამ კატეგორიად, ესენია: 1) წევრთა რაოდენობის მიხედვით – ზოგადი (გაერო), რეგიონული (ევროკავშირი) და ლოკალური; 2) კომპეტენციის მიხედვით – უნივერსალური (გაერო) და სპეციალური (გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებები); 3) გადაწყვეტილების მიღების პროცედურის მიხედვით – სუვერენული თანასწორობის პრინციპზე დამყარებული და „წონადი ხმის“ მიცემის (მაგ., საერთაშორისო სავალუტო ფონდი) პრინციპზე დამყარებული. ევროკავშირიც სწორედ მთავრობათშორის (Intergovernmentalism) ორგანიზაციად აღიქმება.<sup>144</sup>

მთავრობათშორის თანამშრომლობის ბუნება შექმნის დღიდან დიდი დებატების საგანი იყო საერთაშორისო ურთიერთობების დებატების ცენტრში. საერთაშორისო ურთიერთობების ყველა თეორია აგებულია იმ დაშვებაზე, რომ სახელმწიფოს ყველა პოლიტიკური ინსტიტუტი და აქტორი ახორციელებს ადმინისტრულელებელი ხელისუფლების მიერ გაცემულ დირექტივებს და რეკომენდაციებს, მაგრამ მთავრობათშორის თეორიაში არსებული პოლიტიკური სისტემა განსხვავებულია. ევროპული უსაფრთხოების თანამშრომლობის შესახებ დისკუსიაში ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, რომ მთავრობათშორის თეორიაში „ეროვნულ ინტერესებს“ ეგზოგენურად აღიქვამენ. ეგზოგენურად მოცემული პრეფერენციები კი იყო მთავარი აქცენტი საერთაშორისო პოლიტიკაში თანამშრომლობის, უთანხმოების ან კონფლიქტის პოტენციალის შეფასებისას. მეცნიერები, რომლებიც სწავლობენ საერთაშორისო თანამშრომლობას, ხშირად არ განასხვავებენ სახელმწიფოს, ეროვნულ მთავრობებს, ბიუროკრატებსა და ადგილობრივ საარჩევნო ოლქებს. „ეროვნული ინტერესის“ ფორმულირება, არტიკულაცია და განხორციელება არ განიხილება, როგორც, შესაძლოა,

---

<sup>144</sup>მთავრობათშორისი ურთიერთობები - <http://dictionary.css.ge/content/intergovernmental-relations-igr> (10.11.2022)

განსხვავებული პროცესები - არც შიდა და არც საერთაშორისო დონეზე.<sup>145</sup>

ისინი პრეფერენციების ამ გაგებას სამყაროს ჰობსისეული შეხედულებიდან იღებენ, რომელიც ეფუძნება ადამიანის ბუნების პესიმისტურ გაგებას. შედეგად, საერთაშორისო თანამშრომლობა იშვიათი და დროებითია. ნეოლიბერალური ინსტიტუციონალისტები ამტკიცებენ, რომ სახელმწიფოს პრეფერენციები კეთილდღეობაზე და ეკონომიკურ შემოსავლებზეა დაფუძნებული. ეს წარმოდგენა გამომდინარეობს თანამშრომლობის კანტისა და ლოკესისეული გაგებიდან. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო თანამშრომლობა მაშინ არის წარმატებული, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური და პოლიტიკური ეფექტურობის მაქსიმალური შედეგების მიღწევა. ევროპელი მკვლევარები ასევე ყურადღებას ამახვილებენ ევროკავშირის სხვადასხვა პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და მათ მნიშვნელობაზე, რაც კონკრეტულად ეროვნულ და ევროკავშირის პოლიტიკებს შორის ურთიერთ-მიმართების ახსნის საშუალებას იძლევა.<sup>146</sup>

ინტერგავერნმენტალიზმის პარადიგმები ათწლეულების განმავლობაში ნელ-ნელა უფრო დაიხვეწა. მეცნიერები ასევე ექვექვემ აყენებენ ტრადიციულ ონთოლოგიურ ვარაუდებს. სახელმწიფოზე ფოკუსირების ნაცვლად მათ დაიწყეს გადაწყვეტილების მიმღებთა და ინდივიდების მცირე ჯგუფების შესწავლა.<sup>147</sup>

საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკის კოორდინაციისა და თანამშრომ-ლობის სამი გამორჩეული მიმართულება არსებობს: მთავრობათაშორისი (ინტერგავერნ-მენტალიზმი), ტრანსნაციონა-

---

<sup>145</sup>Xymena Kurowska, *Explaining the EU's Common Security and Defence Policy Theory in Action* (PALGRAVE MACMILLAN, 2012), 55-70

<sup>146</sup>იქვე, 58.

<sup>147</sup>Michael E. Smith, *The New Intergovernmentalism and Experiential Learning in the Common Security and Defence Policy*(London, 2015), 110-128.

ლიზმი (ტრანსნაციონალისტური) და ტრანსსახელმწიფოებრივი (ტრანსგავერნ-მენტალიზმი) ურთიერთობები.<sup>148</sup>

მთავრობათაშორისი ურთიერთობა სახელმწიფოს წარმოაჩენს, როგორც უნიტარულ აქტორს, ხოლო ტრანსნაციონალიზმი და ტრანსსახელმწიფოებრიობა აგებულია იმ დაშვებაზე, რომ, სახელმწიფოს პოლიტიკური ინსტიტუტების შესწავლის გარდა, ასევე აუცილებელია სხვა აქტორების (მოთამაშეების) შესწავლა და ანალიზი. დეტალურად ავხსნით სამივე თეორიული ჩარჩოს თანამშრომლობის ასპექტებს და მიმართულებებს. გარკვეული შეხედულებების ჩამოყალიბების შემდგომ, მნიშვნელოვანია ზემოხსენებული სამი თეორიული ჩარჩოს დაკავშირება ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაზე, რომელიც შეეცდება დაგვანახოს, თუ როგორ ხსნის მთავრობათაშორისი, ტრანსნაციონალიზმი და ტრანსსახელმწიფოებრივი ურთიერთობები ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკას.<sup>149</sup>

სახელმწიფო და მთავრობა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში წარმოადგენს ერთ უნიტარულ აქტორს. სახელმწიფოები საერთაშორისო ურთიერთობებში წარმოადგენენ მთავარ „მოთამაშეებს“ და აყალიბებენ გარკვეულ პრეფერენციებს თავის საერთაშორისო კოლეგებთან ერთად. საერთაშორისო დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები სრულდება ეროვნულ დონეზე მთავრობის მუშაობის შედეგად. ევროკავშირში მთავრობათაშორისი (ინტერგავერნმენტალიზმი) ურთიერთობები ფოკუსირებულია ევროკავშირის ძირითად წევრ ქვეყნებზე, როგორცაა გერმანია, საფრანგეთი, პოლონეთი, ესპანეთი და იტალია. აქედან გამომდინარე, ევროკავშირში უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება შეუძლებელია ამ სახელმწიფოების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო გაგებულია, როგორც უნიტარული და სუვერენული, საერთაშორისო

---

<sup>148</sup>იქვე.

<sup>149</sup>The EU's New Defence Policy – Beyond the Distinction Supranational / Intergovernmental - <https://verfassungsblog.de/the-eus-new-defence-policy-beyond-the-distinction-of-supranational-and-intergovernmental/> (10.21.2022)

ორგანიზაციები განიხილება როგორც თანამშრომლობის ფასილიტატორები. სახელმწიფოები მანამდე ინარჩუნებენ საერთაშორისო ორგანიზაციებს, სანამ ისინი ასრულებენ წევრი სახელმწიფოების ინტერესებს, თანამშრომლობის ამ რეჟიმის მიხედვით ინტეგრაციის მთავარი გენერატორი სამთავრობათშორისო თანამშრომლობაა.<sup>150</sup>

ტრანსნაციონალურ ურთიერთობებში მნიშვნელოვანია უშუალოდ სოციალური ჯგუფების და „აქტორების“ შესწავლა, რომლებიც კოორდინაციას და თანამშრომლობას ამყარებენ საერთაშორისო დონეზე. ტრანსნაციონალიზმში ასევე ჩართულნი არიან კერძო არასახელმწიფო აქტორები, მრავალეროვნული კორპორაციები (MNC) და არასამთავრობო ორგანიზაციები (NGO), რომლებიც გავლენას ახდენენ ეროვნულ მთავრობებზე და საერთაშორისო ორგანიზაციებზე. ამგვარი თანამშრომლობის მოდელი, რომელიც წარმოიშვება ტრანსნაციონალურ ურთიერთობებში, დიდ გავლენას ახდენენ ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებაში, რადგან ეკონომიკური და პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც ჩართულნი არიან ტრანსნაციონალურ „გაცვლებში“, ლობირებენ თავიანთ მთავრობებს გარკვეული საკითხების ჩამოყალიბებასა და გადაწყვეტილების მიღებაში. ევროკავშირის ინტეგრაციის ერთ-ერთ მთავარ კატალიზატორს სწორედ ტრანსნაციონალური ურთიერთობები და თანამშრომლობა წარმოადგენს. ტრანსნაციონალური შეხედულება ასევე ფოკუსირებულია ზენაციონალურ აქტორებზე. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს (ECJ) ან ევროკომისიას ავტორები აღიქვამენ, როგორც ტრანსნაციონალური თანამშრომლობის მთავარ შედეგებს ევროკავშირის შიგნით, რაც იწვევს ურთიერთობის გაღრმავებას. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოები კვლავ რჩებიან ძლევამოსილ აქტორებად საერთაშორისო სისტემაში, მათ ყოველთვის არ შეუძლიათ გარკვეული გავლენის და ზემოქმედების მოხდენა

---

<sup>150</sup>Why the EU's common foreign and security policy will remain intergovernmental: A rationalist institutional choice analysis of European crisis management policy - [https://www.researchgate.net/publication/233591948\\_Why\\_the\\_EU's\\_common\\_foreign\\_and\\_security\\_policy\\_will\\_remain\\_intergovernmental\\_A\\_rationalist\\_institutional\\_choice\\_analysis\\_of\\_European\\_crisis\\_management\\_policy](https://www.researchgate.net/publication/233591948_Why_the_EU's_common_foreign_and_security_policy_will_remain_intergovernmental_A_rationalist_institutional_choice_analysis_of_European_crisis_management_policy) (10.26.2022)

სხვადასხვა პოლიტიკურ და ეკონომიკურ აქტორებზე, რომლებიც ასევე ფლობენ იურიდიულ და პოლიტიკურ ძალაუფლებას.<sup>151</sup>

ტრანსსახელმწიფოებრივი თანამშრომლობის ფორმა ფუნქციურად განსხვავდება მთავრობათაშორისი და ტრანსნაციონალიზმისგან. ტრანსსახელმწიფოებრივი ურთიერთობები ძირითადად ეხება სახელმწიფოების გავლენას გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე და მის ფორმირებაზე. იგი ასევე გულისხმობს თანამშრომლობას სახელმწიფოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოქმედ სხვადასხვა კაბინეტს შორის, რომლებიც ურთიერთქმედებენ ფორმალური ეროვნული იერარქიის ქვეშ ფუნქციონალური ხაზების გასწვრივ, ისინი პასუხისმგებლები არიან პოლიტიკის შედეგებზე. ტრანსსახელმწიფოებრივი მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახელმწიფოების „ბიუროკრატების“ ურთიერთობების ხელშეწყობა და განვითარება. აქედან გამომდინარე, ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის შემუშავებაში და განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი აქვს „ბრიუსელში“ მყოფ ბიუროკრატებს, რომელიც პასუხისმგებელი არიან პოლიტიკის დღის წესრიგის შექმნაზე.<sup>152</sup>

საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (CSDP) ხორციელდება ევროკავშირის მიერ, საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (CFSP) ფარგლებში. მთავრობათაშორისი შეხედულებით, საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (CSDP) საკმაოდ იზოლირებულია ევროკავშირის ინსტიტუციური სტრუქტურიდან, რადგან წევრი ქვეყნები კვლავ „მთავარი მოთამაშეები“ არიან. ტრანსსახელმწიფოებრივი თეორიული ტრადიცია ყურადღებას ამახვილებს „ბრიუსელში“ არსებულ ევროკავშირის პოლიტიკურ ინსტიტუტებზე და ბიუროკრატიაზე, რომელიც აყალიბებს ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკას. აქედან

---

<sup>151</sup>International and Transnational Relations of the EU -

<https://www.eui.eu/DepartmentsAndCentres/RobertSchumanCentre/Research/InternationalTransnationalRelations> (10.23.2022)

<sup>152</sup>Transgovernmental networks in European security and defence policy -

<https://cadmus.eui.eu/handle/1814/40041> (10.25.2022)

გამომდინარე, გამოიკვეთა ორი თეორიული მიმართულება: 1) მთავრობათაშორისი (ინტერგავერნმენტალიზმი) შეხედულებით, ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბებაში და განხორციელებაში მთავარ როლს სახელმწიფოები ასრულებან; 2) ტრანსსახელმწიფოებრივი თანახმად, ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანია ასევე „ბრიუსელისა“ და ევროკავშირის პოლიტიკური ინსტიტუტების პოზიციები. ახლა კი, მნიშვნელოვანია დეტალურად განვიხილოთ, თუ როგორ ხსნის ევროკავშირის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკას მთავრობათაშორისი (ინტერგავერნმენტალიზმი) და ტრანსგავერნმენტალიზმი (ტრანსსახელმწიფოებრივი).<sup>153</sup>

ინტერგავერნმენტალიზმს თავისებურად ხსნიან როგორც რეალიზმის, ასევე ლიბერალიზმის თეორიიდან გამომდინარე. რეალიზმის თეორიის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა შეიქმნა „უსაფრთხოების დაბალანსების“ შედეგად, რომელიც წარმოადგენს ეროვნული მთავრობების პრეფერენციების ინსტრუმენტს. რეალიზმის თანახმად, „დაბალანსება“ განიმარტება როგორც დიდი სახელმწიფოების (რუსეთი, ჩინეთი) პოლიტიკური ძალისა და ეკონომიკური შესაძლებლობების შეზღუდული ან არაპირდაპირი დაბალანსების სტრატეგიების განხორციელება. ინტერგავერნმენტალიზმის თანახმად, საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა წარმოადგენს სახელმწიფოების აღმასრულებლების ინსტრუმენტს. სახელმწიფოს მთავრობის წარმომადგენლები და ბიუროკრატები, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულნი არიან თავიანთ ეროვნულ ადმინისტრაციასთან და მიჰყვებიან იმ ხაზს, რომელიც მათ გადაეცათ აღმასრულებელი ხელისუფლებისგან. ლისაბონის ხელშეკრულების რატიფიკაციამდე კი, როდესაც როტაციული თავმჯდომარეები ადგენდნენ CSDP-ის პრიორიტეტებს და მათი სამუშაო პროგრამები ძირითადად ყალიბდებოდა ეროვნულ დედაქალაქებში, მათი

---

<sup>153</sup>The Common Security and Defence Policy and IR Theory - <https://www.e-ir.info/2013/08/20/the-common-security-and-defence-policy-and-ir-theory/> (10.24.2022)



განხორციელება ასევე დამოკიდებული იყო სხვა საერთაშორისო ზესახელმწიფოებრივ კოლეგებთან კოორდინაციაზე.<sup>154</sup>

ტრანსგავერნმენტალიზმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ და იერარქიულ სოციალურ-პოლიტიკურ სივრცეს, სადაც სახელმწიფო აქტორები სხვადასხვა ქვეყნებიდან აკვირდებიან ერთმანეთს და ბიუროკრატების დახმარებით ქმნიან უსაფრთხოების პოლიტიკას.<sup>155</sup>

ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკას ტრანსგავერნმენტალიზმი ხსნის როგორც თანამშრომლობის დომინანტურ „რეჟიმს“, რომელიც კონცენტრირებულია ბრიუსელში დაფუძნებულ ევროკავშირის პოლიტიკურ ინსტიტუტებზე - „პოლიტიკის და უსაფრთხოების კომიტეტზე (PSC) და საბჭოში მოქმედ „კორეპერზე“. კორეპერის ფუნქცია საბჭოში ყოველდღიური ტექნიკური საკითხების მართვა და იურისდიქციის განკარგვაა. პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტის მანდატი უფრო ვიწროა და ფოკუსირებულია ექსკლუზიურად საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის საკითხებზე, რომელშიც წარმოდგენილი არიან წევრი სახელმწიფოების დიპლომატები და პოლიტიკოსები. მიუხედავად იმისა, რომ საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის საკითხებზე გადაწყვეტილებები ოფიციალურად მიიღწევა საგარეო საქმეთა საბჭოში, ქვედა დონეზე ბიუროკრატის მოგვარებას და კოორდინაციას ხელს უწყობს პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტი.<sup>156</sup>

კორეპერ II-ს და პოლიტიკის და უსაფრთხოების კომიტეტს შეუძლიათ გამოაცხადონ მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული პოლიტიკური შედეგები, როგორც ე.წ „ა“ პუნქტი, რაც იმას, ნიშნავს, რომ

---

<sup>154</sup>Xymena Kurowska, *Explaining the EU's Common Security and Defence Policy Theory in Action* (PALGRAVE MACMILLAN, 2012), 55-70

<sup>155</sup>Rules, Transgovernmentalism, and the Expansion of European Political Cooperation - <https://academic.oup.com/book/36100/chapter-abstract/313571204/redirectedFrom=fulltext> (10.22.2022)

<sup>156</sup>The necessity of protection: Transgovernmental networks and EU security governance - <https://www.jstor.org/stable/45084611> (10.21.2022)



მიღწეული მრავალმხრივი შეთანხმება არ საჭიროებს ხელახლა გადახედვას. მაგრამ არის საკითხები, სადაც ბიუროკრატიებისთვის კონსენსუსის მიღწევა საკმაოდ რთულია და, აქედან გამომდინარე, საქმეში დებატებისთვის ერთგებიან საბჭოები. სწორედ მაშინ მოლაპარაკებებში, თავიანთი ეროვნული უსაფრთხოების პრეფერენციების საფუძველზე, ერევიან ეროვნული აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები.<sup>157</sup> ლისაბონის ხელშეკრულების რატიფიკაციამდე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განხორციელების პროცესს, ძირითადად, ზედამხედველობას უწევდა როტაციული თავჯდომარე საბჭოს სამდივნოსთან ერთად, ხოლო ლისაბონის ხელშეკრულების რატიფიცირების შემდეგ საქმეში ჩაერთო უკვე ევროპის საგარეო სამოქმედო სამსახური, რომელიც უკვე ხსნის ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ სივრცეს, სადაც ბიუროკრატებს, როგორცაა „ელჩები“, შეუძლიათ გააფართოვონ „ბრიუსელის“ ავტონომია, რომელიც მინიჭებული აქვთ წევრი სახელმწიფოების მთავრობებისგან. როდესაც შემდეგ ნაწილებში ჩვენ განვიხილავთ ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის პოლიტიკურ სისტემას და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმებს, იქ უფრო დეტალურად განვიხილავთ გარკვეულ პროცესებს, როგორც გადაწყვეტილების მიღების მექანიზმებს, ასევე ინსტიტუციონალურ ჩარჩოს.<sup>158</sup>

ევროპაში მკვლევარები და მეცნიერები ხშირად სვამენ კითხვას, თუ რა არის მნიშვნელოვანი ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შექმნაში და მის განხორციელებაში. მკვლევართა გარკვეული ჯგუფი ყურადღებას ამახვილებს „აქტორებსა“ და მექანიზმებზე, ხოლო მეორე ნაწილი ჯუნკოსი, რეინოლდსი და მაიერი ძირითადად ფოკუსირებულია უსაფრთხოების პოლიტიკის კომიტეტზე და კორეპერ II-ზე, ასევე ეროვნულ სამინისტროებსა და

---

<sup>157</sup>Coreper, committees and working parties - <https://www.cvce.eu/en/education/unit-content/-/unit/d5906df5-4f83-4603-85f7-0cabc24b9fe1/4cc5e4e2-5667-4820-8b93-2821ad42fe56> (10.22.2022)

<sup>158</sup>Coreper - <https://eur-lex.europa.eu/EN/legal-content/glossary/coreper.html> (10.21.2022)

ბრიუსელში არსებულ ევროკავშირის პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის ურთიერთკავშირზე.

## კონსტრუქტივისტული მიდგომა და „ბრიუსელიზაცია“

კონსტრუქტივიზმი ფოკუსირებას ახდენს ადამიანის შემეცნებაზე და მის ადგილზე მსოფლიო პოლიტიკაში. კონსტრუქტივისტები ამბობენ, რომ, არ არსებობს გარეგანი, ობიექტური სოციალური რეალობა, როგორც ასეთი. სოციალური და პოლიტიკური სამყარო არ არის ფიზიკური არსება ან მატერიალური საგანი, რომელიც არსებობს ადამიანური შემეცნების გარეთ. ისინი ამბობენ, რომ საერთაშორისო სისტემა არ არის რაღაც სივრცეში არსებული, როგორც, მაგალითად მზის სისტემა. ის არ არსებობს თავისთავად. ის არსებობს მხოლოდ ხალხთა ინტერდისციპლინური გაგების/შემეცნების საფუძველზე. კონსტრუქტივისტები ამბობენ, რომ საერთაშორისო პოლიტიკა არის ადამიანური ქმნილება, მაგრამ არა ფიზიკური და მატერიალური, არამედ წმინდა ინტელექტუალური და იდეური. საერთაშორისო სისტემა, მათი თქმით, არის იდეათა კონა, გარკვეული ნააზრევი, ნორმათა სისტემები, რომლებიც მოწესრიგებულ იქნა გარკვეული ხალხის მიერ გარკვეულ დროში და გარკვეულ ადგილას. აქედან, ლოგიკური დასკვნა არის ის, რომ, თუ ფიქრები და იდეები, რომლებიც შეადგენენ საერთაშორისო სისტემას, შეიცვლებიან, მაშინ შეიცვლება თვითონ სისტემაც. ეს ხდება იმიტომ, რომ სისტემა არსებობს ნააზრევში და იდეებში.<sup>159</sup>

კონსტრუქტივიზმს ზოგჯერ უწოდებენ ახალ მიდგომასაც, (approach) მაგრამ, სინამდვილეში, ასეთი მეთოდოლოგია ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან არის შემონახული. იტალიელი ფილოსოფოსი ჯამბა-ტისტ ავიკო ამტკიცებდა, რომ ბუნებრივი სამყარო ღმერთის

---

<sup>159</sup>Xymena Kurowska, *Explaining the EU's Common Security and Defence Policy Theory in Action* (PALGRAVE MACMILLAN, 2012), 86-111.

შექმნილია, მაგრამ ისტორიული სამყარო კაცის ქმნილებაა. ისტორია არ არის თვითქმნიადი პროცესი, იგი შექმნილია კაცებისა და ქალების მიერ. ისინი ასევე ქმნიან სახელმწიფოებს, რომლებიც რეალურად წარმოადგენენ ისტორიულ კონსტრუქციებს. სახელმწიფოები წარმოადგენენ ხელოვნურ ქმნილებებს და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფოთა სისტემაც ხელოვნურია. კონსტრუქტივიზმის ძირითადი მიდგომა საერთაშორისო ურთიერთობებისადმი შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად: 1. ადამიანური ურთიერთობები, საერთაშორისო ურთიერთობების ჩათვლით, შედგება ძირითადად იდეებისა და აზრებისაგან და არამატერიალური მდგომარეობის ან ძალისაგან; 2. ძირითადი იდეური ელემენტები, რომლებსაც კონსტრუქტივისტები ეყრდნობიან, არის ის რწმენები (იდეები, კონცეფციები, მოსაზრებები), რომლებიც ფართოდ არის გაზიარებული ხალხის მიერ; 3. ეს საერთო რწმენები (ბელიეფს) გამოხატავენ ხალხის ინტერესებს და იდენტურობას; 4. კონსტრუქტივისტები შეისწავლიან იმ გზებს, რომლის მეშვეობითაც ყალიბდება და გამოიხატება ურთიერთობები.<sup>160</sup>

ევროპის უსაფრთხოების კონტექსტში კონსტრუქტივიზმის შესწავლა მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ეს მიდგომა ხსნის, თუ როგორ მიაღწია წარმატებას ამ პოლიტიკურმა პროექტმა (საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა) დღევანდელ პოლიტიკურ რეალობაში \_ წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე. კონსტრუქტივიზმის მიხედვით, უსაფრთხოების პოლიტიკა უნდა იყოს „პოლიტიკის მიზნები“, რომლებიც განსხვავდებიან სხვებისგან, ასევე იგი უნდა განისაზღვრებოდეს რაც შეიძლება მკაფიოდ \_ კონტექსტიდან გამომდინარე. უსაფრთხოების პოლიტიკა წარმოადგენს ერთგვარ ფენომენს, რომელიც რეალობაში ხორციელდება და გავლენა აქვს როგორც სახელმწიფოზე, ასევე საზოგადოების დიდ ნაწილზე. არ უნდა ვივარაუდოთ, რომ ის გამომდინარეობს ლოგიკიდან, რომელსაც კოლექტივი ახორციელებს თავისი კოლექტიური მიზნების მისაღწევად. ამრიგად, კონსტრუქტივიზმის მთავარი მახასიათებელია

---

<sup>160</sup> იქვე, 88.

იმის შესწავლა, თუ როგორ ყალიბდება უსაფრთხოების პოლიტიკა და მისი მართვის სფერო, რომელიც გამოიყენება რეალურ პრაქტიკაში.<sup>161</sup>

ქვემოთ მოყვანილი საკითხები გვაწვდიან მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ ასახავს თანმიმდევრულად კონსტრუქტივისტული პერსპექტივა უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმირების პროცესს. პირველი საკითხი განიხილავს საერთაშორისო ურთიერთობების როლს უსაფრთხოების სფეროში, სადაც ევროკავშირი და გაერო ერთად არიან წარმოდგენილნი. კონსტრუქტივისტული პერსპექტივა აქ იძლევა ამ პროცესის ენდოგენური დინამიკის დანახვის საშუალებას. მეორე საკითხი ასახავს უსაფრთხოების პოლიტიკის პოლიტიკურ წყობას და იმ (ინსტიტუციონალური) აქტორების მნიშვნელობას, რომლებიც სხვადასხვა ხარისხით ახორციელებენ. კონსტრუქტივისტული ანალიზი კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს გამოყოფს ევროკავშირის, როგორც მილიტარიზებული სამოქალაქო ძალაუფლებისა და მულტილატერალური ინსტიტუტის ცნებას შორის დაპირისპირებას, რომელიც, სავარაუდოდ, სცილდება ჩვეულ ძალაუფლების პოლიტიკას და ხაზს უსვამს პოლიტიკის პროცესში თანდაყოლილი სხვადასხვა ჩარჩოების საკითხს და იდენტობების სადავო ხასიათს. მესამე საკითხი მეტყველებს თანმიმდევრული კონსტრუქტივისტული აღქმის ბირთვზე, სადაც დაკვირვების სუბიექტი და ობიექტი არ შეიძლება განცალკევდეს.<sup>162</sup>

საერთაშორისო პოლიტიკა და უსაფრთხოების პოლიტიკა, არსებითად, არის დაპირისპირების თეატრი, ბრძოლა ინტერესთა საკითხებზე, რომელსაც აწარმოებენ აქტორები (სახელმწიფოები). ასევე არსებობს მოსაზრება, რომ პოსტ-ვესტფალიური წესრიგია აქტორების საერთაშორისო როლი უშუალოდ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აყალიბებს ის საკუთარ შესაძლებლობებს და მიზნებს პოსტმოდერნული სახელმწიფოების მიმართ. ეს პროცესი

---

<sup>161</sup>Why is a Moderate Constructivist Approach Necessary to Analyse Europeanization of Foreign, Security and Defence Policies? - <https://open.metu.edu.tr/handle/11511/71188> (10.11.2022)

<sup>162</sup>კონსტრუქტივიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში - <https://cu.edu.ge/files/gallery/CSG/2021/> (10.22.2022)

ძალზედ წააგავს ინდივიდისთვის იდენტობის არჩევის დილემას. ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკამ საერთაშორისო ურთიერთობებში გამოიწვია კრიზისების მართვის ხელახალი განსაზღვრა, რომელიც ჩართულია ევროკავშირი-გაერო-აშშ-ის სამკუთხედში არსებული ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე.<sup>163</sup>

მულტილატერალიზმისკენ სწრაფვა და პარტნიორობის დამყარების მოთხოვნა ყოველთვის წარმოადგენდა ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის მთავარ საფუძველს. მულტილატერალიზმი უნდა განვიხილოთ როგორც ორგანიზაციული ფორმა, რომელიც აკავშირებს კონტექსტუალურ პრაქტიკას და, ძირითადად, ფოკუსირებულია პრაგმატულ სარგებლიანობაზე. ევროპული უსაფრთხოების თვალთახედვით, ევროკავშირი-გაერო-აშშ ტრიადას შეგვიძლია შევხედოთ, როგორც უსაფრთხოების სტრატეგიულ მიზნებსა და საშუალებებს, როგორც „საერთაშორისო წესრიგის ხელშეწყობას, ეფექტურ მულტილატერალიზმზე“. ასევე, მნიშვნელოვანია იმის გამოყოფა, რომ ევროპისთვის მულტილატერალიზმს და კანონის უზენაესობას აქვს შინაგანი ღირებულება. მულტილატერალიზმი, რომელსაც ევროკავშირი უჭერს მხარს და რომელიც გარკვეულწილად თანდაყოლილია მის მშენებლობაში, უფრო მეტია, ვიდრე სუსტ სახელმწიფოთა თავშესაფარი. იგი გლობალურ დონეზე განასახიერებს დემოკრატიისა და საზოგადოების იდეებს, რომლებსაც ყველა ცივილიზებული სახელმწიფო იცავს შიდა დონეზე.<sup>164</sup>

ეფექტური მულტილატერალიზმი მოითხოვს ევროკავშირისთვის გაეროსთან მნიშვნელოვან და თანმიმდევრულ კომუნიკაციას კრიზისული ოპერაციებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში. გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება ასახავს

---

<sup>163</sup> კონსტრუქტივიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში - <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=10373> (10.22.2022)

<sup>164</sup> A renewed multilateralism fit for the 21st century: the EU's agenda - [https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip\\_21\\_622](https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip_21_622) (10.25.2022)

ევროკავშირის შესაძლო წვლილს უსაფრთხოების სისტემის გაგებაში, რომელსაც გაერო ახორციელებს, როგორც ევროპის კონტინენტზე, ასევე მის სამეზობლო რეგიონებშიც. უპირველეს ყოვლისა, ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანია გაეროსთვის დახმარების გაწევა ევროპის კონტინენტზე და მსოფლიოს „ცხელ წერტილებში“ მშვიდობის შესანარჩუნებლად. მეორე: ევროკავშირს შეუძლია იმუშაოს საერთაშორისო ნორმების დასაცავად და ღირებულებების გასავრცელებლად გაეროსთან ერთად. აქ ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანია მისი სამეზობლო რეგიონი, რადგან უსაფრთხო სამეზობლო არე უზრუნველყოფს ევროკავშირის უსაფრთხოებას. აქედან გამომდინარე, გაერო მიესალმება ევროკავშირს – ერთ-ერთ მოკავშირეს საერთაშორისო ურთიერთობების მრავალმხრივ განვითარებაში. გაეროსთან ძალების გაერთიანება გლობალური ფასეულობების დაცვაში იწვევს „სიკეთის და უსაფრთხოების“ გავრცელებას მის ძლიერ პარტნიორთან – აშშ-სთან ერთად.<sup>165</sup>

გარკვეულწილად ევროკავშირსა და გაეროს შორის ურთიერთობა განსხვავებულია. პირველი: ევროკავშირი თანამედროვე პოლიტიკურ რეალობაში უკვე ადგენს დღის წესრიგს და განსაზღვრავს ურთიერთობის პირობებს. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, თუ რა სურს გაეროს ევროკავშირისგან და რისი შეთავაზება შეუძლია ევროკავშირს გაეროსთვის; მეორე: არსებობს მოსაზრება, რომ ევროკავშირის მიზანია – განსხვავდებოდეს გაეროსგან, როგორც ტრადიციულ საერთაშორისო ორგანიზაციისგან; ევროკავშირის სურს იპოვნოს საკუთარი „ნიშა“ საერთაშორისო უსაფრთხოების პოლიტიკაში. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირი მხარს უჭერს გაეროს, როგორც ეფექტურ მულტილატერალიზმის წარმომადგენელს, იგი ასევე მხარს უჭერს უშიშროების საბჭოს პრიმატის პრინციპს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და ცდილობს, წვლილი შეიტანოს კრიზისების

---

<sup>165</sup>Multilateralism today: What Role for the European Union in the Field of Peace and Security? - <https://cris.unu.edu/multilateralism-today-what-role-european-union-field-peace-and-security> (10.25.2022)

მართვაში – გაეროს წესდების შესაბამისად ევროკავშირის ამ დამოკიდებულებისა გაეროს მიმართ, აუცილებელი არ არის კავშირმა გაიზიაროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები. მაგალითად, ევროკავშირმა გაეროს რეზოლუციის გარეშე დაიწო უსაფრთხოების ოპერაციები. სწორედ აქ იკვეთება ურთიერთობაში დუალიზმის პრიმატი, სადაც ევროკავშირი გამოთქვამს საკუთარი პრინციპების დაცვის და განხორციელების პრეტენზიას. ფაქტობრივად, ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა გაეროს რეპუტაციის მთავარი მხსნელი გახდა თანამედროვე პერიოდში და მისი დეკლარაციული პოლიტიკის მომხრედ მოგვევლინა. ამავე დროს ევროკავშირი ცდილობს საკუთარი ნიშაც შეინარჩუნოს.<sup>166</sup>

გაეროსგან განსხვავებით, ევროკავშირის ურთიერთობა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) მიმართ, ძალზე განსხვავდება. აქ ევროკავშირისთვის მთავარ მიზანს წარმოადგენს საკუთარი პოზიციისა და უსაფრთხოების შეხედულებების დამტკიცება. აშშ-სა და ალიანსს სჯერა, რომ მან უნდა შეასრულოს წამყვანი როლი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მსოფლიოში და, მათ შორის, ევროპაშიც, რომელიც ცივი ომის პერიოდში ჩამოყალიბდა და დღესაც გრძელდება. აქედან გამომდინარე, ევროკავშირი ცდილობს აშშ-ს დაუმტკიცოს, რომ შესწევს საერთო უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებისა და ევროპის კონტინენტზე მისი უზრუნველყოფის ძალა. მაგრამ მოლაპარაკებების შედეგად დამტკიცდა, რომ ევროკავშირმა და ევროპის სახელმწიფოებმა ნატო-ს ევროპული სვეტის ფარგლებში უნდა მოახერხონ უსაფრთხოების საკითხების ჩამოყალიბება და არა დამოუკიდებელ აქტორად ყოფნა. გარკვეული შეხედულებები არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ აშშ ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკას აღიქვამს, როგორც ერთ-ერთ ინსტრუმენტს ნატო-ს ვარიანტზე უარის

---

<sup>166</sup>How the European Union and the United Nations cooperate - [https://unric.org/en/wp-content/uploads/sites/15/2021/02/Leporello\\_EU-VN\\_e.pdf](https://unric.org/en/wp-content/uploads/sites/15/2021/02/Leporello_EU-VN_e.pdf) (10.25.2022)



თქმის და საკუთარი ავტონომიური უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბების სურვილად.<sup>167</sup>

და ბოლოს, ევროკავშირის უსაფრთხოების კონტექსტი გაიგივებულია შიდა პოლიტიკის შედეგთან, რომელიც კონტექსტური იდეების შეჯიბრის სახით არის შექმნილი. უსაფრთხოების შექმნის პროცესში ინსტიტუტები და ინსტიტუციური იდენტობები წინასწარ განსაზღვრულ დამოუკიდებელ ცვლადში კი არ შედიან, არამედ ისინი ვლინდებიან როგორც პოლიტიკის დინამიკაში, ისევე მთავარ იდეაში ასეთ დროს უსაფრთხოების პოლიტიკა წარმოადგენს მკაფიოდ დაგეგმილი სტრატეგიების შედეგს.

სანამ უშუალოდ ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (CSDP) ჩამოყალიბდებოდა, მანამდე არსებობდა მისი წინამორბედი ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (ESDP). სწორედ აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გავანალიზოთ მათ შორის ურთიერთმიმართება და კავშირები. ანალიზის პროცესში დაგვეხმარება სოციოლოგიური ინსტიტუციონალიზმი, ხოლო ცნება „ბრიუსელიზაციის“ დახმარებით შეგვიძლია განვიხილოთ გადაწყვეტილების მიღების პროცესი. ბრიუსელიზაცია ხაზს უსვამს ნორმების, ღირებულებებისა და იდენტობის მნიშვნელობას CSDP-ის კომპლექსური გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ბევრი ავტორი ხაზს უსვამს, რომ კონსტრუქტივიზმი თეორიაზე მეტად წარმოადგენს სოციალური კვლევისდამი მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ორ დაშვებაზე. პირველი: გარემო, რომელშიც „აგენტები“ მოქმედებენ, არის სოციალური და მატერიალური; მეორე: გარემოს შეუძლია „აგენტებს“ მიაწოდოს მათი ინტერესებიდან

---

<sup>167</sup>NATO and the European Union (EU) are essential partners who share common values, strategic interests and a majority of member nations - [https://www.nato.int/nato\\_static\\_fl2014/assets/pdf/2021/11/pdf/2111-factsheet-nato-eu-en.pdf](https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2021/11/pdf/2111-factsheet-nato-eu-en.pdf) (10.26.2022)

გამომდინარე მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ სოციალური საკითხები.<sup>168</sup>

ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ანალიზში ფართოდ გამოიყენება ინსტიტუციონალიზმი და ევროპეიზაციის მიდგომები. საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში ინსტიტუციონალიზმი გაგებულია, როგორც საერთო ნორმებისა და წესების შემუშავება კონკრეტულ ინსტიტუტებში, ასევე გადაწყვეტილების მიღების პროცესების ანალიზი ევროპულ პოლიტიკურ თანამშრომლობაში და საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში (CSDP), რომელიც ფოკუსირებულია ინსტიტუციონალიზაციის ეფექტებზე.<sup>169</sup>

სმიტის აზრით, ევროპული უსაფრთხოების პოლიტიკა საჭიროებს ინსტიტუციონალიზებული თანამშრომლობის ანალიზს, რომელსაც სოციალური ურთიერთობებითა და დისკურსებით შეუძლია სახელმწიფოების პრეფერენციებზე გავლენის მოხდენა. იგი ასევე ასკვნის, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ინტერესები და იდენტობები იცვლება ინსტიტუციონალიზებული ნორმებით. ევროკავშირის სახელმწიფოები უნდა მოერიდონ უსაფრთხოების საკითხებზე გარკვეული შეხედულებებისა და პოზიციების წინასწარ დაფიქსირებას პარტნიორებთან წინასწარი კონსულტაციის გარეშე.<sup>170</sup>

ინსტიტუციონალიზებული სოციალიზაცია იწვევს წევრი ქვეყნების უსაფრთხოების პოლიტიკის „ევროპეიზაციას“, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოები გარკვეულ საკითხებში „ეროვნულ“ პოლიტიკას ეტაპობრივად უკავშირდებიან და ადაპტირდებიან ევროკავშირის პოლიტიკურ ინსტიტუტებთან და მარეგულირებელ ნორმებთან/წესებთან, რაც იმას ნიშნავს, რომ ეროვნული მთავრობები გარკვეულ უფლებამოსილებას გადასცემენ ევროკავშირის ინსტიტუტებს.

---

<sup>168</sup>European Defence and the Changing Politics of the European Union - <https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1111/1468-5965.00330> (10.25.2022)

<sup>169</sup>Fabian Breuer, *Sociological Institutionalism, Socialisation and the Brusselisation of CSDP*(Palgrave Studies in European Union Politics, 2015), 56-67.

<sup>170</sup>იქვე,70.

კონკრეტულ შემთხვევაში ვიყენებთ სმიტის მიერ შემოთავაზებულ ტერმინს „შემეცნებითი ევროპეიზაციის მექანიზმი“, რომელიც წარმოდგენილია ევროკავშირის კომიტეტებში და სამუშაო ჯგუფებში და რომლებიც ძირითადად შედგება სახელმწიფოების მიერ ბრიუსელში დანიშნული ოფიციალური წარმომადგენლებისგან. აღნიშნული თეორიიდან გამომდინარე, ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა ძირითადად რეგულირდება წევრი ქვეყნებისა და საბჭოების (ევროკავშირის საბჭო და ევროპული საბჭო) მიერ.<sup>171</sup>

ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) მექანიზმები და მისი პოლიტიკური ორგანოები, სულ უფრო მეტად იმართება და გავლენას ახდენს ინსტიტუციური წესებით და სოციალიზაციის პროცესებით. აქედან გამომდინარე, ევროპის თავდაცვის პოლიტიკა სულ უფრო მეტად ხელმძღვანელობს მიზანშეწონილობის ლოგიკით და გადაწყვეტილების მიღების ახალი სტილით, რისთვისაც ტერმინი „ბრიუსელიზაცია“ გამოიყენება ამ პროცესის აღსაწერად. უნდა აღინიშნოს, რომ „ბრიუსელიზაციის“ ცნება არ ეწინააღმდეგება იმ ფაქტს, რომ ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა უფრო მთავრობათაშორის ურთიერთობებზეა დამყარებული და აგებული, წევრი სახელმწიფოები კვლავ რჩებიან მთავარ აქტორებად ამ პოლიტიკის სფეროში.<sup>172</sup>

ევროკავშირის საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ყოველდღიური მენეჯმენტის დროს, ბრიუსელში დაფუძნებული პოლიტიკური ინსტიტუტები ნელ-ნელა, სულ უფრო მეტად იძენენ მნიშვნელობას და შეუძლიათ მეტი გავლენა მოახდინონ ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაზე და მოიპოვონ „დე ფაქტო“ საინიციატივო ძალა. „ბრიუსელიზაცია“ გამოიყენება, როგორც კონცეფცია, რაც იმას ნიშნავს, რომ საერთო პოლიტიკის შემუშავებაში მრავალი

---

<sup>171</sup>იქვე 74.

<sup>172</sup>CSDP structure, instruments and agencies - [https://www.eeas.europa.eu/eeas/csdp-structure-instruments-and-agencies\\_en](https://www.eeas.europa.eu/eeas/csdp-structure-instruments-and-agencies_en) (10.22.2022)

მიმართულებით ჩართული არიან, თუმცა საბოლოოდ მაინც დომინირებენ წევრი სახელმწიფოები. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკის ფორმულირება და განხორციელება უფრო და უფრო რეგულირდება ბრიუსელში დაფუძნებული აქტორებისა და პოლიტიკური ინსტიტუტების მიერ.<sup>173</sup>

არსებული პრაქტიკა გვიჩვენებს იმას, რომ ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა სულ უფრო მეტად განიცდის „ბრიუსელიზაციის“ პროცესს. დღეს ვიღებთ მოცემულობას, რომ ევროპული თავდაცვის პოლიტიკა წარმოდგენილია „მთავრობათაშორისი და ბრიუსელიზაციის მზარდ ტენდენციებს შორის“. პირველად ტერმინი ალენმა შემოიტანა და გულისხმობს „გეოპოლიტიკური უფლებამოსილებების ეტაპობრივად გადაცემას ეროვნული დედაქალაქებიდან ბრიუსელში“. ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ, თუ როგორ ახდენს „ბრიუსელიზაცია“ გავლენას გადაწყვეტილების მიღების ლოგიკაზე უსაფრთხოების საკითხებში.<sup>174</sup>

საბჭოს სამდივნოს (Council Secretariat and Directorate-General E (DGE)) ძირითადად ევალუა წევრი ქვეყნების სხვადასხვა პოზიციების კოორდინაცია და გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობა. საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში ბიუროკრატია ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობს ევროკომისიასთან ერთად. საბჭოს სამდივნოს შეუძლია მრავალი გავლენიანი დოკუმენტის შედგენა და წევრი ქვეყნების შესაძლებლობების გამოკვეთა. უნდა აღინიშნოს, რომ ბრიუსელში მართლაც ძალიან მაღალი დონის დიპლომატები და პოლიტიკოსები მუშაობენ უსაფრთხოების პოლიტიკის შესაქმნელად და განსახორციელებლად. გარდა ამისა, ბევრი ეროვნული საჯარო მოხელეები მივლინებულნი არიან საბჭოს CSDP ბიუროკრატიაში. როდესაც ბრიუსელიდან საჯარო მოხელეები საკუთარ ქვეყანაში

---

<sup>173</sup>Between intergovernmentalism and socialisation: the Brusselisation of CSDP -

[https://www.researchgate.net/publication/46460553\\_Between\\_intergovernmentalism\\_and\\_socialisation\\_the\\_Brusselisation\\_of\\_ESDP](https://www.researchgate.net/publication/46460553_Between_intergovernmentalism_and_socialisation_the_Brusselisation_of_ESDP) (10.26.2022)

<sup>174</sup>"Transforming Brussels into an international city — Reflections on 'Brusselization' - doi:10.1016/j.cities.2011.08.007 (10.22.2022)

ბრუნდებიან და უბრუნდებიან სამინისტროებს, მათ უკვე გააჩნიათ ევროპეიზაციის საერთო ღირებულებები, რომელიც მართავს ბრიუსელს. საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში ჩართული საბჭოს სამდივნოში მოქმედი პირები და ორგანოები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან კლასიკური სამდივნოს ბიუროკრატიისგან. ევროკავშირის საბჭოს სამდივნოს გააჩნია როგორც აღმასრულებელი, ასევე საინიციატივო ფუნქციები, რაც აძლევს საშუალებას იყოს უფრო აქტიური პოლიტიკის შემუშავებაში და განხორციელებაში. ამრიგად, საბჭოს სამდივნოს აქვს გადამწყვეტი გავლენა CSDP გადაწყვეტილების მიღების პროცესში.<sup>175</sup>

პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი (Political and Security Committee - PSC) წარმოადგენს ევროკავშირის საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ძირითად ორგანოს. კომიტეტში წარმოდგენილი არიან მაღალი რანგის პოლიტიკოსები, რომლებიც, პირველ რიგში, იცავენ ევროკავშირის ინტერესებს. გადაწყვეტილების მიღება ხდება ერთსულოვნების პრინციპით და დომინირებს კონსენსუსის იდეა. როდესაც გარკვეული საკითხების გადაწყვეტილების მიღება რთულდება, კომიტეტი საქმეში რთავს წევრი სახელმწიფოების მთავრობებს და მისი მიზანია იმის გაგება, თუ სად იკვეთება წევრი სახელმწიფოების „წითელი ხაზები“ გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით. შემდეგ კომიტეტი ცდილობს ისეთი ოპტიმალური გადაწყვეტილების პოვნას, რომელიც ყველა წევრი ქვეყნის ინტერესს წარმოადგენს. ეს პროცესი ძალზე რთული და კომპლექსურია, მაგრამ კომიტეტის მაღალკვალიფიციური ელჩები, ხშირ შემთხვევაში, საქმეს თავს წარმატებით ართმევენ. საერთო ჯამში, კომიტეტის საქმიანობა ზოგჯერ შეუმჩნეველი რჩება, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებაში კომიტეტი ერთ-ერთ ძლიერ მოთამაშედ ჩამოყალიბდა.<sup>176</sup>

---

<sup>175</sup>The General Secretariat of the Council - <https://www.consilium.europa.eu/en/general-secretariat/> (10.22.2022)

<sup>176</sup>Political and Security Committee (PSC) - <https://www.consilium.europa.eu/en/council-eu/preparatory-bodies/political-security-committee/> (10.22.2022)

პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტში და საბჭოს სამდივნოში აშკარად შეინიშნება სოციალიზაციისა და ბრიუსელიზაციის გავლენა და შედეგები, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი ასევე გადავიდა წევრი სახელმწიფოების სამინისტროებში (ძირითადად, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროებში) არსებობს მჭიდრო კავშირები და ინსტიტუციონალიზებული თანამშრომლობის ფორმები თავად წევრ სახელმწიფოებს შორის. განსაკუთრებით დიდ ორ წევრსა და უკვე ერთ არაწევრ სახელმწიფოს შორის (გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი). ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის მიუხედავად, იგი კვლავ რჩება ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურის ერთ-ერთ მთავარ მოთამაშედ. უსაფრთხოების საკითხებზე წევრი სახელმწიფოები CSDP ყოველდღიურად ამყარებენ კომუნიკაციას და გრძნობენ მაღალ კოლეგიურობას, როდესაც ისინი ამზადებენ გარკვეულ დოკუმენტაციას საბჭოებისთვის და კომიტეტისთვის წარსადგენად. მჭიდრო თანამშრომლობამ მინისტრების დონეზე გამოიწვია „დედაქალაქებს“ შორის საერთო ნორმებისა და ღირებულებების გავრცელება. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბებისა (CSDP) და წარმატებული განვითარებისთვის.<sup>177</sup>

საბოლოოდ, მოხდა ის, რომ საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში (CSDP) მომუშავე ეროვნულ და ევროკავშირის აქტორებს შორის კომუნიკაციისა და ურთიერთთანამშრომლობის შედეგად ჩამოყალიბდა სოციალიზაციისა და ბრიუსელიზაციის პროცესი. ეროვნულმა პოლიტიკოსებმა და საჯარო მოხელეებმა ევროპელ ფუნქციონერებთან ერთად განავითარეს საერთო იდეები და ერთად მუშაობენ უსაფრთხოების პროექტებზე. ორივე დონეზე ეს განცდა იწვევს ევროპული აზროვნების განვითარებას და, შესაბამისად, საერთო მიდგომასა და საერთო კულტურის ჩამოყალიბებას ეროვნულ

---

<sup>177</sup>The role of European Institutions responsible for the Common Security and Defence Policy - <http://www.emilyo.eu/sites/default/files/Gell%20Scientific%20Publications/2019%20RO%20VOR%20OBET%20European%20Institutions%20responsible%20for%20CSDP.pdf> (10.24.2022)

მთავრობებსა და ბრიუსელს შორის CSDP-ში. ინსტიტუციონალიზმი იწვევს ეროვნულ დონეზე მოქმედი პოლიტიკური ინსტიტუტებისა და აქტორების ტრანსფორმაციას ბრიუსელს მიმართ, რაც ქმნის ახალ მიდგომას CSDP-სთან დაკავშირებულ საკითხებთან, ბრიუსელიზაცია კი ხორციელდება ყველა დონეზე და ყველა მონაწილესთან ერთად. კომპლექსურმა ქსელებმა და მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობამ გამოიწვია მონაწილეებს შორის პოლიტიკური და ინსტიტუციური დაახლოება და საერთო ღირებულებების გავრცელება CSDP-ში, რომელიც ნელ-ნელა მიგვიყვანს ევროპულ სტრატეგიულ აზროვნებამდე და მოქმედების საერთო ვარიანტებამდე უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებში. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგი, რაც გამოიწვია სოციალიზაციამ და ბრიუსელიზაციამ – CSDP-ში მონაწილე წევრ სახელმწიფოებს და ევროპულ ფუნქციონერებს შორის ჩამოყალიბდა ნდობის ფაქტორი, რაც იწვევს ეროვნული თავდაცვის პოლიტიკის ბრიუსელიზაციის პროცესს წევრი სახელმწიფოების სუვერენიტეტის დაკარგვის გარეშე.<sup>178</sup>

---

<sup>178</sup>European Foreign and Security Policy: States, Power, Institutions - <https://www.jstor.org/stable/10.3138/j.ctt2tv3sh> (10.25.2022)



## თავი III. ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (CSDP)

### ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ისტორიული განვითარება

საგარეო პოლიტიკა წლების განმავლობაში რჩებოდა სახელმწიფოების სუვერენიტეტის მთავარ გარანტორად, წვერი სახელმწიფოები ყველანაირად ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ უფლებამოსილება საგარეო პოლიტიკის საკითხებში, ასევე, წვერ ქვეყნებს სურდათ, რომ საგარეო პოლიტიკური თანამშრომლობა მაქსიმალურად იზოლირებული ყოფილიყო ევროკავშირის პოლიტიკური ინსტიტუტებისგან, მაგრამ 1970-1981 წლების პერიოდში იგი კვლავ იურიდიულად განცალკევებული იყო ევროკავშირის ინტეგრაციის სხვა პოლიტიკისგან.<sup>179</sup>

1970 წელს ევროკავშირმა დაანერგა „ევროპული პოლიტიკური თანამშრომლობა (EPC)“ და წარმოადგენდა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინაციის სინონიმს მანამდე, სანამ იგი არ ჩანაცვლდა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკით 1993 წლის ნოემბრის მასტრიხტის ხელშეკრულებით. ევროპული პოლიტიკური თანამშრომლობა ითვალისწინებდა მხოლოდ ინფორმაციის გაცვლას პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებზე და მისი მიზანი იყო პოლიტიკური პროცესების ჰარმონიზაცია და ერთობლივი შეხედულებების კონსოლიდაცია. უნდა აღინიშნოს, რომ EPC განცალკევებული იყო ევროპული ინტეგრაციისგან და არ ასახულა ხელშეკრულებებში. მას უზრუნველყოფდნენ მინიმალური ინსტიტუციური მხარდაჭერით. EPC პრეზიდენტი პასუხისმგებელი იყო დღის წესრიგის, პროცედურული მენეჯმენტისა და ადმინისტრ-

---

<sup>179</sup>Hylke Dijkstra, *Policy-Making in EU Security and Defense: An Institutional Perspective* (Oxford, 2015), 46-78.

რაციული მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ EPC - მართვის სისტემაში ხაზგასმული იყო პრეზიდენტისა და მუდმივი სამდივნოს არსებობის პოლიტიკური აუცილებლობა, მაგრამ წევრმა ქვეყნებმა თავი შეიკავეს მუდმივი სამდივნოს შექმნისგან. მიზეზი მეტად ბანალური და მარტივი იყო: უბრალოდ, ვერ შეთანხმდნენ სამდივნოს მუდმივი ადგილმდებარეობის შესახებ. საფრანგეთი შიშობდა, რომ თუ სამდივნოს ადგილმდებარეობად განისაზღვრებოდა კვალავ ბრიუსელი, იგი მჭიდრო კავშირს დაამყარებდა ევროკავშირის სხვა პოლიტიკურ ინსტიტუტებთან და ბიუროკრატებთან, რაც გამოიწვევდა სუვერენიტეტის ეროზიას, ამიტომ საფრანგეთმა სამდივნოს ადგილმდებარეობად შესთავაზა პარიზი. მაგრამ, ამ იდეის წინააღმდეგი იყვნენ ბელგია და ნიდერლანდები, ისინი შიშობდნენ, რომ თუ სამდივნო ჩამოყალიბდებოდა პარიზში, იგი კონკურენციას გაუწევდა ევროკავშირის ბიუროკრატს.<sup>180</sup>

აქედან გამომდინარე, სამდივნოს ფუნქციებიც პრეზიდენტმა შეითავსა. EPC ფუნქციები და მისი პოლიტიკური უფლებები პირველად კოპენჰაგენის ანგარიშში (1973 წელს) შეაფასეს. მთავარი ყურადღება გამახვილებული იყო გადაწყვეტილების მიღების პროცედურაზე და წესებზე, ხოლო შემდგომ განისაზღვრა პრეზიდენტის კონკრეტული ფუნქციები, განიხილეს საელჩოების როლი მესამე ქვეყანაში და შეიქმნა ინფორმაციის გაცვლის სისტემა (Correspondance européenne, COREU).<sup>181</sup>

EPC-ს ახალი იმპულსი მისცა 1979 წლის დეკემბრის ბოლოს ავღანეთში საბჭოთა კავშირის შეჭრამ. ამ პროცესმა გამოაჩინა პრეზიდენტი-ქვეყნის ფუნქციონირების მინუსები, რადგან იმ დროს პრეზიდენტი ქვეყანა იტალია იყო. წევრმა-ქვეყნებმა დეკლარაციის მიღება მხოლოდ 1980 წლის 15 იანვარს შეძლეს, რაც დაგვიანებულად შეფასდა. ასევე, დაგვიანებული იყო ევროკავშირის საერთო

---

<sup>180</sup>იქვე, 73.

<sup>181</sup>COREU (CORespondance EUropéenne) - <https://eur-lex.europa.eu/EN/legal-content/glossary/coreu-corespondance-europ-enne.html> (10.22.2022)

პოზიციისა და პოლიტიკის ჩამოყალიბება ავღანეთის ამბებთან დაკავშირებით, რამაც გარკვეული კითხვები გააჩინა. მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ავღანეთში არსებულ ვითარებას უწოდა ევროკავშირის შიგნით „ცოტა არეულობა“. მან შესთავაზა სახელმწიფოების ოფიციალური შეხვედრის მოწყობა და კოორდინაცია კრიზისულ სიტუაციების.<sup>182</sup>

ავღანეთის დაკავშირებული პრობლემების საპასუხოდ, წევრმა ქვეყნებმა 1981 წელს ჩამოაყალიბეს „ლონდონის ანგარიში“. მისი მიზანი იყო გადაწყვეტილების მიღების პროცედურების დახვეწა და საერთო კოორდინაციის გაზრდა წევრ სახელმწიფოებს შორის. ლონდონის ანგარიშით ასევე წევრმა ქვეყნებმა შექმნეს „ტროიკის სამდივნო“, რომელიც შედგებოდა მოქმედი, წინა და შემდგომი პრეზიდენტი ქვეყნისგან. აღნიშნული რეფორმა გააუმჯობესებდა პრეზიდენტებს შორის კოორდინაციის და საერთო გეგმის მიღებას, ადმინისტრაციული ტვირთის მუდმივი სამდივნოს შექმნის გარეშე.<sup>183</sup>

1980-იან წლებში მნიშვნელოვანი იყო საგარეო პოლიტიკის ინსტიტუციური გაძლიერება, პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო გაძლიერებულიყო ევროკომისიის და ევროპარლამენტის როლის მნიშვნელოვნად გაძლიერება. ამ პროცესის მოწინავე სახელმწიფოები გახლდათ გერმანია, იტალია და ბენილუქსის ქვეყნები. ევროკავშირში ამ პერიოდში იწყებოდა „ევროპული აქტის“ მიღებაზე მუშაობა, სადაც მნიშვნელოვანი გახლდათ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ჩართვაც. გერმანიამ და იტალიამ ლონდონის ევროპულ საბჭოს წარუდგინეს 1981 წელს „ევროპული აქტის“ პროექტი, რომლის მიზანი იყო ერთიანი ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნა, მაგრამ EPC მაინც გამიჯნული იყო გარკვეულწილად ევროკავშირის პოლიტიკური ინსტიტუტებისგან. გერმანიამ ასევე შესთავაზა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შექმნილიყო „საბჭოს სამდივნო“,

---

<sup>182</sup>Giovanni Grevi, *European Security and Defence Policy* (The European Union Institute for Security Studies, Paris, 2009), 19-69.

<sup>183</sup>Hylke Dijkstra, *Policy-Making in EU Security and Defense: An Institutional Perspective* (Oxford, 2015), 46-78.

რომელიც დაეხმარებოდა საბჭოებს ბიუროკრატიაში, მაგრამ საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი არ ეთანხმებოდნენ გერმანიის ამ ინიციატივას.<sup>184</sup>

„ერთიან ევროპულ აქტზე“ მუშაობისას პირველ ეტაპზე გამოიკვეთა ერთი საინტერესო მუხლი, სადაც ნათქვამი იყო, რომ „უნდა მომხდარიყო ევროპის მიზნების ხელშეწყობა ერთიანი ხმის პროცედურით, წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა დაიშურონ ძალისხმევა პოლიტიკური თანამშრომლობის ეფექტურობის გასაზრდელად და ხელი უნდა შეუწყონ გადაწყვეტილების მიღების პროცესს“. სპინელი ასევე განიხილავდა EPC-ის უფლებამოსილების გადაცემას ევროპარლამენტისთვის, სადაც წარმოადგინა ევროპის კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებების პროექტი (1984, CVCE). თუმცა, წევრ ქვეყნებს არ სურდათ ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება. ამრიგად, EPC-ის სახელშეკრულებო ბაზის მინიჭების მცდელობები საბოლოოდ ჩაიშალა.<sup>185</sup>

ერთიანი ევროპული აქტის პროგრესისთვის აუცილებელი იყო კომისიის არაფორმალური როლის განვითარება. 1980-იანი წლებიდან კომისიამ ასევე დაიწყო მუშაობა EPC-ზე ინსტიტუციური გავლენის მოპოვებისთვის. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი გახლდათ საგარეო პოლიტიკაში ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბება სანქციებთან დაკავშირებით, კომისიამ გარკვეულ საკითხებში პროგრესს მიაღწია, როდესაც ევროკავშირს მეტი კოორდინაციისა და კონსოლიდაციის საშუალება მიეცა სანქციებთან დაკავშირებით. ამის მაგალითი გახლდათ საბჭოთა კავშირის მიერ სამხრეთ აფრიკისა და ერაყის წინააღდეგ იმპორტის შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკებები და ფოლკლენდის კონფლიქტის პოლიტიკური საკითხები. როდესაც ევროკავშირმა გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით პროგრესს მიაღწია წევრ სახელმწიფოებს შორის, დადგა იმის დრო, რომ „საბჭოს სამდივნოს“ შესახებ კვლავ დაწყებულიყო მოლაპარაკებები. პირველ

---

<sup>184</sup>იქვე.

<sup>185</sup>Single European Act (SEA) - <https://www.europarl.europa.eu/about-parliament/en/in-the-past/the-parliament-and-the-treaties/single-european-act> (10.22.2022)

ეტაპზე შედეგად თვალსაჩინო გახლდათ: 1984 წელს წევრმა ქვეყნებმა დანიშნეს ინსტიტუციურ საკითხებზე დროებითი კომიტეტი „ევროპული თანამშრომლობის ფუნქციონირების გაუმჯობესების წინადადებების გასაკეთებლად“. უნდა აღინიშნოს, რომ მისი უფლებამოსილება საგარეო პოლიტიკის საკითხებში მეტად მოკრძალებული იყო, მაგრამ მან ხაზი გაუსვა უწყვეტობისა და თანამიმდევრულობის აუცილებლობას საგარეო პოლიტიკაში. უსაფრთხოების პოლიტიკაზე საუბრები ჯერ დღის წესრიგში არ დგას, რადგან იგი კვლავ წევრი ქვეყნების სუვერენიტეტის მთავარ გარანტორად განისაზღვრება. უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებზე გადასვლისთვის ჯერ მნიშვნელოვანია საგარეო პოლიტიკაზე გარკვეული შეთანხმებების მიღწევა.<sup>186</sup>

დიდმა ბრიტანეთმა 1985 წელს მეტად საინტერესო წინადადება შესთავაზა კომისიას და წევრ სახელმწიფოებს. მისი მიზანი იყო აქამდე არსებული პრაქტიკის გამოყენება საგარეო პოლიტიკის საკითხებში და სახელშეკრულებო პროექტების რეორგანიზაცია. ბრიტანეთის მთავარი წინადადება გახლდათ მაღალი დონის გენერალური მდივნის დანიშვნა, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა „გენერალური სამდივნოს მართვაზე“. ბრიტანეთის წინადადებაში გამოიწვია სამთავრობათშორისო კონფერენციის დანიშვნა, რომელსაც დაევალა „ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შესახებ ხელშეკრულების“ კონცეფციის წარმოდგენა. მალე გაირკვა, რომ ბრიტანეთის „კოდიფიკაციის“ მიდგომა საუკეთესო გზა საგარეო პოლიტიკასთან ერთად უსაფრთხოების საკითხებზე ყურადღების გამახვილება იყო.<sup>187</sup>

საბოლოოდ, 1985 წლის სექტემბერში დაწყებული ევროგაერთიანების წევრ სახელმწიფოთა მთავრობათშორისი კონფერენცია 1986 წლის იანვარში ერთიანი ევროპული აქტის მიღებით დასრულდა. ამ

---

<sup>186</sup> History and Future of CSDP with special Consideration onto EU Missions and Operations, 2017 - <http://www.emilyo.eu/sites/default/files/Gell%20Scientific%20Publications/2017%20GR%20Bampenko%20CSDP%20History.pdf> (10.22.2022)

<sup>187</sup> იქვე.

დოკუმენტით პირველი სერიოზული ცვლილებები განიცადა ევროგაერთიანების ხელშეკრულებამ. პირველ რიგში განისაზღვრა ერთიანი ბაზრის დასრულების ვადა და ის კონკრეტული გადაწყვეტილებები, რომლებიც უნდა მიეღო ევროგაერთიანებას ამ მიზნის მისაღწევად. შეთანხმდნენ იმაზეც, რომ ამ გადაწყვეტილებათა ორ მესამედს მინისტრთა საბჭო კვალიფიციური უმრავლესობით მიიღებდა. ამასთანავე, ერთიანი ევროპული აქტით გაფორმდა ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობა – საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრები საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხებზე ერთიანი პოზიციის შესამუშავებლად, რომელიც მანამდე არაფორმალურ სახეს ატარებდა. გაიზარდა ევროპარლამენტის უფლებამოსილებები. კერძოდ, ამოქმედდა მინისტრთა საბჭოსა და პარლამენტის მიერ ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების პროცედურა. ერთიანი ევროპული აქტის საფუძველზე შეიქმნა პირველი ინსტანციის სასამართლოც.<sup>188</sup>

ერთიანი ევროპული აქტის მიღების შემდეგ წევრმა სახელმწიფოებმა საბოლოოდ შექმნეს სამდივნო ბრიუსელში. მას არ ჰყავდა მუდმივი პერსონალი, ძირითადად ეს იყო წევრი სახელმწიფოების მიერ როტაციული პრინციპით გაგზავნილი ექვსი დიპლომატისგან შემდგარი ჯგუფი. ამ პერსონალს არც საკუთარი ბიუჯეტი გააჩნდა. შეზღუდული იყო მისი ფუნქციებიც, მისი მთავარი მიზანი იყო EPC-ის პრეზიდენტს დახმარებოდა პოლიტიკური საქმიანობის საბუთების მომზადებაში და ადმინისტრაციულ საკითხებში. სამდივნოს უფლებამოსილების გადახედვისას, წევრ სახელმწიფოებს 17 წელი დასჭირდათ იმაზე შეთანხმებისთვის, რომ ბრიუსელში გაეგზავნათ ექვსი მივლინებული ეროვნული თანამდებობის პირი, მაგრამ წევრი სახელმწიფოები ხაზს უსვამდნენ, რომ მათ არ სურდათ სამდივნოსთვის საგარეო პოლიტიკაში ფუნქციების დელეგირება.<sup>189</sup>

---

<sup>188</sup>Panos Koutrakos, *The origins and evolution of CSDP*(London, 2013), 5-23.

<sup>189</sup>იქვე, 25.

ერთიანი ევროპული აქტის მიღების შემდეგ ევროკომისიამ დაიწყო უფრო დიდი როლის მორგება ევროკავშირის პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის. 1989 წლის ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ კომისია გახდა მთავარი აქტორი გერმანიის გაერთიანების პროცესის დისკუსიებში. კომისიის პრეზიდენტმა ჟაკ დელორმა აღნიშნა, რომ გერმანიის გაერთიანება გარდაუვალი იქნებოდა და ევროკავშირი პოლიტიკურად უნდა მომზადებულიყო გერმანიის გაერთიანებისთვის, რადგან მალე ევროკავშირის შემადგენლობაში „ახალი რეგიონი“ გაწევრიანდებოდა აღმოსავლეთ გერმანიის სახით. ჟაკ დელორის კომისია ასევე ხელმძღვანელობდა აღმოსავლეთ გერმანიის ევროპულ რეგულაციებთან თავსებადობის პროცესს. კომისია ასევე ჩართული იყო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პროცესების მართვაში და აშშ-სთან ურთიერთობაში. ამგვარად, კომისიამ ბუნებრივად ითამაშა მნიშვნელოვანი როლი ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაში, მისი შეზღუდული მანდატის მიუხედავად, ეს კი მნიშვნელოვანი წინაპირობა გახლდათ ევროკავშირის საგარეო ურთიერთობის ინსტიტუციონალიზაციისკენ.<sup>190</sup>

ბერლინის კედლის დაცემამ და გერმანიის გაერთიანებამ ახალი იმპულსი მისცა ევროკავშირის ხელშეკრულებების ცვლილებებისთვის, რომელმაც საბოლოოდ მიგვიყვანა მასტრიხტის სამიტამდე. საბჭოთა კავშირის დაშლა გამოიწვია ევროპაში დამოუკიდებელი და სუვერენიტეტის სახელმწიფოების ხელახალი გაჩენა, რამაც საჭირო გახდა ევროკავშირის მხრიდან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მეტად დახვეწა, რადგან ახლა ევროკავშირს უშუალოდ უწევდა ევროპის კონტინენტზე ისეთ სახელმწიფოებთან ურთიერთობა, რომლებიც ჯერ არ იყვნენ გაწევრიანებული ევროკავშირში. აქედან გამომდინარე, ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანია იყო აღმოსავლეთ ევროპასთან უსაფრთხოების საკითხებზე მუშაობის დაწყება. მასტრიხტის ხელშეკრულებამ [მასტრიხტის ხელშეკრუ-

---

<sup>190</sup>The provisions of the Single European Act - <https://www.cvce.eu/en/education/unit-content/-/unit/02bb76df-d066-4c08-a58a-d4686a3e68ff/23bbb26c-a69c-40f1-954c-6b3cb1392b4d> (10.23.2022)



ლება, 1992, ევროპის კავშირის შექმნის შესახებ, ხელი მოაწერეს 7 თებერვალს მასტრიხტში (ნიდერლანდები) ევროპის გაერთიანების 12 სახელმწიფოს – ბელგიის, დანიის, გფრ-ს, ესპანეთის, ირლანდიის, იტალიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, პორტუგალიის, საბერძნეთის, საფრანგეთის, გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენლებმა) აჩვენა, რომ ევროკავშირის ინსტიტუტების როლი საგარეო პოლიტიკაში არაწევრ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში მეორეხარისხოვანი გახდა.<sup>191</sup>

კომისიის შეხედულების მიხედვით, საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოების საკითხები მეტად სპეციფიკური ბუნებით გამოირჩევა და საჭიროა ინიციატივის უფლება გაზიარებული იყოს წევრ სახელმწიფოებთან, ევროკომისია პასუხისმგებლობას იღებს მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაზე. მოლაპარაკებების შედეგად ჩამოყალიბდა, რომ ინსტიტუციური ჩარჩო დაფუძნებული უნდა ყოფილიყო შემდეგ სტრუქტურულ მიმართულებებზე: 1) კომისიის ინიციატივების არაექსკლუზიურ უფლებებზე; 2) კონსტრუქციული თავშეკავების შესაძლებლობებზე; 3) ხმის მიცემის კვალიფიცირებულ უმრავლესობაზე; 4) ერთიან გენერალურ სამდივნოზე; 5) პოლიტიკის კონსოლიდაციაზე.<sup>192</sup>

ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა ზემოთ ხსენებულ საკითხზე გარკვეულ ვერბალურ შეთანხმებას მიაღწიეს, მაგრამ ახლა საჭირო იყო გარკვეულ ინსტიტუციურ ფორმაზე შეთანხმება. ევროკომისიის პრეზიდენტმა დელორმა კვლავ წა,ოაყენა საკითხი საერთო საგარეო პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობის შასეხებ. კომისიამ უკვე EPC-ს სახელიც გადაარქვა და ახლა ოფიციალურად ეწოდა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა (CFSP). წევრ სახელმწიფოებს გარკვეული საფიქრალი გაუჩნდათ კომისიის როლის ზრდაზე ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაში. სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს კომისია დარჩენილიყო მეორეხარისხოვან მოთამაშედ საგარეო

---

<sup>191</sup>The Historical Development of EU Defence Policy - <https://verfassungsblog.de/historical-development-lessons-for-the-future%EF%BB%BF/> (10.25.2022)

<sup>192</sup>იქვე.

პოლიტიკაში, ზოგიერთმა წევრმა ქვეყანამ კომისიის აქტიურობა სუვერენიტეტის შემდგომი ეროზიის პროცესის დაწყების გაფრთხილებად მიიღო.<sup>193</sup>

კომისია, რა თქმა უნდა, რეაგირებდა წევრი სახელმწიფოების განწყობაზე და შემოფოთებაზე; მისმა ხელმძღვანელებმა დაადგინეს, რომ კომისიას ჰქონდა იგივე უფლებები საგარეო პოლიტიკაში, როგორც წევრ სახელმწიფოებს გააჩნიათ და იგი მოგვევლინებოდა თანაბარ მოთამაშედ დიდი სახელმწიფოებს შორის. ამგვარად, დელორმა გადაწყვიტა შეექმნა საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების კომისრის თანამდებობა და ახალი გენერალური დირექტორატი (DG). კომისია ასევე ცდილობდა არ დაპირისპირებოდა წევრ სახელმწიფოებს იმის გათვალისწინებით, რომ იგი არ წარმოადგენდა ავტორიტეტს და ექსპერტს საგარეო პოლიტიკაში. მეორე მნიშვნელოვანი ეტაპი გახლდათ, EPC-ისას და საბჭოს სამდივნოს შერწყმა, რამაც გამოიწვია საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (CSFP) ჩამოყალიბება და შექმნა. იგი დაფუძნებული იყო საბჭოს სამდივნოში დაახლოებით 26 ადმინისტრაციულ ერთეულზე და ინსტიტუციუნალურად მნიშვნელოვნად აღემატებოდა მის წინამორბედს.<sup>194</sup>

იუგოსლავიის კონფლიქტი (1992-1995) ევროკავშირისთვის მეტად საგანგაშო აღმოჩნდა. კონფლიქტმა გამოაჩინა ევროპელების არათანმიმდევრული საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა. იუგოსლავიის კონფლიქტმა გამოიწვია საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ინსტიტუციური დახვეწა და განვითარება, რომელიც ამსტერდამის ხელშეკრულებით (1999) განხორციელდა. წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ საჭირო იყო საერთო საგარეო და უსაფრთხოების უმაღლესი წარმომადგენლის პოსტის შექმნა, რომელსაც დაიკავებდა პოლიტიკურად გამოცდილი პიროვნება; იგი მოგვევლინებოდა, როგორც ევროკავშირის საგარეო ურთიერთობების მინისტრი. პოსტის

---

<sup>193</sup>იქვე.

<sup>194</sup>THE COMMON SECURITY AND DEFENCE POLICY - <https://aei.pitt.edu/64766/1/ep79.pdf>  
(10.25.2022)

შექმნა ასევე გამოიწვევდა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის თანამიმდევრულობას და ეფექტურობას. ამსტერდამის ხელშეკრულებაზე დისკუსიები ასევე მიმდინარეობდა იმაზე, თუ სად უნდა განთავსებულიყო პოლიტიკის განყოფილება და უმაღლესი წარმომადგენელი, საბოლოოდ ამ საკითხის დელეგირება გადაეცა საბჭოს სამდივნოს და არა კომისიას.<sup>195</sup>

ამსტერდამის ხელშეკრულებისთვის მზადება ჯერ კიდევ 1994 წელს რეფლექსიის ჯგუფის შექმნის შემდეგ დაიწყო, სადაც, გარკვეულწილად, მიღებულ იქნა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ ძირითადი დებულებები. საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების მოსამზადებელი ეტაპისთვის ჯგუფის შემადგენლობის უმრავლესობა ფიქრობდა, რომ უნდა შექმნილიყო „ანალიზის, პროგნოზირების, დაგეგმვის და ადრეული გაფრთხილების სისტემა“. ასეთ განყოფილებას შეეძლო თავიდანვე ეწინასწარმეტყველა და მოეგვარებინა გარკვეული კრიზისული სიტუაციები და ეფექტურად შეეთავაზებინა წევრი სახელმწიფოებისთვის შესაძლო რეაგირებისა და გადაწყვეტილების ვარიანტები. წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ განყოფილება უნდა განთავსებულიყო საბჭოს სამდივნოსთან ერთად ერთ ინსტიტუციურ ჩარჩოში. განყოფილებაში წარმოდგენილები უნდა ყოფილიყვნენ კომისიისა და ეროვნული საგარეო საქმეთა სამინისტროების თანამშრომლები. განყოფილების შექმნის მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ „ანალიზისა და პროგნოზირების განყოფილება უნდა იყოს ანალიტიკური ორგანო და, შესაბამისად, არ უნდა ჰქონდეს ინიციატივის ოფიციალური უფლება, რომელიც შეიძლება იყოს კონფლიქტის ან უფლებამოსილების აღრევის წყარო წევრ სახელმწიფოებს, საბჭოს და კომისიას შორის“. გადაწვეტილების მიღების პროცედურა ძირითადად ეხებოდა უმრავლესობით კენჭისყრის შემოღებას, მაგრამ პირველ ეტაპზე ყურადღება ძირითადად გამახვილებული იყო CFSP-ის პერსონალიზაციაზე, რათა ევროკავ-

---

<sup>195</sup>The Yugoslav conflict and European Community diplomacy - <https://www.cvce.eu/en/education/unit-content/-/unit/1f5d29d1-bc79-44af-ae41-6fdb3f41608e/9d5f248f-3b34-4e90-ad0e-8900503b2459> (10.27.2022)

შირს შესაძლებლობა ჰქონოდა, წარმატებულად განეხორციელებინა თავისი საგარეო პოლიტიკა. ამაზე შეთანხმების შემდეგ უშუალოდ საუბარი დაიწყო ინსტიტუციური კონფლიქტების თავიდან აცილების შესახებ. ამგვარად, წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის პრეზიდენტს ცენტრალური როლი უნდა ჰქონოდა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელებაში.<sup>196</sup>

მოლაპარაკებები ამსტერდამის ხელშეკრულების ირგვლივ გარკვეულ წილად შეჩერდა, რადგან ამ პერიოდში დიდ ბრიტანეთში მიმდინარეობდა მეტად მნიშვნელოვანი შიდა არჩევნები, ხოლო 1997 წლის 1 მაისს ლეიბორისტულმა პარტიამ არჩევნებში გამარჯვება მოახერხა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ- მინისტრი ტონი ბლერი გახდა. პრემიერად დანიშვნის შემდეგ კი მოლაპარაკებები ოფიციალურად განახლდა.<sup>197</sup>

წევრი სახელმწიფოები, როგორც ზემოთ ვახსენეთ, შეთანხმდნენ შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებზე: ა) რეფლექსიის ჯგუფის მიერ შემოთავაზებულ განყოფილებაზე; ბ) CFSP-ის პერსონიფიკაციაზე, რითიც წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ გაერთიანებინათ საბჭოს გენერალური მდივნის თანამდებობა CFSP-ში უმაღლეს წარმომადგენლის ფუნქციებთან ერთად, ასევე, ამსტერდამის ხელშეკრულებამ შექმნა გენერალური მდივნის მოადგილის პოსტი. ახლა მთავარი შემდეგი კითხვა გახლდათ: როგორ უნდა იმუშაოს უმაღლესმა წარმომადგენელმა პოლიტიკურ თუ ბიუროკრატიულ დონეზე. ამსტერდამის ხელშეკრულების თანახმად, უმაღლესი წარმომადგენელი ასევე „დაეხმარებოდა“ წევრ სახელმწიფოებს „პოლიტიკური გადაწყვეტილების“ მიღებაში და ჩამოყალიბებაში.

---

<sup>196</sup>The Common Security and Defence Policy of the European Union - Handbook on CSDP Josep Borrell High Representative of the Union for Foreign Affairs and Security Policy and Vice President of the European Commission Klaudia Tanner Federal Minister of Defence of the Republic of Austria - <https://www.egmontinstitute.be/app/uploads/2021/06/CSDP-HANDBOOK-4th-edition.pdf> (10.26.2022)

<sup>197</sup>იქვე.

პოლიტიკის განყოფილება ასევე შეიქმნა ცალკე დეკლარაციით, რომელიც თან ერთვის ამსტერდამის ხელშეკრულებას, იგი წარმოადგენს ექსპერტ ბიუროკრატთა ჯგუფს, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში წარმოადგენდა საგარეო პოლიტიკის შეფასებასა და არგუმენტირებულ ანალიზს.<sup>198</sup>

ამსტერდამის ხელშეკრულების რატიფიცირების შემდეგ წევრმა სახელმწიფოებმა დამატებითი ამოცანები და რესურსები გადასცეს საბჭოს სამდივნოს. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია იმის გამოყოფა, რომ წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ \_ დანიშნულიყო უმაღლესი წარმომადგენელი ხავიერ სოლანა. იგი მაღალი დონის პოლიტიკოსი გახლდათ, რომელსაც მანამდე ნატოს გენერალური მდივნის პოსტი ეკავა. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ამსტერდამის ხელშეკრულებაზე მუშაობის პერიოდი ძალიან გაიწელა და, როცა უკვე გარკვეულ კონსენსუსზე შეთანხმდნენ წევრი სახელმწიფოები და ევროკავშირი, იმ პერიოდში კოსოვოს კრიზისიც დაიწყო (1998-1999). ევროკავშირმა ვერ შეძლო კონფლიქტების დასრულება თავის კონტინენტზე და ახლა საგარეო პოლიტიკასთან ერთად აქტუალური გახდა უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნაც, როდესაც სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურები 1999 წლის ივნისში კიოლში გამართულ საბჭოში უმაღლეს წარმომადგენლად ხავიერ სოლანას ნიშნავდნენ, ამ დროს ამერიკული თვითმფრინავები ნატოს საჰაერო კამპანიის ფარგლებში ბომბავდნენ სერბულ სამიზნეებს და ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფას ცდილობდნენ.<sup>199</sup>

საბოლოოდ, რომ შევაფასოთ ამსტერდამის ხელშეკრულება, წევრმა სახელმწიფოებმა შემოიღეს უმაღლესი წარმომადგენლის პოსტი და მას გარკვეული ფუნქციებიც გადასცეს, ასევე შექმნეს პოლიტიკის განყოფილება საგარეო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების ანალიზის მიზნით. შემდეგ გადაწყვიტეს ამ რესურსების დელეგირება

---

<sup>198</sup>იქვე.

<sup>199</sup>The Maastricht and Amsterdam Treaties -

<https://www.europarl.europa.eu/factsheets/en/sheet/3/the-maastricht-and-amsterdam-treaties>  
(10.22.2022)

საბჭოს სამდივნოზე და არა კომისიაზე. იმის თქმაც შეიძლება, რომ ამსტერდამის ხელშეკრულებამ საფუძველი ჩაუყარა საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბებას. რა თქმა უნდა, ყოველივე ამაზე დიდი გავლენა მოახდინა ჯერ იუგოსლავიის და შემდეგ კოსოვოს კონფლიქტებმა. ამსტერდამის ხელშეკრულების მიმოხილვის შემდეგ შეგვიძლია გადავიდეთ ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე და განვითარებაზე.

ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შემუშავების პროცედურა აქტიურად იწყება მას შემდეგ, რაც ევროპამ იუგოსლავიის და კოსოვოს კონფლიქტების შედეგები იწვინა საკუთარ თავზე. კონფლიქტებმა გამოაჩინა ის, რომ ევროკავშირისთვის უკვე სავალდებულოა ჰქონდეს ჩამოყალიბებული უსაფრთხოების პრიორიტეტები და თავდაცვის კონკრეტული მიმართულებები. აქედან გამომდინარე, აღნიშნულმა კონფლიქტებმა ევროკავშირს საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბების ახალი იმპულსი მისცა. 1998 წლის 4 დეკემბერს სანტ-მალოს ორმხრივ სამიტზე საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ლიდერებმა გადაწყვიტეს, რომ ევროკავშირს ჰქონოდა „ავტონომიური მოქმედების უნარი“, რათა გამხდარიყო უფრო გამორჩეული საერთაშორისო უსაფრთხოების აქტორი. ბრიტანეთისა და საფრანგეთის იდეა წევრმა სახელმწიფოებმაც მოიწონეს „კიოლნის საბჭოზე“ 1999 წლის ივნისში. ევროკავშირმა თავისი პირველი საპოლიციო და სამხედრო მისიები ოთხი წლის შემდეგ დაიწყო. სამხედრო ოპერაციების განხორციელების სურვილმა და შესაძლებლობებმა მაშინვე გამოიწვია მთელი რიგი ახალი ფუნქციური მოთხოვნების გაჩენა, რამაც შემდგომში დელეგირება ევროკავშირის ბიუროკრატიაში მოახდინა. წევრი სახელმწიფოები აღნიშნულ რეფორმას განიხილავდნენ, გარკვეულწილად, ეროვნული

სუვერენიტეტის შეზღუდვად. ამის მაგალითია საერთო სამხედრო შტაბის არარსებობა.<sup>200</sup>

სანტ-მელოს დეკლარაცია საკმაოდ მოკრძალებული იყო საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ინსტიტუციურ სტრუქტურაზე, მაგრამ საინტერესოა, რომ დეკლარაცია ყურადღებას უფრო ამახვილებდა იმაზე, რომ ევროკავშირს უნდა ჰქონოდა გარკვეული ავტონომიური და დამოუკიდებელი უფლება უსაფრთხოების საკითხებში და სტრატეგიული დაგეგმვის შესაძლებლობებში. ამრიგად, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მიზანი იყო \_ პირველ ეტაპზე ევროკავშირისთვის შეექმნათ ავტონომიური უფლებები უსაფრთხოების საკითხებში. ამ მიზნით 1999 წლის 11-12 დეკემბერს მოწვეულ იქნა „ვენის ევროპული საბჭო“, სადაც ფრანკო-ბრიტანული გეგმა და დეკლარაცია მოიწონა გერმანიამ და გარკვეულწილად მზაობა გამოთქვა შემდეგი დებატებისთვის.<sup>201</sup>

წევრმა სახელმწიფოებმა რამდენიმე ვარიანტი შესთავაზეს ევროკავშირს კრიზისების სამართავად: ა) სამხედრო თავდაცვის ვალდებულებები „არ იყი პრიორიტეტი“, რადგან იგი კვლავ ნატო-ს ამოცანად და პრეროგატივად ითვლება; ბ) ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა ურთიერთკავშირში უნდა იყოს ნატო-ს ოპერაციულ სცენართან; გ) ავტონომიური ოპერაციების განხორციელება კრიზისულ სიტუაციებში. გარკვეული ვარიანტების ჩამოყალიბების შემდეგ მნიშვნელოვანი იყო გარკვეული საკითხების განსაზღვრა: 1) როგორ უნდა განხორციელებინათ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ეფექტური გადაწყვეტილებები ისე, რომ ეროვნული ინტერესები ევროკავშირის ინტერესებთან თანხვედრაში ყოფილიყო; 2) როგორი ინსტიტუციური მოწყობა იქნებოდასაჭირო ამისთვის; 3) როგორ უნდა იყოს ევროკავშირისა და ნატოს შორის ურთიერთობები; 4) საჭიროა თუ არა გენერალურ საქმეთა საბჭოში

---

<sup>200</sup>The Saint-Malo Declaration and its impact on ESDP after 10 years - Defence Viewpoints from UK Defence Forum". [www.defenceviewpoints.co.uk](http://www.defenceviewpoints.co.uk). (10.22.2022)

<sup>201</sup>იქვე.



თავდაცვის მინისტრებთან რეგულარული შეხვედრები; 5) სჭირდება თუ არა ევროკავშირს სამხედრო კომიტეტი.<sup>202</sup>

მომდევნო სამი კვირა აქტიური მოლაპარაკებები და დებატები მიმდინარეობდა წევრ სახელმწიფოებს შორის ზემოთ ხსენებული ხუთი საკითხის ირგვლივ. საბოლოოდ, დისკუსიებისა და დებატების შემდეგ, გერმანიის პრეზიდენტმა რაინჰარტკაუზენში (2001 წლის 13–14 მარტი, რუტენი), საგარეო მინისტრების არაფორმალური შეხვედრების დროს. წარმოადგინა ახალი დოკუმენტი, რომელიც შეეხებოდა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში ინსტიტუციურ მხარდაჭერას. ითქვა, რომ საჭიროა სამი ტიპის ორგანოს შექმნა: ა) პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები; ბ) დაზვერვის, სიტუაციის ანალიზისა და სტრატეგიული დაგეგმვის ერთეულები; გ) ოპერატიული მმართველი შტაბი. დოკუმენტში ასევე ნახსენები იყო, რომ საჭიროა გენერალურ საქმეთა საბჭოს რეგულარული შეხვედრების გაზრდა და მას უნდა ესწრებოდნენ ასევე თავდაცვის მინისტრებიც. თავდაცვის წარმომადგენლებისთვის უნდა შექმნილიყო მუდმივი ორგანო, სადაც გაერთიანებული იქნებოდა ევროკავშირის სამხედრო კომიტეტი, რომელიც შედგებოდა სამხედრო წარმომადგენლებისგან.<sup>203</sup>

წევრი ქვეყნების შეთანხმება ერთმანეთთან უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის საკითხებში, რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენ მხედველობაში უნდა გვქონდეს აშშ-ისა და ნატო-ს პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. შემდეგ თავებში დეტალურადაა განხილული უშუალოდ ნატო-სა და ევროკავშირის საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ურთიერთმიმართა. აშშ-ისა და ნატო-ს პოზიცია გერმანიისა და ევროკავშირის ინიციატივასთან დაკავშირებით 1999 წლის 24 აპრილის ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სამიტზე დადებითად შეფასდა, წევრმა ქვეყნებმა დაასრულეს CSDP ევროსაბჭოს დროს

---

<sup>202</sup>Nemeth, B. How to Achieve Defence Cooperation in Europe?: The Subregional Approach. (Bristol University Press, 2022) 23-45.

<sup>203</sup>იქვე,

კიოლნში მიღებული გადაწყვეტილებები. კიოლნის ანგარიშმა ასევე გაიმეორა რაინჰარტ ჰაუზენის ნაშრომის ინსტიტუციური სტრუქტურები.<sup>204</sup>

გერმანიის აქტივობის შემდგომ საქმეში ახლა საფრანგეთის პრეზიდენტი შირაკი ერთვება. მან 22 ივლისს სახელმწიფოს მეთაურებს გაუგზავნა ევროპის თავდაცვის სამოქმედო გეგმა, სადაც ყურადღება გამახვილებული იყო ოპერატიული შტაბის, ავტონომიური სარდლობის ჯაჭვისა და დაზვერვის წყაროების შექმნაზე. შირაკის მიერ შემოთავაზებულ სამოქმედო გეგმაში ასევე შემუშავებული იყო ახალი ინსტიტუციური ორგანოები, რომლებშიც ნახსენები იყო გერმანიის პრეზიდენტის ანგარიში (მაგალითად: პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი PSC უნდა ყოფილიყო მაღალი დონის ორგანო).<sup>205</sup>

საბოლოოდ, საბჭომ 1999 წლის დეკემბერში დაასრულა CSDP-ის (საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა)<sup>206</sup> გადაწყვეტილებების მიღების პროცედურა, მან შექმნა PSC (პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი), რომელიც განიხილავდა CSDP-ის საკითხებს. ამ ყველაფერის შედეგად, ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა – CSDP – დაარსდა 1999 წელს და ის წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისა; (CFSP) – „საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (CSDP) არის ევროკავშირის (EU) მოქმედების კურსი თავდაცვისა და კრიზისების მართვის სფეროებში

---

<sup>204</sup>Rehrl, J. & H.-B. Weisserth (Eds.), *Handbook on CSDP: The Common Security and Defence Policy of the European Union*, (Vienna, Directorate for Security Policy of the Federal Ministry of Defence and Sports of the (Republic of Austria, 2010), 34-50.

<sup>205</sup>იქვე.

<sup>206</sup>The Common Security and Defence Policy - [https://www.eeas.europa.eu/eeas/common-security-and-defence-policy\\_en](https://www.eeas.europa.eu/eeas/common-security-and-defence-policy_en) (10.26.2022).

და ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (CFSP) მთავარი კომპონენტი“.<sup>207</sup>

საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში (CSDP) მნიშვნელოვანია ორი მიმართულება: სამხედრო კრიზისის მართვის დელეგაცია და სამოქალაქო კრიზისების მართვის დელეგაცია. ქვემოთ ვეცადეთ განვიხილო ჯერ სამხედრო კრიზისების მართვის პოლიტიკური და ინსტიტუციური განზომილების განხილვა, შემდეგ კი სამოქალაქოსი, მაგრამ ყურადღება გამახვილებულია უფრო სამხედრო კრიზისების მართვაზე, ვინაიდან სწორედ ის წარმოადგენდა წლების განმავლობაში უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარ ქვაკუთხედს.<sup>208</sup>

2001 წლის 28 თებერვლის რუტენის შეხვედრებიდან იწყება აქტიური დისკუსიები სამხედრო კრიზისების მართვის შესაძლებლობის განვითარებასთან დაკავშირებით. პირველ შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ „სამხედრო შტაბის“ მთავარი ფუნქციები იქნებოდა სამხედრო ექსპერტიზის ჩატარება, პრევენციული მიზნებისთვის მონიტორინგის გაწევა პოტენციური კრიზისების დროს, რათა ევროკავშირს სწრაფი რეაგირების საშუალება მისცემოდა იმ შემთხვევაში, თუ კრიზისი სამხედრო დაპირისპირებაში გადაიზრდებოდა. „სამხედრო (ოპერატიული) შტაბის“ მთავარი ფუნქცია იქნებოდა დაზვერვის მონაცემების შეგროვება და დამუშავება, რის შემდეგაც დამუშავებული სტრატეგიული ვარიანტები გადაეცემოდა წევრ სახელმწიფოებს; ასევე, კოორდინაციას გაუწევს ეროვნული სახელმწიფოების თავდაცვის სამინისტროებს ევროკავშირის სამშვიდობო ოპერაციებში, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში; სამხედრო (ოპერატიული) შტაბის ფუნქციები ძირითადად წარმოდგენილი იყო, როგორც ბიუროკრატია სამხედრო საქმეში.<sup>209</sup>

---

<sup>207</sup>Political and Security Committee (PSC) - <https://www.consilium.europa.eu/en/council-eu/preparatory-bodies/political-security-committee/> (10.22.2022)

<sup>208</sup>[https://www.eeas.europa.eu/eeas/common-security-and-defence-policy\\_en](https://www.eeas.europa.eu/eeas/common-security-and-defence-policy_en)

<sup>209</sup>Common Security and Defence Policy (CSDP) - <https://www.auswaertiges-amt.de/en/aussenpolitik/europe/gsvp-start/209178> (10.26.2022)

2000 წლის 19-20 ივნისის ევროპული საბჭოს დასკვნის შედეგად ოფიციალურად ჩამოყალიბდა სამხედრო (ოპერატიული) შტაბის ფუნქცია – „ადრეული გაფრთხილება, სიტუაციის შეფასება და სტრატეგიული დაგეგმვა“ და ხაზგასმულია, რომ „ეს არის ევროკავშირის სამხედრო ექსპერტიზის წყარო“. წევრი ქვეყნები ასევე შეთანხმდნენ, შეექმნათ თავდაცვის საკითხთა დირექტორატი (DG E VIII) საბჭოს სამდივნოში. იგი შეიცავდა სამხედრო ოპერაციების გადაწყვეტილების მმართველ ორგანოს, სადაც წარდგენილი იყვნენ ეროვნული მთავრობების მაღალი რანგის თანამდებობის პირები.

მიუხედავად იმისა, რომ CSDP-მ მოკლე დროში გამოიწვია მნიშვნელოვანი ინსტიტუციური განვითარება როგორც შიდა პოლიტიკურ სისტემაში, ასევე სამხედრო კრიზისების მართვის ოპერატიულ მიმართულებაში, მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ წევრმა ქვეყნებმა მაინც არ გადასცეს სამხედრო (ოპერატიულ) შტაბს რაიმე სახის ინსტიტუციური ავტონომია, წევრმა სახელმწიფოებმა შიდა გადაწყვეტილების განსახორციელებლად გარკვეული უფლებამოსილება მაინც შეინარჩუნეს, რადგან სამხედრო საქმე წევრი ქვეყნების სუვერენიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა. გარკვეული ფუნქციების დელეგირების მიუხედავად წევრი სახელმწიფოები მჭიდროდ აკონტროლებენ CSDP-ს და მის სამხედრო (ოპერატიულ) შტაბს, რათა მაქსიმალურად აირიდონ ეროვნული სუვერენიტეტის დაკარგვის ფაქტი.<sup>210</sup>

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკამ ახალი იმპულსი მიიღო. 2001 წელს ბელგიის პრემიერ-მინისტრმა გივერ ჰოფშტადტმა მეტად საინტერესო წერილი გაუგზავნა ბრიტანელ და ფრანგ კოლეგებს. ევროპაში 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ გარკვეულწილად გრძნობდნენ ტერორიზმის საფრთხეს და „რენაციონალიზაციის“ რისკებს, ამიტომ ბელგიის პრემიერ-მინისტრმა წევრი სახელმწიფოების ლიდერებს დაუსვა შემდეგი კრიტიკული შეკითხვები: „რატომ

---

<sup>210</sup>იქვე,

არ განვიხილავთ ევროპული სამხედრო (ოპერატიული) შტაბისთვის მეტი უფლებების დელეგირებას და რატომ არ ყავს ევროპას მრავალეროვნული სამხედრო ძალები?“. თავიდან აღნიშნული კითხვები წევრმა სახელმწიფოებმა ცუდად მიიღეს, მაგრამ საერთაშორისო პოლიტიკამ უცბად, მეტად დინამიკურად იცვალა სახე: ამ დროს აშშ-ის სამხედრო ძალები ერაყში შედიან და ახლო აღმოსავლეთში ახალი დაპირისპირება იწყება, ევროკავშირის წევრ ქვეყნებსაც და ევროკავშირსაც გარკვეული პოზიცია უნდა დაეჭირა, თანაც, რაც შეიძლება მალე, რადგან არ უნდა განმეორებულყო იუგოსლავიისა და კოსოვოს კონფლიქტების მაგვარი სცენარი, როდესაც ევროკავშირმა პოზიცია გარკვეულწილად დაგვიანებით გამოხატა. აქედან გამომდინარე, ევროკავშირმა და მისმა წევრმა სახელმწიფოებმა მხარი დაუჭირეს აშშ-ს ბრძოლას ტერორიზმის წინააღმდეგ.<sup>211</sup>

აშშ-ისა და ნატო-ს ერაყის კონფლიქტში ჩართვამ გამოიწვია კოორდინაციის გართულება ევროკავშირის სამხედრო ოპერაციებსა და მის სხვა ინსტრუმენტებს შორის, ამიტომ სამხედრო (ოპერატიული) შტაბის ჩამოყალიბება ახლა უფრო გართულდა და მეტ ძალისხმევას მოითხოვდა. 2003 წლის 22 იანვარს საფრანგეთ-გერმანიის სამიტი მიმდინარეობდა ელისეის ხელშეკრულების 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სადაც შემოთავაზებულ იქნა ფრანკო-გერმანული ინიციატივა CSDP-ის შესაძლო ტრანსფორმაციისთვის. მთავარი ყურადღება გამახვილებული იყო თავდაცვის პოლიტიკის განვითარებაზე, სადაც დელეგირება გადაეცემოდა ევროპულ ოპერატიულ შტაბს. მაგრამ მაშინვე დაიწყო გარკვეული დებატები წევრ სახელმწიფოებს შორის. რა თქმა უნდა, ყველა არ იზიარებდა ფრანკო-გერმანულ ინიციატივას, ხოლო ამ ყველაფრის მიღწევა შეუძლებელი იყო მხოლოდ საფრანგეთ-გერმანიის ერთუზიანებით. გარკვეული მოლაპარაკებების და დებატების შემდეგ საქმეში დიდი ბრიტანეთიც ჩაერთო, რომელმაც იგრძნო ერაყის ომით

---

<sup>211</sup>Reynolds, C., *Understanding the Emergence of the European Security and Defence Policy: An Historical and Institutional Analysis*,(Baden-Baden, Nomos, 2010) 34-45.

გამოწვეული პრობლემები და ახლა, ბრიტანეთის აზრით, მნიშვნელოვანი იყო ევროკავშირის წევრი ქვეყნების გაერთიანება უსაფრთხოების საკითხებში. თუ ბრიტანეთი ფრანკო-გერმანულ ინიციატივას შეუერთდებოდა, მაშინ შეიძლებოდა ჩაგვეთვალა, რომ მოლაპარაკებები პროგრესისკენ მიიწევდა. ამის შემდეგ წევრი სახელმწიფოები დათანხმდნენ, რომ შექმნილიყო სამხედრო (ოპერატიული) შტაბში სამოქალაქო-სამხედრო კრიზისების დასაძლევად სპეციალური ჯგუფები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამშვიდობო მისიებს. წევრი სახელმწიფოების უმრავლესობა ამტკიცებდა, რომ სამხედრო ოპერაციები და ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფა ნატო-ს პრიორიტეტად ითვლება და ევროკავშირს იმდენი არ უნდა ექნა, რომ ნატოს-ს ჩანაცვლება ან მისი უფლებამოსილების გადმობარება მოეხდინა, ამიტომ, საჭირო იყო, ევროკავშირს მოეძებნა ახალი მიმართულება, რომელზეც პასუხისმგებელი იქნებოდა. სწორედ ასეთ მიმართულებებს წარმოადგენდა სამხედრო-სამოქალაქო კრიზისების მართვა, მონიტორინგი და პრევენციის მიზნით წინასწარ გაფრთხილება.<sup>212</sup>

დიდმა ბრიტანეთმა 2005 წელს საკუთარ ანგარიშში გამოაქვეყნა „გაერთიანებული სამეფოს პრეზიდენტობის პრიორიტეტები, 2005 წ.“, სადაც აღნიშნავდა, რომ სამხედრო (ოპერატიული) შტაბი წარმოადგენს „ძირითად ინსტრუმენტს CSDP-ის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად და სამოქალაქო/სამხედრო კრიზისების მართვის განვითარებისთვის... შტაბი ასევე გააძლიერებს ევროკავშირის სტრატეგიულ დაგეგმვას ერთობლივი სამხედრო და სამოქალაქო მისიებისთვის, რაც მისცემს უფრო თანმიმდევრული და ეფექტური მოქმედებების განხორციელების საშუალებას“. სამოქალაქო და სამხედრო კრიზისების მართვის ოპერატიული შტაბი საბოლოოდ შეიქმნა 2007 წლის იანვარში.<sup>213</sup>

---

<sup>212</sup>Larivé, M. H. *Debating European security and defense policy: understanding the complexity*(Ashgate Publishing, Ltd, 2014) 24-30.

<sup>213</sup> იქვე

2010 წლის 6 დეკემბრის „ვაიმარის წერილის“ პასუხად ევროკავშირში დღის წესრიგში ბრუნდება „სამხედრო (ოპერატიული) შტაბის“ შექმნის აუცილებლობა, სადაც ბოლო მცდელობით ერთად მუშაობდნენ საფრანგეთი, გერმანია და პოლონეთი. ვაიმარის წერილის შემდეგ 11 ივლისს ლედი ეშტონმა გამოაქვეყნა მოხსენება CSDP-ის შესახებ, სადაც მან წევრ სახელმწიფოებს შესთავაზა მუდმივი სამოქალაქო-სამხედრო მმართველობის ორგანო (ოფისი - შტაბი), რომელიც დაახლოებით 250 სამხედრო ოფიცრისგან შედგებოდა. ამ წინადადებას დიდმა ბრიტანეთმა დებატების გარეშე დაადო ვეტო შემდეგი კომენტარით „ამ მწირი რესურსებით ხდება ნატო-ს დუბლირება“. ზაფხულში კვლავ განახლდა მოლაპარაკებების პროცესი, სამმა წევრმა სახელმწიფომ კიდევ ერთი ინიციატივა შესთავაზა ევროკავშირს და წევრ სახელმწიფოებს, ამჯერად იტალიასთან და ესპანეთთან ერთად დაარსდა ოპერატიული სამხედრო-სამოქალაქო შტაბი-ოფისი. ამ პერიოდში აქტიურად დაიწყო საუბარი აფრიკაში სამშვიდობო მისიების შესახებ, რამაც უფრო დააჩქარა კომპრომისის მიღება. ოპერატიული ცენტრი ჩამოყალიბდა, მაგრამ მას არ მიუღია ოფიციალური სარდლობის ფუნქცია, იგი დარჩა სტრუქტურულ ერთეულად ფასილიტაციის როლისთვის.

საბოლოოდ, სამხედრო კრიზისების მართვის დელეგაციის ჩამოყალიბება განხორციელდა შემდეგი ორი რაუნდის შემდეგ, მას შემდეგ, რაც წევრმა სახელმწიფოებმა სამხედრო ოპერაციებში ჩართვის სურვილი გამოთქვეს აფრიკისა და უშუალოდ სამეზობლო რეგიონებში. წევრმა სახელმწიფოებმა ასევე ჩამოაყალიბეს ფუნქციური მოთხოვნები და შესთავაზეს ინსტიტუციური გადაწყვეტილებების მიღების განვითარება. როგორც ჩანს, უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში გარკვეული პროგრესი ხშირად იმ შემთხვევაში მიიღწევა, როდესაც საქმეში უშუალოდ წევრი სახელმწიფოების მზაობა შეინიშნება; აქედან გამომდინარე, მეორე თავში განხილული თეორიული ჩარჩოს მიხედვით ნეორეალიზმი



კვლავ ერთ-ერთ მთავარ თეორიულ მიდგომას წარმოადგენს ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიმართულებით.<sup>214</sup>

წევრი სახელმწიფოები ასევე შეთანხმდნენ გარკვეული რესურსებისა და უფლებამოსილების დელეგირება განეხორციელებინათ ევროკავშირის ბიუროკრატიისთვის, თუმცა, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ წევრმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს არ გადაეცათ გარკვეული უფლებები სუვერენიტეტის დათმობის საკითხის გამო. ამრიგად, წევრმა სახელმწიფოებმა შემოიღეს ინსტიტუციური შემოწმებისა და კონტროლის მექანიზმები, ძირითადად, მივლინებული ეროვნული სახელმწიფოების ოფიცრების გამოყენებით. საინტერესოა, თუ რა ახდენს გავლენას ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში წევრი სახელმწიფოების მზაობაზე გარკვეული კონსენსუსის მისაღწევად. აღნიშნული მაგალითებით ირკვევა, რომ მთავარ იმპულს საერთაშორისო პოლიტიკაში მომხდარი მოვლენები წარმოადგენს, რომელიც გარკვეულწილად გავლენას ახდენს ევროკავშირის უსაფრთხოებაზე. ევროკავშირი რეაგირებს როგორც შიდა, ასევე საგარეო კრიზისებზე, რის შემდეგაც იწყება ძირეული ინსტიტუციური და პოლიტიკური ცვლილებები.<sup>215</sup>

სამხედრო კრიზისების მართვის დელეგაცია მეტად კომპლექსურ და ფართო პოლიტიკურ მიმართულებად ჩამოყალიბდა ევროკავშირში, სადაც წევრი სახელმწიფოები მუდმივად ცდილობენ ახალი მიდგომების დახვეწას და ინსტიტუციონალურ რეფორმების გატარებას. მისგან განსხვავებით, სამოქალაქო კრიზისების მართვის დელეგირება განსხვავებული ტემპით ვითარდებოდა ევროკავშირში. CSDP-ში სამოქალაქო კრიზისების მართვის დელეგაცია და სამოქალაქო ასპექტები დიდი ხნის განმავლობაში განიხილებოდა, როგორც სამხედრო კრიზისის მართვის გვერდითი პროდუქტი. შესაბამისად, ზოგიერთმა სახელმწიფომ უარი თქვა სამოქალაქო

---

<sup>214</sup>Howorth, J., *Security and Defence Policy in the European Union*,(Basingstoke, Palgrave Macmillan, 2007), 16-30.

<sup>215</sup>Fiott, D. *The CSDP in 2020: The EU's legacy and ambition in security and defence*.(ISS, 202), 16-20.

კრიზისების მართვაში საკუთარ ინვესტირებაზე. უფრო მეტიც: რამდენიმე წევრ სახელმწიფოს ოფიციალურად ჰქონდა გაჟღერებული, რომ არ აპირებდნენ დელეგირებას სამოქალაქო კრიზისების მართვაში. თუმცა, აღმოჩნდა – ევროკავშირისთვის სამოქალაქო კრიზისების მართვის ინსტრუმენტების შემოღების დიდი მოთხოვნა გაჩნდა, რადგან ევროპაში დაიწყო მიგრანტთა კრიზისი, ასევე ევროკავშირი აქტიურად ერთვებოდა სამშვიდობო მისიებში, როგორც იყო კოსოვოს და იუგოსლავიის კონფლიქტი.<sup>216</sup>

უფრო დეტალურად სამოქალაქო კრიზისების მართვის ინსტიტუციურ და პოლიტიკურ საკითხებს შემდეგ თავში შევხებით, სადაც დეტალურად განვიხილავთ ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ინსტიტუციურ ჩარჩოს და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს, მაგრამ, სანამ ამაზე გადავალთ, მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ ევროკავშირის „ლისაბონის ხელშეკრულება“, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა CSDP-ის ინსტიტუციური ჩარჩოს დახვეწისთვის.

2009 წლის ლისაბონის ხელშეკრულება წარმოადგენს მთავარ და ძალიან მნიშვნელოვან ნაბიჯს ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის CSDP -ის პოლიტიკის ინსტიტუციონალიზაციის საქმეში. პირველ რიგში, ლისაბონის ხელშეკრულებამ მოიტანა სამი ძირითადი ცვლილება: 1) პოლიტიკურ დონეზე გაერთიანდა უმაღლესი წარმომადგენლის თანამდებობა საგარეო ურთიერთობათა კომისრის თანამდებობასთან. ახლა უმაღლეს წარმომადგენელს კომისიაში მორგებული აქვს საგარეო ურთიერთობათა „პორტფელი“, რამაც გამოიწვია უფრო მოქნილი და ეფექტური საგარეო პოლიტიკის წარმოება; 2) ბიუროკრატიულ დონეზე, მან გააერთიანა ევროკომისიის საგარეო ურთიერთობების სამსახურები საბჭოს სამდივნოს სამსახურებთან EEAS-ში. 3) ლისაბონის ხელშეკრულებამ მესამე ქვეყნებში არსებული კომისიის დელეგაციები გარდაქმნა ევროკავ-

---

<sup>216</sup>CSDP structure, instruments and agencies - [https://www.eeas.europa.eu/eeas/csdp-structure-instruments-and-agencies\\_en#8948](https://www.eeas.europa.eu/eeas/csdp-structure-instruments-and-agencies_en#8948) (10.24.2022).

შირის დელეგაციებად, რომლებსაც აქვთ უფრო ძლიერი პოლიტიკური და დიპლომატიური ფუნქცია.<sup>217</sup>

უმაღლესი წარმომადგენელი, ერთი მხრივ, ევროპის კომისიის შემადგენლობაში შეჰყავთ როგორც კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო, მეორე მხრივ, უმაღლესი წარმომადგენელი (თანამდებობრივად) ამიერიდან „საგარეო საქმეთა საბჭოს“, ანუ ევროპის კავშირის საბჭოს იმ ფორმაციის თავმჯდომარე ხდება, რომელიც ეკ-ის საგარეო პოლიტიკის შემუშავებაზეა პასუხისმგებელი. პირობითად, შეიძლება ითქვას, რომ უმაღლეს წარმომადგენელს, გარკვეულწილად, ორი თანამდებობა უკავია, რომლებიც, ერთბაშად, კავშირის ორი პოლიტიკური ინსტიტუტის ხელმძღვანელ რგოლს მიეკუთვნება.<sup>218</sup>

უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში კავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ხელში გადადის ასევე უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის CSDP-ის ფარგლებში მიღებული აქტების შესრულების უფლებამოსილება წევრ სახელმწიფოებთან თანამშრომლობით. კერძოდ, ამ მიზნით იგი უზრუნველყოფს ევროპული საბჭოსა და საბჭოს მიერ მიღებული საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების განხორციელებას.<sup>219</sup>

CSDP-ის სფეროში ცვლილებების უმეტესობა კოსმეტიკური იყო, მიუხედავად იმისა, რომ CSDP-ის ყველა სახის ბიუროკრატია ოფიციალურად გადავიდა საბჭოს სამდივნოდან ევროპის საგარეო საქმეთა სამსახურში (EEAS). იგი წარმოადგენს ძლიერ აქტივს, რომ მჭიდროდ ითანამშრომლოს და იმუშაოს ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო და თავდაცვის სამინისტროებთან, ასევე ევროკავშირის ინსტიტუტებთან, როგორცაა ევროკომისია, საბჭოები და

---

<sup>217</sup>The Lisbon Treaty's provisions on CFSP/CSDP State of implementation -

[https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/IDAN/2015/570446/EXPO\\_IDA\(2015\)570446\\_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/IDAN/2015/570446/EXPO_IDA(2015)570446_EN.pdf) (10.24.2022)

<sup>218</sup>იქვე,

<sup>219</sup>იქვე,

ევროპარლამენტი. ასევე მუდმივად სამუშაო ურთიერთობებშია გაეროსთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.<sup>220</sup>

საბჭოს სამდივნოსა და კომისიის საგარეო საქმეთა ურთიერთობების გაერთიანება და უმაღლესი წარმომადგენლისა და კომისრის პოზიციის შერწყმა გამოიწვევს ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის ბიუროკრატიულ შერწყმას, რაც გაზრდის ეფექტურობას.

ლისაბონის ხელშეკრულებამ ძირეული ცვლილებები შეიტანა ევროკავშირის პოლიტიკაში. 45-ზე მეტ სფეროში ერთსულოვნების პრინციპი შეიცვალა კვალიფიციური უმრავლესობის პრინციპით; უფრო ძლიერმა ევროპარლამენტმა ჩამოაყალიბა ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანო მინისტრთა საბჭოსთან ერთად. ლისაბონის შეთანხმების თანახმად, შეიქმნა ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტისა და ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის თანამდებობები. ასევე ლისაბონის ხელშეკრულებამ უზრუნველყო საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის საქმიანობის უფრო მეტად დახვეწვა, სადაც მიღებული იქნა შემდეგი საბაზისო მუხლები:<sup>221</sup>

ა) საერთო უსაფრთხოებასა და თავდაცვის პოლიტიკას ევროკავშირის საქმიანობის იურიდიულად ავტონომიურ მიმართულებად აღიარებს. მიუხედავად იმისა, რომ საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად ითვლება, ამ უკანასკნელის ფარგლებში მას ამიერიდან განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი ენიჭება;

---

<sup>220</sup>The Lisbon Reform Treaty and its effect on CFSP/CSDP - [https://eplo.org/wp-content/uploads/2017/03/EPLO\\_Lisbon\\_Reform\\_Treaty\\_and\\_its\\_Effect\\_on\\_CFSP.pdf](https://eplo.org/wp-content/uploads/2017/03/EPLO_Lisbon_Reform_Treaty_and_its_Effect_on_CFSP.pdf) (10.24.2022)

<sup>221</sup>The CSDP after Lisbon: Lost Opportunities or Changed Interests? - <https://www.files.ethz.ch/isn/130799/GCSP%20Policy%20Paper%2016.pdf> (10.26.2022).

- ბ) კავშირი ამიერიდან იურიდიულად უფლებამოსილია \_ დაეხმაროს მესამე ქვეყნებს მათ ტერიტორიაზე ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში, რასაც შეიძლება შორს მიმავალი შედეგები ჰქონდეს;
- გ) პირველად იქნა დაფიქსირებული წევრი სახელმწიფოების კოლექტიური თავდაცვის პრინციპი, ანუ წევრი სახელმწიფოების მოვალეობაა \_ დახმარება და მხარდაჭერა აღმოუჩინოს იმ წევრ ქვეყანას, რომელიც უცხოეთიდან სამხედრო აგრესიის მსხვერპლი გახდება;
- დ) შეიარაღებული ძალების ტექნიკური აღჭურვილობის განვითარების მიზნით გათვალისწინებულია ევროპის თავდაცვის სააგენტოს შექმნა;
- ე) წევრი სახელმწიფოები გახდნენ უფლებამოსილნი, რომ განახორციელონ მუდმივად ორგანიზებული თანამშრომლობა სამხედრო სფეროში. მასში მონაწილეობის უფლება აქვთ წევრ სახელმწიფოებს, რომლებსაც საკმარისი სამხედრო პოტენციალი გააჩნიათ და რომლებიც მზად არიან ერთობლივად განავითარონ ეს თანამშრომლობა ევროპის კავშირის ფარგლებში.

## **ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ინსტიტუციური და პოლიტიკური სისტემა**

საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (CSDP) წარმოადგენს ევროკავშირის (EU) მოქმედების კურსს თავდაცვისა და კრიზისების მართვის სფეროებში, მიეკუთვნება ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (CFSP) მთავარ კომპონენტს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში. ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) წინამორბედი გახლდათ ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (ESDP) (1999 წელი). 2016 წელს დაინერგა უსაფრთხოების ახალი სტრატეგია

რუსეთის წინააღმდეგ ყირიმის ანექსიისა და უკრაინასთან ომის გამო; ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლისა და აშშ-ის პრეზიდენტის, ტრამპის არჩევამ CSDP-ს ახალი იმპულსი მისცა.<sup>222</sup>

CSDP-ის სამოქმედო დოკუმენტში ასახულია სამხედრო ან სამოქალაქო მისიების შესრულება მშვიდობის შესანარჩუნებლად, კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით გაეროს წესდების პრინციპების შესაბამისად. სამხედრო მისიებს ახორციელებენ ევროკავშირის ძალები, რომელიც შექმნილია წევრი სახელმწიფოების მიერ – შეიარაღებული ძალებით. CSDP ასევე ითვალისწინებს კოლექტიურ თავდაცვას წევრ ქვეყნებს შორის და მუდმივ სტრუქტურულ თანამშრომლობას (PESCO), რომელშიც 27 ეროვნული შეიარაღებული ძალებიდან 25 სტრუქტურულ ინტეგრაციას ახორციელებს. CSDP ხელმძღვანელობს ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი (HR/VP), ჟოზეპ ბორელი (2022 წელი), სამხედრო შტაბს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, ვიცე-პოლკოვნიკი ესა პულკინენი, ხოლო სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე გენერალი კლაუდიო გრაციანოა (2022 წელი).<sup>223</sup>

ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (CSDP) აერთიანებს შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს:

- ევროკომისიის თავდაცვის ინდუსტრიის გენერალური დირექტორატი;
- საგარეო მოქმედების სამსახურის (EEAS)<sup>224</sup> კრიზისების მართვისა და დაგეგმვის დირექტორატი (CMPD)<sup>225</sup> და მუდმივი ოპერატიული

---

<sup>222</sup>Hylke Dijkstra, *Policy-Making in EU Security and Defense An Institutional Perspective*(University of Oxford, 2013), 78-100.

<sup>223</sup>The Common Security and Defence Policy - [https://www.eeas.europa.eu/eeas/common-security-and-defence-policy\\_en](https://www.eeas.europa.eu/eeas/common-security-and-defence-policy_en) (10.22.2022)

<sup>224</sup><https://www.eeas.europa.eu/en> (10.22.2022)

<sup>225</sup>[https://www.eeas.europa.eu/eeas/crisis-management-and-response\\_en](https://www.eeas.europa.eu/eeas/crisis-management-and-response_en) (10.22.2022)

შტაბი (OHQs)<sup>226</sup> ბრძანებისა და კონტროლისთვის (C2) სამხედრო/სამოქალაქო სტრატეგიულ დონეზე ანუ MPCC<sup>227</sup> და CPCC<sup>228</sup>;

- საგარეო ურთიერთობათა საბჭოს (FAC) მოსამზადებელი ორგანოები - (როგორცაა სამხედრო კომიტეტი) (EUMC)<sup>229</sup>, ოთხი უწყება, მათ შორის თავდაცვის სააგენტო (EDA)

ევროკავშირის სამეთაურო სამხედრო კონტროლის სტრუქტურები გაცილებით მცირეა, ვიდრე ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) სამეთაურო სტრუქტურა (NCS), რომელიც შეიქმნა ტერიტორიული თავდაცვის მიზნით. წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ ნატოს მოკავშირეთა სარდლობის ოპერაციები (ACO) შეიძლება გამოყენებულ იქნეს ევროკავშირის მისიების განსახორციელებლად. MPCC (სამხედრო დაგეგმვისა და წარმართვის შესაძლებლობები), რომელიც შეიქმნა 2017 წელს და გაძლიერდა 2020 წელს, არის ევროკავშირის პირველი მუდმივი სამხედრო OHQ (ოპერატიული შტაბი). პარალელურად, ახლად შექმნილი ევროპის თავდაცვის ფონდი (EDF) უზრუნველყოფს ევროკავშირის ბიუჯეტის გამოყენებას მრავალეროვანი თავდაცვის პროექტების დასაფინანსებლად.<sup>230</sup>

ევროპული სამხედრო ქვედანაყოფები პირველად ESDP-ის ფარგლებში 1999 წლის მარტში განლაგდა ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მაკედონიაში (FYROM, დღეს: ჩრდილოეთ მაკედონია). ოპერაცია „კონკორდია“ გამოიყენა ნატოს აქტივები, ევროკავშირი ასევე უზრუნველყოფდა საპოლიციო მისიებს (EUPOP Proxima). მას შემდეგ არსებობდა სხვა მცირე პოლიციის, მართლმსაჯულებისა და სადამკვირვებლო მისიები. ისევე, როგორც FYROM-ში,

---

<sup>226</sup><https://data.consilium.europa.eu/doc/document/ST-8798-2019-INIT/en/pdf> (10.22.2022)

<sup>227</sup>[https://www.eeas.europa.eu/eeas/military-planning-and-conduct-capability-mpcc\\_en](https://www.eeas.europa.eu/eeas/military-planning-and-conduct-capability-mpcc_en) (10.22.2022)


<sup>228</sup>[https://www.eeas.europa.eu/eeas/civilian-planning-and-conduct-capability-cpcc\\_en](https://www.eeas.europa.eu/eeas/civilian-planning-and-conduct-capability-cpcc_en) (10.22.2022)

<sup>229</sup>[https://www.eeas.europa.eu/eeas/eumc\\_en](https://www.eeas.europa.eu/eeas/eumc_en) (10.22.2022)

<sup>230</sup>Smith, M. E. *Europe's Common Security and Defence Policy: Capacity-Building, Experiential Learning, and Institutional Change* (Cambridge University Press, 2017), 45-50.



ევროკავშირმა შეინარჩუნა სამშვიდობო ძალების განლაგება ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, ოპერაცია „ალთეას“ ფარგლებში.<sup>231</sup>



*2002 წლიდან ევროკავშირმა 35-ჯერ ჩაატარა ინტერვენცია საზღვარგარეთ სამ სხვადასხვა კონტინენტზე*

2003 წლის მაისიდან სექტემბრამდე ევროკავშირის ჯარები ოპერაცია "არტემისის" დროს გაეროს უშიშროების საბჭოს 1484 რეზოლუციით მიცემული მანდატით განლაგდნენ კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (DRC). ოპერაცია მიზნად ისახავდა იტურის კონფლიქტში შემდგომი სისასტიკისა და ძალადობის თავიდან აცილებას. გეოგრაფიულად ევროკავშირის მისიები განხორციელდა ბალკანეთში, ცენტრალურ აფრიკაში, საქართველოში, ინდონეზიაში, სუდანში, პალესტინაში, უკრაინა-მოლდოვაში. ასევე, არსებობს სასამართლო მისია ერაყში (EUJUST Lex). 2008 წლის 28 იანვარს ევროკავშირმა განათავსა თავისი უდიდესი და მრავალეროვანი მისია აფრიკაში, EUFOR Tchad/RCA. ქვემოთ დეტალურადაა წარმოდგენილი

<sup>231</sup>Missions and Operations - [https://www.eeas.europa.eu/eeas/missions-and-operations\\_en](https://www.eeas.europa.eu/eeas/missions-and-operations_en) (10.22.2022)

ევროკავშირის სამხედრო და სამოქალაქო მისიები მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებში.<sup>232</sup>

დაწყება - დამთავრება	ადგილმდებარეობა	მისია
2003 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 30 ივნისი	ევროკავშირის პოლიციის მისია ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში	EUPM BiH
2003 წლის 31 მარტი- 2003 წლის 15 დეკემბერი	ევროკავშირის სამხედრო ოპერაცია ყოფილ იუგოსლავიის რესპუბლიკაში (მაკედონია)	EUFOR Concordia
2003 წლის 12 ივნისი - 2003 წლის 1 სექტემბერი	ევროკავშირის სამხედრო ოპერაცია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში	EUFOR Artemis
2003 წლის 15 დეკემბერი - 2005 წლის 14 დეკემბერი	ევროკავშირის პოლიციის მისია ყოფილი უგოსლავიის რესპუბლიკაში (მაკედონია)	EUPOL FYROM
2005 წლის 12 აპრილი - 2007 წლის 30 ივნისი	ევროკავშირის პოლიციის მისია კინშასაში	EUPOL Kinshasa
2005 წლის 25 ნოემბერი	ევროკავშირის სასაზღვრო მისია რაფაში	EUBAM Rafah

<sup>232</sup>Missions and Operations - [https://www.eas.europa.eu/eas/missions-and-operations\\_en](https://www.eas.europa.eu/eas/missions-and-operations_en)  
(10.22.2022)

დაწყება - დამთავრება	ადგილმდებარეობა	მისია
2005 წლის 1 დეკემბერი	ევროკავშირის სასაზღვრო მისია მოლდოვასა და უკრაინაში	EUBAM მოლდოვა და უკრაინა
2006 წლის 12 ივნისი - 2006 წლის 30 ნოემბერი	ევროკავშირის სამხედრო ოპერაცია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში	EUFOR RD Congo
2008 წლის 17 მარტი - 2009 წლის 15 მარტი	ევროკავშირის სამხედრო ოპერაცია ჩადში და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში	EUFOR Tchad/RCA
2008 წლის 1 ოქტომბერი	ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში	EUMM Georgia
2008 წლის 5 ნოემბერი	ევროკავშირის საზღვაო ძალები სომალი	EU NAVFOR სომალი
2013 წლის 18 თებერვალი	ევროკავშირის სასწავლო მისია მალიში	EUTM Mali
2014 წლის 10 თებერვალი - 2015 წლის 23 მარტი	ევროკავშირის სამხედრო ოპერაცია ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში	EUFOR RCA
2015 წლის 23 მარტი - 2016 წლის 16 ივლისი	ევროკავშირის სამხედრო საკონსულტაციო მისია ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში	EUMAM RCA
2015 წლის 22 ივნისი - 2020 წლის 31 მარტი	ევროკავშირის საზღვაო ძალები ხმელთაშუა ზღვა	EUNAVFOR Med



ევროკავშირის სამხედრო შტაბი  
მალიში (2017 წელი)



ევროკავშირის ახალი სამხედრო  
მისიები დასავლეთ აფრიკაში



ევროკავშირის სამხედრო მისია  
მალიში (2018 წელი)



ევროკავშირის სამხედრო მისია  
ცენტრალურ აფრიკაში



ევროკავშირის სამხედრო მისიის  
გენერალური შტაბი სომალში



ევროკავშირის სამხედრო მისია ბოსნია  
და ჰერცეგოვინაში






ევროკავშირის სამხედრო მისია კოსოვოში



ევროკავშირის სამოქალაქო მისია საქართველოში



## EUROPEAN UNION CSDP MISSIONS AND OPERATIONS 2020



ევროკავშირის საერთო უსაფრთხოების ადა თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) სამხედრო და სამოქალაქო მისიები მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებში<sup>1</sup>

სანამ უშუალოდ ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის სტრუქტურას მიმოვიხილავთ, მანამდე მნიშვნელოვანია ევროკავშირის პოლიტიკური ინსტიტუტების როლის განხილვა ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის მიმართ.

## ევროპული საბჭო (European Council)



2019 წლის 2 ივლისს ევროკავშირის ლიდერების სამიტზე ბრიუსელში შარლ მიშელი აირჩიეს ევროპული საბჭოს პრეზიდენტად. მოვალეობის შესრულებას შეუდგა ამავე წლის 1 დეკემბრიდან და თანამდებობაზე დარჩება მომდევნო 2,5 წლის განმავლობაში

ევროპული საბჭო ევროკავშირს აძლევს აუცილებელ იმპულსს მისი განვითარებისთვის და განსაზღვრავს კავშირის ზოგად პოლიტიკურ მიმართულებებსა და პრიორიტეტებს, მათ შორის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისა (CFSP) და საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) სფეროებში.<sup>233</sup>

ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 22-ე და 26-ე მუხლების თანახმად, ევროპული საბჭო განსაზღვრავს კავშირის სტრატეგიულ ინტერესებსა და ამოცანებს საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში და ევროკავშირის საგარეო მოქმედების სხვა სფეროებში.

---

<sup>233</sup>The European Council is the EU institution that defines the general political direction and priorities of the European Union - <https://www.consilium.europa.eu/en/european-council/> (10.22.2022)

ამგვარად, ევროპული საბჭო მოქმედებს 21-ე მუხლში მოცემული პრინციპების საფუძველზე: დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების უნივერსალურობა და განუყოფლობა, ადამიანის ღირსების პატივისცემა, თანასწორობა, სოლიდარობა და პატივისცემა.<sup>234</sup>

ევროპული საბჭო არის ევროკავშირის პოლიტიკური ინსტიტუტებიდან ერთ-ერთი – 2009 წლის 1 დეკემბერს ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ. იგი შედგება წევრი სახელმწიფოების ან მთავრობის მეთაურებისგან (ანუ პრეზიდენტები ან პრემიერ-მინისტრები) საკუთარ პრეზიდენტთან და ევროკომისიის პრეზიდენტთან ერთად. ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში (უმაღლესი წარმომადგენელი), ასევე მონაწილეობს ევროპული საბჭოს სხდომებში, სადაც განიხილება საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა.

ევროპული საბჭო ირჩევს საკუთარ პრეზიდენტს კვალიფიციური უმრავლესობით, ორ წელიწადნახევრის ვადით, რაც შეიძლება განახლდეს ერთხელ (პრეზიდენტი: შარლ მიშელი). პრეზიდენტი უზრუნველყოფს საგარეო პოლიტიკის საკითხებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უმაღლესი წარმომადგენლის უფლებამოსილების შელახვის გარეშე. ევროპული საბჭოს საქმიანობა საკმაოდ მრავალფეროვანია და თანამეგობრობის წინაშე მდგარი პრობლემების ფართო სპექტრს მოიცავს: იგი წარმოადგენს სათათბიროს ევროპის “კონსტიტუციური არქიტექტურის” შემუშავების საკითხებში, ამუშავებს რეკომენდაციებს და მითითებებს ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე, აგრეთვე უმნიშვნელოვანეს საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე; იგი იხილავს თანამეგობრობის ფინანსურ, ინსტიტუციონალურ და სხვა სახის დისპუტებს, რაც პრაქტიკულად განსაზღვრავს ევროკავშირის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტების

---

<sup>234</sup>EU cooperation on security and defence - <https://www.consilium.europa.eu/en/policies/defence-security/> (10.22.2022)



შინაარსს. საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში ევროპული საბჭო, ჩვეულებრივ, ერთხმად მოქმედებს. ევროპული საბჭო ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საგარეო და უსაფრთხოების საკითხებს.<sup>235</sup>

### ევროკავშირის საბჭო “მინისტრთა საბჭო” (Council of the European Union)

ევროკავშირის საბჭო („საბჭო“), ევროპარლამენტთან ერთად, არის კავშირის ინსტიტუტი, რომელიც ასრულებს საკანონმდებლო და საბიუჯეტო ფუნქციებს. ის ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პოლიტიკის შემუშავებისა და კოორდინაციის ფუნქციებს. საბჭო იღებს ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებს (რეგლამენტებს, დირექტივებსა და გადაწყვეტილებებს).



<sup>235</sup>The European Council brings together EU leaders to set the EU's political agenda. It represents the highest level of political cooperation between EU countries - [https://european-union.europa.eu/institutions-law-budget/institutions-and-bodies/institutions-and-bodies-profiles/european-council\\_en](https://european-union.europa.eu/institutions-law-budget/institutions-and-bodies/institutions-and-bodies-profiles/european-council_en) (10.22.2022)

ევროკავშირის საბჭო წარმოადგენს ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანოს, თუმცა ამ ფუნქციას ევროპარლამენტთან ინაწილებს. გარდა ამისა, საბჭო და პარლამენტი ერთობლივად ახორციელებენ გაერთიანების ბიუჯეტის კონტროლს. საბჭო ასევე იღებს საერთაშორისო შეთანხმებებს, რომელთა შესახებ მოლაპარაკებებს აწარმოებს ევროკომისია. საბჭო შედგება თითოეული წევრი სახელმწიფოს წარმომადგენლისგან მინისტრების დონეზე, რომელსაც შეუძლია მიიღოს პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს მთავრობის სახელით. საბჭო მოქმედებს კვალიფიციური უმრავლესობით. CFSP/CSDP-ის სფეროში საბჭო ჩვეულებრივ მოქმედებს კონსენსუსით და ერთსულოვნებით. ამჟამად, ევროკავშირის საბჭო იკრიბება შემდეგ 10 კონფიგურაციაში, მათ შორის არის საგარეო საქმეთა კონფიგურაცია.<sup>236</sup>

საბჭოში საგარეო საქმეთა კონფიგურაცია შეიმუშავებს კავშირის საგარეო ურთიერთობების შესახებ მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტებს, ევროპული საბჭოს მიერ დადგენილი სტრატეგიული სახელმძღვანელო პრინციპების საფუძველზე და უზრუნველყოფს ამ სფეროში კავშირის ქმედებების თანამიმდევრულობას. ეს მოიცავს საგარეო პოლიტიკას, უსაფრთხოებას და თავდაცვას. საბჭოს შეუძლია საკანონმდებლო აქტით დაიწყოს CSDP მისიები და ოპერაციები, სამოქალაქო და სამხედრო, როგორც ევროკავშირის ინტეგრირებული მიდგომის ნაწილი საგარეო კონფლიქტებისა და კრიზისების მიმართ. მას ასევე შეუძლია მიიღოს ზომები, რომლებიც საჭიროა ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განსახორციელებლად – შესაძლო სანქციების ჩათვლით. საგარეო საქმეთა საბჭო, როგორც წესი, შედგება ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის საგარეო საქმეთა

---

<sup>236</sup>the Council of the EU, informally also known as the Council, government ministers from each EU country meet to discuss, amend and adopt laws, and coordinate policies. The ministers have the authority to commit their governments to the actions agreed on in the meetings. - [https://european-union.europa.eu/institutions-law-budget/institutions-and-bodies/institutions-and-bodies-profiles/council-european-union\\_en](https://european-union.europa.eu/institutions-law-budget/institutions-and-bodies/institutions-and-bodies-profiles/council-european-union_en) (10.22.2022)

მინისტრებისგან. თუმცა, დღის წესრიგიდან გამომდინარე, საბჭო ასევე აერთიანებს თავდაცვის მინისტრებს (CSDP).<sup>237</sup>

## ევროკომისია (European Commission)

ევროკომისიის როლი CSDP-ში მეორეხარისხოვანია, კომისია რჩება არსებით მოქმედ პირად CSDP-ის მიზნების სრულად მისაღწევად. მართლაც, ლისაბონის ხელშეკრულების 21(3) მუხლი მოუწოდებს საბჭოს და კომისიას, უმაღლესი წარმომადგენლის დახმარებით ითანამშრომლონ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა სფეროებს შორის და ამ სფეროებს შორის თანამიმდევრულობის უზრუნველსაყოფად. კომისია ასევე განკარგავს და პასუხისმგებელია CFSP-ის ბიუჯეტს, რომელიც აფინანსებს CSDP სამოქალაქო მისიებს, ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენლებს და გაუვრცელებლობისა და განიარაღების პროექტებს.<sup>238</sup>



<sup>237</sup>Council of the European Union - <https://www.consilium.europa.eu/en/> (10.22.2022)

<sup>238</sup>European Commission - [https://ec.europa.eu/info/index\\_en](https://ec.europa.eu/info/index_en) (10.25.2022)



## ევროპარლამენტი (European Parliament)

საყოველთაოდ მიღებული მოსაზრებაა, რომ ევროპარლამენტს აქვს მცირე ძალაუფლება საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებით (CFSP) და კიდევ უფრო ნაკლები – მის თავდაცვის კომპონენტთან, საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) მიმართ. საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა წარმოადგენს კავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (CFSP) განუყოფელ ნაწილს, როგორც ეს გათვალისწინებულია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებით (TEU). ფაქტობრივად, თავის პრეამბულაში TEU ხაზს უსვამს წევრი სახელმწიფოების გადაწყვეტილებას „განახორციელონ საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, მათ შორის საერთო თავდაცვის პოლიტიკის პროგრესული ფორმირება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საერთო თავდაცვა (...)“.<sup>239</sup>



<sup>239</sup>The European Parliament (EP) is one of the legislative bodies of the European Union and one of its seven institutions - <https://www.europarl.europa.eu/portal/en> (10.25.2022)

CSDP-თან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს იღებენ ევროპული საბჭო და ევროკავშირის საბჭო (TEU-ს 42-ე მუხლი). ისინი მიიღება ერთსულოვნებით, ზოგიერთი შესამჩნევი გამონაკლისის გარდა, რომელიც ეხება ევროპის თავდაცვის სააგენტოს (EDA, მუხლი 45 TEU). ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში შემოაქვს წინადადებები გადაწყვეტილების მისაღებად, უმაღლესი წარმომადგენელი ასევე მოქმედებს, როგორც ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი („HR/VP“).<sup>240</sup>

ევროპარლამენტის კონკრეტული როლი CFSP-სა და CSDP-ში აღწერილია TEU-ის 36-ე მუხლში. მას უფლება აქვს ზედმიწევნით შეისწავლოს პოლიტიკა და მიიღოს ინიციატივა HR/VP-ს და მის შესახებ საბჭოს მიმართოს (მუხლი 36 TEU). ის ასევე ახორციელებს უფლებამოსილებას პოლიტიკის ბიუჯეტზე (TEU 41-ე მუხლი). წელიწადში ორჯერ ევროპარლამენტი მართავს დებატებს CFSP-ისა და CSDP-ის განხორციელების პროგრესზე და იღებს ანგარიშებს. 2012 წლიდან ევროპარლამენტი და წევრი სახელმწიფოების ეროვნული პარლამენტები ყოველწლიურად აწყობენ ორ საპარლამენტაშორისო კონფერენციას საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხების განსახილველად.<sup>241</sup>


---

<sup>240</sup>Foreign policy: aims, instruments and achievements -

<https://www.europarl.europa.eu/factsheets/en/sheet/158/foreign-policy-aims-instruments-and-achievements> (10.25.2022)

<sup>241</sup>იქვე,

ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) პოლიტიკური სტრუქტურა:



ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP<sup>242</sup>) პოლიტიკური სტრუქტურის გაცნობის შემდეგ მნიშვნელოვანია უშუალოდ სამხედრო (ოპერატიული) შტაბის (MPCC)<sup>243</sup> პოლიტიკური სტრუქტურის გაცნობა. ოპერატიული შტაბის მეშვეობით უმაღლესი წარმომადგენელი მართავს სამხედრო მისიებს და ოპერაციებს. ასევე შტაბი ანგარიშს უწევს ევროკავშირის სამხედრო კომიტეტს (EUMC)<sup>244</sup>, რომელიც წარმოადგენს წევრი სახელმწიფოების თავდაცვის მეთაურებს და ახორციელებს სტრატეგიულ დაგეგმვას. შტაბი ამჟამად შედგება 200+ სამხედრო და სამოქალაქო პერსონალისგან და ევროპის თავდაცვის სააგენტო (EDA<sup>245</sup>) ერთად ქმნიან მუდმივ სტრუქტურირებული თანამშრომლობის სამდივნოს (PESCO).<sup>246</sup> ქვემოთ წარმოგიდგენთ პოლიტიკურ და ორგანიზაციულ სტრუქტურას და ურთიერთობას უმაღლეს წარმომადგენელს, სამხედრო შტაბსა და სამხედრო კომიტეტს შორის 2017 წლის ნოემბრის მდგომარეობით:<sup>247</sup>

---

<sup>242</sup>CSDP structure, instruments and agencies - [https://www.eeas.europa.eu/eeas/csdp-structure-instruments-and-agencies\\_en](https://www.eeas.europa.eu/eeas/csdp-structure-instruments-and-agencies_en) (10.21.2022)

<sup>243</sup>The Military Planning and Conduct Capability (MPCC) - [https://www.eeas.europa.eu/eeas/military-planning-and-conduct-capability-mpcc\\_en](https://www.eeas.europa.eu/eeas/military-planning-and-conduct-capability-mpcc_en) (10.21.2022)


<sup>244</sup>European Union Military Committee (EUMC) - <https://www.consilium.europa.eu/en/council-eu/preparatory-bodies/european-union-military-committee/> (10.21.2022)

<sup>245</sup>European Defence Agency - <https://eda.europa.eu/> (10.21.2022)

<sup>246</sup>Permanent Structured Cooperation (PESCO) - <https://www.pesco.europa.eu/> (10.21.2022)

<sup>247</sup>CSDP structure, instruments and agencies - [https://www.eeas.europa.eu/eeas/csdp-structure-instruments-and-agencies\\_en](https://www.eeas.europa.eu/eeas/csdp-structure-instruments-and-agencies_en) (10.21.2022)





ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) პოლიტიკური ორგანოების და სტრუქტურების ფუნქცია მოვალეობები:

პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი (PSC - THE POLITICAL AND SECURITY COMMITTEE) - პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი (PSC) იკრიბება ელჩების დონეზე, როგორც ევროკავშირის საბჭოსთვის წინადადების მოსამზადებელი ორგანო. მისი ძირითადი ფუნქციებია საერთაშორისო მოვლენებზე დაკვირვება და დახმარება საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (CFSP) ფარგლებში პოლიტიკის განსაზღვრაში, მათ შორის CSDP-ისთვის. კომიტეტი ამზადებს ევროკავშირის თანმიმდევრულ პასუხს სამხედრო-სამოქალაქო კრიზისებზე და ახორციელებს თავის პოლიტიკურ კონტროლს.<sup>248</sup>

ევროკავშირის სამხედრო კომიტეტი (EUMC - THE EUROPEAN UNION MILITARY COMMITTEE) წარმოადგენს უმაღლეს სამხედრო ორგანოს, რომელიც შექმნილია საბჭოს ფარგლებში. იგი შედგება წევრი სახელმწიფოების თავდაცვის მეთაურებისგან, რომლებსაც რეგულარულად წარმოადგენენ მათი მუდმივი სამხედრო წარმომადგენლები. EUMC უზრუნველყოფს რჩევებსა და რეკომენდაციებს ევროკავშირის ფარგლებში ყველა სამხედრო საკითხთან დაკავშირებით.<sup>249</sup>

კრიზისის მართვის სამოქალაქო ასპექტების კომიტეტი (CIVCOM) - EUMC-ის პარალელურად, ევროკავშირის რჩევებს და რეკომენდაციებს სამოქალაქო კრიზისების მართვის საკითხებში უზრუნველყოფს სამოქალაქო ასპექტების კომიტეტი.<sup>250</sup>

---

<sup>248</sup>Political and Security Committee (PSC) - <https://www.consilium.europa.eu/en/council-eu/preparatory-bodies/political-security-committee/> (10.22.2022)

<sup>249</sup>European Union Military Committee (EUMC) - [https://www.eeas.europa.eu/eeas/eumc\\_en](https://www.eeas.europa.eu/eeas/eumc_en) (10.22.2022)

<sup>250</sup>Committee for Civilian Aspects of Crisis Management (CivCom) - <https://www.consilium.europa.eu/en/council-eu/preparatory-bodies/committee-civilian-aspects-crisis-management/> (10.22.2022)

პოლიტიკურ-სამხედრო ჯგუფი (PMG - THE POLITICO-MILITARY GROUP) ახორციელებს მოსამზადებელ სამუშაოებს CSDP-ის სფეროში პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტისთვის. იგი მოიცავს ევროკავშირის სამხედრო და სამოქალაქო-სამხედრო საკითხების პოლიტიკურ ასპექტებს, მათ შორის კონცეფციებს, ოპერაციებსა და მისიებს. იგი ხელს უწყობს (ჰორიზონტალური) პოლიტიკის შემუშავებას და ინფორმაციების გაცვლას წევრ სახელმწიფოებს შორის. მას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება მესამე სახელმწიფოებთან და სხვა ორგანიზაციებთან პარტნიორულ ურთიერთობებთან დაკავშირებით, მათ შორის ევროკავშირ-ნატოს ურთიერთობებზე.<sup>251</sup>

ევროკავშირის სამხედრო შტაბი (EUMS - THE EUROPEAN UNION MILITARY STAFF) - მუშაობს ევროკავშირის სამხედრო კომიტეტის (EUMC) ხელმძღვანელობით და უმაღლესი წარმომადგენლის/ვიცე-პრეზიდენტის (HR/VP) ხელმძღვანელობით, რომელიც წარმოადგენს კოლექტიურ (მულტიდისციპლინური) სამხედრო ექსპერტიზას. იგი ასევე კოორდინაციას უწევს სამხედრო მისიებსა და ოპერაციებს. მისი მთავარი მიზანია სამხედრო კრიზისების სიტუაციის შეფასება, სტრატეგიული დაგეგმვის უზრუნველყოფა, კომუნიკაციებისა და საინფორმაციო სისტემების გამართვა, საერთო კონცეფციის შემუშავება, წვრთნები და განათლება.<sup>252</sup>

სამხედრო დაგეგმვისა და შესაძლებლობების წარმართვის შტაბი (MPCC - THE MILITARY PLANNING AND CONDUCT CAPABILITY) დაარსდა 2017 წლის 8 ივნისს. მისი მიზანია \_ ევროკავშირმა შეძლოს უფრო სწრაფად და ეფექტურად მოახდინოს რეაგირება მის საზღვრებს გარეთ არსებულ უსაფრთხოების გამოწვევებზე. იგი ასევე პასუხისმგებელია ევროკავშირის სამხედრო მისიების ოპერატიულ

---


<sup>251</sup>Politico-Military Group (PMG) - <https://www.consilium.europa.eu/en/council-eu/preparatory-bodies/politico-military-group/> (10.21.2022)

<sup>252</sup>The European Union Military Staff (EUMS) - [https://www.eeas.europa.eu/eeas/european-union-military-staff-eums\\_en](https://www.eeas.europa.eu/eeas/european-union-military-staff-eums_en) (10.21.2022)

დაგეგმვასა და წარმართვაზე (მისია: მალიში, სომალსა და ცენტრალურ აფრიკის რესპუბლიკაში).<sup>253</sup>

სამოქალაქო კრიზისების მართვისა და შესაძლებლობების წარმართვის შტაბი (CPCC - THE CIVILIAN PLANNING AND CONDUCT CAPABILITY) წარმოადგენს მუდმივ სტრუქტურას, რომელიც პასუხისმგებელია სამოქალაქო კრიზისებზე და ოპერაციებზე.<sup>254</sup>

*ბიუროკრატიული აქტორები CSDP-ში და მმართველობის დონეები*



<sup>253</sup>The Military Planning and Conduct Capability (MPCC) - [https://www.eeas.europa.eu/eeas/military-planning-and-conduct-capability-mpcc\\_en](https://www.eeas.europa.eu/eeas/military-planning-and-conduct-capability-mpcc_en) (10.21.2022)

<sup>254</sup>The Civilian Planning and Conduct Capability (CPCC), which is part of the EEAS, is the permanent structure responsible for an autonomous operational conduct of civilian CSDP operations. - [https://www.eeas.europa.eu/eeas/civilian-planning-and-conduct-capability-cpcc\\_en](https://www.eeas.europa.eu/eeas/civilian-planning-and-conduct-capability-cpcc_en) (10.22.2022)

*ევროკავშირის საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკაში (CSDP)  
ჩართული აქტორები (მოთამაშეები)*

<b>ერთეული</b>	<b>სამხედრო</b>	<b>სამოქალაქო</b>	<b>ინდუსტრია</b>	<b>პოლიტიკური</b>
<b>სახელმწიფო აქტორი</b>	ეროვნული თავდაცვის სამინისტრო, სამხედრო პერსონალი, ეროვნული სტრუქტურები თავდაცვაში	ეროვნული შინაგან საქმეთა სამინისტრო, პოლიცია, იუსტიცია.	BAE Systems, Finmeccanica, AirbusMilitary; EADS; Dassault Aviation	ეროვნული სამინისტროები; საგარეო საქმეთა; პრემიერ-მინისტრის/ პრეზიდენტის კაბინეტები; პარლამენტის კომიტეტები; პოლიტიკური პარტიები
<b>არასახელმწიფო აქტორი</b>	ევროკავშირის სამხედრო კომიტეტი, ევროკავშირის სამხედრო შტაბი,	ევროკავშირის სამოქალაქო კრიზისების მართვა (CIVCOM)	ეროვნული სამხედრო ინდუსტრიის ცენტრები	პოლიტიკის და უსაფრთხოების კომიტეტი (PSC), კორეპერი,
<b>მესამე მხარე</b>	ნატო,	გაერო, ადამიანის უფლებების ორგანიზაცია,	ბოინგი,	აშშ-ს პრეზიდენტი, მთავრობა და კონგრესი



ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკას სამუშაოში, ასევე ეხმარება შემდეგი უწყებები, რომლებიც მხარს უჭერენ CSDP-ის ეფექტურობის ზრდას. თავდაცვის სააგენტო (EDA),<sup>255</sup> რომელიც მდებარეობს ბრიუსელში, ხელს უწყობს ეროვნული სამხედრო შესაძლებლობების გაუმჯობესებას და ინ-


ტეგრაციას. სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტო (Frontex)<sup>256</sup>, რომელიც დაფუძნებულია ვარშავაში, პოლონეთში, ხელმძღვანელობს ევროპულ სანაპირო დაცვას, რომელიც აკონტროლებს შენგენის ზონის საზღვრებს.

უსაფრთხოების კვლევების ინსტიტუტი (ISS)<sup>257</sup>, რომელიც მდებარეობს პარიზში, არის ავტონომიური ანალიტიკური ცენტრი, რომელიც იკვლევს ევროკავშირის შესაბამის უსაფრთხოების საკითხებს. სატელიტური ცენტრი (SatCen)<sup>258</sup>, რომელიც მდებარეობს ესპანეთში, მხარს უჭერს გადაწყვეტილების მიღებას პროდუქტებისა და სერვისების მიწოდებით.

საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა ხორციელდება წევრი სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების/თავდაცვის ძალების სამხედრო და სამოქალაქო კონტრიბუციით, რომლებიც ასევე ვალდებულნი არიან განახორციელონ კოლექტიური თავდაცვა.

<sup>255</sup>European Defence Agency - <https://eda.europa.eu/> (10.25.2022)  
<sup>256</sup>Frontex | European Union Agency - <https://frontex.europa.eu/> (10.25.2022)  
<sup>257</sup>European Union Institute for Security Studies - <https://www.iss.europa.eu/> (10.25.2022)  
<sup>258</sup>SatCen - European Union Satellite Centre - <https://www.satcen.europa.eu/> (10.25.2022)

ევროკავშირის ხუთ სახელმწიფოს გააჩნია ბირთვული იარაღი: საფრანგეთს (საკუთარი ბირთვული პროგრამები), ბელგიას, გერმანიას, იტალიასა და ნიდერლანდებს (აშშ-ის ბირთვული პროგრამები). ერთობლივად, ევროკავშირს აქვს 300 ქობინი და ასევე განთავსებულია აშშ-ს 90-დან 130-მდე ამერიკული ქობინი. ქვემოთ შეგიძლიათ იხილოთ ეროვნული გაერთიანებული შეიარაღებული ძალების პერსონალი.<sup>259</sup>







ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების (გერმანია, საფრანგეთი, იტალია და ესპანეთის) სამხედრო ხარჯები ევროში (€). წევრი ქვეყნების ერთობლივმა სამხედრო ხარჯებმა 2018 წელს 223,4 მილიარდი ევრო შეადგინა. ეს წარმოადგენს ევროკავშირის მშპ-ს 1.4%-ს. ევროპული სამხედრო ხარჯები მოიცავს ხარჯებს ერთობლივ პროექტებზე, როგორცაა აღჭურვილობის ერთობლივი შესყიდვა. ევროკავშირის გაერთიანებული აქტიური სამხედრო ძალები 2016 წელს შეადგენდა 1,410,626 პერსონალს.<sup>260</sup>

<sup>259</sup>European Union Military Strength (2022) - <https://www.globalfirepower.com/countries-listing-european-union.php> (10.25.2022)

<sup>260</sup>Military capabilities in Europe - <https://www.iiss.org/blogs/research-paper/2022/02/military-capabilities-in-europe-a-framework-for-assessing-the-qualitative-dimension> (10.25.2022)







სახელმწიფო	თავდაცვის ბიუჯეტი	აქტიური სამხედრო პერსონალი
გერმანია 	57 - მილიარდი	177,000
საფრანგეთი 	49 - მილიარდი	208,000
იტალია 	26 - მილიარდი	181,000
ესპანეთი 	15- მილიარდი	120,000

საზღვაო ძალები: წვერი სახელმწიფოების საზღვაო ძალების შემადგენლობაში წარმოდგენილია დაახლოებით 514 ექსპლუატაციაში შესული საბრძოლო ხომალდი, აქედან 4 არის ფლოტის გადამზიდავი. ევროკავშირს ასევე ყავს 4 ამფიბიური თავდასხმის გემი და 20 – ამფიბიის დამხმარე გემი. ევროკავშირის 49 წყალქვეშა ნავიდან 10 არის ატომური ენერჯის წყალქვეშა ნავი, ხოლო 39 – ჩვეულებრივი თავდასხმის წყალქვეშა ნავი.<sup>261</sup>

ოპერაცია ატლანტა (ფორმალურად, ევროკავშირის საზღვაო ძალები სომალში) არის ევროკავშირის პირველი (და ჯერ კიდევ მიმდინარე) საზღვაო ოპერაცია. იგი წარმოადგენს ევროკავშირის ფართო გლობალური მოქმედების ნაწილს აფრიკის რეჟიონში სომალის კრიზისთან გამკლავების მიზნით. ოპერაციაში ევროკავშირის 23 ქვეყანა მონაწილეობს.

<sup>261</sup> EU MILITARY CAPABILITIES - <https://eda.europa.eu/webzine/issue11/interview/military-capabilities---europe-still-lacks-strategic-enablers> (10.25.2022)

ევროკავშირი და სახელწმიფოები	ფლოტის გადამ-ზიდავი	ამფიბიური თავდასხ-მის გემი	გამანადგუ-რებელი	ფრეგატი	ნადმსაწი-ნაღმდეგო ხომალდი	ბალისტი-კური რაკეტის წყალქვეშა ნავი
ევროკავშირი 	4	4	34	74	136	4
იტალია 	2	1	4	14	10	
საფრანგეთი 	1	3	4	11	18	4
ესპანეთი 	1	1	13	11	6	



ოპერაცია ATALANTA გაგრძელდება 2022 წლის დეკემბრამდე, მანდატი შეიცვალა ახალ პასუხისმგებლობებზე ასახვის მიზნით.



ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს გააჩნიათ დიდი რაოდენობით სხვადასხვა სახმელეთო სამხედრო შეიარაღებები, მანქანები და ჯავშანტექნიკა: „მთავარი საბრძოლო ტანკი“ \_ მასში შედის გამანადგურებლები, როგორცა იტალიური B1 Centauro ან ნებისმიერი თვითმავალი ძლიერი ცეცხლსასროლი იარაღი. „შეჯავშნული საბრძოლო მანქანა“ \_ მოიცავს ნებისმიერ ჯავშანმანქანას, რომელიც ძირითადად შექმნილია ქვეითების გადასაყვანად და აღჭურვილია, სლ მცირე, 20 მმ კალიბრის ავტომატური ქვემეხით (CFE ხელშეკრულების მიხედვით). „არტილერიის“ კატეგორიაში შედის თვითმავალი ან ბუქსირებადი ჰაუბიცები და 100 მმ კალიბრის ნაღმტყორცნები. „თავდასხმის შვეულმფრენის“ კატეგორიაში შედის ნებისმიერი მბრუნავი ფრთის თვითმფრინავი, რომელიც შეიარაღებულია და აღჭურვილია სამიზნეებისთვის ან აღჭურვილია სხვა სამხედრო ფუნქციების შესასრულებლად (როგორცაა Apache ან Wildcat). "სამხედრო ლოგისტიკური მანქანა" \_ ამ კატეგორიაში შედის 4-ტონიანი, 8-ტონიანი, 14-ტონიანი ან მეტი ლოგისტიკური






სატვირთო მანქანები, რომლებიც განკუთვნილია სამხედრო დავალების შესასრულებლად. ქვემოთ მოცემულ ცხირლში წარმოგიდგენთ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სახმელეთო ძალების სტატისტიკურ მონაცემებს.

ევროკავშირი და საბრძოლო ჯავშანმანქანები არტილერია ლოჯისტიკური მანქანები	სახელმწიფო	ტანკი			
პოლონეთი		1,675	3,310	1,580	10,111
საბერძნეთი		1,622	2,187	1,920	9,177
იტალია		1,176	3,145	1,446	10,921
რუმინეთი		857	1,272	1,273	4,599
გერმანია		815	1,774	401	3,445
ესპანეთი		484	1,007	811	2,763
საფრანგეთი		450	6,256	349	3,135
ევროკავშირი		8,413	25,421	11,259	60,113





ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს განსხვავებული საჰაერო ძალები გაჩნიათ, რაც განპირობებულია თითოეული წევრი სახელმწიფოს ეროვნული თავდაცვის ინდუსტრიის მიხედვით. თუმცა, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ ისეთი პროგრამები, როგორც Eurofighter Typhoon დაEurocopter Tiger, იყენენ ერთიან დიზაინზე და ექსპლუატაციაზე. მთლიანი საბრძოლო ავიაციის 60% შემუშავებულია და წარმოებულია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ხოლო 32% აშშ-ში და 8% – საბჭოთა წარმოების თვითმფრინავებია. 2014 წლის მდგომარეობით, შეფასებულია, რომ ევროკავშირს ჰყავდა დაახლოებით 2000 სამსახურებრივი საბრძოლო თვითმფრინავი (მოიერიშე და სახმელეთო თავდასხმის თვითმფრინავი).

სახელმწიფო და ევროკავშირი	Typhoon	F-35	სხვა
<b>გერმანია</b> 	137	35	Tornado - 75
<b>საფრანგეთი</b> 	Rafale - 143	-	Mirage - 136
<b>იტალია</b> 	95	28	Tornado - 59
<b>ესპანეთი</b> 	68	15	12 Harrier II
<b>ევროკავშირი</b> 	315	334	1,677

## Typhoon



## Rafale



## Tornado








ევროკავშირის სახელმწიფოების უმრავლესობა ასევე ნატო-ს ალიანსის წევრია. ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (CSDP) სტრუქტურულად განსხვავებულია ნატო-სგან, რადგან ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყანა ტრადიციულად ნეიტრალურია თავდაცვის საკითხებში, ასევე ევროკავშირის რამდენიმე წევრი სახელმწიფო ვარშავის პაქტის წევრებიც იყვნენ. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის და ნატო-ს ალიანსის შედარება როგორც ინსტიტუციურად, ასევე პოლიტიკურად.<sup>262</sup>

	<p>ევროკავშირი (საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა - CSDP)</p> 	<p>ნატო</p> 
<p><b>შეთანხმება</b></p>	<p>ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების კონსოლიდირებული ვერსიის მუხლი 42.7:</p> <p>„თუ წევრი სახელმწიფო მის ტერიტორიაზე შეიარაღებული აგრესიის მსხვერპლია, სხვა წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ მის მიმართ დახმარების ვალდებულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად. [...]“</p>	<p>ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლი:</p> <p>„მხარეები თანხმდებიან, რომ ერთ ან ერთზე მეტ მხარეზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა აღიქმება ყველას წინააღმდეგ თავდასხმად. არსებულ შემთხვევაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავდაცვის უფლების საფუძველზე მხარეები დახმარებას გაუწევენ საფრთხის ქვეშ მყოფ მხარეს ან მხარეებს და განახორციელებენ ყველა საჭირო ქმედებას, მათ შორის სამხედრო ძალის გამოყენებას, [...]“</p>

<sup>262</sup>THE EU-CSDP-NATO RELATIONSHIP: ASYMMETRIC COOPERATION AND THE SEARCH FOR MOMENTUM - <https://www.jstor.org/stable/44838587> (10.25.2022)

	<p>ევროკავშირი (საერთო უსაფრთხოე- ბისა და თავდაცვის პოლიტიკა - CSDP)</p> 	<p>ნატო</p> 
ხელმძღვა- ნელი	<p>უმაღლესი წარმომადგენელი (HR/VP)</p>  <p><i>ხოსეპ ბორელ ფონტელესი 2019 წლის 1 დეკემბრიდან</i></p>	<p>გენერალური მდივანი</p>  <p><i>იენს სტოლტენბერგი 2014 წლის 1 ოქტომბრიდან</i></p>
უმაღლესი სამხედრო მეთაური	<p>ევროკავშირის სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე</p> <p>★★★★</p> <p>სამხედრო დაგეგმვის დირექტორი</p> <p>★★★</p>	<p>ევროპის მოკავშირეთა უმაღლესიმეთაური</p> <p>★★★★</p>
სათაო ოფისი	<p>სამხედრო დაგეგმვისა და შესაძლებლობების მართვა (ბრიუსელი, ბელგია)</p> 	<p>ევროპის მოკავშირე ძალების უმაღლესი შტაბი (მონსი, ბელგია)</p> 
თავდაცვის მეთაურთა ასამბლეა	<p>ევროკავშირის სამხედრო კომიტეტი</p> 	<p>ნატოს სამხედრო კომიტეტი</p> 
საკონსულ- ტაციო ორგანო	<p>ევროკავშირის სამხედრო შტაბი</p> 	<p>საერთაშორისო სამხედრო შტაბი</p> 

## პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში (CSDP)

ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიღების პროცედურაში საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია „დღის წესრიგის დადგენა“, როგორც პროცესისა, რომლის დროსაც წევრი სახელმწიფოები ან ევროკავშირი ცდილობს საკუთარი საკითხების დღის წესრიგში დაყენებას (აქტუალობის შექმნა პოლიტიკური მიმართულებისთვის) და შენარჩუნებას. დღის წესრიგის დადგენა წარმოადგენს პოლიტიკის შემუშავების პირველ ნაბიჯს. დღის წესრიგის გარეშე შეუძლებელია გადაწყვეტილების ან რაიმე მნიშვნელოვანი ქმედების განხორციელება. საწყის ეტაპზე ამოსავალი წერტილია ევროკავშირის ბიუროკრატებისთვის ფორმალური დღის წესრიგის დადგენის უფლებამოსილების განსაზღვრა და ინიციატივების შეთავაზება ევროკავშირისთვის.<sup>263</sup>

CSDP-ის პოლიტიკაში მნიშვნელოვანია გარკვეული ინიციატივების შეთავაზება, რომლის გარეშეც „დღის წესრიგის“ განსაზღვრა ვერ განხორციელდება. ინიციატივების უფლებას იზიარებენ წევრი სახელმწიფოები და უმაღლესი წარმომადგენელი, რომელთაც შეუძლიათ მიმართონ საბჭოს საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე და ასევე შეუძლიათ წარუდგინონ გარკვეული ინიციატივები, წინადადებები და გეგმები. ლისაბონის ხელშეკრულებამდე გაზიარებული იყო წევრ სახელმწიფოებსა და ევროკომისიას შორის, დღეს კი კომისიას აღარ აქვს ინიციატივის საერთო უფლება, იგი უფრო მეტად კონცენტრირებულია გადაწყვეტილებების აღსრულების პროცედურაზე.<sup>264</sup>

---

<sup>263</sup>Hylke Dijkstra, *Policy-Making in EU Security and Defense: An Institutional Perspective* (Oxford, 2015), 78-100.

<sup>264</sup>იქვე.

მიუხედავად იმისა, რომ კომისიას აღარ აქვს ინიციატივის უფლება, უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი წარმომადგენელი ასევე წარმოადგენს კომისიის ვიცე-პრეზიდენტს, აქედან გამომდინარე, მას შეუძლია გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით მიიღოს „კომისიის მხარდაჭერა“ და შეთავაზებული საკითხებიც კომისიის კოლეგიასთან ახლოს იქნება.<sup>265</sup>

ლისაბონის ხელშეკრულების თანახმად, ინიციატივის უფლება წარმოადგენს CSDP-ში დღის წესრიგის დადგენის წინა პრაქტიკას. ამსტერდამის ხელშეკრულების თანახმად, უმაღლესი წარმომადგენელი და საბჭოს სამდივნო არ სარგებლობდნენ ფორმალური დღის წესრიგის დადგენის უფლებამოსილებით, რადგან, ოფიციალურად, მხოლოდ პრეზიდენტს და წევრ ქვეყნებს ეხმარებოდნენ საგარეო პოლიტიკის წარმართვაში. როდესაც უმაღლესი წარმომადგენლის პოსტი შემოიღეს და მის თანამდებობაზე გამოცდილი პოლიტიკოსი ხავიერ სოლანა დაინიშნა, მან არსებული ვითარება შეცვლა და პრაქტიკამ აჩვენა, რომ უმაღლესი წარმომადგენელი აქტიურად ერეოდა ევროკავშირის დღის წესრიგის ჩამოყალიბებაში. ასევე, სოლანას შეეძლო წევრი ქვეყნების ყურადღება მიექცია არსებულ პრობლემურ საკითხებზე და დღის წესრიგში დაეყენებინა კონკრეტული თემა. ხავიერ სოლანას მეშვეობით, დღის წესრიგის ჩამოყალიბების პროცედურა გარკვეულწილად შეიცვალა.<sup>266</sup>

საბჭოს სამდივნოს ბიუროკრატებს შეეძლოთ წარედგინათ უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხების ოფციების დოკუმენტები და გაეკეთებინა შესაბამისი კომენტარები სამუშაო ჯგუფებში. ფორმალური დღის წესრიგის ხელმისაწვდომობის ნაკლებობა პრაქტიკაში არ წარმოადგენდა პრობლემას სოლანას და საბჭოს სამდივნოსთვის. კომისიას, მასტრიხტის ხელშეკრულების შემდეგ ჰქონდა ინიცია-

---

<sup>265</sup>Agenda-setting in the Common Security and Defence Policy: An institutionalist perspective - <https://www.jstor.org/stable/45084702> (10.28.2022)

<sup>266</sup>The Lisbon Treaty's provisions on CFSP/CSDP State of implementation - [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/IDAN/2015/570446/EXPO\\_IDA\(2015\)570446\\_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/IDAN/2015/570446/EXPO_IDA(2015)570446_EN.pdf) (10.28.2022)

ტივის უფლება, მაგრამ დიდად არ გამოუყენებია იგი. მასტრიხტის ხელშეკრულების შემდეგ კომისიის ბიუროკრატიულ სტრუქტურაში განხორციელდა ძირეული რეორგანიზაციები. ამან სერიოზულად შეარყია მისი შესაძლებლობები – ყოფილიყო საგარეო პოლიტიკის მოთამაშე.

როდესაც საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარეობს ისეთი მოვლენები, რომლებსაც ევროკავშირის წევრი ქვეყნები უყურადღებოდ ვერ დატოვებენ, ასეთ შემთხვევაში იგი აუცილებლად მოხვდება ევროკავშირის დღის წესრიგში. მაგრამ არსებობს მეორე საკითხი, როდესაც წევრი სახელმწიფოების ინტერესები ერთმანეთისას არ ემთხვევა. ამ დროს დღის წესრიგის ჩამოყალიბების საკითხი მეტად დელიკატური პროცესია, რომელიც მოითხოვს დიპლომატიური უნარებისა და ქსელების გამოყენებას. დღის წესრიგში საკითხი ასევე ხვდება გაერო-ს ან ნატო-ს მოთხოვნის შედეგად. მაგალითად, ბალკანეთის კრიზისის საკითხი მოდიოდა ნატოსა და გაეროსგან, ევროკავშირის სამხედრო მისიები აფრიკის კონტინენტზე წარმოადგენს ხავიერ სოლანას ინტენსიური მუშაობის შედეგს, საქართველოში სადამკვირვებლო მისია იყო პასუხი რუსული აგრესიისა საქართველოს მიმართ (რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი), თუმცა სადამკვირვებლო მისია საფრანგეთის ხელშეწყობით დაიწყო, უსაფრთხოების სექტორის რეფორმის მისია გვინეა-ბისაუში დღის წესრიგში დადგა პორტუგალიის პრეზიდენტობის შედეგად. თუ გსურს შენი საკითხი ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის დღის წესრიგში დადგეს, აქტორებს უნდა ჰქონდეთ წვდომა პოლიტიკის შემუშავების პროცესებზე უმაღლეს წარმომადგენელთან და სხვა ოფიციალურ პირებთან.<sup>267</sup>

ევროპის საგარეო საქმეთა სამსახურში (EEAS) რამდენიმე აქტორია ჩართული CSDP-ის დღის წესრიგის ჩამოყალიბების პროცესში. მაღალ დონეზე, რა თქმა უნდა, წარმოდგენილია უმაღლესი წარმომადგე-

---

<sup>267</sup>Setting the CFSP agenda: between cooperation, co-optation and contestation - <https://ecpr.eu/Events/Event/PaperDetails/58657> (10.28.2022)

ნელი, გენერალური მდივანი და მისი მოადგილე. გარდა ამისა, რეგიონული დეპარტამენტების შტაბის ოფიცრები, როგორც წესი, ჩართულნი არიან ქვეყნისა და რეგიონის სპეციფიკური ექსპერტიზის მიწოდებაში. თუმცა დღის წესრიგის განსაზღვრაში ასევე ლიდერობს „კრიზისების მართვის პროცედურის“ დირექტორატი. იგი შედგება საბჭოს სამდივნოს ორი გაერთიანებისგან – კრიზისების მართვის დირექტორატი თავდაცვის საკითხებში და სამოქალაქო კრიზისების მართვისთვის, იგი ასევე მოიცავს სამხედრო შტაბის რამდენიმე ყოფილ ოფიცერს. „კრიზისების მართვის პროცედურის“ დირექტორატი (CMPD) პირდაპირ ექვემდებარება უმაღლეს წარმომადგენელს. განვითარებული კრიზისების შემთხვევაში ოფიციალური პირები მალევე ადგენენ ოფციონურ დოკუმენტს. როდესაც წევრ ქვეყნებს სურთ სამუშაოს წინ წაწევა, ოფციონების დოკუმენტი შეიძლება გახდეს კრიზისზე რეაგირების ფორმალური დაგეგმვის საფუძველი. ევროკომისიის ზოგ გენერალურ დირექტორატს შეუძლია დამხმარე როლის შესრულება. მაგალითად, ჩადში სამხედრო ოპერაციის დღის წესრიგის შედგენის პროცესში, კომისიის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა დაწერეს ერთობლივი ოფციონური დოკუმენტი. კოსოვოს შემთხვევაში, კომისარი ოლი რენი იმდროინდელ უმაღლეს წარმომადგენელთან, სოლანასთან ერთად, თანაავტორი იყო რამდენიმე მოხსენებისა ევროკავშირში.<sup>268</sup>

ზოგჯერ არ არის არც დრო, არც საჭიროება, ოფციონების დოკუმენტების მოსამზადებლად და წევრი სახელმწიფოებისთვის გასაცნობად. ამ დროს უსაფრთხოების პოლიტიკის კომიტეტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს დღის წესრიგის ჩამოყალიბებაში. ლისაბონის ხელშეკრულების შემდეგ კომიტეტს აქვს მუდმივი თავჯდომარეობის პოზიცია; მას შემდეგ, რაც წევრი სახელმწიფოები შეთანხმდებიან, რომ კონკრეტული ქმედება მიზანშეწონილია და ევროკავშირი გადადის კრიზისების რეაგირების დაგეგმვაზე და მართვაზე, შემდეგი ნაბიჯი წარმოადგენს CSDP-ის ექსპერტების გუნდის გაგზავნას

---

<sup>268</sup>European External Action Service - <https://www.eeas.europa.eu/en> (10.28.2022)

ფაქტების დადგენისთვის ოპერაციების თეატრში. ეს წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების ფორმალური პროცესების დასაწყისს.

ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიღების პროცედურა მეტად საინტერესოა, რადგან ის ქმნის მოლოდინებს წევრი სახელმწიფოებისთვის სამომავლო გეგმის დასახვისთვის და იმ ფაქტების დამდგენია, თუ რატომ უნდა მიიღონ მონაწილეობა წევრმა სახელმწიფოებმა ევროკავშირის კონკრეტულ მისიაში. როდესაც წევრი სახელმწიფოების კონკრეტულ მისიასთან დაკავშირებით არ აქვთ საკმარისი პოლიტიკური და სამხედრო ინფორმაცია, ისინი ხშირად თავს იკავებენ სამხედრო და სამოქალაქო მისიებში მონაწილეობისგან. წევრ სახელმწიფოებს გარკვეული პოლიტიკური და ტექნიკური ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ინდივიდუალურად, კონკრეტული ჯგუფის გაგზავნით სამოქალაქო ან სამხედრო მისიის ადგილას.<sup>269</sup>

მოლაპარაკებების დროს ევროკავშირის ოფიციალური პირების ყოფნამ გარკვეული მოლოდინი გააჩინა, ხოლო ფაქტების დამდგენმა ჯგუფმა აფრიკაში სამოქალაქო და სამხედრო მისიას გარკვეული იმპულსი მისცა. წევრი ქვეყნებისთვის პოლიტიკური და ტექნიკური ინფორმაციის ნაკლებობა იწვევს მისიაში მონაწილე ქვეყნების გაურკვევლობას. ფაქტების დამდგენ ჯგუფს, როგორც წესი, ერთი კვირა სჭირდება. იგი შედგება ევროკავშირის რამდენიმე ოფიციალური პირისგან. მის შემადგენლობაში არიან პოლიტიკისა და სამხედრო ოფიცერი, დამგეგმავი, ლოჯისტიკის ოფიცერი და დაზვერვის ოფიცერი. მისიაში ასევე მონაწილეობენ წევრი სახელმწიფოების მიერ მივლინებული პირები, რომლებიც ბოლოს მისიაში მონაწილეობით მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ. ფაქტების დამდგენ ჯგუფში ასევე ინტეგრირებული არიან საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური პირები.<sup>270</sup>

---

<sup>269</sup>Agenda-setting in the European Union -

<https://journals.sagepub.com/doi/full/10.1177/0010836712462772> (10.28.2022)

<sup>270</sup>იქვე,



კრიზისის დაწყებიდან მალევე პროცესში ერთვება კრიზისული პლატფორმა, მისი მიზანია გააერთიანოს ოპერაციის დაგეგმვაში ჩართული ყველა აქტორი, მათ შორის კომისიის ოფიციალური პირები, რათა უზრუნველყოს თანმიმდევრულობა. შეხვედრები ტარდება დაგეგმვის მთელი პროცესის განმავლობაში. პლატფორმა მოიცავს მაღალჩინოსნებს, რაც პრაქტიკაში გულისხმობს EEAS-ის დირექტორებს და კომისიის შტაბის ოფიცრებს.<sup>271</sup>

როდესაც ფაქტების დამდგენი ჯგუფი და კრიზისული პლატფორმა შეასრულებს თავის ვალდებულებებს, შემდეგ უკვე ხდება კრიზისების მართვის კონცეფციის დამუშავება და მიღება. კონცეფცია ეფუძნება ფაქტების დამდგენი მისიის შედეგად მიღებულ ინფორმაციას. იგი ოფიციალურად შემუშავებულია CMPD-ის მიერ. იგი იგზავნება წევრი სახელმწიფოების პოლიტიკურ და უსაფრთხოების კომიტეტებში, სანამ მთავრობის წარმომადგენლები და ელჩები გაეცნობიან, ისინი აყალიბებენ სამუშაო ჯგუფებს. ევროკავშირის სამხედრო კომიტეტის (EUMC)-ის სამუშაო ჯგუფი და პოლიტიკური სამხედრო ჯგუფი (PMG) პასუხისმგებელია სამხედრო კონცეფციის შემუშავებაში. კრიზისების მართვის სამოქალაქო ასპექტების კომიტეტი (CIVCOM) პასუხისმგებელია სამოქალაქო კონცეფციის შექმნაზე. მაგრამ არსებობს მისიები, სადაც სამოქალაქო კონცეფციაზე ასევე მუშაობს სამხედრო კომიტეტიც. მაგალითად, აფრიკაში სამოქალაქო სადამკვირვებლო მისია მოიცავდა განიარაღებასაც, რომელშიც ჩართულნი იყვნენ სამხედრო ოფიცრები (სამოქალაქო ტანსაცმელში).<sup>272</sup>

ევროკავშირის სამხედრო კომიტეტი (EUMC) და კრიზისების მართვის სამოქალაქო ასპექტების კომიტეტი (CIVCOM) წარმოადგენს წევრი სახელმწიფოების სამთავრობოთაშორისო კონტროლის ორგანოებს. სამხედრო კომიტეტი, ძირითადად, დაკომპლექტებულია ორ- და სამეარსკვლავიანი გენერლებით მუდმივ წარმომადგენლობებში.

---

<sup>271</sup>Hylke Dijkstra, *Policy-Making in EU Security and Defense: An Institutional Perspective* (Oxford, 2015), 78-100.

<sup>272</sup>იქვე,

გენერლების უმრავლესობა ასევე ნატო-ში არიან სამხედრო წარმომადგენლები. ზემოთხსენებული გენერლები ეროვნული თავდაცვის სამინისტროებში სამხედრო იერარქიის სათავეში არიან, მათ დაახლოებით 35-წლიანი გამოცდილება აქვთ სამხედრო საქმეში და თანამდებობაზე დანიშვნამდე ისინი სრულფასოვან კურსებს გადიან აშშ-ში. გენერლები კარგად არიან მომზადებული სამხედრო დოქტრინის გამოყენებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებში, ვინაიდან ისინი ასევე თანამდებობს იკავებენ ეროვნული თავდაცვის სამინისტროებში. სამხედრო კომიტეტს ასევე ჰყავს მუდმივი თავმჯდომარე ოთხ- ან ხუთვარსკვლავიანი გენერლის სახით. CIVCOM ბევრად პატარა პოლიტიკური ორგანოა, იგი ძირითადად შედგება ახალგაზრდა და შუახნის დიპლომატებისგან. სამხედრო კომიტეტსა და CIVCOM-ს შორის განსხვავება ნაწილობრივ გადალახულია უსაფრთხოების პოლიტიკის კომიტეტის ელჩების მეშვეობით, რომლებსაც საბოლოო სიტყვა ეთქმით კრიზისის მართვის კონცეფციაზე და მისიის დაგეგმვაზე.<sup>273</sup>

ევროკავშირის სამხედრო კომიტეტის (EUMC) და კრიზისების მართვის სამოქალაქო ასპექტების კომიტეტის (CIVCOM) რჩევებისა და რეკომენდაციის საფუძველზე, პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტს (PSC) შეუძლია შეცვალოს ან მიიღოს კრიზისების მართვის კონცეფცია. კონცეფციის მიღების შემდეგ იგი რატიფიცირებისთვის ოფიციალურად ეგზავნება საბჭოს, მიიღება საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის დროს.<sup>274</sup>

კრიზისების მართვის კონცეფციის მიღების შემდეგ ევროპის საგარეო საქმეთა სამსახური (EEAS) ამზადებს სტრატეგიულ დოკუმენტებს. სამხედრო ოპერაციის შემთხვევაში ეს არის სამხედრო სტრატეგიული დოკუმენტების ვარიანტები, ხოლო სამოქალაქო მისიებისთვის – სამოქალაქო სტრატეგიული დოკუმენტი. სამხედრო სტრატეგიულ დოკუმენტს ადგენენ ევროკავშირის სამხედრო შტაბის (EUMS)

---

<sup>273</sup>იქვე,

<sup>274</sup>იქვე,

ოფიციალური პირები, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებიან უმაღლეს წარმომადგენელს და სამხედრო კომიტეტს. სამხედრო შტაბი შედგება ხუთი ძირითადი დირექტორატისგან: დოქტრინები, დაზვერვა, ოპერაციები, ლოჯისტიკა და სტრატეგიული კომუნიკაციები. სამხედრო სტრატეგიული დოკუმენტები შემუშავებულია სამხედრო შტაბის ოპერაციების დირექტორიის მიერ, რომელიც ასევე თანამშრომლობს სხვადასხვა სამხედრო და სამოქალაქო ორგანოებთან.

სტრატეგიული დოკუმენტის ვარიანტები პირდაპირ კავშირშია და ეფუძნება კრიზისების მართვის კონცეფციას. ჩადში სამხედრო ოპერაციის დროს შემოთავაზებული იყო ოთხი სტრატეგიული ვარიანტი (ადგილობრივი არმიის მომზადებიდან – სამხედრო ბატალიონის განლაგებამდე). სამხედროებმა და გენერლებმა უნდა განიხილონ ყველა სტრატეგიული დოკუმენტით შემოთავაზებული ვარიანტები, დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურად იმას, თუ როგორ არის მომზადებული სტრატეგიული დოკუმენტი და ემთხვევა თუ არა ევროკავშირის პოლიტიკურ პრინციპებს. სტრატეგიული დოკუმენტის ვარიანტების შემუშავების პროცესში წევრი სახელმწიფოებისთვის და ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანია კონკრეტული ოპერაციის ფინანსური ხარჯები. რადგან სამხედრო ოპერაციის ხარჯები უნდა გაიზიაროს ყველა წევრმა სახელმწიფომ მათი მთლიანი ეროვნული შემოსავლის პროპორციულად. საერთო ხარჯები მოიცავს როგორც ადმინისტრაციულ განზომილებას, ასევე ინფრასტრუქტურულ ხარჯებს. ხარჯების დიდ ნაწილს, როგორცაა ხელფასები/ტრანსპორტი, თავად სამხედრო კონტრიბუციის ის შემტანი ქვეყნები ანაზღაურებენ, რომლის თავდაცვის ძალები/შეიარაღებული ძალები მონაწილეობენ კონკრეტულ მისიაში.<sup>275</sup>

სამოქალაქო მისიების დაფინანსება სამხედრო მისიებისგან განსხვავებულად არის ორგანიზებული, ამ ეტაპზე საცნობარო თანხის მიცემა

---

<sup>275</sup>Agenda-setting in CSDP: Empirical evidence - <https://journals.sagepub.com/doi/full/10.1177/0010836712462772> (10.28.2022)

შეუძლებელია. სტრატეგიული ვარიანტების დაწერის შემდეგ ისინი იგზავნიან წევრი სახელმწიფოებისთვის CIVCOM-ში, სამხედრო კომიტეტში, პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტში და, ბოლოს, საბჭოში, რომელიც ირჩევს სასურველ ვარიანტს. სამოქალაქო და სამხედრო დაგეგმვა და სტრატეგიული დოკუმენტის ვარიანტების შემუშავების ზემოთხსენებული ეტაპი ძალიან ჰგავს ერთმანეთს. თუმცა, სტრატეგიული ვარიანტების ოფიციალური მიღების შემდეგ, ისინი პოლიტიკურად სხვადასხვა გზით ვითარდებიან. სამხედრო დაგეგმვის სტრატეგიული დოკუმენტების ვარიანტები ბრიუსელიდან იგზავნება ოპერატიულ შტაბებში, ხოლო სამოქალაქო სტრატეგიული ვარიანტები რჩება ევროკავშირის დონეზე (CPCG-ში).

სამხედრო სტრატეგიული ვარიანტების შეთანხმებისა და მიღების შემდეგ სამხედრო დაგეგმვის პროცესი სტრატეგიული დონიდან ოპერატიულ დაგეგმვაზე გადადის. თუმცა, სანამ ეს ნაბიჯი გადაიდგმება, ევროკავშირმა უნდა მიიღოს საბჭოს გადაწყვეტილება, რომელიც წარმოადგენს ოპერაციის ფორმალურ სამართლებრივ საფუძველს. პრაქტიკაში საბჭოს გადაწყვეტილება არ წარმოადგენს სამხედრო დაგეგმვის დოკუმენტს, იგი უფრო სამხედრო სტრატეგიული ვარიანტებისა და კრიზისების მართვის კონცეფციის კოდიფიკაციაა. საბჭოს გადაწყვეტილება ასევე იგზავნება „კორეპერის“ სამუშაო ჯგუფებში შიდა ინსტიტუციური და ფინანსური ასპექტების გამო. მთავარი მიზეზი, რის გამოც ევროკავშირში გადაწყვეტილების მიღების პროცედურები ხშირად იწელება დროში და, გარკვეულწილად, მნიშვნელოვან მოვლენებზე გვიანი რეაქციაა, გამოწვეულია წევრი სახელმწიფოების დებატებით ფინანსურ საკითხებზე. ვინაიდან ევროკავშირის საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის მთავარი ფინანსური კონტრიბუტორები სწორედ წევრი სახელმწიფოები არიან, ხშირად ძლიერი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებს

მეტი შეაქვთ ფინანსურად, ეს დებატებს იწვევს და გადაწყვეტილების პროცესიც დროში იწელება.<sup>276</sup>

სტრატეგიული დოკუმენტის ვარიანტების მიღების შემდეგ მზადდება „ოპერაციის კონცეფცია (CONOPS)“. იგი წარმოადგენს მისიის ბევრად უფრო დეტალურ გეგმას, რომელიც იგზავნება წევრ სახელმწიფოებში დასამტკიცებლად. გარკვეული პროცედურები კვლავ ფინანსურ საკითხებზე იწყება, მაგრამ აქ უფრო მარტივადაა საქმე, რადგან კრიზისების მართვის ბიუჯეტის ზღვარი წინასწარ არის დადგენილი (როგორც ევროკავშირის მთლიანი ბიუჯეტის ნაწილი) და პრაქტიკულად არ შეიძლება მისი შეცვლა. ბიუჯეტი ასევე იგზავნება წევრ სახელმწიფოებში, რომელსაც განიხილავენ მათი საგარეო ურთიერთობათა მრჩეველთა ჯგუფები. ბიუჯეტის განხილვის შემდეგ რჩება უკვე საბჭოს გადაწყვეტილების მიღება, სადაც წევრი სახელმწიფოები ხმას აძლევენ კონკრეტული მისიის დაწყებას. გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს წევრი სახელმწიფოების მიერ. ა) საბჭო ნიშნავს მისიის ხელმძღვანელს; ბ) კომისია პასუხისმგებელია მისიის ფინანსური ნაწილის შესრულებაზე, იგი წარმოადგენს ბოლო ნაბიჯს საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის მისიის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ასევე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მიღებული უნდა იქნეს ერთობლივი სამართლებრივი საფუძველი, რომელიც ამთავრებს გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს.<sup>277</sup>

შემდეგი ეტაპი უშუალოდ სამხედრო და სამოქალაქო მისიის ოპერაციების დაწყებაა. ამ ეტაპზე სამოქალაქო და სამხედრო ოპერაციების დაწყების პროცედურები განსხვავდება ერთმანეთისგან. სამხედრო ოპერაციების ოპერატიული დაგეგმვა უკვე ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაქვემდებარებულ შტაბებში, ხოლო სამოქალაქო მისიებში

---

<sup>276</sup>Implementing Guidelines for the EU Policy on Training for CSDP - <https://www.coe-civ.eu/kh/implementing-guidelines-for-the-eu-policy-on-training-for-csdp> (10.28.2022)

<sup>277</sup>CONCEPT OF OPERATIONS (CONOPS) FOR THE EUROPEAN UNION - [https://www.eumonitor.eu/9353000/1/j9tvgaicor7dxyk\\_j9vvik7m1c3gyxp/vi7jgt6g9tzf](https://www.eumonitor.eu/9353000/1/j9tvgaicor7dxyk_j9vvik7m1c3gyxp/vi7jgt6g9tzf) (10.28.2022)

აქცენტი კეთდება ოპერაციის ადგილზე. ამგვარად, სამოქალაქო და სამხედრო ოპერაციების დაწყებას ცალ-ცალკე განიხილავენ.<sup>278</sup>

საბჭოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ევროკავშირის სამხედრო შტაბი უკვე აქტიურდება სამი სცენარის მიხედვით: 1) მას შეუძლია მისიაში და ოპერაციაში გამოიყენოს ნატოს ევროპის მოკავშირე ძალების უმაღლესი შტაბი (SHAPE); 2) ოპერაციაში შეუძლია გამოიყენოს წევრი სახელმწიფოების აქტივები და ოპერატიული სამხედრო შტაბები (საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, იტალია); 3) მუდმივი სამხედრო შტაბის ჩამოყალიბება და ოპერატიული ცენტრის გააქტიურება მისიაში.<sup>279</sup>



ევროკავშირის სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე ნატოს ევროპის მოკავშირე ძალების უმაღლესი შტაბში (SHAPE)

ამ ვარიანტებს, რა თქმა უნდა, აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. თუ ევროკავშირი იმოქმედებს პირველი ვარიანტის მიხედვით, ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირმა რამდენიმე

<sup>278</sup> იქვე,

<sup>279</sup> Supreme Headquarters Allied Powers Europe – NATO - <https://shape.nato.int/> (10.28.2022)



სამხედრო ოფიცერი უნდა გააგზავნოს ნატოს მოკავშირე ევროპის უმაღლეს შტაბში. ოფიცრები მხარს უჭერენ ევროკავშირის ოპერაციების მეთაურს, რომელიც ასევე არის ნატოს მოკავშირე ევროპის უმაღლესი სარდლის (DSACEUR) მოადგილე. გარდა ამისა, ევროკავშირი ეყრდნობა ნატოს აქტივებს, როგორცაა საკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემები. მიუხედავად იმისა, რომ ნატო უზრუნველყოფს მძლავრ მანქანას, არსებობს სამი პრობლემა. პირველი: ევროკავშირი-ნატოს ურთიერთობები გართულებულია ასიმეტრიული წევრობის შედეგად (კვიპროსი-თურქეთის პრობლემა). მეორე: იმის მიუხედავად, რომ ნატოს მოკავშირე ევროპის უმაღლესი შტაბი წარმოადგენს ძლიერ „მანქანას“. ზოგიერთი წევრი სახელმწიფო გრძნობს, რომ არ შეუძლიათ ადეკვატური პოლიტიკური კონტროლის განხორციელება სამხედრო მისიებზე. მესამე: ნატოსა და ევროკავშირის აქტორებს შორის პოლიტიკური თანამშრომლობა არც ისე მარტივია. მაშასადამე, პირველი სცენარი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სამხედრო მისია ნატო-დან ევროკავშირმა გადაიბარა.



ევროკავშირის სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე ნატოს ევროპის მოკავშირე ძალების უმაღლესი შტაბში (SHAPE)



მეორე სცენარი არის წევრი სახელმწიფოების აქტივების გამოყენება. იგი გულისხმობს შემდეგს: ერთ-ერთმა წევრმა სახელმწიფომ თავისი სამხედრო შტაბ-ბინა ხელმისაწვდომი უნდა გახადოს სამხედრო ოპერაციის ჩასატარებლად. ამ პროცესს ხშირად უწოდებენ სამხედრო შტაბის ევროპეიზებას“. მისიაში ჩართული სახელმწიფოები აგზავნიან დაახლოებით 150-მდე სამხედრო ოფიცერს აღნიშნულ შტაბში. რეალურად, ეს ოპერატიული სცენარი პრობლემური იყო, რადგან შტაბ-ბინის ხელმისაწვდომობით, წევრი სახელმწიფო ავტომატურად იღებს ლიდერის როლს ოპერაციის განხორციელებაში. წევრი სახელმწიფოების უმეტესობა თავს არიდებს ამგვარ პასუხისმგებლობას. ჩადის ოპერაციის შემთხვევაში თითქმის სამი თვე დასჭირდა იმაზე დებატებს, თუ სად უნდა მოწყობილიყო სრულყოფილად სამხედრო შტაბ-ბინა. ვინაიდან ეს სცენარიც არაოპტიმალურია, წევრმა სახელმწიფოებმა შეიმუშავეს მესამე ვარიანტი, რომელიც გულისხმობს მუდმივი ევროპული შტაბის ჩამოყალიბებას და განთავსებას.

სამხედრო დაგეგმვისა და შესაძლებლობების წარმართვის (MPCC)<sup>280</sup> შტაბში შედის „მუდმივი ოპერატიული შტაბი (OHQ)“<sup>281</sup>, რომელიც 2017 წელს დაარსდა. იგი წარმოადგენს სტრატეგიულ დონეზე სამხედრო ოპერაციების წარმართვის მთავარ ოპერატიულ შტაბს, სადაც 2500-მდე სამხედროა გაერთიანებული (ერთი საბრძოლო ჯგუფის ზომა). მუდმივი ოპერატიული შტაბი (OHQ) 2017 წლიდან ხელმძღვანელობს ამ მისიას სომალიში, მალისა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში. მუდმივი ოპერატიული შტაბი უზრუნ-

---

<sup>280</sup>The Military Planning and Conduct Capability (MPCC) -

[https://www.eeas.europa.eu/eeas/military-planning-and-conduct-capability-mpcc\\_en](https://www.eeas.europa.eu/eeas/military-planning-and-conduct-capability-mpcc_en) (10.28.2022)

<sup>281</sup>The Military Planning and Conduct Capability (MPCC) was established on 8 June 2017 with the aim of enabling the EU to react in a faster, more efficient and effective manner as a security provider outside its borders. The MPCC is responsible for the operational planning and conduct of the EU's non-executive military missions. It now commands the EU Training Missions (EUTM) in Mali, Somali and the Central African Republic. On 19 November 2018, the Council has agreed to give the MPCC the additional responsibility to be ready also to plan and conduct one executive military operation of the size of an EU Battlegroup. Its permanent staff capacity will be strengthened accordingly -

[https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/mpcc\\_factsheet\\_november\\_2018.pdf](https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/mpcc_factsheet_november_2018.pdf) (10.28.2022)

ველყოფს პოლიტიკური სტრატეგიული დონიდან ტაქტიკურ დონეზე გადასვლას. პირველ ეტაპზე მუდმივი ოპერატიული შტაბის ამოცანაა – შეიმუშავოს სამხედრო ოპერაციის კონცეფცია (CONOPS).



ნატოს შტაბ-ბინა, ევროკავშირის ალტერნატიული დამუდმივი ოპერატიული შტაბების (OHQ) ადგილმდებარეობა.

**ნაჩვენებია:**

- 1) ევროკავშირის შტაბ-ბინა - წითელი;
- 2) ნატოს შტაბ-ბინა - ლურჯი;
- 3) წევრი სახელმწიფოების მიერ შემოთავაზებული ეროვნული ოპერატიული შტაბები (OHQ) ყვითელი – ნიშნით.

მუდმივი ოპერატიული შტაბი შეიმუშავებს სამხედრო საინიციატივო დირექტივას (IMD), რომელიც მისიის მსვლელობაში ითვლება მთავარ სამხედრო სახელმძღვანელოდ. დირექტივა გადაეცემა ოფიციალურად ოპერაციების ხელმძღვანელს (მეთაურს). ოპერაციის მეთაურს ასევე აქვს პოლიტიკური მრჩევლის (POLAD) მხარდაჭერა, ოპერაციის მეთაურს საბოლოო პასუხისმგებლობის აღებამდე და ოპერაციის დაწყებამდე ასევე შეუძლია თავისი შესწორებების და შენიშვნების შეტანა ოპერაციის გეგმაში.

სამხედრო ოპერაციის კონცეფცია (CONOPS), შესაბამის ორგანოებთან და მეთაურთან კონსულტაციის შემდეგ, იგზავნება ბრიუსელში, სადაც უშუალოდ

წევრი სახელმწიფოები და საბჭო იღებს გადაწყვეტილებას – უნდა დამტკიცდეს თუ არა აღნიშნული სამხედრო ოპერაციის კონცეფცია (გეგმა).<sup>282</sup>

<sup>282</sup>CONCEPT OF OPERATIONS (CONOPS) -

[https://www.eumonitor.eu/9353000/1/j9tvgaicor7dxyk\\_j9vvik7m1c3gyxp/vi7jgt6g9tzf](https://www.eumonitor.eu/9353000/1/j9tvgaicor7dxyk_j9vvik7m1c3gyxp/vi7jgt6g9tzf)  
(10.28.2022)

სამხედრო ოპერაციის კონცეფციაში ასევე შედის „რესურსების მოთხოვნის“ განცხადებაც, სადაც რაოდენობის მიხედვით დეტალურად არის გაწერილი, თუ რამდენი სამხედრო მასალა და ლოჯისტიკური მომარაგების რესურსებია საჭირო. რესურსების მოთხოვნის შემდეგ, მისიის ხელმძღვანელი (მეთაური) ატარებს გენერირების კონფერენციას მისიაში უშუალოდ ჩართულ წევრ სახელმწიფოებთან და სამხედრო ორგანოებთან, რომლებიც არიან, რათა მეტად ინფორმირებულები იყვნენ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კონფერენციას ასევე ხშირად ესწრებიან წამყვანი სახელმწიფოების ლიდერები და ევროკავშირის პოლიტიკური ინსტიტუტების წარმომადგენლები. თუ გენერირების კონფერენციაზე გამოიკვეთა გარკვეული კითხვები და მისიასთან დაკავშირებული ხარვეზები, მეთაურს უფლება აქვს დამატებით მოაწყოს კიდევ ერთი კონფერენცია, ოღონდ მეორე კონფერენციის ბოლოს მისიის ხელმძღვანელმა გარკვეული პასუხისმგებლობა უნდა აიღოს კონფერენციის პირველ ეტაპზე მისიის იდენტიფიცირებულ ხარვეზებზე.



მისიის დაწყებამდე გამართული კონფერენცია



სამხედრო კომიტეტის წარმომადგენლები



სამხედრო კომიტეტის წარმომადგენლები ბრიუსელში



გენერირების კონფერენცია

როდესაც ოპერაციის მეთაური გარკვეულ პასუხისმგებლობას აიღებს ოპერაციის დაწყებაზე, მუდმივი ოპერატიული შტაბი ბრიუსელს გადასცემს მისიის პროექტს და წესებს, რომელიც ერთობლივად უნდა დაამტკიცონ წევრმა სახელმწიფოებმა. როდესაც წევრი სახელმწიფოები აღნიშნულ დოკუმენტს დაამტკიცებენ, მეთაურს უკვე ეძლევა ლეგიტიმური უფლება სამხედრო ოპერაციის დასაწყებად.<sup>283</sup>



სამხედრო კომიტეტის წარმომადგენლები საბჭოში, მზადება მისიის დაწყებისთვის: ბრიუსელი წევრ სახელმწიფოებს გადასცემს მისიის პროექტს დასამტკიცებლად.

<sup>283</sup>European Union Military Committee - [https://www.eeas.europa.eu/eeas/eumc\\_en](https://www.eeas.europa.eu/eeas/eumc_en) (10.28.2022)



ოპერაციის მეთაური პირველ ეტაპზე უშუალოდ სადაზვერვო მისიაზე მიემგზავრება, იქ, იმ ადგილზე, სადაც სამხედრო ოპერაცია იწყება. წვერი სახელმწიფოებიც აკეთებენ საკუთარი უსაფრთხოების შეფასებებს და უგზავნიან მისიის მეთაურს. ზოგიერთი წვერი სახელმწიფო ასევე აგზავნიან საკუთარი თავდაცვის ძალების დაზვერვის ოფიცრებს; გარდა ამისა, ითხოვენ „ორმხრივ ყოფნის“ უფლებას ოპერაციის ადგილზე, როგორცაა საელჩო, რომელსაც შეუძლია მოამზადოს ბიუროკრატიული საკითხები საკუთარი სამხედროების ჩამოსვლისთვის. ოპერაციის ადგილზე სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების შემდეგ მეთაური იწყებს მზადებას ადგილზე ოპერატიული შტაბის შესაქმნელად. მისიაში მონაწილე წვერი სახელმწიფოები ეხმარებიან ოპერაციის მეთაურს შტაბის როგორც ინფრასტრუქტურულად, ასევე ადმინისტრაციულად მომზადებისთვის. შტაბში პერსონალის რაოდენობა დამოკიდებულია სამხედრო ოპერაციაზე.<sup>284</sup>



სადაზვერვო მისია ოპერაციის დაწყებამდე უშუალოდ ადგილზე ხორციელდება



სადაზვერვო მისია

<sup>284</sup>Hylke Dijkstra, *Policy-Making in EU Security and Defense: An Institutional Perspective* (Oxford, 2015), 78-100.

მას შემდეგ, რაც ოპერატიული შტაბი ინფრასტრუქტურულად და ადმინისტრაციულად ადგილზე ჩამოყალიბდება და გაიმართება, მეთაური აცხადებს მზაობას საწყისი ოპერატიული შესაძლებლობების დასაწყებად (IOC). როდესაც მისია მზად არის დასაწყებად და ჩამოთვლილი ყველა ამოცანის სრულად შესასრულებლად, იგი საბოლოოდ აცხადებს „მისიის დაწყებას“ სრული ოპერატიული შესაძლებლობების გათვალისწინებით.



ოპერაციების მეთაური - ვიცე-ადმირალი ხოსე მ. ნუნეზ ტორენტე ეწვია საოპერაციო შტაბს



მუდმივი ოპერატიული შტაბი(OHQ) ესპანეთში



ოპერატიული შტაბი სომალიში



ოპერაციის მეთაური ეცნობა ოპერაციის დეტალებს

როდესაც ოპერაციის განხორციელების ეტაპი იწყება, ყველა მისიას საკუთარი მიზანი და მანდატი აქვს: შემაკავებელი ფუნქციის მეშვეობით შეიტანოს წვლილი „უსაფრთხო გარემოს“ ჩამოყალიბებაში. ზოგიერთი მისია ფოკუსირებულია კანონის უზენაესობის ხელშეწყობაზე. საპოლიციო მისიები მოიცავს ინტეგრირებული პოლიციის ქვედანაყოფების ჩამოყალიბებას. მაგალითად, აფრიკაში, ევროკავშირის სამხედრო მისიებში არ არის კონცენტრირებული კანონის უზენაესობის განვითარებაზე. აფრიკაში პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანია უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბება და სამოქალაქო კონფლიქტების თავიდან აცილება.<sup>285</sup>

ოპერაციის ადგილზე მთავარი აქტორი უშუალოდ ძალების მეთაურია, რომელიც ხელმძღვანელობს სამხედრო ოპერაციებს და ეკისრება ძირითადი პასუხისმგებლობა ოპერაციის ყოველდღიურად წარმართვაზე, რომელიც მოიცავს უამრავ ტაქტიკურ გადაწყვეტილებას, როგორცაა: კოსოვოში არეულობის კონტროლისთვის ინტეგრირებული პოლიციის დანაყოფების განლაგება ან პატრულირების რაოდენობის გაზრდა იმ ადგილებში, სადაც ადამიანის უფლებების დარღვევის მაღალი დონეა. აფრიკაში სამხედრო მისიებში ძალების მეთაურს მეტი ავტონომია გააჩნია და, ჩვეულებრივ, იღებენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ისე, რომ ბრიუსელიდან გარკვეული უფლებებიც ენიჭებათ.

ჩადში სამხედრო ოპერაციის მეთაურმა, გენერალ-ლეიტენანტმა პეტ ნეშმა დიდი ავტონომია მიღო სამხედრო ოპერაციის მართვაში და, ინდივიდუალურად, გადაწყვეტილებების მიღებაში, მაგრამ კოსოვოში და ბოსნიაში ოპერაციის მეთაურს გარკვეულად შეზღუდული უფლებები ჰქონდა, რადგან ამ ოპერაციებში მთავარ როლს ნატო-ს

---

<sup>285</sup>An Advisory Mission in Iraq, a Military Training Mission in the Central African Republic, a Maritime Operation in the Mediterranean and an Assistance Mission in Ukraine are among the most recent additions to over 30 civilian missions and military operations launched by the EU since the Common Security and Defence Policy (CSDP) became a reality almost 15 years ago - <https://www.eca.europa.eu/sites/eca-audit-defence/EN/Documents/EU%20Missions%20and%20Operations.pdf> (10.28.2022)



ქვედანაყოფები და მეთაურები ასრულებდნენ. სამოქალაქო მისიების ხელმძღვანელს, ამ მხრივ უფრო მეტი ავტონომია აქვს, ვიდრე სამხედრო ოპერაციების ძალების მეთაურს. სამხედრო ოპერაციებში ეს ასევე დამოკიდებულია იმაზე, გამოიყენებს თუ არა ევროკავშირი ნატო-ს აქტივებს და წევრი სახელმწიფოების ოპერატიულ შტაბებს (OHQ).<sup>286</sup>

ოპერაციის მსვლელობის პროცესში მნიშვნელოვანია უშუალო კავშირი ოპერაციის მეთაურსა და პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტს შორის, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკურ კონტროლს და სტრატეგიულ მიმართულებებს. ვინაიდან სამოქალაქო და სამხედრო ოპერაციები მოითხოვს გარკვეულ დისკრეციას მათი ფუნქციების შესასრულებლად, ოპერაციის ოპერატიული მეთაური რეგულარულად აცნობს ბრიუსელს მისიის შესრულების შესახებ ეტაპობრივ ინფორმაციას: პირველი – მეთაური აგზავნის რეგულარულ ანგარიშებს, იგი საკმაოდ ფორმალურია, რადგან ოპერაციების უმრავლესობას გააჩნია საკუთარი საანგარიშო ერთეულები; ანგარიშის საფუძველზე წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გარკვეული კითხვები დაუსვან ოპერაციის მეთაურს. მეორე – ოპერაციის მეთაურები მიდიან უშუალოდ ბრიუსელში პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტში და სამხედრო კომიტეტში აზრთა გაცვლისთვის. ჩვეულებრივ, იგი 6-თვიანი ანგარიშის დროს ხდება, სადაც ოპერაციის მეთაური აცნობს ზემოთ ხსენებულ კომიტეტებს მისიის მთლიან მიმდინარეობას, მიღწეულ შედეგებს, ამოცანებს და გამოწვევებს.

ოპერაციის მსვლელობისას მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იყოს კოორდინაცია ევროკავშირის საერთო უსაფრთხოების, თავდაცვის პოლიტიკასა და კომისიის წარმომადგენლებს შორის. CSDP-ის მისიები არსებითად მოკლევადიანია და ფოკუსირებულია კრიზისების მართვაზე. მეორე მხრივ, კომისიის (განვითარების) ინსტრუმენტები ფოკუსირებულია საშუალო და გრძელვადიან

---

<sup>286</sup>EUFOR Chad/CAR Mission on the Protection of Civilians: A Distinctive EU Way to Peace Operations - [https://link.springer.com/chapter/10.1057/9781137442253\\_11](https://link.springer.com/chapter/10.1057/9781137442253_11) (10.20.2022)

პერსპექტივაზე. იგი ეხება ევროკავშირის შესაძლებლობების განვითარებას, ამიტომ ხშირად ინტერესები ერთმანეთში იკვეთება. აქედან გამომდინარე, მთავარი აქცენტი კეთდება CSDP-ის მისიებსა და კომისიის აქტივობებს შორის, „ინდივიდუალური კომპეტენციების შელახვის გარეშე“ კოორდინაციაზე. წევრ ქვეყნებთან კოორდინაცია ხდება მისიის მეთაურთა რეგულარული შეხვედრებისას, ხოლო მას ესწრებიან ყველა ადგილობრივად წარმოდგენილი წევრი სახელმწიფოების ელჩები, ასევე კომისიის წარმომადგენლები და მისიის პერსონალი.

ოპერაციის მსვლელობის პროცესში, შიდა ინსტიტუტებთან კოორდინაციის მსგავსად, მნიშვნელოვანია კოორდინაცია საერთაშორისო აქტორებთან, რომლებიც ჩართულნი არიან კრიზისის მართვაში. მაგალითად, კოსოვოში მისიის დროს ევროკავშირი აქტიურად თანამშრომლობდა ნატო-სთან სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობით. ჩადის შემთხვევაში, ევროკავშირი ნატო-სთან ერთად გაეროსთან თანამშრომლობდა, რადგან ჩადში საყურადღებო იყო ადამიანის უფლებების დაცვა. ტაქტიკურ, ოპერატიულ და, ზოგჯერ, სტრატეგიულ დონეზეც კი, ეს საერთაშორისო ორგანიზაციები აკეთებენ (ფორმალურ) შეთანხმებებს და კოორდინაციას უწყვენ თავიანთ ქმედებებს.

 <b>საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) სამეთაურო სტრუქტურა</b> 	
პოლიტიკური სტრატეგიული	საბჭოსა და უმაღლესი წარმომადგენლის პასუხისმგებლობით პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი (PSC) ახორციელებს პოლიტიკურ კონტროლს და სტრატეგიულ მიმართულებას
ბრძანება/კონტროლი	<div style="display: flex; justify-content: space-between;"> <div style="width: 45%;"> <p><b>სამხედრო C2 სტრუქტურა</b></p> <p>ევროკავშირის სამხედრო კომიტეტი</p> </div> <div style="width: 45%;"> <p><b>სამოქალაქო C2 სტრუქტურა</b></p> <p>სამოქალაქო მიმართულების კომიტეტი</p> </div> </div>
სტრატეგიული	<div style="display: flex; justify-content: space-between;"> <div style="width: 45%;"> <p><b>ოპერატიული შტაბი</b></p> <p>ვარიანტი 1    ვარიანტი 2    ვარიანტი 3</p> <p>NATO    National HQ    MPCC</p> </div> <div style="width: 45%;"> <p><b>ოპერატიული შტაბი</b></p> <p>სმოქალაქო მიმართულების შტაბი (CPCC)</p> </div> </div>
ოპერატიული	<div style="display: flex; justify-content: space-between;"> <div style="width: 45%;"> <p><b>ძალებისა და მისიის შტაბი</b></p>  </div> <div style="width: 45%;"> <p><b>მისიის შტაბი</b></p>  </div> </div>

## თავი IV. ევროპის სახელმწიფოების (ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია) უსაფრთხოების დილემები, ეროვნული ინტერესები, თავდაცვის პოლიტიკის სტრატეგია და მისი შემუშავება

ამ თავში განხილულია თანამედროვე ევროპული სახელმწიფოების (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია) უსაფრთხოების დილემები, ეროვნული ინტერესები და თავდაცვის პოლიტიკის შემუშავება. დიდი ბრიტანეთი ევროკავშირიდან ახალი გამოსულია (2020 წლის 1 თებერვალი), წლების განმავლობაში ბრიტანეთი აქტიურ როლს თამაშობდა ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში. აქედან გამომდინარე, დიდი ბრიტანეთის როლს და ადგილს გვერდს ვერ ავუვლიდით და დიდი ბრიტანეთის განხილვისას პირველ ნაწილში ყურადღებას ვამახვილებთ „ბრექსიტამდე“ (2020 წლამდე) არსებულ სიტუაციაზე, ხოლო მეორე ნაწილში უშუალოდ „ბრექსიტის“ შემდგომ პერიოდზე ვისაუბრებთ.<sup>287</sup>

დღევანდელ „მსოფლიო წესრიგში“ ევროპის სახელმწიფოები თავს იკავებენ ინდივიდუალური სამხედრო ინტერვენციებისგან, მათი სამხედრო ოპერაციები და მისიები უშუალოდ მიბმულია ნატო-ს და ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკაზე და ისინი მოქმედებენ მრავალეროვნულ გარემოში. როგორც ჩანს, თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში ცალმხრივი (ინდივიდუალური) ინტერვენციებისა და სამხედრო ოპერაციების დრო ევროპის სახელმწიფოებისთვის ჯერ-ჯერობით წარსულს ჩაბარდა. რა თქმა უნდა, გამონაკლისი რუსეთის ფედერაციაა, მაგრამ იგი ჩვენს განსახილველ საკითხში არ შედის, რადგან რუსეთი ექსპანსიურ

---

<sup>287</sup>Janne Haaland Matlary, *European Union Security Dynamics In the New National Interest*(palgrave macmillan, 2009), 97-104.

პოლიტიკას მიმართავს სამეზობლო რეგიონში, ჩვენ კი ყურადღებას ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებზე და დიდ ბრიტანეთზე და უშუალოდ ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურაზე ვამახვილებთ, რუსეთის აგრესიული და ექსპანსიური პოლიტიკა ცალკე განხილვის საგანია, რუსეთის საგარეო პოლიტიკური მიზნები, ამოცანები და მიზნის მიღწევის გზები არანაირად არ ჯდება თანამედროვე ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში.<sup>288</sup>

მეორე არგუმენტი, თუ რატომ აღარ მიმართავენ ევროკავშირს წევრი სახელმწიფოები და დიდი ბრიტანეთი ინდივიდუალურ სამხედრო მისიებსა და ოპერაციებს, გახლავთ შემდეგი: დღეს ომი სახელმწიფოებისთვის ითვლება ეგზისტენციალურ საკითხად, რადგან ევროპას საკმაოდ დიდი გამოცდილება დაუგროვდა ომებისა და მისგან მიყენებული უდიდესი ზარალის გამოცდილების გამო, ასევე ომების წარმოება იწვევს ძალიან დიდ რისკებს და ეკონომიკურ ხარჯებს. აქედან გამომდინარე, ცივი ომის შემდგომ ევროპის სახელმწიფოები ჩართულნი არიან ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის გაუმჯობესებაში მოკავშირეებთან ერთად, რადგან, თუ ეროვნულ მთავრობებს საქმე არასწორად მისდის და, გარკვეულწილად, გავლენას ახდენს ევროპის უსაფრთხოებაზე, ამ შემთხვევაში მოკავშირეები ცდილობენ აუხსნან გარკვეული რისკები და ეკონომიკური ხარჯები.<sup>289</sup>

იმის თქმაც შეიძლება, რომ გერმანია, საფრანგეთი და იტალია უსაფრთხოების ფსონს ასევე დებენ ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაზე (CSDP) და ნატოზე, მათი სამხედრო მისიები და ოპერაციები მიმართულია კრიზისების გადაჭრაზე და ევროკავშირის პოზიციის გაძლიერებაზე. ანალოგიური სიტუაციაა ნატოსთან დაკავშირებით: სახელმწიფოები ცდილობენ საკუთარი პოზიციის გაძლიერებას ორგანიზაციაში და, ამავდროულად, ნატოს მხარდაჭერას. გერმანია, საფრანგეთი, იტალია

---

<sup>288</sup> იქვე, 105.

<sup>289</sup> იქვე, 106.

და დიდი ბრიტანეთიც, ყველაფერთან ერთად, ცდილობენ საკუთარი ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაცვას და გატარებას ისე, რომ იგი თანხვედრაში იყოს როგორც წევრი სახელმწიფოების, ასევე ევროკავშირის ინტერესებთან. თუკი არსებობს გარკვეული კითხვები, მაშინ იწყება მოლაპარაკებებისა და დისკურსების სერიები უსაფრთხოების საკითხებში.<sup>290</sup>

გერმანია, საფრანგეთი და იტალია ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში და სამხედრო/სამოქალაქო ოპერაციებში, რომელიც მოიცავს რესურსების გამოყოფას, წამყვან როლს თამაშობენ როგორც პოლიტიკის შემუშავებაში, ასევე მისიების მართვაში. დიდი ბრიტანეთი 2020 წლამდე ასევე ერთ-ერთი მთავარი აქტორი იყო CSDP-ის შემუშავებაში და განხორციელებაში, 2020 წლის შემდეგ დიდი ბრიტანეთი, რა თქმა უნდა, რჩება ევროკავშირის მთავარ პარტნიორად უსაფრთხოების საკითხებში. იგი ასევე აქტიურად თანამშრომლობს ნატოსთან. ზემოთ ხსენებული სახელმწიფოების გარეშე ევროკავშირის ნებისმიერი სამხედრო/სამოქალაქო ოპერაციის ჩატარება ნაკლებად სავარაუდოა. აქედან გამომდინარე, ეს სახელმწიფოები (გერმანია, იტალია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი) ცდილობენ პირველ ეტაპზე ეროვნული ინტერესების თანხვედრაში მოყვანას, მიზნებისა და ამოცანების იდენტიფიცირებას. აღნიშნულ საკითხზე მიღწეული შეთანხმება წარმოადგენს ევროკავშირის სამხედრო/სამოქალაქო მისიის სცენარის გასაღებს. გარდა ამისა, გერმანია მნიშვნელოვან როლს თამაშობს პოლიტიკურ საკითხებში, როგორც მესამე სახელმწიფოსთან ურთიერთობაში, ასევე ევროკავშირთანაც. მერკელის პერიოდიდან გერმანია აშკარად ცდილობს წამყვანი როლი ითამაშოს ევროკავშირში და ნატოში სამხედრო/სამოქალაქო კრიზისების პოლიტიკურად მოგვარებით .<sup>291</sup>

---

<sup>290</sup>Janne Haaland Matlary, *European Union Security Dynamics In the New National Interest*(palgrave macmillan, 2009), 97-134.

<sup>291</sup>იქვე,

## “ევროპის დიდი სტრატეგია“ (Europe Grand Strategy)

ევროკავშირ-ნატოს ურთიერთობას მკვლევარები და პოლიტიკის მეცნიერები განიხილავენ, როგორც „პარტნიორობისა და კონკურენტების ურთიერთობას“. ცხადია, ამას გააჩნია როგორც ფორმალური, ასევე სტრუქტურული მიზეზები. ფორმალური მიზეზი ეკუთვნის კლასიკურ დიპლომატიას და წარმოიქმნება თურქეთ-კვიპროსის პოლიტიკური ჩიხის გამო. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი ის არის – ხომ არ ხდება რესურსების დუბლირება ორი სწრაფი რეაგირების ძალის არსებობისას და ჩნდება კითხვა, სად უნდა განთავსდეს ნატოსა და ევროკავშირის სამხედრო ძალები. გარდა ამისა, არსებობს ინსტიტუციური მეტოქეობა, რომელიც ყოველთვის დომინირებს (არსებობს?) საერთაშორისო დიპლომატიაში. როგორც ნატოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალური მდივანი, საიმონ ლუნი აღნიშნავს, „როდესაც ჩნდება ახალი კრიზისი, ყოველთვის ჩნდება მეტოქეობა და კონკურენცია“.<sup>292</sup>

მაგრამ, აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შემუშავება ნატო-ს გარეშე დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში წარმოუდგენელია, ნატო მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული, ევროპის უსაფრთხოების შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ამ აღნიშნულ კონკურენციაში ევროპის მთავარი სამხედრო აქტორები საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი ცდილობენ თავიანთი სტრატეგიული ინტერესებისა და შეხედულებების ხელშეწყობას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დამყარდეს ურთიერთობა სახელმწიფო - ევროკავშირი - ნატოს შორის.<sup>293</sup>

საფრანგეთს სურს, რომ ევროკავშირი იყოს საერთაშორისო მასშტაბის ავტონომიური სამხედრო აქტორი, ხოლო საფრანგეთის პრეზიდენ-

---

<sup>292</sup>Frédéric Mérand, *European Defence Policy Beyond the Nation State*(Oxford University Press, 2008), 27-44.

<sup>293</sup>Bart M. J. Szewczyk, *Europe's Grand Strategy Navigating a New World Order*(Palgrave Studies in European Union Politics, 2021), 16-20.

ტები ლობირებენ იმ აზრს, რომ ევროპას უნდა გააჩნდეს მუდმივ-მოქმედი სამხედრო ძალა (შეიარაღებული ძალები/თავდაცვის ძალები). დიდ ბრიტანეთს მიაჩნია, რომ ევროკავშირის სამხედრო მისიებითა და ოპერაციებით უნდა შეივსოს ნატოს შესაძლებლობები ისეთ ადგილებში, სადაც ევროკავშირს შეუძლია ნატო-ს გარეშე კრიზისების მართვა. დიდი ბრიტანეთის სტრატეგიული ლოგიკიდან გამომდინარე, ნატო უნდა დარჩეს უსაფრთხოებისა და თავდაცვის მთავარ ორგანიზაციად ევროპაში და სწორედ ნატომ უნდა გადაწყვიტოს, როდის უნდა ჩაერთოს ევროკავშირის სამხედრო ოპერაციები კონკრეტულ კრიზისებში.<sup>294</sup>

კოსოვოს კრიზისის გამოცდილებამ ევროპის უსაფრთხოების ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა; აღნიშნული კრიზისის მოგვარებაში აშშ-ის სამხედრო ძალა და პოლიტიკური გავლენა მთლიანად დომინირებდა კრიზისის განმავლობაში. გერმანიამ, საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა გადაწყვიტეს, რომ ბოსნიისა და კოსოვოს გამოცდილების შემდეგ საჭირო იყო ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ევროპული ძალების გაცილებით სწრაფად მოდერნიზება როგორც პოლიტიკური თვალსაზრისით, ასევე სამხედრო კუთხითაც. გერმანიის ინიციატივა იყო,<sup>295</sup> რომ სამხედრო ძალა მხოლოდ წამყვან სახელმწიფოებში კი არა, მთლიანად ევროპის მასშტაბით უნდა განვითარებულიყო; აქედან გამომდინარე, ბრიტანეთიც და საფრანგეთიც ჩაერთო ზოგადი მოდერნიზაციის პროცესში მთელი ევროპის მასშტაბით.<sup>296</sup>

ევროკავშირი ახლა ისტორიულ სიტუაციაშია, რუსეთ-უკრაინის ომმა და რუსეთის აგრესიულმა, ექსპანსიურმა პოლიტიკამ აღმოსავლეთ ევროპაში და საქართველოში არსებული ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურა შეცვალა. საფრანგეთი, გერმანია, იტალია, პოლონეთი უკვე სერიოზულად ზრუნავენ ევროკავშირის სამხედრო შესაძლებ-

---

<sup>294</sup>იქვე,

<sup>295</sup>Laura Chappell, *Germany, Poland and the Common Security and Defence Policy Converging Security and Defence Perspectives in an Enlarged EU*(University of Surrey, UK,2012), 1-35.

<sup>296</sup>იქვე,



ლობებისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ქვემოთ დეტალურადაა განხილული საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის და იტალიის მაგალითები, მათი უსაფრთხოების პოლიტიკური და სამხედრო დილემები, ეროვნული ინტერესები და თავდაცვის პოლიტიკის შემუშავება ევროკავშირთან დაკავშირებით.

## საფრანგეთი (საფრანგეთის რესპუბლიკა)

საფრანგეთი უსაფრთხოების პოლიტიკაში ხელმძღვანელობს ევროკავშირის კონკრეტული მოდელით, სადაც მთავარი მიზანია სამხედრო თვალსაზრისით ავტონომიური ძლიერი ევროპის შექმნა. საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა, რადიო-არხ Europe 1-თან საუბარში განაცხადა, რომ სანამ "რუსული საფრთხის" წინააღმდეგ, აშშ-ის გარეშე, საკუთარ, ევროკავშირის სუვერენულ არმიას არ შექმნიან, მანამდე ევროპა უსაფრთხო არ იქნება. "ჩვენ არ შეგვეძლება ევროპელების დაცვა რუსეთის აგრესიისგან, თუ არ გვეყოლება ნამდვილი ევროპული არმია. ჩვენ მართლაც გვჭირდება ევროპული არმია, რომელიც სუვერენული იქნება და არ იქნება დამოკიდებული აშშ-ზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ ევროპის დაცვას", განაცხადა მაკრონმა და დაამატა, რომ პოპულიზმი და ექსტრემისტული ნაციონალიზმი ევროპაში დღითიდღე იზრდება, რაც ევროპას თანდათანობით ცალკე ნაწილებად შლის და, ამიტომ, უფრო ძლიერი და ერთიანი ევროპაა საჭირო.<sup>297</sup>

მიუნხენში უსაფრთხოების პოლიტიკის კონფერენციაზე საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა ჰერვე მორინმა მოუწოდა „L'Europe de la Défense“-ს და მიუთითებდა ევროპის Realpolitik-ის საჭიროებებზე გადასვლისკენ. მისი აზრით, „ევროკავშირი არ შეიძლება სრულიად

---

<sup>297</sup>Janne Haaland Matlary, *European Union Security Dynamics In the New National Interest*(palgrave macmillan, 2009), 97-134.

დამოკიდებული იყოს ნატოზე“. მან ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ევროპა უნდა გამოვიდეს სამხედრო „ჩვილობიდან“ და „გაიზარდოს“, რათა აიღოს გლობალური როლის მქონე აქტორის პასუხისმგებლობა. სათანადო სამხედრო მხარდაჭერის გარეშე ევროპა გლობალურად ვერავითარ როლს ვერ ითამაშებს; ევროპაში პრიორიტეტული სამხედრო შესაძლებლობების განვითარება, არმიის მოდერნიზაციისთვის მზადყოფნის ნაკლებობა ასახავს სტრატეგიული ამბიციის ნაკლებობას ევროპაში“. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საფრანგეთის სტრატეგიული უსაფრთხოების ხედვა ბრიტანეთის შეხედულებასთან უფრო ახლოსაა, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნების შეხედულებებთან.<sup>298</sup>

საფრანგეთი აქტიურად ცდილობს გამოიყენოს ლისაბონის ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული ყველა შესაძლებლობა ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის კონკრეტული ქმედებებით გასაძლიერებლად და წევრ სახელმწიფოებთან ერთად კრიზისების მართვის შესაძლებლობების შექმნაში ჩასართავად; საფრანგეთი აქტიურობს აფრიკაში არსებული კრიზისების მოგვარების საკითხების გადაჭრაში, რადგან ჩრდილოეთ აფრიკიდან წამოსული მიგრანტთა ნაკადი დიდ გავლენას ახდენს საფრანგეთისა და ევროპის უსაფრთხოებაზე. გარდა ამისა, საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ „როდესაც სახელმწიფოებს და მოსახლეობას აქვს საერთო ინტერესები, მათ ასევე სჭირდებათ საერთო დაცვა“.<sup>299</sup>

იგივე გზავნილი აშკარად ჩანდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბერნარ კუმნერის სტატიაში 2008 წლის მარტში, სადაც ის აღნიშნავდა, რომ „ევროპელებს პოლიტიკური ამბიციებისთვის სამხედრო საშუალებები უნდა ჰქონოდათ“. სტატიაში ასევე იკვეთება საფრანგეთის უსაფრთხოების სტრატეგიული აზროვნება, იგი

---

<sup>298</sup>The French White Paper on defence and national security - <https://media.nti.org/pdfs/15-Fr.pdf> (10.30.2022)

<sup>299</sup>Security, Disarmament and Non-proliferation - <https://www.diplomatie.gouv.fr/en/french-foreign-policy/security-disarmament-and-non-proliferation/> (10.30.2022)

აქტიურად აჟღერებს შემდეგ აზრს: ევროპას არ გააჩნია შესაბამისი სამხედრო შესაძლებლობები იმისთვის, რომ დაიცვას საკუთარი თავი. ასევე, კუშნერი დასძენს, რომ საფრანგეთს სურს იყოს ნატოს ყველა სტრუქტურის სრულფუნქციონირებელი წევრი. საბოლოოდ, საფრანგეთის მთავარი სტრატეგიული აზროვნების ქვაკუთხედი მდგომარეობს შემდეგში: „ევროკავშირს უნდა გააჩნდეს ავტონომიური სამხედრო შესაძლებლობები“.

ევროპის სამხედრო შესაძლებლობების გაუმჯობესების საერთო ინტერესი ტრანსატლანტიკურია და ის ფაქტი, რომ ევროკავშირს უკვე გააჩნია საგარეო პოლიტიკა, შეუძლებელს ხდის იგნორირება გაუწიოს იმ ფაქტს, რომ საჭიროა უსაფრთხოების უფრო აქტიური პოლიტიკის გატარება, რომელიც ასევე მოისაზრებს ერთიანი სამხედრო ძალების შექმნას. არსებული სიტუაცია ფრანგებს აძლევს პოლიტიკურ პლატფორმას მათი ხედვისთვის და L'Europe de defense-ის განხორციელებისთვის, რომელიც ნიშნავს ევროკავშირის სამხედრო შესაძლებლობების გაძლიერებას და საგარეო პოლიტიკაში ევროკავშირის როლის ზრდას.



შარლ დე გოლი (ფრანგ. Charles André Joseph Marie de Gaulle; დ. 22 ნოემბერი, 1890 - გ. 9 ნოემბერი, 1970) - ფრანგი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, საფრანგეთის პრეზიდენტი (1958-69)

საფრანგეთში გენერალმა დე გოლმა ჩამოაყალიბა საფრანგეთის უსაფრთხოების სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს საფრანგეთის როგორც ევროპისა და გლობალური მოთამაშის ძალის ადგილის უზრუნველყოფას. მეორე

მსოფლიო ომის შემდეგ, გერმანიის ბატონობის შიშმა ჩამოაყალიბა საფრანგეთის პოლიტიკური აზროვნება ევროკავშირის მშენებლობაში. იგი ცდილობს შექმნას გაერთიან-

ნებული ევროპული არმია და ზენაციონალური თავდაცვითი საზოგადოება, რითაც მოახერხებდა გერმანიის დაბალან-სებას, რადგან მათ აღარ ექნებოდათ ისეთივე ძლიერი არმიის შექმნის შესაძლებლობა,

როგორც „ვერმახტი“ იყო. მაგრამ ომისშემდგომ ევროპაში პრიორიტეტი გახლდათ სტალინის საბჭოთა კავშირის შეკავება, რითაც ნატო გახდა მთავარი ორგანიზაცია უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საფრანგეთის ევროპული არმიის იდეა კი დროებით გადაიდო.<sup>300</sup>

ცივი ომის შემდეგ არსებულმა საერთაშორისო წესრიგმა საფრანგეთისთვის შეუძლებელი გახადა დიდი ძალის სტატუსის უზრუნველყოფა უსაფრთხოების სრულიად ახალ გარემოში. ნატოს ახალმა აქტიურმა როლმა ცხადყო, რომ საფრანგეთის ძალებს საერთაშორისო ოპერაციებში არა მხოლოდ ამერიკელები მეთაურობდნენ, არამედ ისინი ექვემდებარებიან ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. 1990-იან წლებში საფრანგეთი დაბრუნდა ნატოს სამხედრო სტრუქტურაში. ფრანგების აზრით, არსებულ ვითარებაში ნელ-ნელა სუსტდებოდა საფრანგეთის გავლენა ევროპაში. გარდა ამისა, გერმანიის გაერთიანებამ გამოიწვია ევროპაში ეკონომიკურად უფრო ძლიერი გერმანიის გამოჩენა.<sup>301</sup>

ფრანგული სტრატეგიული აზროვნება ცდილობდა მორგებოდა არსებულ საერთაშორისო წესრიგს ისე, რომ საკუთარი უსაფრთხოების პრიორიტეტები და მიზნები გადაეტანა. სტრატეგია შედგებოდა სამი კონკრეტული საკითხისგან: ა) საფრანგეთმა გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრობის სტატუსი უფრო აქტიურად უნდა გამოიყენოს გაეროს სამშვიდობო ოპერაციებისთვის; ბ) რაც შეიძლება მეტად უნდა ინტეგრირდეს და ჩაერთოს ნატო-ს მისიებში; გ) უნდა ჩამოყალიბდეს ატლანტიკური უსაფრთხოების სტრუქტურა

---

<sup>300</sup>Defence and National Security Strategic Review - <https://cd-geneve.delegfrance.org/Defence-and-National-Security-Strategic-Review-1890> (10.30.2022)

<sup>301</sup>Post-cold War Security in and for Europe - <https://www.sipri.org/publications/1984/sipri-fact-sheets/post-cold-war-security-and-europe> (10.30.2022)

ევროკავშირის მეშვეობით. ფრანგული სტრატეგიული აზროვნება მაინც მიყვება დე გოლის ხედვებს: „საფრანგეთი უნდა გახდეს უსაფრთხოების გლობალური მოთამაშე, მაგრამ ამის მიღწევის გზა უნდა მოერგოს გარემოებებს“.

საფრანგეთს ასევე სურს ზოგადი პოლიტიკური გავლენის მოპოვება შესაბამის სამხედრო მისიებში მონაწილეობით. საფრანგეთის სამხედრო მონაწილეობა მრავალმხრივ მისიებში მოტივირებულია ნატოსა და ევროკავშირში გავლენის ზოგადი სურვილით. ამგვარად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საფრანგეთი ირჩევს თავისი აქტიური როლის გაგრძელებას ამ ორგანიზაციებში სამხედრო ინსტრუმენტების გამოყენებით.<sup>302</sup>

ცივი ომის შემდეგ არსებული სამშვიდობო მისიები და სამხედრო ოპერაციების პოლიტიკური ტაქტიკა შეიცვალა: თუ ადრე შესაძლებელი იყო სამხედრო მისიების მარტო შესრულება, ახლა დიდმა სახელმწიფოებმა შეწყვიტეს ამ გზით მოქმედება და სავალდებულოა სამშვიდობო მისიაში და სამხედრო ოპერაციაში კონკრეტული პარტნიორის მოძებნა, პარტნიორის ჩართულობა მისიას სძენს მეტ ლეგიტიმურობას და ამცირებს რისკებს. ჩვენ ამას ნათლად ვხედავთ საფრანგეთის მაგალითზეც, 1990 წლამდე აფრიკაში საფრანგეთი სამხედრო მისიებს ინდივიდუალურად, ნახევრად ფარულად მართავდა, ხოლო ცივი ომის დასრულების შემდეგ საფრანგეთს მოუწია პარტნიორი სახელმწიფოს ძებნა ინტერვენციებისთვის.<sup>303</sup>

---

<sup>302</sup>France's National Security Strategy - <https://www.realinstitutoelcano.org/en/work-document/frances-national-security-strategy-wp/> (10.1.2022)

<sup>303</sup>A Strategic Compass for a stronger EU security and defence in the next decade - <https://presidence-francaise.consilium.europa.eu/en/news/press-release-a-strategic-compass-for-a-stronger-eu-security-and-defence-in-the-next-decade/> (10.1.2022)



ემანუელ ჟან-მიშელ ფრედერიკ  
მაკრონი აფრიკაში სამხედრო მისიას  
აკვირდება.  
Emmanuel Jean-Michel Frédéric  
Macron; ფრანგი პოლიტიკოსი,  
საფრანგეთის პრეზიდენტი 2017  
წლის 14 მაისიდან



ფრანგი სამხედროები აფრიკის  
კონტინენტზე სამშვიდობო მისიის  
მსვლელობის პროცესში.  
2022 წლის მონაცემებით აფრიკაში  
2000-მდე ფრანგი სამხედრო  
იმყოფება

2008 წელს პრეზიდენტად აირჩიეს ნიკოლა სარკოზი, რომელმაც ხელახალი მოლაპარაკებები გამართა ნატო-სთან და ევროკავშირთან სამხედრო თანამშრომლობის შესახებ. მთავარი აქცენტი გაკეთდა საფრანგეთის ყოფილი კოლონიებია შესახებ, სადაც სარკოზიმ აღნიშნა, რომ „ფრანგული სამხედროების ყოფნა აფრიკაში კვლავ ემყარება კოლონიალიზმის დასრულების შემდეგ მიღწეულ შეთანხმებებს. ჩვენ აღმოვჩნდით სიტუაციაში, როდესაც ჩვენი პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური ჩართულობა აფრიკაში ბევრმა აღიქვა, როგორც ... ნეოკოლონიალურ ჩარევა“. ფრანგული სტრატეგიული აზროვნება, პირველ რიგში, მიმართულია აფრიკის კონტინენტზე. საფრანგეთი წლების განმავლობაში აფრიკის კონტინენტზე ახორციელებდა მეტად საიდუმლო პოლიტიკას, მაგრამ დღეს ყველაფერი გამჭვირვალედაა წარმოდგენილი. საფრანგეთი ცდილობს ლეგიტიმაცია შესძინოს სამხედრო მისიებს აფრიკის კონტინეტზე, რისთვისაც ევროკავშირს იყენებს. „შირაკმა მარტივი გათვლა გააკეთა:



საფრანგეთს უნდა შეეწირა გარკვეული ... ეროვნული სუვერენიტეტი მუდმივი გავლენის მოსაპოვებლად“.<sup>304</sup>

ევროპაში ძალიან გაზრდილია ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი, რადგან, ცივი ომის დასრულების შემდეგ, ეროვნული თავდაცვის ბიუჯეტი თითქმის ყველა ევროპულ სახელმწიფოში დაახლოებით 30%-ით შემცირდა. დიდი სახელმწიფოები მარტო ვეღარ ახორციელებენ თავიანთ უსაფრთხოების პოლიტიკას, ამიტომ საჭიროა ევროკავშირის მიერ ორგანიზებული და გაერთიანებული სამხედრო თანამშრომლობა. თუ დე გოლის პერიოდში ფრანგული სტრატეგიული აზროვნება დამყარებული იყო სიდიადისკენ და სუვერენიტეტის სრულად შენარჩუნებისკენ სწრაფვაზე, ახლა აქცენტი კეთდება მრავალმხრივ თანამშრომლობაზე ისეთ ორგანიზაციებში, როგორცაა ევროკავშირი და ნატო, რათა მათი დახმარებით იყოს უზრუნველყოფილი ევროპის უსაფრთხოება. ასევე წარსულს ჩაბარდა ის ხედვა, რომ „ფრანგებმა თავი უნდა აარიდონ ყველა საერთაშორისო ინიციატივას, რომელსაც ვერ აკონტროლებენ“, თუმცა, ფრანგები ახლა ცდილობენ სწორედ ზემოთ ხსენებულ ორგანიზაციებში მოიპოვონ ლიდერის ფუნქცია.<sup>305</sup>

2008 წლიდან საფრანგეთი ნატოში საგრძნობლად გააქტიურდა, სარკოზიმ პირველ საგარეო პოლიტიკურ გამოსვლაში აღნიშნა, რომ „ნატო არ იყო კონკურენტი ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკისთვის“. თუ ცივი ომის პერიოდში საფრანგეთის უსაფრთხოების ინტერესებს და სტრატეგიულ გეგმას წარმოადგენდა ევროკავშირის სამხედრო შესაძლებლობებისთვის მეტი ავტონომიის მინიჭება, თანამედროვე პერიოდში დე გოლის სუვერენიტეტის კონცეფცია გაქრა და საფრანგეთი ახლა პრაგმატულ და მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობას ამყარებს აშშ-სთან, ნატო-

---

<sup>304</sup>The French Strategy In Africa: France's Role On The Continent - <https://repositories.lib.utexas.edu/handle/2152/75199> (10.11.2022)

<sup>305</sup>Two Strategies for Europe: De Gaulle, the U.S., and the Atlantic Alliance - <https://www.foreignaffairs.com/reviews/capsule-review/2001-05-01/two-strategies-europe-de-gaulle-us-and-atlantic-alliance> (10.11.2022)



სთან, საერთაშორისო სამშვიდობო მისიებსა და ევროკავშირთან სამხედრო ოპერაციებში. თუმცა, შესამჩნევია ის ფაქტი, რომ როდესაც საერთაშორისო კრიზისი წარმოიქმნება ხოლმე, ფრანგი მაღალჩინოსნები მაინც უსვამენ ხაზს იმ აზრს, რომ ევროპას სჭირდება ავტონომიური სამხედრო ძალა. საფრანგეთი საერთაშორისო სისტემაში მხარს უჭერს მრავალპოლარულ გარემოს და ეწინააღმდეგება ცალმხრივ სისტემებს. საფრანგეთის უსაფრთხოების სტრატეგიაში ცვლილება თარიღდება დაახლოებით 1980 წლით, როდესაც საფრანგეთმა ევროკავშირის თავდაცვის სტრუქტურებში სრულად ინტეგრირება გადაწყვიტა. ამას მოჰყვა აქტიური წვლილის შეტანა ნატო-ში, ევროკავშირსა და გაეროს მონაწილეობით ჩატარებულ მრავალეროვნულ ოპერაციებში. მაგრამ საფრანგეთისთვის ამ საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ევროკავშირი ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან „საფრანგეთი ერთგულია ინტეგრირებული ევროპული თავდაცვის სტრუქტურის შექმნისა და საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართ“.

ამრიგად, საფრანგეთი იზიარებს ევროკავშირის ინტერესებს უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებაში, ისევე, როგორც ნატოში. საფრანგეთი აქცენტს მაინც ევროკავშირის მიმართ აკეთებს. მკვლევარები ამახვილებენ ყურადღებას იმაზე, არის თუ არა საფრანგეთი უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიმართულებით ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო. ამაზე პასუხი ცალსახად მარტივია: დიახ, საფრანგეთი ეტაპობრივად ზრდის თავდაცვის ბიუჯეტს, ცდილობს საკუთარი შეიარაღებული ძალების განვითარებას როგორც ტექნიკურად, ასევე ინტელექტუალურადაც და, რაც მთავარია, მოსახლეობისგან აქვს ძალიან დიდი ლეგიტიმაცია (საფრანგეთის მოსახლეობის 80% ემხრობა სამხედრო შესაძლებლობების ზრდას).<sup>306</sup>

---

<sup>306</sup>A Strategic Compass to strengthen the security and defence of the European Union by 2030 - <https://www.diplomatie.gouv.fr/en/french-foreign-policy/security-disarmament-and-non-proliferation/european-defence-63008/article/a-strategic-compass-to-strengthen-the-security-and-defence-of-the-european> (10.25.2022)

1994 წელს გამოცემულ თავდაცვის თეთრ წიგნში „Leloideprogrammationmilitaire“,<sup>307</sup> ყურადღება გამახვილებულია მულტილატერალიზმზე, რადგან ევროპული სახელმწიფოები ერთმანეთს უსაფრთხოების მიმართულებით უახლოვდებიან გრძელვადიან პერსპექტივაში. არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტი, რომ საფრანგეთს გააჩნია ბირთვული არსენალი, რაც საშუალებას აძლევს ევროკავშირისთვის იყოს ერთგვარი დასაყრდენი უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიმართულებით. საფრანგეთის სტრატეგიული ხედვა ხაზს უსვამს, რომ ფრანგული და ევროპული უსაფრთხოების მიზნები იდენტურია, საფრანგეთს ასევე სურს მეტად იყოს ჩართული ევროკავშირის კრიზისების მართვაში. „ეს საშუალებას აძლევს საფრანგეთს – გაზარდოს თავისი პოლიტიკური და სამხედრო წონა ევროპაში“.

საფრანგეთი უსაფრთხოების სტრატეგიულ ტაქტიკაში ხაზს უსვამს ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ყოვლისმომცველ მიდგომას, რომელიც გულისხმობს სამხედრო და სამოქალაქო ინსტრუმენტების ინტეგრაციას. იგივე მიდგომისგან საფრანგეთი ნატო-ს მიმართ ჯერჯერობით თავს იკავებს, მაშინ, როცა სკანდინავიური ქვეყნები და დიდი ბრიტანეთი მხარს უჭერენ ნატო-ს ამგვარ განვითარებას.<sup>308</sup>

საფრანგეთმა ბოლო წლებში უსაფრთხოების პოლიტიკის ტაქტიკური მიდგომები ცალსახად შეცვალა. თუ 50 წლის განმავლობაში ევროკავშირის და ევროპის უსაფრთხოების „ბირთვი“ ფრანგულ-გერმანულ ურთიერთობებზე იდგა, ყველაფერი 2007 წლიდან შეიცვალა, მაშინ, როდესაც სარკოზიმ დაიწყო ცალმხრივი მიდგომა „ევროკავშირ-ხმელთაშუა ზღვის კავშირის“ მიმართ, რამაც მერკელი გააღიზიანა. ასევე უთანხმოება იყო უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებით, რადგან გერმანიამ უარი თქვა დარფურში ევროკავშირის ძალებში გაწევრიანებაზე. სუვერენიტეტისა და ინტეგრაციის შეხედულებები საფრანგეთსა და გერმანიას შორის უფრო

<sup>307</sup>Politique de défense française - <https://mjp.univ-perp.fr/defense/lpm1995.htm> (10.25.2022)

<sup>308</sup>Common Security and Defence Policy as France's Winning Strategy - <https://journals.lka.lt/journal/lasr/article/599/info> (10.20.2022)

განსხვავებულია, ვიდრე საფრანგეთსა და ბრიტანეთს შორის. ამ უკანასკნელ ორ სახელმწიფოს სურს სამთავრობათაშორისო ევროპული ძლიერი სამხედრო კავშირების ჩამოყალიბება, გერმანიას კი – ინტეგრირებული ევროკავშირი სამხედრო შესაძლებლობებზე განსაკუთრებული აქცენტის გარეშე.<sup>309</sup> აქედან გამომდინარე, დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის მიუხედავად, ფრანგულ სტრატეგიულ აზროვნებაში იგი კვლავ მთავარ პარტნიორად რჩება, რადგან მათი სტრატეგიული ხედვები ერთმანეთს ემთხვევა.

## **დიდი ბრიტანეთი (დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო)**

ბრიტანეთის სტრატეგიული მიზანი არასდროს ყოფილა ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკისა ან სტრატეგიის შემუშავება და მის ინტერესებზე მორგება, მაგრამ 1998 წელს გარდამტეხი მომენტი მაინც დადგა, როდესაც საფრანგეთმა და ბრიტანეთმა წარმოადგინეს ორმხრივი დეკლარაცია. ამ დოკუმენტმა ხაზი გაუსვა ევროკავშირში „ავტონომიური სამხედრო შესაძლებლობების“ განვითარების სურვილს და, ამავდროულად, აღნიშნა ბრიტანეთის პოლიტიკაში რიგი ტაქტიკური ცვლილებებისა. ბრიტანეთის განხილვისას, პირველ ნაწილში ყურადღებას ვამახვილებთ „ბრექსიტამდე“ (2020 წლამდე) არსებულ სიტუაციაზე, ხოლო მეორე ნაწილში უშუალოდ „ბრექსიტის“ შემდგომ პერიოდზე ვისაუბრებთ.

2002 წელს ბრიტანეთმა საკუთარი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა გადააფასა, სადაც მთავარი იმპულსი გახლდათ ევროპული სამხედრო შესაძლებლობების სისუსტე კოსოვოს ოპერაციაში.

---

<sup>309</sup>France and Germany Towards Security and Defence Integration: Same Goal, Different Approaches - <https://finabel.org/france-and-germany-towards-security-and-defence-integration-same-goal-different-approaches/> (10.30.2022)

პრემიერ-მინისტრ ბლერს აშკარად სურდა უფრო ძლიერი და მოდერნიზებული ევროპული არმია, მაგრამ, საფრანგეთისგან განსხვავებით, ბრიტანეთს აშშ-სთან უფრო მჭიდრო ურთიერთობა გააჩნია პოლიტიკური და სამხედრო მიმართულებებით. აქედან გამომდინარე, დიდი ბრიტანეთი გარკვეულწილად აშშ-ის სტრატეგიულ გეგმას ევროპასთან დაკავშირებით, გვერდს ვერ ავუვლიდი. აქედან გამომდინარე, საინტერესოა ბრიტანეთის მიდგომა ევროკავშირის მიმართ. ბრიტანულ ტაქტიკურ ცვლილებებს ევროკავშირის მიმართ მკვლევარები აღწერენ შემდეგნაირად: „ბრიტანეთის მთავრობამ გამოიყენა ევროკავშირის პოლიტიკური და უსაფრთხოების სტრუქტურები ბრიტანეთის პოლიტიკის მრავალმხრივი ლიდერობის უზრუნველსაყოფად... [მან] გამოიყენა ევროკავშირი როგორც მულტიპლიკატორი, რათა მიეღო ფინანსური სარგებლობა ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისას“. გარკვეულწილად, ასეთი დასკვნა შეიძლება ცოტა ხმამაღლა ნათქვამად ჩაითვალოს, მაგრამ მას თავისი ლოგიკური არგუმენტები გააჩნია.<sup>310</sup>

ბრიტანეთის უსაფრთხოების პოლიტიკა ევროკავშირის მიმართ პრაგმატულად რჩება. თუ ევროკავშირის მიზანი სამხედრო თანამშრომლობის გაძლიერებაა, მას შეუძლია ამ საკითხთან დაკავშირებით საფრანგეთთან თანამშრომლობა, ხოლო, თუ ევროკავშირის მიზანი უსაფრთხოების პოლიტიკის გაძლიერებაა, ამ საკითხთან ბრიტანეთი უკვე გერმანიასთან თანამშრომლობს. ბრიტანეთი ანალიზებს, თუ რა კონკრეტული მიზნები აქვს კონტინენტური ევროპის სახელმწიფოებს და ევროკავშირს, რის შემდეგაც აყალიბებს სამოქმედო გეგმებს.<sup>311</sup>

სტრატეგიული პერსპექტივიდან, ბრიტანეთს განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს აშშ-სთან და იგი რჩება მთავარ საკვანძო პარტ-

---

<sup>310</sup>Janne Haaland Matlary, *European Union Security Dynamics In the New National Interest*(palgrave macmillan, 2009), 97-134.

<sup>311</sup>Never-ending divorce: The role of UK-EU security cooperation after Brexit - <https://ecfr.eu/article/never-ending-divorce-the-role-of-uk-eu-security-cooperation-after-brexit/> (10.23.2022)

ნიორად უსაფრთხოების კუთხით. ბრიტანეთი ასევე იმასაც ცდილობს, რომ ევროკავშირი არ დაუპირისპირდეს ნატო-ს და დაიცვას „ბალანსი“ ევროპაში. მოლაპარაკებების დროს ბრიტანეთი ბრიუსელში სულ ცდილობს დააბალანსოს წევრი სახელმწიფოების ინტერესები და შეინარჩუნოს „განსაკუთრებული ურთიერთობა“ აშშ-სთან. ევროპა-აშშ-ის ურთიერთობაში ბრიტანეთი ერთგვარ „დამაკავშირებელი ხიდის“ როლს ირგებს. ამგვარი დაბალანსების ქცევის დასაბუთება ნათელია: რაც უფრო ძლიერია ბრიტანეთი ევროპაში უსაფრთხოების მხრივ, მით უფრო საინტერესოა იგი შეერთებული შტატებისთვის და უფრო მეტი ძალაუფლების მოტანა შეუძლია მას შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის შემთხვევაში.<sup>312</sup>

ტონი ბლერმა (ენტონი ჩარლზ ლინტონ ბლერი - გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი 1997-2007 წლებში) შეიმუშავა ბრიტანეთის უსაფრთხოების ახალი მსოფლიო წესრიგის საკუთარი ვერსია სახელწოდებით „საერთაშორისო საზოგადოების დოქტრინა“, სადაც ყურადღება გამახვილებული იყო ადამიანის უფლებებზე და დემოკრატიაზე, რომელიც, ბლერის აზრით, წარმოადგენდა სუვერენიტეტის მთავარ საყრდენს. აღნიშნულმა კონცეფციამ საფუძველი დაუდო დასავლური ღირებულებების დღის წესრიგს, რომელიც კარგად ერგებოდა ევროკავშირის ადამიანის უფლებებსა და უსაფრთხოების კონცეფციას. ბრიტანეთის ახალმა პროევროპულმა პოზიციამ (როგორც გლობალიზაციის პირობებში ძალაუფლების პასუხმა) საშინაო დამაბულობა და მღელვარება გამოიწვია. ერაყის ომმა ბლერის ნდობის ფაქტორი მნიშვნელოვნად დასცა ბრიტანეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რამაც მისი თანამდებობიდან გადადგომა გამოიწვია. მაგრამ ბლერის პოზიცია კოსოვოს კონფლიქტში მართლაც საყურადღებო იყო: მისი აზრით, წევრი სახელმწიფოები უნდა ჩარეულიყვნენ სამხედრო შესაძლებლობებით და მხოლოდ ვაშინგ-

---

<sup>312</sup>The National Security Strategy of the United Kingdom Security in an interdependent world - [https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment\\_data/file/228539/7291.pdf](https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/228539/7291.pdf) (10.30.2022)

ტონის იმედზე არ უნდა ყოფილიყვნენ; ბოსნიის ომი ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხედ არ განიხილებოდა და ერთადერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო ჰუმანიტარული მისიების განხორციელება.<sup>313</sup>

2020 წლის 1 თებერვალს დიდმა ბრიტანეთმა ოფიციალურად დატოვა ევროკავშირი. ამ პროცესიდან მალევე დაიწყო საგარეო, უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის სფეროებში სამომავლო მოლაპარაკებები, აუცილებელია, რომ როგორც გაერთიანებულმა სამეფომ, ასევე ევროკავშირმა და მისმა წევრმა ქვეყნებმა უნდა გაითვალისწინონ თანამშრომლობის მომავალი ჩარჩოს მახასიათებლები. გაერთიანებულმა სამეფომ უნდა განსაზღვროს, რამდენად სურს ევროკავშირის მიერ შემუშავებული საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის პროცესებში ჩართვა და რამდენად შეიძლება ითვალისწინებდეს ეროვნულ პოლიტიკას, რომელიც განსხვავდება ევროკავშირის არსებული პოლიტიკის პორტფელისგან.

გაერთიანებულ სამეფოსა და ევროკავშირს შორის სამომავლოდ საგარეო უსაფრთხოებისა და თავდაცვის ურთიერთობების სამი ალტერნატიული სცენარი შეიძლება იყოს გათვალისწინებული: ინტეგრირებული მოთამაშე, ასოცირებული პარტნიორი და დამკვირვებელი.<sup>314</sup>

ინტეგრირებული მოთამაშე (აქტორი) - ევროკავშირიდან გასვლის შემდეგ გაერთიანებული სამეფო აღარ არის საგარეო ურთიერთობათა საბჭოს, ევროპის საბჭოს, პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტისა და სამუშაო ჯგუფების წევრი. მიუხედავად ამისა, გაერთიანებულ სამეფოს მაინც შეუძლია მონაწილეობა მიიღოს, სპეციალური

---

<sup>313</sup>The National Security Strategy of the United Kingdom: Update 2009 Security for the Next Generation -

[https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment\\_data/file/229001/7590.pdf](https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/229001/7590.pdf) (10.30.2022)

<sup>314</sup>A Secure Brexit? UK Security and Defense and the Decision to Leave the European Union -

<https://www.marshallcenter.org/en/publications/security-insights/secure-brexit-uk-security-and-defense-and-decision-leave-european-union-0> (10.30.2022)



სტატუსის მეშვეობით, ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების პროცესში, მაგალითად, EU+1 შეთანხმების სახით; საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღოს საგარეო ურთიერთობათა საბჭოში დღის წესრიგის შესაბამისი საკითხების განხილვაში (აშშ-ის სახელმწიფო მდივნისა და გაეროს გენერალური მდივნის მონაწილეობის პრეცედენტით), PSC-ისა და მისი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში. დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკა ძირითადად დარჩება ევროკავშირის საგარეო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის პორტფელთან შესაბამისობაში.<sup>315</sup>

გაერთიანებული სამეფო გააგრძელებს არსებულ ვალდებულებებს CSDP-ის მიმდინარე სამხედრო და სამოქალაქო ოპერაციების მიმართ და თანაბარი პირობებით მიიღებს მონაწილეობას მომავალ მისიებში. ის ასევე შეინარჩუნებს თავის არსებულ ვალდებულებას \_ მიაწოდოს ევროკავშირს საბრძოლო ჯგუფი. გაერთიანებულ სამეფოს ასევე შეიძლება ჰქონდეს ევროპული თავდაცვის სააგენტოს ასოცირებული წევრობის სტატუსი, მონაწილეობა მიიღოს პროექტებში მიმდინარე კონკრეტულ შემთხვევაში, მიენიჭოს დამკვირვებლის სტატუსი სააგენტოს მმართველ საბჭოში. ამ შეთანხმების თანახმად, დიდი ბრიტანეთის დიპლომატიური და სამხედრო შესაძლებლობები ინტეგრირებული იქნება ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან და საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკასთან \_ ორმხრივი სარგებლობისთვის.<sup>316</sup>

ასოცირებული პარტნიორი \_ ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან ასოცირებული პარტნიორის ურთიერთობის მაგალითია ნორვეგიის შემთხვევა. ეს იქნება შეთანხმება, რომლის დროსაც გაერთიანებული სამეფო ევროკავშირის მოწვევით მონაწი-

---

<sup>315</sup>Brexit: defence, security and immigration -

<https://www.parliament.uk/business/publications/research/eu-referendum/defence-security-and-immigration/> (10.30.2022)

<sup>316</sup>იქვე,



ლეობას მიიღებს პოლიტიკის დეკლარაციების შემუშავება და შეუერთდება მოქმედების არეალში, როგორცაა სანქციები. უსაფრთხოების პოლიტიკაში თანამშრომლობა განხორციელდება „დიალოგების“ საფუძველზე მინისტრების, დირექტორებისა და სამუშაო ჯგუფის დონეზე. ასევე, დიდ ბრიტანეთს შეუძლია მონაწილეობა მიღოს CSDP ოპერაციებში. დიდმა ბრიტანეთმა ასევე შეუძლია ხელი მოაწეროს ადმინისტრაციულ შეთანხმებას ევროპის თავდაცვის სააგენტოსთან (EDA), რომელიც მას EDA-ის ინიციატივებში მონაწილეობის საშუალებას მისცემს. გაერთიანებულმა სამეფომ ასევე შესაძლოა მონაწილეობა მიიღოს ევროკავშირის საბრძოლო ჯგუფში, როგორც ეს ამჟამად ხდება ნორვეგიის შემთხვევაში.

ამ მოდელის მიხედვით, გაერთიანებული სამეფო პოლიტიკურად და ორგანიზაციულად გამოყოფილი იქნება ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისგან. თუ დიდი ბრიტანეთი გადაწყვეტს ურთიერთობის გაგრძელებას „დამკვირვებლის“ სტატუსით, იგი ფორმალურად გათიშული იქნება ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისგან. მაგრამ გაერთიანებულ სამეფოს, შესაძლოა, ჰქონდეს უპირატესობა ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთანამშრომლობის შედეგად. საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში (CSDP) დიდმა ბრიტანეთმა შეიძლება გამოიყენოს აშშ-ის პრაქტიკა. აშშ არ მონაწილეობდა ევროკავშირის სამხედრო მისიებში, მაგრამ ევროკავშირთან ერთად 2011 წლიდან ხელმოწერის საფუძველზე მონაწილეობას იღებს კრიზისების მართვაში.

	საბრძოლო ჯგუფები	ევროპის თავდაცვის სააგენტო	საბმუშაო ჯგუფები	პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტი	სამხედრო და სამოხალაქო ობერაგები	საგარეო საქმეთა საბჭოს წევრობა
ინტერირებული	კი	ასოციაციის წევრი	არა	სპეცია- ლური სტატუსი	კი	სპეცია- ლური სტატუსი
ასოცირებული პარტნიორი	მიწვეუ- ლი მონაწილე	შეთანხმების შედეგად	არა	არა	შეთანხმების შედეგად	არა
დამკვირვებელი	არა	არა	არა	არა	მხოლოდ სამოქალაქო შესაძლე- ბელი	არა

ევროკავშირიდან გასვლის შემდეგ დიდმა ბრიტანეთმა აქტიურად დაიწყო მოლაპარაკებები ევროკავშირთან თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში. ევროკავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის დაიდო სავაჭრო თანამშრომლობის ხელშეკრულება (Trade and Cooperation Agreement - TCA), იგი არეგულირებს ევროკავშირისა და გაერთიანებული სამეფოს ახალ ურთიერთობებს და მოიცავს პოლიტიკის სფეროებს, როგორცაა ენერგეტიკა, ტრანსპორტი და მეთევზეობა, მაგრამ არა საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოების

საკითხები, რადგან ეს საკითხები დიდი ბრიტანეთის მთავრობის თხოვნით გამოირიცხა მოლაპარაკებებიდან. არსებული საკანონმდებლო ბაზის მიხედვით, გაერთიანებული სამეფოს ნებისმიერი ჩართულობა ან მონაწილეობა ევროკავშირის თავდაცვისა და უსაფრთხოების სტრუქტურებში იქნება „მესამე ქვეყნის სახით“. 2020 წლის თებერვლის მოლაპარაკებების მითითებებში გამოტოვებულია საგარეო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის თანამშრომლობა, სადაც ნათქვამია, რომ ასეთი სფეროები „არ საჭიროებს ინსტიტუციონალიზებულ ურთიერთობას“.<sup>317</sup>

გაერთიანებული სამეფო ითვალისწინებს „მიდგომის შეცვლას“, რომელიც აღარ არის ორიენტირებული ცივი ომის შემდგომ წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის შენარჩუნებაზე. ბრიტანეთს უფრო დიდი გეგმები და მიზნები გააჩნია, ბრიტანული სტრატეგიული აზროვნების მიხედვით ბრიტანეთი „შეზოჭილი“ იყო ევროკავშირის ინსტიტუტებით და ვერ თამაშობდა მსოფლიოში ისეთ მნიშვნელოვან როლს, როგორც გასულ საუკუნეებში. ბრიტანეთის „2030“ სტრატეგიულ მიზნებში შედის დემოკრატიის, ადამიანის უფლებები, ევროპის და მსოფლიოს უსაფრთხოების დაცვა.<sup>318</sup>

აღნიშნული სტრატეგია მიუთითებს ბრიტანეთის უსაფრთხოების ძალისხმევის სავარაუდო გადაბალანსებაზე ეროვნული უსაფრთხოებისა და საერთაშორისო ვალდებულებების მიმართ. ბრიტანეთი კვლავ ერთგული რჩება ევროპის უსაფრთხოების დაცვაზე და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის გამლიერებაზე, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის პოლიტიკის საფუძველს. დიდი ბრიტანეთი რეგულარულად მონაწილეობს სამხედრო წვრთნებში ნატოს ევროპელ მოკავშირეებთან და

---

<sup>317</sup>Post-Brexit EU/UK security cooperation: NATO, CSDP+ - <https://www.lse.ac.uk/ideas/Assets/Documents/Dahrendorf/Dahrendorf-Martill-Sus-BJPIR.pdf> (10.22.2022)

<sup>318</sup>National Security Strategy - <https://www.gov.uk/government/news/national-security-strategy> (10.22.2022)

ნატოს მთავარ პარტნიორებთან აღმოსავლეთ ევროპაში (უკრაინა, საქართველო). ასევე აქვს მნიშვნელოვანი ორმხრივი თავდაცვის ხელშეკრულებები ცალკეულ ევროპულ სახელმწიფოებთან, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია საფრანგეთთან დადებული ხელშეკრულება. ფრანგულ-ბრიტანული გაერთიანებული საექსპედიციო ძალები არის ორმხრივი შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს ერთობლივი ფრანგულ-ბრიტანული ინტერვენციის სცენარების ფართო სპექტრს.

სანამ ბრიტანეთი ევროკავშირის წევრი იყო, მან გარკვეული ვალდებულებები აიღო ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართ. 2019 წლის ოქტომბრის პოლიტიკურ დეკლარაციაში, რომელიც თან ახლავს გასვლის შეთანხმებას, გამოხატული იყო გაერთიანებული სამეფოსა და ევროკავშირის შეხედულებები – მხარი დაუჭირონ ამბიციურ, მჭიდრო და გრძელვადიან თანამშრომლობას უსაფრთხოების მიმართულებით, თანაც, იმის აღიარებით, რომ ნებისმიერმა მომავალმა თანამშრომლობამ პატივი უნდა სცეს ორივე მხარის „სტრატეგიულ და უსაფრთხოების ინტერესებს“. თუმცა, საინტერესოა, როგორ აპირებს გაერთიანებული სამეფო უსაფრთხოებაში და თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის განვითარებას.

დიდმა ბრიტანეთმა აღნიშნა, რომ ღია ევროკავშირის მიერ შემუშავებული უსაფრთხოების პროგრამებსა და ინსტრუმენტებში მონაწილეობისთვის, თუ იგი უშუალოდ არის ბრიტანეთის უსაფრთხოების ინტერესებში. მაგალითად, ბრიტანეთი აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირთან უკრაინისთვის სამხედრო-ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებისთვის და, ასევე აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთი ევროკავშირს და მის წევრ ქვეყნებს მეტი მხარდაჭერისა და აქტივობისკენ მოუწოდებს უკრაინის სამხედრო-ეკონომიკური რესურსების გასაძლიერებლად.

ბრიტანეთისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ თავდაცვისა და უსაფრთხოების შესახებ თანამშრომლობა დაფუძნებული იყოს ფორმალური შეთანხმებების ერთობლიობაზე, რაც შესაძლებელს გახდის კოორდინაციის უზრუნველყოფას. ასეთი ურთიერთობა გამყარებული იქნება რეგულარული კონსულტაციებითა და კოორდინაციით დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირს შორის საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების ყველა ასპექტში. თავდაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომლობის სფეროებში, სადაც ევროკავშირმა შეიმუშავა ძლიერი საერთო სამართლებრივი ჩარჩოები, პროგრამები და აქტივები (ეკონომიკური სანქციები, სამართლებრივი თანამშრომლობა, სამართალდაცვა), ბრიტანეთმა უარი განაცხადა სამართლებრივად მის მიღებაზე, იგი უპირატესობას ფორმალურ შეთანხმებებს ანიჭებს. მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული სამეფო აღარ არის ევროპული საბჭოს წევრი, გაერთიანებულ სამეფოს და ევროკავშირს, სავარაუდოდ, ექნებათ ძლიერი ურთიერთ ინტერესები თავიანთი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მრავალ სფეროში.<sup>319</sup>

გაერთიანებული სამეფო არის და მომავალშიც იქნება დაინტერესებული მჭიდრო საგარეო და უსაფრთხოების თანამშრომლობით ევროპის სხვა ქვეყნებთან, განსაკუთრებით საფრანგეთთან და გერმანიასთან. ბრიტანეთისთვის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს მჭიდრო თანამშრომლობის განვითარება უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებში ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან და ევროპელ მოკავშირეებთან. ბრიტანეთისთვის ევროპის კონტინენტზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ამ პროცესში მისი ლიდერის როლის წარმოჩინება მნიშვნელოვანია საერთაშორისო ასპარეზზეც.

ნატო კვლავ გვევლინება გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის პოლიტიკის ცენტრალურ საყრდენად და ბრიტანეთი ასევე დაინტერესებულია, რომ ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და

---

<sup>319</sup>A Strong Britain in an Age of Uncertainty: The National Security Strategy - [https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment\\_data/file/61936/national-security-strategy.pdf](https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/61936/national-security-strategy.pdf) (10.22.2022)

თავდაცვის პოლიტიკა ორიენტირებული იყოს ნატოს ფარგლებში ევროპული სვეტის გაძლიერებაზე და ამ სვეტის ირგვლივ ევროპული თავდაცვის იდენტობის მშენებლობაზე. გაერთიანებული სამეფო ასევე მზადაა მჭიდროდ ითანამშრომლოს ევროპულ ქვეყნებთან უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხების განხილვისას ევროპის გარეთ არსებულ სპეციალურ კოალიციებში. მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული სამეფო ღიაა არსებითი საგარეო პოლიტიკური თანამშრომლობისთვის, მისი ლიდერები, სავარაუდოდ, სკეპტიკურად უყურებენ წინადადებებს ახალი ყოვლისმომცველი ინსტიტუციური ჩარჩოს შესახებ და წინააღმდეგობას გაუწევენ ინიციატივებს, რომლებიც ძირს უთხრის არსებულ თანამშრომლობას, განსაკუთრებით ნატოსთან. მთლიანობაში, გაერთიანებული სამეფო შეეცდება ითანამშრომლოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიმარ-თულებით ევროკავშირთან მისი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით.

## გერმანია (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა)

*„გერმანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში გამოირჩევა სტაბილურობით, უწყვეტობით და პრაგმატიზმით, იგი წარმოადგენს საიმედო და წინასწარ გათვლილ პროცესს, რომელშიც ჩართული არიან მაღალი რანგის პოლიტიკოსები. რაც მთავარია, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა ურთიერთკავშირშია გერმანელი მოსახლეობის ღირებულებებთან და ინტერესებთან, თუმცა იგი არ არის სტატიკური. გერმანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა ყოველთვის რეაგირებს საერთაშორისო გარემოში მომხდარ მნიშვნელოვან საკითხებზე“*  
( Guido Westerwelle).



გვიდო ვესტერველეს მიერ განმარტებული გერმანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა ასახავს გერმანიის საგარეო პოლიტიკის ბუნებას და ამბიციებს თითქმის 5 ათწლეულის განმავლობაში. გერმანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა ჯერ კიდევ ბისმარკის დროიდან გამოირჩევა ტაქტიკური კომბინაციებით და სტაბილურობით. გერმანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა დიდ გავლენას ახდენს ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზე, გერმანია პასუხისმგებელია ევროკავშირის უსაფრთხოების ტრანსფორმაციაზე, არა მხოლოდ იმაზე, თუ როგორ ქმნიან წევრი სახელმწიფოები საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას, არამედ იმაზე, თუ როგორ წარმოადგენენ და რა სახით ახდენენ თავიანთი პრეფერენციებისა და ინტერესების იდენტიფიკაციას. გერმანიამ საერთაშორისო უსაფრთხოების პოლიტიკის



იდენტობა შეიტანა ევროპულ უსაფრთხოების ჩარჩოში და ჩამოაყალიბა ქცევის საერთო ღირებულებები და ნორმები. გერმანიის შემთხვევაში თვალში საცემია, რომ გერმანია ცდილობს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები ურთიერთკავშირში იყოს ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკასთან (CSDP), ნატო-სთან და გაეროსთან. ბოლო წლებში გერმანიამ ერთგვარი ლიდერის როლი მოიხრგო ევროპაში უსაფრთხოების დარგში; გერმანია ასევე იყენებს ევროკავშირის CSDP-ის, როგორც უსაფრთხოების მთავარ „არენას“ კონკრეტული პრეფერენციების განსახორციელებლად.<sup>320</sup>

გერმანიის, როგორც საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარი აქტორის ევოლუცია, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ისტორიული სენსიტიურობის გათვალისწინებით, კერძოდ, მისი ქცევა ამ კონტექსტში. მეორე მსოფლიო ომის და ცივი ომის დასრულების შემდეგ გერმანიის ერთგულება ევროინტეგრაციის პროექტის მიმართ საფუძვლად დაედო „ყოფილ მტრებთან“ შერიგებას და ძლიერი ევროპული გაერთიანების შემქნას, რაც წარმოადგენდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას ევროპის კონტინენტზე. შეიძლება იმის თქმაც, რომ ევროკავშირის წარმატებული პროექტი გარკვეულწილად გერმანიის მონდომებისა და ძალისხმევის შედეგია. ცივი ომის დასრულების შემდეგ გერმანიის ლიდერები იყენებდნენ ევროკავშირს, როგორც მთავარ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფორუმს, რისი მეშვეობითაც გერმანია მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო ურთიერთობებში.

გერმანიის საგარეო პოლიტიკა 1990-იანი წლების დასაწყისში და შუა წლებში ორიენტირებული იყო, ევროკავშირის ინტეგრაციის ხელშეწყობით, აღმოსავლეთ ევროპაზე. ანალიტიკოსების აზრით, გერმანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა ეფუძნებოდა გერმანიის რეპუტაციას და შიშის „ჩახშობის“ მცდელობას – მეორე მსოფლიო

---

<sup>320</sup>Janne Haaland Matlary, *European Union Security Dynamics In the New National Interest*(palgrave macmillan, 2009), 138-165

ომით გამოწვეული შედეგებიდან გამომდინარე. ევროკავშირის ინტეგრაციაზე და განვითარებაზე გერმანია დიდ პასუხისმგებლობას იღებდა საკუთარ თავზე. ასევე გერმანია ცდილობდა, რომ გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისები მოეგვარებინა.

გერმანიას სურდა დაერწმუნებინა მეზობლები და პარტნიორები, რომ გაერთიანება საფრთხეს არ შეუქმნიდა ევროპის მშვიდობასა და სტაბილურობას, გაერთიანების შემდგომ პერიოდში გერმანიაში ცვლილებების ტრანექტორია დრამატული იყო. გერმანია ასევე ცდილობდა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან ერთად მოეგვარებინა უსაფრთხოების მთავარი გამოწვევები ევროპის კონტინენტზე, რომელიც წარმოიშვა იუგოსლავიის დაშლისა და, შემდეგ, რუსეთის აგრესიული და ექსპანსიური პოლიტიკის შედეგად საქართველოში (2008 წელი) და უკრაინაში (2014, 2022 წელი). საქართველოსთან და უკრაინასთან რუსეთმა ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებებიც დაიწყო, რის შედეგად უამრავი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა და რუსეთმა ახალი ტერიტორიების ოკუპაციაც მოახდინა. გერმანიამ გარკვეული მედიატორის როლი იტვირთა რუსეთთან მოლაპარაკებებში, რათა ეპასუხა აღმოსავლეთ ევროპაში შექმნილი უსაფრთხოების არასტაბილურ გარემოზე.

გერმანიამ ევროპაში შექმნა უსაფრთხოების მანევრისთვის განკუთვნილი სივრცე გერმანიის ჩართულობამ და აქტივობამ ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაზე (CSDP) გადამწყვეტი როლი ითამაშა ინსტიტუციურად განვითარებისთვის და ეფექტურობის გასაზრდელად.<sup>321</sup>წევრი სახელმწიფოებისთვის, რომელთაც შეუძლიათ ეროვნული ინტერესებისა და ევროკავშირის შეხედულებების თანხვედრაში მოყვანა და ერთიანი უსაფრთხოების სტრატეგიული გეგმის შემუშავება. გერმანია ასევე მოუწოდებდა წევრ სახელმწიფოებს \_ მხარი დაეჭირათ ევროკავშირისთვის სამხედრო ძალების საზღვარგარეთ განსათავსებლად. ამგვარი გადაწყვე-

---

<sup>321</sup>Laura Chappell, *Germany, Poland and the Common Security and Defence Policy Converging Security and Defence Perspectives in an Enlarged EU*(University of Surrey, UK,2012), 35-40.

ტილების მიღება ხაზს უსვამს გერმანიის საგარეო პოლიტიკის ევოლუციის ყველაზე საინტერესო ასპექტს ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში. გერმანიის ნაგულისხმევი პოზიცია რჩება საგარეო პოლიტიკის მულტილატერალურ და პარტნიორობაზე დაფუძნებულ მიდგომად, რომლის მიზანია უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის განვითარება.



გერმანიის კანცლერი გერჰარდ შროდერი და აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში

ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, კანცლერი გერჰარდ შროდერის (გერმანიის კანცლერი – თანამდებობაზე ყოფნის დრო 27 ოქტომბერი 1998 – 22 ნოემბერი 2005) დიდი სურვილი იყო ევროკავშირისა და გერმანიის უსაფრთხოების და თავდაცვის ინტერესების თანხვედრაში მოყვანა და ერთიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება. მერკელმა (გერმანიის პირველი ქალი-კანცლერი 2005 წლის

22 ნოემბრიდან 2021 წლის 8 დეკემბრამდე) გააგრძელა ეს ტენდენცია, მან ასევე აჩვენა მზადყოფნა გერმანიისთვის უფრო აქტიური უსაფრთხოების როლის შესრულებისთვის ევროპაში.<sup>322</sup>

გერმანიისა და ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკა მერკელის მეთაურობით ასახავს ევროკავშირის გაფართოების ენთუზიაზმს და სკეპტიციზმს ევროპული ბაზრის ინტეგრაციის რამდენიმე ასპექტის მიმართ. მეორეს მხრივ, გერმანია მხარს უჭერს უფრო ღრმა ევროპულ ინტეგრაციას უსაფრთხოების სფეროებში. გერმანია იყო ევროკავშირის შემოთავაზებული საკონსტიტუციო ხელშეკრულების ძლიერი

<sup>322</sup>National Security Strategy - <https://www.bmvg.de/en/national-security-policy> (10.30.2022)

მომხრე. გერმანიის ლიდერები მხარს უჭერდნენ და სულ უფრო მეტად ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (CFSP) განვითარებისთვის. გერმანიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა: ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში აშშ-სთან ერთად; რუსეთთან ურთიერთობაში და კრიზისებში მედიატორის როლის შესრულებით; აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების ფინანსურად და პოლიტიკურად დახმარებით, ასევე უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობით.<sup>323</sup>

ევროკავშირის უსაფრთხოების სტრატეგიაში რუსეთის ფედერაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს, უკრაინა-რუსეთის 2022 წლის ომმა აჩვენა, რომ რუსეთი კვლავ საფრთხეს წარმოადგენს აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისთვის და ევროკავშირს მოუწებს უფრო ქმედითი და შედეგიანი ნაბიჯების გადადგმისკენ რუსეთთან დაკავშირებით, გერმანიამ უკვე გაზარდა საკუთარი თავდაცვის ბიუჯეტი 100 მილიარდი ევროთი, ხოლო ევროკავშირს ესაჭიროება ისეთი სახელმწიფო, რომელიც რუსეთთან მოლაპარაკებებში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. სწორედ ასეთ სახელმწიფოს წარმოადგენს გერმანია, იგი მუდმივად ცდილობს, რომ რუსეთთან მოლაპარაკებების შედეგად ევროკავშირმა საფრთხე არ იგრძნოს რუსეთისგან, მაგრამ, ბოლო პერიოდში, რუსეთთან მოლაპარაკებებიც აღარ ჭრის. რუსეთი უკვე ულტიმატუმებს აყენებს და გარკვეულ დათმობებზე წასვლისკენ მოუწოდებს დასავლეთს, რაც დიდ ზიანს აყენებს ევროკავშირის უსაფრთხოების სტრატეგიას.<sup>324</sup>

---

<sup>323</sup>Towards the National Security Strategy - the process - <https://www.auswaertiges-amt.de/en/aussenpolitik/themen/nationale-sicherheitsstrategie> (10.22.2022)

<sup>324</sup>National Security Strategy The National Security Strategy: providing guidance in the face of current and foreseeable security challenges - <https://www.bmvg.de/en/national-security-policy> (10.22.2022)



გერმანიის ფედერალური კანცლერი ოლაფ შოლცი და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი

მერკელის უსაფრთხოების სტრატეგია მიმართული იყო აღმოსავლეთ ევროპაში მჭიდრო ორმხრივ ურთიერთთანამშრომლობაზე სამხედრო, ეკონომიკურ და პოლიტიკურ დარგებში. მერკელი ასევე ცდილობდა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები დაერწმუნებინა იმაში, რომ გერმანიის მჭიდრო ორმხრივი ურთიერთობა რუსეთთან არ უნდა განიხილებოდეს, როგორც საფრთხე ევროპის ერთიანობისა და უსაფრთხოებისთვის. რუსეთთან ურთიერთობის პარალელურად გერმანია ფინანსურად მნიშვნელოვან დახმარებას უწევს აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს, რომ რეგიონში კონკურენტუნარიან ძალას წარმოადგენდნენ და არ მოექცნენ რუსეთის გავლენის სფეროში (მაგალითად, გერმანია ეხმარება საქართველოს და უკრაინას ნატოში და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში, გარკვეული ფორმატები და პროგრამები შექმნა საქართველოსთვის და უკრაინისთვის, რაც დიდ დახმარებას უწევს აღნიშნულ ქვეყნებს როგორც ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკურად).

ევროკავშირ-რუსეთის პარტნიორობისა და თანამშრომლობის ახალი შეთანხმების შესახებ მოლაპარაკება იყო გერმანიის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ევროკავშირის თავმჯდომარეობის დროს 2007 წლის დასაწყისში. თუმცა, მერკელმა მოლაპარაკებები გარკვეულ პროცესში ჩაშალა, რადგან ნელ-ნელა რუსეთის მოთხოვნები და შეხედულებები ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებით წინააღმდეგობაში მოდიოდა. ზოგიერთმა დამკვირვებელმა და აღმოსავლეთ ევროპის ლიდერებმა ეს მიიჩნიეს მერკელის საგარეო პოლიტიკაში ევროპული ერთიანობისადმი ერთგულების მნიშვნელოვან დასტურად.



გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი (2005 წლის 22 ნოემბრიდან 2021 წლის 8 დეკემბრამდე), აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში (20 იანვარი 2001 – 20 იანვარი 2009) და დანიის პრემიერ მინისტრ ანდერს ფოგ რანსმუსენი (2009-2014 წლებში ნატოს გენერალური მდივანი). ბუქარესტის სამიტი, 2008 წელი

მერკელის შემდეგ გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი გახდა (2021 წლის 8 დეკემბრიდან \_ გერმანიის ფედერალური კანცლერი). კანცლერობის პოზიციის დაკავებიდან მალევე, 2022 წლის 24 თებერვალს,



პუტინმა გამოაცხადა „სპეციალური სამხედრო ოპერაცია“ უკრაინის „დემილიტარიზაციასა და დენაციფიკაციისთვის“. რამდენიმე წუთში საჰაერო და სარაკეტო იერიშები დაიწყო უკრაინის ყველა რეგიონში, მათ შორის დედაქალაქ კიევშიც. ამას მოჰყვა სახმელეთო შეჭრა რამდენიმე მიმართულებით. რუსეთმა კვლავ აგრესიულ და ექსპანსიურ პოლიტიკას მიმართა უკრაინის წინააღმდეგ და 2022 წლის 24 თებერვალს ომი გამოუცხადა, მაგრამ რუსული პროპაგანდისტული პოლიტიკური მედია მას კვლავ „სპეციალურ სამხედრო ოპერაციას“ უწოდებს. ძნელია ოლავ შოლცის პოლიტიკისა<sup>325</sup> და დამოკიდებულების შეფასება რუსეთის მიმართ, რადგან კანცლერობიდან სულ რაღაც 2 თვეში ოლავ შოლცს ასეთ მძიმე მდგომარეობაში მოუწია ჩაართვა. მაგრამ აღსანიშნავია შოლცის გარკვეული კომენტარები და შეფასებები რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით:<sup>326</sup>

გერმანიის კანცლერმა ოლავ შოლცმა განაცხადა, რომ უკრაინაზე თავდასხმით რუსეთმა მთელ მსოფლიოს მიაყენა ზიანი. მისი თქმით, ომი აღრმავებს ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს, რომლებიც მთელ მსოფლიოში კორონავირუსის პანდემიის გამო წარმოიშვა. "მომავლის ეს განადგურება რუსეთისა და უკრაინის საზღვრებს სცდება", - განაცხადა შოლცმა 2 აპრილს, ესენში სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინასაარჩევნო შეხვედრაზე.<sup>327</sup>

როგორც კანცლერმა აღნიშნა, პუტინი მიყვება წინა საუკუნეების იმპერიალისტურ ხედვას, თუმცა მან სწორად ვერ გათვალა. შოლცმა განაცხადა, რომ უკრაინა ახლაც და მომავალშიც მიიღებს დახმარებას, მათ შორის თავდაცვის იარაღსაც. ამასთან აღნიშნა, რომ დემოკრატიული სამყაროს ქვეყნებმა სწრაფი რეაგირება მოახდინეს და

---

<sup>325</sup>EUROPE POLITICS Putin must recognize he cannot win Ukraine war, German Chancellor Olaf Scholz says at UN - <https://www.cnbc.com/2022/09/21/putin-must-recognize-he-cannot-win-ukraine-war-olaf-scholz-says-at-un.html> (10.22.2022)

<sup>326</sup>German foreign and security policy after Merkel - <https://www.iiss.org/publications/strategic-comments/2019/german-foreign-and-security-policy-after-merkel> (10.22.2022)

<sup>327</sup>Germany's Chancellor Olaf Scholz faces growing criticism over handling of Ukraine war - <https://www.euronews.com/2022/04/22/germany-s-chancellor-olaf-scholz-faces-growing-criticism-over-handling-of-ukraine-war> (10.22.2022)



რუსეთს მკაცრი სანქციები დაუწესეს. შოლცის თქმით, რუსეთის პრეზიდენტს არა მხოლოდ სიკვდილი და ნგრევა მოაქვს უკრაინაში, არამედ რუსეთის მომავალსაც ანგრევს. "ეს პრეზიდენტ პუტინის დიდი, დიდი შეცდომაა" აღნიშნა შოლცმა. შოლცმა პირობა დადო, რომ ყველაფერი გაკეთდება ომის დასასრულებლად და ევროპაში მსოფლიო წესრიგის აღსადგენად, რომლის დროსაც საზღვრები აღარასდროს დაირღვევა.<sup>328</sup>

გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ "იმპერიალისტური" ომის წარმოებაში დაადანაშაულა და კიევს დაჰპირდა "ძლიერ" მხარდაჭერას მისი სუვერენიტეტის დასაცავად. ოლაფ შოლცმა, რომელიც სიტყვით გამოვიდა ყირიმის პლატფორმის სამიტზე ვიდეო კონფერენციის საშუალებით, განაცხადა, რომ უკრაინელმა ხალხმა განსაკუთრებული გამბედაობა გამოიჩინა თავისი ქვეყნის დასაცავად.<sup>329</sup>

"(უკრაინელების) მათ გამძლეობასა და გამბედაობას მთელი მსოფლიო აფასებს. ისინი უარყოფენ სამყაროს, სადაც არა სამართლის, არამედ ძლიერის სიტყვა გადის, სადაც, თუ მოუხდებათ, დიდი ძალები პატარა სახელმწიფოებს ჩაყლაპავენ" განაცხადა გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსკოვის მიერ ყირიმის ანექსია 2014 წელს და უკრაინის მეტი ტერიტორიის ოკუპაციის ბოლო მცდელობები საერთაშორისო სამართლის აშკარა დარღვევაა და დაამატა: „ჩვენ გვინდა კიდევ ერთხელ განვაცხადოთ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა არასოდეს მიიღებს რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიის უკანონო, იმპერიალისტურ ანექსიას“.<sup>330</sup>

მან აღნიშნა, რომ ისინი გამობენ რუსეთის მცდელობას უკრაინის ტერიტორიის ზოგიერთი ნაწილის "იძულებით ინტეგრაციას" და

---

<sup>328</sup>Scholz: Putin started war for 'completely absurd' reasons - <https://www.dw.com/en/germanys-scholz-says-putin-started-war-for-completely-absurd-reasons/a-62880926> (10.22.2022)

<sup>329</sup>Ukraine war: Olaf Scholz says Vladimir Putin does not see war as mistake - <https://www.bbc.com/news/world-europe-62907923> (10.22.2022)

<sup>330</sup>Scholz: Putin started war for 'completely absurd' reasons - <https://www.dw.com/en/germanys-scholz-says-putin-started-war-for-completely-absurd-reasons/a-62880926> (10.22.2022)

თქვა: "ჩვენი გზავნილი ნათელია. უკრაინის ტერიტორიის ზოგიერთი ნაწილის სტატუსის შეცვლისთვის ნებისმიერი იმიტირებული რეფერენდუმი ან სხვა მცდელობა არასოდეს იქნება აღიარებული." შოლცმა კიევის ხელისუფლებას მისცა გარანტია, რომ გერმანიის მთავრობა გააგრძელებს უკრაინის ფინანსურ და სამხედრო დახმარებას. „ჩვენ გავაგრძელებთ უკრაინისთვის იარაღის მიწოდებას“ - განაცხადა შოლცმა და დაამატა, რომ მათ გაააქტიურეს დახმარების ახალი პაკეტი, რომელიც მოიცავს თანამედროვე საჰაერო თავდაცვის სისტემებს, სარაკეტო გამშვებებს, უპილოტო საფრენი აპარატების წინააღმდეგ ახალ იარაღს და ტონობით საბრძოლო მასალას.<sup>331</sup>



იტალიის პრემიერ-მინისტრი მარิโอ დრაგი, გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი, უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი, საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი და რუმინეთის პრეზიდენტი კლაუს იოჰანისი სამუშაო სესიაზე ზვდებიან კიევში, მარიინსკის სასახლეში, 2022 წელი

<sup>331</sup>Macron, Scholz and Draghi meet Zelenskyy in Kyiv during historic visit - <https://www.politico.eu/article/macron-scholz-draghi-kyiv-visit-zelenskyy-ukraine/> (10.22.2022)

გარკვეულ შეხედულებებში უკვე იკვეთება გერმანიის ახალი კანცლერის ოლაფ შოლცის დამოკიდებულება რუსეთის მიმართ, იგი გამოირჩევა წინა კანცლერებისგან უფრო ხისტი და პირდაპირი პოლიტიკით. მან გარკვეულ მნიშვნელოვან საკითხებს გაუსვა ხაზი და, იმის ვარაუდიც შეიძლება, რომ, მერკლესიგან განსხვავებით, შოლცი მეტად პრაგმატულ და ხისტ პოლიტიკას გაატარებს რუსეთის მიმართ, ნაკლები დათმობებით. მაგრამ ჯერ გარკვეული ვარაუდებისთვის საკმარისი დრო არ გასულა, დრო ყველაფერს გვიჩვენებს. ერთი რამ კი აღსანიშნავია: რუსეთ-უკრაინის ომმა გერმანიის შიდა პოლიტიკაშიც გამოიწვია გარკვეული ცვლილებები: შოლცმა დაამტკიცა „ბუნდესვერის“ ახალი ბიუჯეტი, რომელიც, წინა წლებთან შედარებით, საგრძნობლადაა გაზრდილი; ასევე დაიწყო თავდაცვის ძალების მოდერნიზაცია და გაუმჯობესება: თუ აქამდე გერმანიის პოლიტიკურ ელიტაში ჭარბობდნენ პრორუსულად განწყობილი პოლიტიკოსები, ომის შედეგებმა და მიმდინარეობამ ესეც შეცვალა. გერმანია რუსეთ-უკრაინის ომის დასრულების შემდეგ, სავარაუდოდ, საკუთარ პოლიტიკას და ძალისხმევას გაზრდის ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის გასაძლიერებლად როგორც ეკონომიკურად და პოლიტიკურად, ასევე სამხედრო მიმართულებითაც.<sup>332</sup>

საერთაშორისო მოვლენებმა და ევროპის შიგნით არსებულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ გერმანია გაერთიანების შემდეგ ნელ-ნელა ჩამოაყალიბა ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის მთავარ მხარდაჭერად როგორც ინსტიტუციური განვითარების მხრივ, ასევე პოლიტიკურ-სამხედრო მიმართულებითაც. გერმანიას ისეთ დონეზე სურდა უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარება, რომ წევრ სახელმწიფოებს თავდაცვის რესურსების გაერთიანებისა და უსაფრთხოების საკითხებში ერთობლივად მუშაობის საშუალება მისცემოდა. ამის მისაღწევად ევროკავშირს პარტნიორად სჭირდებოდა ძლიერი სახელმწიფო, რომელიც წევრ სახელმწიფოებში გარკვეულ მედიატორისა და შუამავლის როლს

---

<sup>332</sup>Germany's new national security strategy - <https://www.orfonline.org/expert-speak/germanys-new-national-security-strategy/> (10.22.2022)

ითამაშებდა. სწორედ ასეთ სახელმწიფოს წარმოადგენდა გერმანია. გერმანიას ევროკავშირის შიგნით ძლიერი პოლიტიკური ძალა გააჩნია, რომელიც საჭიროა უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის განვითარებისთვის. საბოლოოდ, იმის თქმაც შეიძლება, რომ ევროკავშირმა საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის განვითარებისთვის გარკვეული იმედები გერმანიაზე დაამყარა.<sup>333</sup>

გერმანიისთვის გარდამტეხი მომენტი იყო ბალკანეთის სამხედრო კონფლიქტები ევროპაში, სადაც გამოიკვეთა ევროკავშირისა და ევროპული სახელმწიფოების უსაფრთხოების არაეფექტურობა. გერმანიის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში ჩართულობა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმის შემდეგ უფრო მეტად გააქტიურდა, რაც განპირობებული იყო სამოქალაქო და სამხედრო კრიზისების მართვის შესაძლებლობების განვითარებით და საპოლიციო მომზადების დახვეწის სურვილით. გერმანია აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირის სამხედრო და სამოქალაქო მისიებში: ბოსნიაში, კოსოვოში, სომალის სანაპიროზე და ავღანეთში, ასევე შესრულებული აქვს ოთხი საპოლიციო ოპერაცია, რომლებსაც ამჟამად ევროკავშირი ზედამხედველობს. გერმანია განსაკუთრებით იცავს სიფრთხილეს ევროკავშირსა და ნატოს-ს ურთიერთობებს შორის სამხედრო ოპერაციების მიმართ. გერმანიის მიზანი ისაა, რომ ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა წარმოადგენდეს ნატო-ს „შემავსებელს“ და არა „შემცვლელს“, ამიტომ გერმანია მხარს უჭერს ნატოსა და ევროკავშირს შორის ოფიციალურ შეთანხმებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ნატოს სტრუქტურების დუბლირების თავიდან აცილებას, როგორცაა ე.წ. „ბერლინ პლუსის“ შეთანხმება, რომელიც ევროკავშირს აძლევს ნატოს აქტივებისა და შესაძლებლობების გამოყენების საშუალებას ევროკავშირის მიერ ჩატარებულ ოპერაციებში.<sup>334</sup>

---

<sup>333</sup>A Security Strategy for Germany -

[https://www.files.ethz.ch/isn/90089/Security\\_Strategy\\_Germany.pdf](https://www.files.ethz.ch/isn/90089/Security_Strategy_Germany.pdf) (10.25.2022)

<sup>334</sup>Arm for the storm: Germany's new security strategy - <https://ecfr.eu/article/arm-for-the-storm-germanys-new-security-strategy/> (10.25.2022)





ბუნდესვერი (გერმ. Bundeswehr) — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (გფრ) შეიარაღებული ძალების სახელწოდება. შედგება სამხედრო ჯარების, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალებისაგან. უმაღლესი მთავარსარდალი — ომის დროს ფედერალური კანცლერი, მშვიდობიანობის პერიოდში — თავდაცვის მინისტრი. ჯარი კომპლექტდება საყოველთაო სამხედრო სამსახურის კანონის საფუძველზე. სამხედრო სამსახურის ვადა 15 თვეა, გასაწვევი ასაკი — 18 წელი. 2013 წლის მიხედვით, ბუნდესვერის მოსამსახურეთა რაოდენობა შეადგენდა 188,921-ს, რის მიხედვითაც ის წარმოადგენს მსოფლიოს არმიათა შორის 28-ს, ხოლო ევროპის კავშირში სიდიდით მეოთხეს (საფრანგეთის, იტალიისა და დიდი ბრიტანეთის შემდეგ). ამას გარდა, 2010 წლის მონაცემით ბუნდესვერს ჰყავს არ აქტიური



გერმანია წარმოადგენს ძლიერ დემოკრატიულ და პოლიტიკურად კარგად ორგანიზებულ სახელმწიფოს, სადაც გადაწყვეტილებების მიღება და გარკვეული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება მეტად რთულ პროცესს წარმოადგენს. ასევე გერმანიაში ძალიან ძლიერია დემოკრატიული კონტროლი. სამხედრო და სამოქალაქო ოპერაციების ყველა ფაზაში ძალიან მნიშვნელოვანია გერმანიის შიდა პოლიტიკური ინსტიტუტებიდან ლეგიტიმაციის უფლების მიღება უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში. გერმანიაში დიდი ყურადღება ეთმობა სამხედრო ინსტრუმენტის დემოკრატიულ კონტროლს, რადგან გერმანიას ისტორიულ მემკვიდრეობაზე დაფუძნებული გარკვეული გამოცდილება გააჩნია (1933-1941 წ.წ)<sup>335</sup>„

გერმანიის პარლამენტს აქვს არა მხოლოდ სამხედრო ოპერაციების დაწყების მანდატის გაცემის უფლება, არამედ იმის შემოწმებაც შეუძლია, ლეგიტიმურად მიმდინარეობს თუ არა კონკრეტული სამხედრო ოპერაცია. საპარლამენტო კონტროლის მიხედვით, ევროპაში გერმანიის ნაირი სისტემა არცერთ ქვეყანას არ აქვს. გერმანიის პარლამენტს (ბუნდესტაგს) აქვს იმის უფლება, რომ წინასწარ დაამტკიცოს სამხედროების გაგზავნა მისიაში მონაწილეობის მისაღებად, ასევე დაამტკიცოს უფლებამოსილების მანდატი და მისიის პროცედურები; ოპერაციის განხორციელების პროცესში პარლამენტს ასევე შეუძლია კონტროლის მექანიზმების ამოქმედება. გერმანიის კონსტიტუცია კრძალავს საზღვრის გარეთ გერმანული სამხედროების გაგზავნას და რაიმე სახის სამხედრო ოპერაციაში ჩაბმას, აქედან გამომდინარე, გერმანიის მთავრობამ უფლებამოსილება „კარლსრუეს“ საკონსტიტუციო სასამართლოდან უნდა აიღოს, იგი გადაწყვეტს,

---

<sup>335</sup>German Foreign and Security Policy: Trends and Transatlantic Implications - <https://sgp.fas.org/crs/row/RL34199.pdf> (10.25.2022)

რამდენად ლეგიტიმურია მთავრობის მოთხოვნა გერმანული შენაერთების საზღვრის გარეთ გაგზავნის თაობაზე.<sup>336</sup>

საბოლოოდ, თვალი რომ გადავაკვლოთ გერმანიის უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკას, დავინახავთ ორ მთავარ მიმართულებას: გერმანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა რუსეთ-უკრაინის ომამდე და ომის შემდეგ. რა გვადლევს ამის თქმის საშუალებას? როდესაც ომი ჯერ არ დასრულებულა, რთულია იმის გაანალიზება (მაგრამ, ერთი რამ ნათელია: ომის დასრულების შემდეგ უკრაინა ევროპაში ძალიან ძლიერი აქტორი იქნება აღმოსავლეთ ევროპაში უსაფრთხოების არქიტექტურის შექმნაში. უკრაინა უკვე გამარჯვებულია \_ მან შეძლო ევროპის უსაფრთხოების დაცვა), თუ როგორ შეიცვლება ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურა, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია არსებული ვითარების მიხედვით განვიხილოთ უშუალოდ მიმდინარე პროცესის დინამიკა და გერმანიის კანცლერის ოფიციალური კომენტარებიდან და გადაწყვეტილებიდან დავასკვნათ, თუ რა როლს ირჩევს სამომავლოდ გერმანია ევროპის უსაფრთხოებისთვის ბრძოლაში. 2022 წლის 10 აგვისტოს გერმანიის კანცლერის, ოლაფ შოლცის თქმით, ბერლინმა კიევს ძალიან ეფექტიანი იარაღი მიაწოდა, რომელიც ახლა აღმოსავლეთ უკრაინაში საბრძოლო ვითარებას ცვლის. ამის შესახებ კანცლერმა ბერლინში, ისრაელის პრემიერ-მინისტრ იაირ ლაპიდთან ერთობლივ კონფერენციაზე ისაუბრა.

---

<sup>336</sup>Germany's security strategy in the making - <https://www.chathamhouse.org/events/all/members-event/germanys-security-strategy-making> (10.25.2022)





გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი და  
ისრაელის პრემიერმინისტრი იაირ ლაპიდი

"ის, რაც ჩვენ უკრაინას მივაწოდეთ, Gepard-ის საზენიტო ტანკი, თვითმავალი ჰაუბიცები და სხვა, არის ის იარაღი, რომელიც აღმოსავლეთის ბრძოლაში უკრაინის წინსვლას ხელს უწყობს" თქვა შოლცმა. ასევე, შოლცის თქმით, გერმანია უკრაინას დამატებით Iris-T საჰაერო თავდაცვის სისტემებს გადასცემს. გასულ კვირებში კიევი დასავლელ პარტნიორებს თანამედროვე საბრძოლო ტანკების მოწოდებისკენ მოუწოდებდა, თუმცა, გერმანიის თავდაცვის მინისტრი, ქრისტინ ლამბრეხტი უკრაინაში Leopard-ის ტიპის ტანკების გაგზავნაზე უარს აცხადებს. "უკრაინისთვის დასავლეთის მიერ წარმოებული ქვეითი საბრძოლო მანქანები ან საბრძოლო ტანკები არცერთ ქვეყანას არ მიუწოდებია" თქვა ლამბრეხტმა საგარეო ურთიერთობათა გერმანიის საბჭოში (DGAP) ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის პანელზე.<sup>337</sup>

<sup>337</sup>Scholz joins Ukrainian soldiers training in Germany German chancellor pledges continued military support for Ukraine in war against Russia - <https://www.aa.com.tr/en/russia-ukraine-war/scholz-joins-ukrainian-soldiers-training-in-germany/2669352> (10.25.2022)

შოლცმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ გერმანია პარტნიორებთან კოორდინირებული მუშაობით უკრაინის მხარდაჭერას გააგრძელებს იქამდე, სანამ ამის საჭიროება იარსებებს. ომის პირველ კვირებში გერმანიის პოზიცია მეტად ფრთხილი და თავშეკავებული იყო, მაგრამ ომის მსვლელობისას გერმანიის პოზიცია უსაფრთხოების მიმართულებით მკვეთრად იცვლება, გერმანია ნელ-ნელა აშშ-სთან ერთად უკრაინის მთავარი მხარდამჭერი ხდება, ანუ, ამით იმის თქმაც შეგვიძლია, რომ ომის შემდგომ გერმანია დიდ როლს ითამაშებს ევროპაში უსაფრთხოების არქიტექტურის შექმნაში და მის დაცვაში. გერმანიამ გარკვეული პასუხისმგებლობა აიღო ევროპაში უსაფრთხოების მიმართულებით და ევროპიდან სწორედ გერმანია გვევლინება ერთ-ერთ მთავარ ლიდერად ბრიტანეთთან ერთად.<sup>338</sup>



გერმანიის უსაფრთხოების პოლიტიკის ისტორიული შემობრუნება. გერმანია, ბუნდესტაგი. „Zeitenwende“ სიტყვის გამოსვლა

ოლაფ შოლცს გერმანიის ბუნდესტაგში მეტად საინტერესო გამოსვლა ჰქონდა, რომელიც ერთგვარი რეაქცია იყო რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრაზე. შოლცმა გამოიყენა ტერმინი „Zeitenwende“ (ისტორიული შემობრუნება) და მისმა მთავრობამ დაიწყო სამხედრო ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა, რაც შეცვლის გერმანიის მანამდე ფრთხილ თავდაცვის პოლიტიკას. შოლ-

ცის გამოსვლა კარგად იქნა მიღებული გერმანელი და საერთაშორისო

<sup>338</sup>The service members are in Germany for training on Gepard tanks. Chancellor Olaf Scholz has vowed to send even more heavy weapons to Ukraine in the coming months. - <https://www.dw.com/en/scholz-meets-ukrainian-soldiers-training-in-germany/a-62927402> (10.25.2022)

პოლიტიკოსების უმეტესობის მიერ და მას ასევე მხარი დაუჭირა ოპოზიციის ლიდერმა ფრიდრიხ მერცმა. პატრიკ ვინტურის აზრით, შოლცმა გამოაცხადა თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის "კურსის 180°-იანი შემობრუნება".<sup>339</sup>

„Zeitenwende“-დან გამომდინარე, გერმანია საკვანძო მოთამაშე გახდება ევროკავშირისა და ევროპული უსაფრთხოების შექმნისა და განხორციელების პროცესში. გერმანიის უსაფრთხოების სტრატეგიული აზროვნების მიხედვით, რუსეთთან კონფლიქტი უკვე მიმდინარეობს ევროპის გეოპოლიტიკურ გარემოში, სადაც დომინირებს დიდი ძალების კონკურენცია და სისტემური მეტოქეობა აშშ-სა და რუსეთს-ჩინეთს შორის. დაპირისპირებული ბლოკების გაჩენა გერმანიისთვის ეგზისტენციალურ გამოწვევას ქმნის, რადგან მისი ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკა დიდად არის დამოკიდებული მოქმედ გლობალიზაციაზე. პირველ ეტაპზე გერმანიას მოუწევს უარის თქმა გარკვეულ ფრთხილ პოლიტიკაზე და პრინციპებზე, რომლებსაც დიდი ხანია იცავს. იგი მოიცავს, უპირველეს ყოვლისა, ე.წ. ევროპული სამშვიდობო დივიდენდის იდეას. კიდევ ერთი ასეთი პრინციპი ემყარება რწმენას ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების მომგებიანი და დემოკრატიზებული ეფექტის შესახებ ავტოკრატიებთან, როგორცაა რუსეთი და ჩინეთი. მასიური ენერგეტიკული კრიზისი ახლა გერმანელებს უჩვენებს, თუ რამდენად საშიშია სტრატეგიულად მნიშვნელოვან სფეროში მხოლოდ ერთ აქტორზე დამოკიდებულება: რუსეთმა ეს დამოკიდებულება აქცია ჰიბრიდული ომის საშუალებად.

ამერიკული F-35 მოიერიშე თვითმფრინავების შესყიდვა და ძლიერი საჰაერო ბაზის შექმნა წარმოადგენს რევოლუციას გერმანიის თავდაცვის პოლიტიკაში, რომელიც ბოლო დრომდე ბევრ მკვლევარს და პოლიტიკოსს შეუძლებლად მიაჩნდა. მიუხედავად ამისა, ეს ნაბიჯები

---

<sup>339</sup>Turn of phrase: Germany's Zeitenwende Scholz's Zeitenwende speech was widely viewed as a major adjustment to Germany's foreign and security policy. But, six months on, it is unclear whether the country is up to the task. - <https://ecfr.eu/article/turn-of-phrase-germanys-zeitenwende/> (10.25.2022)

მხოლოდ ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ყოვლისმომცველი პროცესისა, რათა განისაზღვროს გერმანიის უსაფრთხოების როლი ევროპასა და მსოფლიოში. გერმანიამ უნდა განსაზღვროს, თუ რა შეუძლია და როგორ უნდა შეუწყოს ხელი ევროპულ და საერთაშორისო უსაფრთხოების განვითარებას ახალ რეალობაში, რადგან გერმანიაც ხვდება, რომ ევროპაში უსაფრთხოების მიმართულებით იგი ყველაზე ძლიერი ქვეყანაა. საგარეო საქმეთა მინისტრი ანალენა ბაერბოკი ამტკიცებს, რომ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს უსაფრთხოების ყოვლისმომცველ გაგებას. წინა სტრატეგიული დოკუმენტები, როგორცაა 2016 წლის თეთრი წიგნი და 2017 წლის გაიდლაინები სახელწოდებით „კრიზისების პრევენცია, კონფლიქტების მართვა, მშვიდობის ხელშეწყობა“, ეფუძნება უსაფრთხოების ფართო კონცეფციას, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ პოლიტიკასა და სამხედროს, არამედ ადამიანურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ფაქტორებს.<sup>340</sup>

2022 წლის 18 მარტს ფედერალურ საგარეო ოფისში ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების დაწყების ღონისძიებაზე ბაერბოკმა შეაჯამა ამ პროცესის მთავარი გამოწვევა: ხაზი უნდა გაესვას კონკრეტულ საკითხებს, მიმართულებებს, პრინციპებს და მთავარ გამოწვევებს, იგი არ უნდა იყოს ბუნდოვანი. შესაბამისად, მთავარი ამოცანაა უსაფრთხოების ყოვლისმომცველი სტრატეგიის პრიორიტეტების განსაზღვრა. ძლიერი ბუნდესვერის გარეშე გერმანია არ არის სანდო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს სწორედ ბუნდესვერის ბიუჯეტის ზრდა და მოდერნიზაცია, რაც საშუალებას მისცემს ითამაშოს წამყვანი როლი ნატოს და ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში. ძლიერი ბუნდესვერი უზრუნველყოფს ევროკავშირში თავდაცვის „ხერხემალს“.<sup>341</sup>

---

<sup>340</sup>Germany to buy 35 Lockheed F-35 fighter jets from U.S. amid Ukraine crisis - <https://www.reuters.com/world/europe/germany-decides-principle-buy-f-35-fighter-jet-government-source-2022-03-14/> (10.25.2022)

<sup>341</sup>Towards the National Security Strategy - the process - <https://www.auswaertiges-amt.de/en/aussenpolitik/themen/nationale-sicherheitsstrategie> (10.25.2022)

ევროპული და ევროკავშირის სუვერენიტეტის იდეა უნდა იყოს სტრატეგიის პროცესის სახელმძღვანელო პრინციპი. გერმანიის მმართველმა პარტიებმა ეს თავიანთი კოალიციური შეთანხმების ნაწილად აქციეს. კონცეფციის მათი ინტერპრეტაციით, ევროპის სუვერენიტეტი გულისხმობს ევროპისა და ევროკავშირის სამხედრო შესაძლებლობების შექმნას და შენარჩუნებას, ასევე დამოუკიდებლად მისი ინტერესებისა და ღირებულებების დაცვას. გერმანიას ასევე სურს ევროკავშირს მიეცეს საშუალება, მიიღოს საკუთარი გადაწყვეტილებები ურთიერთდამოკიდებულ საერთაშორისო სისტემაში და განახორციელოს ისინი უფრო კონკურენტულ გეოპოლიტიკურ გარემოში, მაშინაც კი, როცა წინააღმდეგობის წინაშე აღმოჩნდება.<sup>342</sup>

ეს ყველაფერი გამომდინარეობს იქიდან, რომ ევროკავშირს და ევროპის სახელმწიფოებს არ შეუძლიათ კრიზისებისა და კონფლიქტების მარტო გამკლავება ჩვეულებრივ სამხედრო ძალასთან და ისეთ მოთამაშესთან, როგორც რუსეთია. მათ ესმით, რომ ევროპის სახელმწიფოებს შეუძლიათ გამოიყენონ ურთიერთდა-მოკიდებული ურთიერთობები, რომელიც შექმნის ძლიერი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკას ევროკავშირთან ერთად.

და ბოლოს, აშკარაა, რომ გერმანია მზად არის პასუხისმგებლობა აიღოს კონტინენტის უსაფრთხოებაზე. როგორც ყველაზე დიდი მოსახლეობის მქონე ქვეყანა და კონტინენტის ცენტრში მყოფი უდიდესი ეკონომიკური ძალა, გერმანიის შეიარაღებული ძალები უნდა იყოს ევროპის კონვენციური თავდაცვის ქვაკუთხედი: საუკეთესოდ აღჭურვილი ძალა ევროპაში.<sup>343</sup>

---

<sup>342</sup>Drafting the National Security Strategy: Conclusion of the citizens' forum in Erfurt with Foreign Minister Baerbock - <https://www.auswaertiges-amt.de/en/aussenpolitik/themen/national-security-strategy/2554354> (10.25.2022)

<sup>343</sup>Germany presents new national security strategy: The German government has pledged a one-off investment of €100 billion to modernize its armed forces following the Russian invasion of Ukraine. - <https://www.dw.com/en/german-foreign-minister-annalena-baerbock-presents-germanys-national-security-strategy/a-61169197> (10.25.2022)





ოლაფ შოლცი გეპარდის ტიპის თვითმავალ საზენიტო სისტემასთან,  
2022 წლის 25 აგვისტო



## დასკვნის სახით: „დიდი სამეული“ - საფრანგეთი - ბრიტანეთი - გერმანია

ევროკავშირის და ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის მთავარი და ყველაზე გავლენიანი სახელმწიფოები არიან გერმანია - საფრანგეთი - ბრიტანეთი, რომელიც ხელმძღვანელობენ ევროპის უსაფრთხოების სისტემას. უსაფრთხოების ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ბრიტანეთი და საფრანგეთი, მაგრამ გერმანიამ ორივესთან შეძლო თანამშრომლობა და პარტნიორობა. მან ასევე უჩვენა საერთო ლიდერობისთვის მზაობა როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად, რომელიც გარდამტეხი მომენტი აღმოჩნდა უსაფრთხოების ჩამოყალიბებაში. სამივე სახელმწიფომ ერთიანად წამოიწყო ერთობლივი უსაფრთხოებისა და თავდაცვის ინიციატივები, რომელიც თავიდანვე მნიშვნელოვანი იყო ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის (CSDP) ჩამოყალიბებისთვის.<sup>344</sup>

მაგალითად, 1999 წელს გერმანიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ESDP/CSDP-ის ჩამოყალიბებაში სენტ მალოს შეხვედრის შემდეგ. შესაძლოა ყველაზე გახმაურებული თანამშრომლობა ბოლო წლებში იყო E3+3 მოლაპარაკებების პროცესი ირანთან, ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით, რასაც შედეგად მოჰყვა 2015 წლის ერთობლივი სამოქმედო ყოვლისმომცველი გეგმის შემუშავება. თანამდებობის პირებს შორის მტკიცე რწმენა არსებობდა ერთობლივი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად: „თუ დიდი სამეული (ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია) ერთმანეთში მიაღწევენ გარკვეულ შეთანხმებას, მაშინ წარმატების შანსები ძალიან მაღალია“. მაგრამ შეთანხმებისა და მოლაპარაკებების პროცესიც, გარკვეულწილად, სირთულეებთანაა დაკავშირებული, მით უმეტეს, იქიდან გამომდინარე, რომ ბრიტანეთი ახლა ევროკავშირის წევრი სახელმწიფო აღარ

---

<sup>344</sup>Janne Haaland Matlary, *European Union Security Dynamics In the New National Interest*(palgrave macmillan, 2009), 130-145.

არის და უფრო მეტად გართულდა მოლაპარაკებების პროცესები, რადგან ეროვნული ინტერესები კვლავ მნიშვნელოვან როლს თამაშობს უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებაში. ერთ პარტნიორთან შეთანხმება უფრო ადვილია, ვიდრე ერთდროულად ორ პარტნიორთან, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს ერთი და იგივე დონისა და სიძლიერის სახელმწიფოებია. ვფიქრობ, ზოგიერთ საკითხზე ლუქსემბურგთან შეთანხმების მიღწევა უფრო ადვილია, საფრანგეთსა და გერმანიას შორის გარკვეულ საკითხებზე შეთანხმება კი უფრო რთული.<sup>345</sup>



„დიდი სამეული“ - დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი ბორის ჯონსონი (თანამდებობაზე ყოფნის დრო 24 ივლისი 2019 – 6 სექტემბერი 2022); გერმანიის ფედერალური კანცლერი ანგელა მერკელი (2005 წლის 22 ნოემბრიდან 2021 წლის 8 დეკემბრამდე); საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი (2017 წლიდან - დღემდე)

---

<sup>345</sup>Frédéric Mérand, *European Defence Policy Beyond the Nation State*(Oxford University Press, 2008), 55-60

თანამშრომლობისა და პარტნიორობის საფუძველი დამოკიდებულია ინტენსიურ და ხშირ კონტაქტებზე, რომელიც უკვე ნორმად იქცა მათ საგარეო და თავდაცვის სამინისტროებს შორის ისევე, როგორც ხელისუფლების უმაღლეს დონეზე. როგორც აღინიშნა, არსებობს მათი ურთიერთქმედების ინსტიტუციონალიზებული და ნახევრად ინსტიტუციონალიზებული ფორმატები, მათ შორისა ფრანკო-გერმანული უსაფრთხოების პოლიტიკის საბჭო, რომელმაც 2014 წლის თებერვალში გამოაცხადა ევროკავშირის მისიაში ფრანკო-გერმანული ბრიგადის ელემენტების პირველი განლაგების შესახებ.<sup>346</sup>

საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (CSDP) გვთავაზობს უამრავ წარმატებული თანამშრომლობისა და პარტნიორობის მაგალითს როგორც ფრანკო-გერმანული ურთიერთობებიდან, ასევე „დიდი სამეულიდან“. მაგალითად, ევროპის თავდაცვის სააგენტოს (EDA) დაარსება და ევროკავშირის საბრძოლო ჯგუფების შექმნა იყო ორი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, ასევე ისინი თანამშრომლობდნენ თავდაცვის სფეროში მუდმივი სტრუქტურირებული თანამშრომლობის მექანიზმის (PESCO) ჩართვაზე ლისაბონის ხელშეკრულებაში. საბრძოლო ჯგუფის კონცეფცია შეიქმნა 2003 წელს კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ევროკავშირის მცირე ძალების წარმატებული განლაგების შედეგად (ოპერაცია არტემიდა).<sup>347</sup>

ეს ერთობლივი ინიციატივა შექმნილი იყო შედარებით მცირე, მაგრამ ადვილად განლაგებული და ავტონომიური სწრაფი რეაგირების ძალების შესაქმნელად, კრიზისის მართვის ოპერაციებში გამოსაყენებლად. ამ მიზანს ეფუძნებოდა საერთო რწმენა, რომ ევროკავშირის სჭირდებოდა თავისი ეფექტურობის გაუმჯობესება თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროში, ამიტომ საბრძოლო ჯგუფების განვითარება არსებითად იქნა მიჩნეული როგორც ინსტრუმენტი უფრო ფართო

---

<sup>346</sup>Frédéric Mérand, *European Defence Policy Beyond the Nation State*(Oxford University Press, 2008), 60-70

<sup>347</sup>Extraterritorial Collective Security: The European Union and Operation ARTEMIS - <https://academic.oup.com/book/2909/chapter-abstract/143547787?redirectedFrom=fulltext> (10.25.2022)

მიზნებისთვის. ერთად აღებული, ეს მაგალითები იძლევა ილუსტრაციებს იმის შესახებ, თუ როგორ თანამშრომლობენ გერმანია, საფრანგეთი და ბრიტანეთი უსაფრთხოების და თავდაცვის მიმართულებით CSDP-ში კონკრეტული ინიციატივების ან პოლიტიკის მიზნების ხელშეწყობისას.<sup>348</sup>

ევროკავშირის პატარა სახელმწიფოებისთვის არსებობს მკაფიოდ განსაზღვრული რესურსების განაწილების საკითხი, რომლებიც ხელს უშლის მათ ჩართულობას და მიიღონ სრული მონაწილეობა CSDP-ის მრავალ სამუშაო ჯგუფსა და კომიტეტში. შედარებით მდიდარი რესურსებით, განსაკუთრებით პერსონალის და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, გერმანია, ისევე როგორც საფრანგეთი, სარგებლობს გარკვეული სტრუქტურული უპირატესობებით მის ძალისხმევასა და შესაძლებლობებში, მისი შეხედულებები<sup>349</sup> და პერსპექტივები სრულად წარმოდგენილი და არტიკულირებული ყველა პოლიტიკისა და საკითხის სფეროში. გერმანია გამორჩეული ასევე პატარა სახელმწიფოების დახმარებით და მათი უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინების მხრივ. საფრანგეთი კი მეტ ყურადღებას უთმობს ევროკავშირის მნიშვნელობის და როლის ზრდას უსაფრთხოების და თავდაცვის მიმართულებით. აქედან გამომდინარე აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისთვის ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკაში გერმანიის როლი და მისი მხარდაჭერა მნიშვნელოვანია.<sup>350</sup>

„დიდი სამეულის ურთიერთობაში“ თითქოს კომპეტენციები და მიმართულებები უკვე განაწილებულია, ევროკავშირის შიგნით

---

<sup>348</sup>იქვე,

<sup>349</sup>German-French cooperation Article In terms of cooperation among the 27 EU member states, the German-French partnership holds a particularly prominent position because of its history, intensity and special institutional architecture. - <https://www.auswaertiges-amt.de/en/aussenpolitik/europe/cooperation-in-europe/german-french-cooperation/228748> (10.25.2022)

<sup>350</sup>Franco-German Defence and Security Cooperation - <https://academic.oup.com/book/34803/chapter-abstract/297656164?redirectedFrom=fulltext> (10.25.2022)

საფრანგეთი ცდილობს გააძლიეროს ევროკავშირის სამხედრო რესურსები და რაც შეიძლება მეტი ავტონომია ქონდეს ევროკავშირს. ბრიტანეთის, როგორც ევროკავშირის არაწევრსახელმწიფოს სურს ევროპაში უსაფრთხოების და თავდაცვის არქიტექტურის შექმნა ნატო-სთან თანამშრომლობით, ბრიტანეთისთვის უსაფრთხოების პოლიტიკა ურთიერთკავშირში უნდა იყოს ნატოსთან და აშშ-ს სტრატეგიულ ხედვასთან. გერმანია მზად არის წამყვანი პასუხისმგებლობა აიღოს კონტინენტის უსაფრთხოებაზე. როგორც ყველაზე დიდი მოსახლეობის მქონე ქვეყანა და კონტინენტის ცენტრში მყოფი უდიდესი ეკონომიკური ძალა, გერმანიის შეიარაღებული ძალები უნდა იყოს ევროპის კონვენციური თავდაცვის ქვაკუთხედი: საუკეთესოდ აღჭურვილი ძალა ევროპაში.<sup>351</sup>

ევროპული და ევროკავშირის სუვერენიტეტის იდეა უნდა იყოს სტრატეგიის პროცესის სახელმძღვანელო პრინციპი. გერმანიის მმართველმა პარტიებმა ეს თავიანთი კოალიციური შეთანხმების ნაწილად აქციეს. კონცეფციის მათი ინტერპრეტაციით, ევროპის სუვერენიტეტი გულისხმობს ევროპისა და ევროკავშირის სამხედრო შესაძლებლობების შექმნას და შენარჩუნებას, ასევე, დამოუკიდებლად მოქმედებას მისი ინტერესებისა და ღირებულებების დასაცავად. გერმანიისთვის აგრეთვე მნიშვნელოვანია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და ევროკავშირის უსაფრთხოების ინტერესების თანხვედრა. გერმანიის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა ურთიერთკავშირში უნდა იყოს ევროკავშირთან, ისინი უნდა მოქმედებდნენ სინქრონულად, მაგრამ, რუსეთ-უკრაინის ომმა გამოაჩინა, რომ რუსეთი კვლავ ძირითად საფრთხედ ითვლება ევროპის კონტინენტისთვის. დღევანდელი რუსეთის მმართველი ორგანოსთვის საკუთარი მიზნების მისაღწევად „ომის წარმოება“ სუვერენულ ქვეყანასთან სავსებით მისაღებია. აქედან გამომდინარე, ევროკავშირისთვის და ევროპისთვის მთავარ საფრთხეს რუსეთი

---

<sup>351</sup>The United Kingdom's Joint Delegation to NATO is the link between the UK government and the North Atlantic Treaty Organisation. - <https://www.gov.uk/world/uk-joint-delegation-to-nato> (10.25.2022)

წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, დგება შემდეგი საკითხი: ვინ უნდა იყოს ევროკავშირიდან „შუამავალი“ რუსეთთან ურთიერთობის საკითხებზე მოლაპარაკებების დროს.<sup>352</sup>

შუამავლის როლის კონცეფციის გათვალისწინებით, რომელიც დაფუძნებულია მულტილატერალიზმისა და პატარა სახელმწიფოების ინტერესების დაცვაზე, ასეთ სახელმწიფოს გერმანია წარმოადგენს. გერმანიის, როგორც შუამავლის როლი, სხვა კონტექსტშიც იქნა შესწავლილი, მაგალითად, ადომეიტმა (2000) გერმანია-რუსეთის ურთიერთობების შესწავლისას შუამავლის ან „ხიდის“ კონცეფცია ჩამოაყალიბა. აქ განსაკუთრებით სასარგებლოა იმის გათვალისწინება, რომ ევროკავშირის გადაწყვეტილების მიღება კონსენსუსის მიღწევის გარშემო შექმნილი, განსაკუთრებით საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში. უფრო მეტიც, ეს არის პოლიტიკის სფერო, სადაც ორი სახელმწიფო – საფრანგეთი და გერმანია ტრადიციულად დომინირებენ. მაშასადამე, როგორც სხვა „დიდი“ სახელმწიფო, გერმანია იდეალურად გრძნობს თავს შუამავლის ან ბალანსის როლში. გერმანიის ბუნდესტაგის ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა ბერლინში განაცხადა, რომ „ჩვენ ყოველთვის პატივს ვცემთ პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების პოლიტიკას და ვიცავთ მათ ინტერესებს და ეს არის ის, რაც გვაქცევს ჩვენ ბუნებრივ შუამავლებად“.<sup>353</sup>

დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის შემდეგ, ცხადია, რომ ევროკავშირს გარკვეულ საკითხებში (უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის პოტენციური სარგებლიანობისთვის) დიდი სახელმწიფო გამოაკლდება. ინსტიტუციურად დიდმა ბრიტანეთმა ევროკავშირი დატოვა, მაგრამ კვლავ ინარჩუნებს უსაფრთხოების მხრივ ურთიერთობას ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან. ევროკავშირიდან გასვლის შემდეგ ბრიტანეთისთვის საფრანგეთთან და გერმანიასთან

---

<sup>352</sup>Germany takes a new security and defence policy course together with its partners in the EU and NATO. - <https://www.deutschland.de/en/topic/politics/security-and-defence-germany-eu-and-nato> (10.25.2020)

<sup>353</sup>Germany and European Security and Defence Cooperation: The Europeanization of National Crisis Management Policies? - <https://www.jstor.org/stable/26299640> (10.22.2022)




ერთად სამხედრო თანამშრომლობა შეიძლება გახდეს ერთ-ერთი ყველაზე კონსტრუქციული სფერო გაერთიანებულ სამეფოსა და ევროკავშირის შორის. ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის შემდეგ 27 მთავრობის წარმომადგენელმა გარკვეული ვალდებულებები აიღო ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის გააუმჯობესებისთვის. შემდგომი პრაქტიკული ფრანკო-გერმანული წინადადებების საფუძველზე, ევროკავშირის საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრებმა დაამტკიცეს ახალი წინადადებები ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შესახებ. ბრიტანეთი ახლა ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პარტნიორია, ხოლო ფრანკო-გერმანული ურთიერთობები წარმოადგენს მთავარ საყრდენს კავშირის შიგნით. საფრანგეთს, როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს ატომური შეიარაღების მუდმივ წევრს, აქვს განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გრძნობა გლობალურ უსაფრთხოებაზე და მზად არის საჭიროების შემთხვევაში ცალმხრივად იმოქმედოს, გერმანია კი მოქმედებ, მხოლოდ სხვებთან კოალიციით.<sup>354</sup>

საფრანგეთისთვის დღეს მნიშვნელოვანია \_ ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა უფრო მთავრობათაშორისი გახდეს, ვიდრე სამომავლოდ გარკვეული სიმბოლური ინტეგრაცია განიცადოს, რადგან პარიზისთვის სამხედრო ოპერაციები და მისიები ევროკავშირის მეშვეობით უნდა განხორციელდეს. ფრანკო-ბრიტანეთის ძლიერი თანამშრომლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ევროპის უსაფრთხოებისთვის არა მარტო მათი ერთობლივი სამხედრო ძალის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ევროპელებს უნდა შეეძლოთ მეტი წვლილი შეიტანონ ნატოში (რომელსაც გაერთიანებული სამეფო პრიორიტეტებს ანიჭებს) და, საჭიროების შემთხვევაში, ავტონომიურად იმოქმედონ (საფრანგეთის პრიორიტეტი).

---

<sup>354</sup>Strategic autonomy and European security after Brexit - <https://www.iris-france.org/135189-strategic-autonomy-and-european-security-after-brexit/> (10.22.2022)

ქვემოთ გრაფიკულად იხილეთ გერმანიის - საფრანგეთის - ბრიტანეთის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის კომპასი.<sup>355</sup>



ევროკავშირიდან გასვლის შემდეგ ბრიტანეთის მთავრობას იმედი აქვს, რომ წევრი სახელმწიფოები შეასრულებენ თავიანთ თავდაცვით დაპირებებს. ამის სამი მიზეზი არსებობს. პირველი ევროკავშირის ზოგიერთი ოპერაციის სასარგებლოა უსაფრთხოების გამოწვევების გამკლავებისთვის, რომელიც ევროპის წინაშე დგას. ევროპელები მხოლოდ ნატო-ს იმედად არ შეიძლება იყვნენ, არა იმიტომ, რომ ნატო არასაიმედო ორგანიზაციაა, არამედ იმიტომ, რომ ნატო უფრო დიდ გამოწვევებს უნდა დაუპირისპირდეს მსოფლიოს მასშტაბით.

<sup>355</sup>France and the European Security and Defence Policy: A leadership role among equals , Vol. 19, No. 2, Themenschwerpunkt: Auf dem Weg zu einer Europäischen Sicherheits- und Verteidigungspolitik (ESVP) (2001), - <https://www.jstor.org/stable/24231260> (10.24.2022)

ამგვარი მიდგომა განმარტავს, თუ რატომ განხორციელდა ევროკავშირის სამხედრო ოპერაციების უმეტესობა ფართო გეოგრაფიულ სივრცეში (ევროკავშირის ტერიტორიის მიღმა), რომელიც გადაჭიმულია დასავლეთ ბალკანეთიდან ხმელთაშუა ზღვის და აფრიკის გავლით ინდოეთის ოკეანემდე, მეკობრეების, ტერორისტებისა და ადამიანების კონტრაბანდისტების წინააღმდეგ დაპირისპირების მიზნით.<sup>356</sup>

მეორეც \_ ევროპელებმა უნდა გააუმჯობესონ თავიანთი სამხედრო შესაძლებლობები და თავდაცვის ბიუჯეტი უფრო ეფექტურად განკარგონ. ევროკავშირის ინსტიტუტებს ბრიუსელში შეუძლიათ დაეხმარონ მთავრობებს თავდაცვის კვლევების დაფინანსებით, სამხედრო შესყიდვების დაცული ეროვნული ბაზრების გახსნით და ფინანსური წახალისებით უფრო ეფექტური მრავალეროვნული აღჭურვილობის პროგრამებისთვის. ეს ყველაფერი სარგებელს მოუტანს როგორც გადასახადის გადამხდელებს, ასევე სამხედროებს.<sup>357</sup>

მესამე \_ ევროკავშირმა და ნატომ უნდა გააღრმავონ პრაქტიკული თანამშრომლობა ევროპული უსაფრთხოების არქტექტურის შექმნისა და დაცვისთვის. ამ ორი ორგანიზაციის ერთობლივი მოქმედებებით მთლიანად ევროპის კონტინენტი იქნება უზრუნველყოფილი უსაფრთხოების კუთხით. ევროკავშირს და ნატოს შეუძლიათ დააკავშირონ ყველაფერი შიდა პოლიციისა და დაზვერვის ქსელებიდან გარე სამხედრო ოპერაციებამდე.

და ბოლოს, ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის შემდეგ ევროპული უსაფრთხოებისა და სამხედრო თანამშრომლობა გაგრძელდება უფრო ეროვნული პრიორიტეტების გაერთიანებით გერმანიასა და საფრანგეთსა და ბრიტანეთს შორის; ურთიერთობების ჰარმონი-

---

<sup>356</sup>Three's company? France, Germany, the UK and European defence post-Brexit -

<https://www.realinstitutoelcano.org/en/analyses/threes-company-france-germany-the-uk-and-european-defence-post-brexit/> (10.22.2022)

<sup>357</sup>French Security and a British 'Continental Commitment' after the First World War: a Reassessment - <https://www.jstor.org/stable/41238643> (10.22.2022)

ზაციას უზრუნველყოფს ევროკავშირი და ნატო. ევროპული სამხედრო თანამშრომლობა, ძირითადად, „ქვემოდან ზემოთ არის მიმართული“, სადაც ეროვნული მთავრობები ხელმძღვანელობენ და გარკვეულ იმპულსებს იძლევიან. მაგალითად, ზოგიერთი ქვეყანა უფრო მჭიდროდ მუშაობს რეგიონულ ფორმატებში, როგორცაა ბალტიისპირეთის, ნორდიული და ვიშეგრადის (ცენტრალური ევროპა) თანამშრომლობა. საბოლოოდ, ევროპული უსაფრთხოებისა და სამხედრო თანამშრომლობა, იქნება ეს ევროკავშირის თუ ნატოს ფორმატის მიხედვით, მაინც გერმანია - საფრანგეთი - ბრიტანეთის ურთიერთობიდან გამომდინარეობს. ევროკავშირსაც უფრო უადვილდება უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შემუშავება მაშინ, როდესაც „დიდი სამეული“ უკვე შეთანხმებულია გარკვეულ საკითხებზე და შემდეგ ადის ევროკავშირის ინსტიტუტების დონეზე.<sup>358</sup>

---

<sup>358</sup> Sir Reginald Hibbert, *Britain, France and Germany: The essential European security triangle* (Published online: 20 Mar 2008), 27-30.

## აბრევიატურები

- CSDP** - საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა
- ESDP** - ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა
- NATO** - ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია
- EU** - ევროკავშირი
- EUMS** - ევროკავშირის სამხედრო შტაბი
- EEAS** - ევროპის საგარეო მოქმედების სამსახური
- PSC** - პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტი
- EUMC** - ევროკავშირის სამხედრო კომიტეტი
- CIVCOM** - სამოქალაქო კრიზისების მართვის კომიტეტი
- PMG** - პოლიტიკურ-სამხედრო ჯგუფი
- MPCC** - სამხედრო დაგეგმვისა და შესაძლებლობების სამსახური
- CPCC** - სამოქალაქო დაგეგმვის და შესაძლებლობების სამსახური
- OHQ** - მუდმივმოქმედი ოპერატიული შტაბი
- ESDC** - ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის კოლეჯი
- HR/VP** - უმაღლესი წარმომადგენელი/ვიცე პრეზიდენტი
- EDU** - ევროპის განათლების არეა
- ESDI** - ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის იდენტობა
- CMPD** - კრიზისების მართვისა და დაგეგმვის დირექტორატი
- EUCO** - ევროპული საბჭო
- EPC** - ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობა
- EDC** - ევროკავშირის თავდაცვა
- CFSP** - საერთო-საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა

## გამოყენებული ლიტერატურა

Attina, F. & D. Irrera (Eds.), *Multilateral Security and ESDP Operations*, Hampshire, Ashgate, 2010.

Antony M, Messina. *CONTEMPORARY EUROPEAN POLITICS AND SOCIETY*. Oxford, 2010.

Andreas, Staab. *The European Union Explained, Second Edition: Institutions, Actors, Global Impact*. Indiana University Press, 2011.

A renewed multilateralism fit for the 21st century: the EU's agenda –

[https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip\\_21\\_622](https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip_21_622)  
(10.25.2022)

Agenda-setting in the Common Security and Defence Policy: An institutionalist perspective

<https://www.jstor.org/stable/45084702> (10.28.2022)

Agenda-setting in CSDP: Empirical evidence

<https://journals.sagepub.com/doi/full/10.1177/0010836712462772>  
(10.28.2022)

An Advisory Mission in Iraq, a Military Training Mission in the Central African

Republic, a Maritime Operation in the Mediterranean and an Assistance Mission in Ukraine are among the most recent additions to over 30 civilian missions and military operations launched by the EU since the Common Security and Defence Policy (CSDP) became a reality almost 15 years ago –

<https://www.eca.europa.eu/sites/eca-audit-defence/EN/Documents/EU%20Missions%20and%20Operations.pdf> (10.28.2022)

A Strategic Compass for a stronger EU security and defence in the next decade

<https://presidence-francaise.consilium.europa.eu/en/news/press-release-a-strategic-compass-for-a-stronger-eu-security-and-defence-in-the-next-decade/> (10.1.2022)



A Strategic Compass to strengthen the security and defence of the European Union  
by 2030

<https://www.diplomatie.gouv.fr/en/french-foreign-policy/security-disarmament-and-non-proliferation/european-defence-63008/article/a-strategic-compass-to-strengthen-the-security-and-defence-of-the-european> (10.25.2022)

A Secure Brexit? UK Security and Defense and the Decision to Leave the European Union

<https://www.marshallcenter.org/en/publications/security-insights/secure-britain-uk-security-and-defense-and-decision-leave-european-union-0>  
(10.30.2022)

A Strong Britain in an Age of Uncertainty: The National Security Strategy –

[https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment\\_data/file/61936/national-security-strategy.pdf](https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/61936/national-security-strategy.pdf) (10.22.2022).

A Security Strategy for Germany

[https://www.files.ethz.ch/isn/90089/Security\\_Strategy\\_Germany.pdf](https://www.files.ethz.ch/isn/90089/Security_Strategy_Germany.pdf)  
(10.25.2022)

Arm for the storm: Germany's new security strategy

